



# ისინფი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№11

# ისინქტი

ლიტერატურული ჟურნალი

№11

2020

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)  
რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)  
ბონდო არველაძე (საპატიო წევრი)  
ვახტანგ ბახტაძე  
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)  
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)  
მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)  
ჯემალ მეხრიშვილი  
ერეკლე სალლიანი (საპატიო წევრი)  
თეიმურაზ ნადარეიშვილი  
მარსიანი  
გიორგი შიშნიაშვილი

წინა ყდა: **ფერისცვალება – მხატვარი – ირაკლი ავალიშვილი**

უკანა ყდა: ზვიად გამსახურდიას პორტრეტი მხატვარი: **მარსიანი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

## შინაარსი

<b>რედაქტორის წინათქმა</b> .....	5
პუბლიცისტიკა	
<b>იკა ქადაგიძე</b> – ეროვნული ცნობიერების შეუპოვრობა (კირიონ მეორის „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში) .....	7
ინტერნეტ სპექტრი	
<b>პოეტ პოეტიშვილი</b> – ღვინის აკვანი, ვაზის გვირგვინით!(პოეზია).....	17
კრიტიკა	
<b>მედგარ ჭელიძე</b> – ისევ „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ .....	20
ესე	
<b>მაყვალა გერმანოზაშვილი</b> .....	25
პოეზია	
<b>მანანა ბრაჭული</b> .....	26
პროზა	
<b>სანდრო ნებერიძე</b> .....	28
ეკოლოგიური ინტერიერი	
<b>ვანო გელაშვილი</b> – ტყე შევუნახოთ შვილებსა .....	31
ერთი ლექსის გაელვება	
<b>ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა</b> .....	36
ეროვნული ფასეულობების სადარაჯოზე	
<b>ბონდო არველაძე</b> – ქართველთა მოძულე „პოლიტოლოგის“ ჰრანტ მელიქ-შაჰნაზარიანის კომენტარების შესახებ.....	37
პროზა	
<b>დიანა მეტონიძე</b> – ამონარიდები ისტორიული რომანიდან „მესიის მახვილი“ .....	39

თარგმანი	
<b>ერეკლე სალიანი – აფხაზური პოეზია</b> .....	43
თარგმანი	
<b>ვახტანგ ბახტაძე – პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს</b> .....	44
კრიტიკა	
<b>მარსიანი – ზვიად გამსახურდიას ლირიკა</b> .....	48
სიმარტოვის ელევგიები	
<b>გია ჯიჭონია</b> .....	56
ემიგრანტული სარკმელი	
<b>ნანა შალამბერიძე – ამონარიდი ნიგნიდან „ემიგრანტები“</b> .....	58
ლტოლვილი ლიტერატურული კრიტიკა	
<b>ჯემალ მენრიშვილი – მწვავე პროზა</b> .....	61
მეგრული შთაბეჭდილებები	
<b>იკა ქადაგიძე</b> .....	61
ესეისტიკა	
<b>თემურ ნადარეიშვილი – შექსპირული ჩანახატები</b> .....	69

**რედაქტორის წინათქმა**

გერქვას ყველაზე მეტძოლი ეროვნული ჟურნალი ნიშნავს კრიტიკა-პუბლიცისტიკას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდე, რაც კულტურულ ფასეულობათა გადასარჩენად აუცილებელი პირობაა. საჭირობოროტო საკითხების დროულად და რაც მთავარია, მიუკერძოებლად და მასშტაბურად გაშუქება ეროვნული ცნობიერების განვითარება-გაძლიერების წილ მკითხველის მხატვრული და სამოქალაქო დონის განსაზღვრას ერთმნიშვნელოვნად განაპირობებს.

განვლილმა სამმა წელიწადმა ცხადყო, “ისინდის“ დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა ცენზურის ჩაურევლობის თვალსაზრისით ობიექტური კრიტიკის მხრივ მოწინავეა, რაც ნდობის პარალელურად ორმაგი სტანდარტებისგან თავდაცვის უპირობო გარანტიაა.

სხვაგვარად სრულფასოვანი ჟურნალის გამოცემა მიზანშეუნონელია, დროულად ნათქვამი სიტყვის ფასი - კი განუზომელი. კრიტიკული აზროვნების გამორჩეულობის შეცნობისას ეს უპირველესი ფაქტორია, რასაც ყველა დროის გამოჩენილი მწერლები სათანადოდ აღიქვამდნენ და ცდილობდნენ თვით ყველაზე არასახარბიელო პირობებში მკითხველისთვის მართალი სიტყვა შეუფერხებლად მიეწვდინათ. დიდი რუსი მწერლის, დოსტოევსკის ნათქვამისა არ იყოს, ჟურნალი დანიშნულებას ვერ ამართლებს თუკი მას კრიტიკის მიმართულება არ გააჩნია. ეს უნივერსალური სიბრძნე დროგამძლე კატეგორია და ძალზე სასიხარულოა, რომ “ისინდი“ ამ დევიზს მუდამ განუზრელად იცავს და თანამედროვე სამწერლო სივრცეში კრიტიკა-პუბლიცისტიკური პროფილით ამ მოცემულობას სავსებით ითავსებს და ავსებს, რაც წესით სხვა ბეჭდვით ორგანოებსაც უნდა მოეპოვებოდეთ. ნამდვილი კულტურა სრულფასოვანი ანალიტიკური აზროვნების გარეშე ხომ ყოვლად წარმოუდგენელია. არადა, პარადოქსი სახეზეა: სახელმწიფო დოტაციით გამოსული ჟურნალების მხარდამხარ კერძო სანყისზე დაფუძნებულ ჟურნალებიც უფროსიან კრიტიკა-პუბლიცისტიკის მიმართულებას, ეს გარემოება კი სიყალბის ტირაჟირების ფონზე გადაულახავ ვაკუუმს ქმნის, რაც სიმართლის საგანგებო იგნორირებით გამოიხატება. ფაქტია, ორმაგი სტანდარტი მომგებიანი დაფინანსებისა და უზრუნველი არსებობის კვალაკვალ დესაკრალიზაციის შეუქცევად პროცესს ასახავს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო თავი ვერა და ვერ დავაღწიეთ. არადა, ეროვნული ჟურნალის გამოშვება გავალდებულებს

გრძნობდე უახლეს მაჯისცემას, სვამდე მწვავე კითხვებს და რაც მთავარია, რეალურ გამოსავალს სთავაზობდე ათას ქარცეცხლში მოხვედრილ საზოგადოებას, რაც საკმაოდ რთულია, ვინაიდან ლიბერალტული დიქტატურის ფონზე ეროვნული აზროვნების აღორძინება “წამგებიანი” რისკია; რისკი, კომერციული წარმატების ნაცვლად დაუღალავი შრომისა და უანგარობის პრინციპს რომ ეყრდნობა და ჟურნალის ბირთვის წევრებისგან სულ მცირე, ეროვნული საქმის ერთგულებასა და მაღალი იდეალების განუხრელ დაცვად მოითხოვს, რაც სამწუხაროდ ჩვენი დაუძლეველი აქილევსის ქუსლია...

და მაინც, წინააღობების მიუხედავად “ისინდი” ერთხელ არჩეულ ნარეკლიან გზას შეუპოვრად მიჰყვება ათას ბანაკად დაქსაქსული ქვეყნის ერთიანობის იდეას თანმიმდევრულად ავითარებს, რაც სამომავლო წარმატების აუცილებელი საწინდარია.

დიდი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის, შარლ დე გოლის ნათქვამისა არ იყოს, სამოქმედოდ ის გზა უნდა აირჩიო, სხვები რომ ვერ დაადგებიან და კონკურენტები არ გეყოლება. “ისინდის” გაბედული მიუკერძოებლობა სწორედ ამის გამოხატულებაა და მართალი ჟურნალის ტიტულს სწორედ ამიტომ ვინარჩუნებთ.

კორონოვანი სინამდვილის ფონზე მკითხველების გასამხნეველად გადავწყვიტეთ რელიგიური შინაარსის შემცველი პუბლიკაციები გავაძლიეროთ, რაც საჭირობოროტო სატკივარს ბუნებრივად ეხამება და უახლესი ისტორიის სწორი გააზრების კვალდაკვალ წარსულის ფართო რეტროსპექტივის საშუალებას იძლევა.

მოკლედ, ყველაზე მეტძოლი ჟურნალი, როგორც ყოველთვის, მაღალმხატვრული ხარისხის ზრდის პარალელურად ეროვნული კულტურის გადასარჩენად კვლავ მედგრად იბრძვის და თავის სოლიდურ პუბლიკას მართალ და საიმედო სიტყვას დროულად შეაშველებს, რაც „ისინდის“ უცვლელი დევიზია!

18.10.2020.

იკა ქალაქიკი

პროვნილი ცნოვიერების შუაოვრობა

(კირიონ მეორის „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“)

„ბევრი უსამართლობა გამომივლია, მაგრამ თანაგრძნობისთვის თავი არავისთვის შემინყენინებია“.

კირიონ მეორე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

21-ე საუკუნის ოცნლეული მსოფლმხედველობათა უკიდურეს დაპირისპირებათა დაუსრულებელ ასპარეზად იქცა. მალალანაზლაურებადი ექსპერტებისა და ნაფიც პოლიტოლოგთა ფუჭმეტყველების ფონზე სწორედ ამ ვითომდა ყველაზე პროგრესულ, დემოკრატიულ ხანაში პოლარულად გახლერილ საერთაშორისო ნიადაგზე წარმოქმნილ რელიგიურ-პოლიტიკურ თუ სხვა სახის უშელავათო ომებს არნახული გასაქანი მიეცა. ტექნოლოგიების განვითარებამ ისედაც სულსწრაფი, ფულისზეჭია კასტის დამანგრეველი რიტმი განუხრელად გაზარდა; დღე არ გავა, მსოფლიო მორიგმა სახიფათო რყევამ არ შეაზანზაროს, რასაც პირნმინდად მოსყიდული საერთაშორისო თუ ადგილობრივი მედია ერების დასაშინებლად უკიდურესად ნეგატიურად აშუქებს და აანალიზებს. ამოუპირავი დეზინფორმაციის კვალდაკვალ საგანგაშო მოვლენებით გამონვეული ინფანტილიზმი იმდენად მატულობს, გააზრებას ვერ ასწრებ, ახალი საფრთხე დაუხანებლად ისე მოექანება; მანიაკალური გრანდიოზამანიით შეპყრობილი ურნმუნო მდიდრების მსოფლიო ბატონობის აკვიატებული იდეის გადამკიდე ათას ბანაკად დაქუცმაცებულ კაცობრიობის ხვედრი იმაზე მყიფეა, ვიდრე თვით ყველაზე ცივისსხლიანი ჯალათები გეგმავენ. საყოველთაო ტერორის პირობებში: პანდემიის, რელიგიურ-სექსობრივი დაპირისპირებისა თუ ეთნიკური ანტაგონიზმის ნიშნით გაჩაღებულ გლობალურ შეტაკებებში გაუნელებელი დაძაბულობის წყალობით ადამიანების დაუცველობა პიკს აღწევს. მორჩილ მომხმარებლად გამწესებული ჰომო საპიენსი მარადიული იდეალების გაუფასურების პარალელურად რწმენის კატასტროფული დეფიციტის გამოისობით უზნეო სამყაროს უხერხულ მიქვლად გადაკეთდა, რომელსაც ფულისზეჭია პატრონი მათრახითა და ვაქცინაციის შიშით სათანადოდ მართავს და ამცირებს. მაგალითისთვის თუნდაც უახლესი, უკიდურესად სახიფათო პრეცედენტი დავასახელოთ: ქრისტიანული სარწმუნოების ცენტრის, აია სოფიას ტაძრის მეჩეთად ამოქმედების სახით რომ გვინია და საყოველთაო კატაკლიზმების გამწვავების საპირწონედ გაუნელებელ აღმოსავლურ აგრესიას დაუკითხავად შეგვაჯახა. ამ თემას საგანგებო წერილში დაწვრილებით მიმოვიხილავ, ამჯერად კი მხოლოდ ზოგადი დასკვნით შემოვიფარგლები: ჩამჭრელ კითხვას დავსვამ, რაც ისტორიული გამოცდილების გააზრებისას ძალაუნებურად იზადება და მოსვენებას გვიკარგავს. სამკვდრო-სასიცოცხლოდ წამოჭრილი საგანგაშო მოცემულობა იძულებულს გვხდის



შევეგუოთ, რაც აქამდე ჰუმანური იდეების განსახორციელებლად მებრძოლ კაცობრიობას უდიდესი ძალისხმევისა და მსხვერპლის ფასად მოუპოვებია, ერთეულ ოლიგარქთა უზნეო სურვილებს უყოყმანოდ დავემორჩილოთ. სატანურ ძალთა მესვეურებს სარწმუნოება, როგორც ყველაზე საშიში და ფეთქებადი იარაღი, ამ შავბნელი მიზნისთვის სათავისოდ მოუმარჯვებიათ და ათასი სატკივარით დაზაფრულ მსოფლიოს ამ სარჩულით ძიძგიან და სადისტურად ეთამაშებიან. რელიგიით მანიპულირების სახიფათო მეთოდი საუკუნეებს ითვლის და მაინც, არნახული მასშტაბების საპირწონედ ამ დაუსრულებელი და ხელოვნურად გაჩაღებული ომის კერის აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომებია მისაღები. უწინარესად ამ საკითხის მრავალპლანიანი განხილვა-შეფასებაა აუცილებელი, ნაცად პროვოკატორთა ბინძურ დემაგოგიას გულუბრყვილოდ რომ არ წამოვეგოთ. ამდენად, წარსულის რეტროსპექტივა უახლესი მოვლენების შეცნობისას უცვლელ მსოფლმხედველობრივ პოლუსთა ანატომიას შეგვახსენებს, რითაც ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მოსურნენი სამყაროს ვერაგულ ჩანაფიქრს თავს ახვევენ. გასული საუკუნის უმძაფრესი პერიპეტეების გაცოცხლებისას ვრწმუნდებით, ღირსეულ მოღვაწეთა თავგანწირვას რაოდენ დიდი შედეგი ახლდა თან, თანამედროვე ქართველების ფონზე მართებული იდეოლოგიის არქონის შემთხვევაში კვლავ მომაკვდინებელი დარტყმა რომ ემუქრება. განსაცდელის პირისპირ საყოველთაო მოუმზადებლობა დიდი ვერაფერი ნუგემია. სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრე-



სო, ნათქვამია. ეს ნიშნავს ქართველებისგან თავდასაცავად საკუთარ გამოცდილებას დავეყრდნოთ, ვიდრე დამხმარე ძალა (სამწუხაროდ, მხოლოდ თეორიულად რომ ჰგვიბეს!) შემოგვეშველება და ახალ სადინარს გაგვიხსნის...

მრავალჭირგამოვლილი საქართველო ქრისტიანულ სარწმუნებას მუდამ თავდადებით იცავდა, რაც სხვათა შორის ამ პანდემიური ისტერიკის კვალდაკვალ ნათლად დადასტურდა, როდესაც კარანტინის პირობების მომიზეზებით მსოფლიო ბატონობის მოსურნე სატანურმა ძალამ უძველესი და ავტორიტეტული ეკლესიის მესვეურებს ქრისტიანული ღვთისმსახურება კატეგორიულად აუკრძალა. ამ უკიდურესი განსაცდელის ჟამს საოცრებას შევესწარით: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქართველთა მრევლის მხარდაჭერით ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ამ მკრეხელურ გადაწყვეტილებას შეენინაღმდეგა და ტაძრები არ დაკეტა, სააღდგომო წირვა არ შეაფერხა და არც გააუქმა. ამ მაღალზნეობრივი და თვალშისაცემად გაბედული, ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა ამერიკის ღირსეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველო მსოფლიოს მისაბაძ მაგალითად დაასახელა. ბოლოდრონდელი ექსცესების ზრდის კვალდაკვალ ამერიკაში ბიბლიის სავალდებულოდ შემოღებამ ცხადყო, ლიბერალისტული უზნეობის წინააღმდეგ სრულფასოვნად მოაზროვნე მოღვაწეებმა როგორც იქნა, ხმა ორგანიზებულად აღიმალღეს, რითაც კაცობრიობა სატანურ იდეოლოგიას მკვეთრად დაუპირისპირდა. ფაქტია, გადამწყვეტ დილემას გვერდს ველარავინ აუვლის. ანტიქრისტეს ფაზაში შესვლა ცხადყოფს, გაუნელებელი ჭიდილის ხარისხიდან გამომდინარე, ორჭოფობისა და ნელთბილი პოზიციის გამოვლენა ფიზიკურად შეუძლებელია. თვალწინ ამაზრუნენი მოცემულობა ხრჩოლავს: სატანურ იდეოლოგიასთან ბრძოლისას ჩვენ ახალ რელიგიურ ომში ჩათრეულები აღმოვჩნდით და სანამ მის თანამდევ მოვლენებს დროის გადასახედიდან მასშტაბურად და მიუკერძოებლად გავიაზრებთ, უპირაინა გასული საუკუნისწინანდელი ისტორიული პროცესების გავიხსენოთ, რაც უახლესი მოვლენების განჭვრეტისას დახმარების წილ შეუცდომელი გზამკვლევაა.

საქართველო, როგორც მცირერიცხოვანი მართლადიდებლური მრწამსის ქვეყანა, აგრესორთაგან მუდამ განსაკუთრებული სისასტიკით ირბოდა და იჩაგრებოდა. ერთმორწმუნე რუსული იმპერიის მიერ განხორციელებულ რეპრესიების ამსახველი არაერთი წყარო სადღეისოდ ძირთადად ხელმისაწვდომია და მიაბიტური სარწმუნოებრივი „ერთსულოვნების“, ყალბ მითს უამრავი ფაქტით აცამტვერებს. სანამ ავტორიტეტულ უცხოურ მასალას დავაჭაშნიკებთ, უპირველესად ვალდებულები ვართ უდიდესი წინაპრების მიერ გაღებული უზარმაზარი ღვანლი ობიექტურად შევაფასოთ, გამოწვლილვით შევისწავლოთ და სხვა წყაროებთან მიმართებისას სათანადოდ შევაჯეროთ, ბრმა კერპთაყვანისმცემ-

ლობის საცეცებში ნებაყოფლობით რომ არ გავებათ. მეოცე საუკუნის დასაწყისში გამაფრებული უშელავათო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაბრუნებლად საუკეთესო ქართველთა უდიდესი ძალისხმევითა და ერთსულოვნების მეოხებით წარმატებით დაგვირგვინდა. ეს გარემოება ცალსახად მოწმობს, ერის ნამდვილი ჭირისუფლები ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გამართულ ომში ქრისტიანულ რწმენას რაოდენ დიდ მნიშვნელობას აკისრებდნენ, რამეთუ საუკუნეების განმავლობაში ქართველობა და ქრისტიანობა გაიგივებული იყო, რაც მუსლიმურ ალყაში მოქცეულ პატარა ქვეყანას მრავალრიცხოვან მტერთან გამკლავებასა და საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას უადვილებდა. რუსეთის მიერ 111 წლიანი სარწმუნოებრივი დაქვემდებარება გაუქმებული ავტოკეფალიის აღსადგენად ეროვნული თავმოყვარეობის აღორძინების სიმბოლოდ იქცა, რის გარემეც სრულფასოვანი ერი სხვის მონობას თავს ვერასდროს დააღწევს და ნელში თამამად ვერ გაიმართება. ამ გადამწყვეტი ბრძოლის დროს საქართველოს ღირსეული, მამულიშვილური მრწამსით გულანთებული სასულიერო პირები ავანგარდში იდგნენ და რუსი-ფიკატორულ პოლიტიკას აუნაზღაურებელი მსხვერპლის ფასად გეზიმართულად ეწინააღმდეგებოდნენ. ამ ურთულესი მიზნისკენ მიმავალ ნარეკლიან გზაზე მეოცე საუკუნის დასაწყისი ორი დიდი ქართველი პატრიარქისა და წმინდანის: ამბროსი ხელაიასა და კირიონ საძაგლიშვილის ეპოქალური ნაშრომების შექმნით აღინიშნა, რაც იმპერიულ სააზროვნო ორბიტაზე ყუმბარის აფეთქებას ეთანადებოდა. სანამ ამ საეტაპო თხზულებათა განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე გავამახვილებდე ყურადღებას, საგანგებოდ დავაზუსტებ: ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელთა ნაშრომები საერთაშორისო რეზონანსის გამოსაწვევად რუსულ ენაზე შეიქმნა. თვითმპყრობელური მენტალიტეტით ნაკვებ-გამობრძმედილი რუს მეცნიერთა ელიტა თვალნათლივ დარწმუნდა, „ბარბაროს გადამთიელთა“, სარწმუნოებრივი-კულტურული დონე და ისტორიული წარსული მათ გაყალბებულ სინამდვილესა და ნამყოს რამდენად აღემატებოდა. წლების წინ ამბროსი ხელაიას პირველხარისხოვან ნაშრომს საგანგებო წერილი მივუძღვენი, ამიტომ აქ მას ზოგად კონტექსტში ვახსენებ და ძირითად მახვილს კირიონ მეორის საეტაპო თხზულებაზე გადავიტან, რომელიც ზემოთ-დასახელებული ნაშრომის გამოქვეყნებიდან ცხრა წლის თავზე გამოიცა. ქრონოლოგიურ წესს მივდიოთ, რაც ამ ისტორიული პუბლიკაციების არსში წვდომას გავვიადვილებს.

ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, სახელდობრ, 1901 წელს საქართველოს მომავალი პატრიარქის, ამბროსი ხელაიას მიერ რუსულ ენაზე შექმნილმა ეპოქალურმა ნაშრომმა: „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში“, რუს სწავლულთა ყურადღება და მონონება დაიმსახურა. წმ. ამბროსი აქ წარმოჩინდა, არა როგორც ოდენ ფართო ერუდიციის მქონე

მკვლევარი, სერიოზული ეთნოგრაფი, გამოცდილი ისტორიკოსი და მხატვრული სიტყვის ოსტატი, არამედ, უპირველესად ეროვნული მსოფმხედველობის უდრეკი მოღვაწე, რომელმაც გადანყვიტა რუსული იმპერიის თვალში გამოეკვეთა და მრავალფეროვან საისტორო წყაროზე დაყრდნობით დაესაბუთებინა ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის უზარმაზარი წვლილი ქრისტიანობის დაცვისა და გადარჩენის თვალსაზრისით. ეს უაღრესად სერიოზული გზავნილი გამოდგა „ერთმორწმუნე უფროსი ძმის,“ უსაზღვრო და უსამართლო პრეტენზიების საპასუხოდ, რომელიც მსოფლიოს „გაუნათლებელი ბასურმანების,“ მოქცევით თავს უტიფრად აწონებდა. ღრმავაროვანი ნაშრომის მაღალმა აკადემიურმა დონემ ევროპაში მისი გახმაურება განსაზღვრა, რაც ავტოკეფალიისათვის გამართულ დაუზოგავ ბრძოლაში ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის უდიდეს მიღწევად გაფორმდა. წარმატებული ესტაფეტა ამბროსი ხელაიას მტკიცე თანამოაზრემ, კირიონმა აიტაცა და განამტკიცა. ბედის განჩინებით კირიონს ამბროსის აღსაყდრებამდე ადრე ერგო პატრიარქის მძიმე კვერთხი, რომელიც ღირსეულად ატარა; ვერაგ იმპერიასთან უშელავათო ბრძოლამ მისი მონამეობრივი აღსასრული განსაზღვრა. სასწაულით გადარჩენილ ამბროსი ხელაიას მკვლევები ვერ მისწვდნენ, თუმცა უდრეკ პატრიარქს სხვაგვარად, არანაკლებ სასტიკად გაუსწორდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეგრძოლ ერთგულ თანამოსაგრეთა ურთულესი ხვედრი და თავდადებული საქმიანობა ქვეყნის ისტორიაში გამორჩეული ღვანლით აღინიშნა. 1918 წლის 27 ივნისს ბოროტგანმზრახველებმა ავტოკეფალიის მოპოვებიდან არც თუ დიდ ხნის შემდეგ ქართული ეკლესიის უდრეკი საჭეთმყრობელი, კირიონ მეორე სიცოცხლეს ვერაგულად გამოასალმეს. მტერი ეროვნული დედაძარღვის განყვეტას ლამობდა, რასაც საბედნიეროდ განხორციელება არ ეწერა. მისი დაღუპვის შემდეგ პატრიარქის ნოდება ამბროსი ხელაიას მიენიჭა, რომელიც ბოლშევიკთა დიქტატურის პირობებში ხელმეორედ ანექსირებული საქართველოს დასაცავად საერთაშორისო ასპარეზზე შეუპოვრად იბრძოდა. ქართველ მღვდელმთავართა თავდადებამ ურწმუნო ძალის პარპაშს საძირკველი შეურყია. ფაქტების სიმრავლე მონმობს, სამშობლოს გამოსახსნელად გამართულ უვადო ომში სასულიერო პირები მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ და დამონებულ ერს საარაკო თავდადების მაგალითს აძლევდნენ. სწორედ აქ ბათილდება ლიბერასტ დემაგოგთა ცრუ მონაჭორი, რომლის მიხედვითაც თითქოსდა სასულიერო წოდებას საერო საქმეებში ჩარევის უფლება არ გააჩნია. მსოფლიო ისტორია საპირისპიროზე მეტყველებს; ვინც მაღალანზღაურებად პროვოკატორებს უჯერებს, ადვილი მისახვედრია, სინამდვილის გაყალბება გულზე მალამოდ რატომ ეცხება.

წმინდანად შერაცხულმა კირიონ მეორემ ქართულ ეკლესიასა და ეროვნული აზროვნების აღორ-



ძინებას უზარმაზარი ამაგი დასდო. სანუკვარი მიზნისკენ სწრაფვამ მისი უკომპრომისობა გამოავლინა, რაც ავტოკეფალიის მოსაპოვებლად გაჩაღებულ ომში დაუსრულებელი წინალობების დასაძლევად იყო მიმართული. რუსი ეგზარქოსებისგან დაკნინებული სასულიერო წოდების ფონზე ქართველთა მამაპაპური რწმენა სწორედაც ერთმორწმუნე იმპერიის მიერ შეუზრალვლად ილახებოდა, რასაც ერის ჭირისუფლები ვერასდროს ეგუებოდნენ და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მძაფრ პროტესტს არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ პოლიტიკური აქტებით გამოხატავდნენ. ეს გარემოება უკიდურეს ანტაგონიზმზე ღალადებდა, რისი აღმოფხვრაც შოკინისტ რუსეთს აზრადაც არ მოსვლია. კირიონს, რომელსაც ერისკაცობისას გიორგი ერქვა, თავს გაუგონარი ტრაგედია დაატყდა. საყვარელი ცოლ-შვილი დაელუბა, რამაც მისი ქრისტიანული მრწამსი გააძლიერა. იგი თავდაპირველად ალავერდის ეპისკოპოსად აკურთხეს, შემდეგ გორისა და ქართლ-კახეთის პირველ ქორეპისკოპოსად დაინიშნა. სწორედ ამ პერიოდში მან გამოსცა ძალზე საჭირბოროტო შინაარსის შემცველი წიგნი „მომწიფებული საკითხი,“ (რუსულ ენაზე), რომელშიც ეროვნულად მოაზროვნე ქართველ სასულიერო პირთა მოთხოვნა გაახმოვანა. სახელდობრ, კირიონმა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ქართული ისტორიის კათედრის გახსნა მოითხოვა; კათედრის გამგედ ის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, თედო ჟორდანიას ასახელებდა. ავტოკეფალიისთვის გამართული უშელავათო ომში იმპერიამ წინ გადადგმული ძალზე გაბედული ნაბიჯი ურჩ ქართველს არ აპატია და როგორც არასაიმედო პიროვნება, სამშობლოს მოაშორა და კამენეც-პოდოლსკში გადაისროლა. სწორედ ამ ეპარქიაში მსახურებისას ჩაეყარა საფუძველი მის ეპოქალურ ნაშრომს: „ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში“ რომელზეც ავტორი მრავალი

წლის განმავლობაში რუდუნებით მუშაობდა. კირონიმა სწორედ აქ მიჰყო ხელი რუსეთის ისტორიის საგანგებო, მეცნიერულ დონეზე შესწავლას. გასაკვირია და მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიის მქონე ერთმორწმუნე რუსეთის ისტორია სასულიერო სასწავლებლებში ფრიად ბუნდოვნად გადმოიცემოდა. ხელსაყრელი შემთხვევის წყალობით, მას კიევის აკადემიის ამხანაგმა (კირონიმა თავის დროზე კიევის სასულიერო აკადემია დაამთავრა) ადგილობრივი სასულიერო სემინარიიდან სხვადასხვა დროს დაბეჭდილი რუსულ მატრიანეთა უთვალავი ნუსხა ჩაუტანა; მათ შორის მეთვრამეტე საუკუნისდროინდელი ფოლიანტებიც ერია. ამ ზღვა წყაროს სისტემურ დამუშავება-განალიზებას უზარმაზარი დრო, განათლება და ენერჯია ესაჭიროებოდა, რაც საბედნიეროდ ქართული ეკლესიის მომავალ საჭეთმპყრობელს უხვად მომადლებოდა. ესოდენ ღრმაშინაარსიან ნაშრომზე მუშაობის პარალელურად კირონი, როგორც ავტოკეფალური მოძრაობის წინამძღოლი, ბრძოლას არ წყვეტდა და მიმდინარე მოვლენების კვლადკვალ კვლავ სანუკვარი მიზნისკენ მიინევიდა. მისმა აქტიურობამ ქართველ სასულიერო პირთა ძალისხმევა გააორკეცა, რაც შეთანხმებული ერთსულოვნების საუკეთესო პრეცედენტად იქცა. 1907 წელს თბილისში ქართველ მღვდელმთავართა საეკლესიო კრების საფუძველზე გამოტანილი სამართლიანი მოთხოვნით, სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში მშობლიური ენაზე სწავლის ოფიციალურ ნებართვას რომ გამოითხოვდა, ქართველთმოძულე ეგზარქოს ნიკონის გადაწყვეტილებით რეპრესიული შესტით, მღვდლების გამათრახებით დასრულდა. უკიდურესად მწვავე ვითარების ფონზე ერთი წლის თავზე ნიკონი მოკლეს. პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე ჩადენილმა მკვლევობამ იმპერიის აღშფოთება გამოიწვია, რაც ოდიოზური ქმედებით გამოიხატა; ქართველი სამღვდლოების გააქტიურებით შემოფოთებულმა რუსეთმა განსაკუთრებით შეუპოვარი მღვდელმთავრები მიზანში ამოიღო და მათი დასჯით პანიკის დათესვას შეეცადა. ამ უმდაფრესმა პერიპეტიებმა კირონის საეტაპო ნაშრომის გასაგრძელებლად უბიძგა, რომელშიც ქართველთა ქრისტიანული როლი განსაკუთრებულად წარმოჩნდებოდა. უახლესი პერიპეტიების ფონზე მან ივერიის ძველი დიდების გაცოცხლებით უძველესი საეკლესიო ცხოვრების უზარმაზარი ღვაწლის გახსენება განიზრახა. „ასი წლის მონობის უღელმა მეტად დააქვეითა ჩვენი ეკლესია. როდესაც გავითვალისწინებ ჩვენი აწმყო, დავრწმუნდი, რომ თუ გვსურს ჩვენი ხალხოსნობა არ აღიგაოს პირისაგან ქვეყანისა, აუცილებელია ჩვენი ნაციონალური ავტოკეფალიის აღდგენა. ამის განხორციელებისათვის საჭირო იყო გავვემრავლებინა ბერები მალაღის სწავლით ალჭურვილნი, მაგრამ პირველ მძიმე ნაბიჯი ვის უნდა გადაედგა?“ - უაღრესად მნიშვნელოვანი მონოღება მეთაურის მზაობასა და თავგანწირვას ცხადყოფს, რომლის მეოხებითაც გარს თანამოაზრეები შემოიკრიბა, რაც იმპერიას მხედველობიდან

არ გამოპარვია. რუსიფიკატორული პოლიტიკის უდრეკი მონინაღმდეგე უმაღლ მიზანში ამოიღეს და რუსი სამღვდლო ელიტის კვლადკვალ არამდგრადი თანამემამულეები შეუსიეს, ვინაიდან ესოდენ სასტიკ ბრძოლაში ყველა მასავით ბოლომდე გაუტყხელი არ აღმოჩნდა, რასაც მართალი წინამძღოლის მხრიდან სამართლიანი მხილება მოსდევდა. სანამ ზემოთხსენებული ნაშრომის დასაწერად დროს გამოძებნიდა, საქართველოს მომავალმა პატრიარქმა უწყვეტი დევნა-შევიწროების ფონზე ათასგვარი დაბრკოლება და ექსორია იწვინა. რუს შოვინისტ მღვდელმთავრებთან უშელავათო პოლემიკის სიმძიმეს კირონის საოცრად გულახდილი ეპისტოლარული მემკვიდრეობა მკაფიოდ და შეულამაზებლად წარმოაჩენს. აქ მისი ქარიზმატული პიროვნული პორტრეტი დაუფარავად იკვეთება. კირონი, როგორც დაუცხრომელი მარტოდმბრძოლი, საუკუნოვანი ოცნების ასახდენად გამართულ უთანასწორო ბრძოლაში უდიდესი განსაცდელისა და უთვალავ მონინაღმდეგეთა წინაშე შეუდრეკელია. მისი სამართლიანობა არ ირყევა, ყოველგვარ განსაცდელს მედგრად უძლებს, რასაც ადამიანური დანაკარგის ფონზე გაუნელებელი ტკივილი აღრმავებს. იმედგაცრუებისა და ვერაგობის მიუხედავად სანუკვარი მიზნისკენ სწრაფვა იმდენად ძლიერია, მის ტიტანურ ნებას ვერა ძალა ვერ ასუსტებს და ვერ აფერხებს. ჯიუტი „ნაციონალისტი“, სასულიერო პირი რუსეთის მთავრობამ სამშობლოს არაერთგზის მოაშორა, თუმცა რეპრესიებმა შეუპოვარი მოღვაწე ვერ გატყბა. დაუსრულებელი ბრალდებების საფუძველზე 1906 წელს სინოდის კანცელარიის მიერ კირონს რუსეთის იმპერატორის ბრძანება ეუწყა. იგი სოხუმის ეპისკოპოსად გაამწესეს, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ქართველები სოხუმში მის დანიშვნას მიესალმნენ, რუსებმა კი საფრთხე უმაღ იგრძნეს და შავრაზმელი ვოსტორგოვის მეშვეობით მის წინააღმდეგ ახალი ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს, რამაც 1907 წელს კირონის სოხუმიდან გათავისუფლება განაპირობა. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარ მებრძოლს 1909 წელს ქართველთმოძულე ეგზარქოსის, ნიკონის მკვლევობა დააბრალეს და გაუსამართლებლად სვინაქსარის უდაბნოში გადაასახლეს. ამ პოლიტიკური ანგარიშსწორებით იმპერიამ ავტოკეფალიისთვის მებრძოლი სასულიერო პირები საჩვენებელი ვერდიქტით დააშინა, თუმცა კირონი კვლად დაუცხრომლდ იბრძოდა. სწორედ ამ ორგანიზებული დევნის გაუსაძლის პირობებში მრავალი წლის მანძილზე, ფრონტის შუაგულში იქმნებოდა მისი საეტაპო ნაშრომი: „ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში“, რაც რუსეთის სამეცნიერო და სასულიერო ელიტამ სილის განწვად აღიქვა, მრავალფეროვან საარქივო მასალაზე დაყრდნობით ურჩმა „ბარბაროსმა და ნაციონალისტიმა“, ეპისკოპოსმა მათ იმპერიულ თავმოყვარეობას ფაქტების მეშვეობით გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ღრმაშინაარსიანი კვლევის საფუძველზე დამაჯერებლად დაასკვნა,

რუსეთის ისტორიოგრაფია და სასულიერო მწერლობა ქართული წყაროებისგან რაოდენ დავალებულია. უფრო მეტიც, პლაგიატის არაერთი შემთხვევა დასაბუთებულადაა გამოვლენილი, რამაც რუსეთის გაყალბებული ისტორია ნათლად წარმოაჩინა, რომელიც დაპყრობილი ქვეყნის ისტორიიდან უბოდიშოდ ამოგლეჯილ-დამახინჯებულ-გადაკეთებული ამბების ხარჯზეა შეკონინებული. აქ კირიონი მოვლენების ფაბრიკაციის მედგარ მამხილებლად გვევლინება. თავისი მრწამსითა და შინაგანი, პიროვნული კონსტიტუციით მზადაა თუნდაც უთვალავ მეტოქეს დასაბუთებულად და მშვიდობიანად შეერკინოს, მხოლოდ აკრძალული ილეთების ნაცვლად თანაფარდობის დაცვის მომხრეა, რაც სიცრუეს სათავეშივე გამოორიცხავს. ბუნებრივია, რუსეთის იმპერიის მსახურთა მხრიდან მსგავსი პირობის დაცვა ცალსახად გამოირიცხა; ამიტომ მაღალ დონეზე შესრულებული მრავალფეროვანი ნაშრომისადმი გამოვლენილი თავდაპირველი ინტერესი, რაც რუს ისტორიოგრაფთა მიერ გადაუჭრელ-მოუგვარებელი საკითხების მართებულმა ანალიზმა გამოიწვია, სწრაფად ჩაქრა. აქვე აღსანიშნავია, კირიონის ნაშრომი საეკლესიო ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით პირველ, მანამდე სრულიად უცნობ სიახლეს რომ წარმოადგენდა, უმაღლეს პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა მიუღებლობამ ჩანაცვლა. მეტიც, ესოდენ საყურადღებო ისტორიულ-კულტურულ გამოკვლევას, რომელიც ამავედროულად რელიგიური წყაროებით უზვად იყო განმტკიცებულ-გამყარებული, რუსმა ინტელექტულებმა ტაბუ დაადეს. მიუღებელი მსოფლმხედველობრივი პოზიცია არც სადღესოდ, თუნდაც ზოგად ასპექტშია გადასინჯულ-გაუქმებული, ვინაიდან თანამედროვე რუსეთი ძველი ინერციის თანახმად ქრისტიანული ცენტრის პრეტენზიას ვერა და ვერ ელევა. მით უფრო, ამ საეტაპო თხზულების გამოქვეყნებისთანავე შოვინისტი „უფროსი ძმები“, „ველური კავკასიის“, მკვიდრს მსგავს გაბედულებას არ აპატიებდნენ, რაც ნაშრომის გამიზნულ უგუვლებელყოფაში გამოვლინდა.

რეპრესიების ხარისხი და სიხშირე მკაფიოდ მეტყველებს, კირიონი მრავალფეროვანი იმპერიის წინააღმდეგ რაოდენ გეგმაზომიერად, ყველა ფრონტზე დაუცხრომლად იბრძოდა. რომ უშელავათო ჭიდილი რუსეთის იმპერიის მარწმუნებმა აიძულა, რომელიც თავის შემადგენლობაში ძალით შეყვანილი ქვეყნების ისტორიასა და კულტურას ფეხქვეშ ცინიკურად თელავდა და მათ ეროვნულ თავმოყვარეობას გამუდმებით თრგუნავდა და ამცირებდა. კირიონ მეორის ამოცანა: მშვიდობიანი გზით დაეცვა მრავალჭირგამოვლილი სამშობლო და მამაპაპური სარწმუნოება, მასშტაბურად სწორედ ამ ნაშრომში გამოვლინდა, რომელიც იმჟამინდელი იმპერიის გამოწვევად იქცა. პირდაპირი და მართლისმთქმელი სასულიერო მოღვაწე საკუთარი თხზულების დანიშნულებაზე ახდილად მსჯელობს. ის კეთილსინდისიერად განმარტავს, რუსულმატიანეთა სიყალბის გამოაშკარავება და მათი დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრების“

რედაქციაზე რა გარემოებამ განაპირობა. „სურვილი რომ გვექონოდა, შეგვეძლო რუსული მათიანის ორჯერ მეტ ნაკლზე მიგვეთითებინა, ისიც ვიცით, რომ მრავალს განსაკუთრებულად არ ესიამოვნება ანაქრონიზმთა ასეთი გრძელი სია, მაგრამ გამოძინვის და, ჩემი სამამულო მათიანის დაცვის მიზნით, რომელსაც აბუჩად იგდებდნენ, იძულებული გავხდი, ხელი მომეკიდა „გარდასულ ამბის“, შესწავლისა და მისი ჭეშმარიტი ღირსების გარკვევისათვის. „ესოდენ ღია ტექსტი ცხადყოფს, კირიონის გაბედული განზრახვის ხორცშესხმა რამ გამოიწვია. ქართულ-რუსულ ურთიერთობათა თანასწორუფლებიანი ალიანსი ზუსტად იმგვარი ბლეფი გამოდგა, როგორც კომუნისტური უტოპიის ყალბი მითი, 70 წლის მანძილზე ჯიუტად რომ გვასალებდნენ. ფაქტია, რუსეთი ამ ორასწლიანი „მეგობრობის“, დროს საქართველოს კულტურასა და ისტორიას ზედაპირულადაც არ იცნობდა, რადგან ეს ხელს არ აძლევდა. კირიონის ნაშრომის პირველი თავი სწორედ ამ მრავლისმეტყველი, ისტორიული ფრაზით იწყება, რაც იმპერიის დამუნათებად გაისმის. „რა უცნაურიც უნდა იყოს, რუსები აწინდელ დროში თითქმის ნახევრადველურ ვოგულებსა და საამებს უკეთ იცნობენ, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებსა და მათ ისტორიას. „პირველივე წინადადება ღრმა კონტექსტს შეიცავს. შეუძლებელია ამის ნაკითხვისას ილიას ანალოგიური მოსაზრება არ გაგვახსენდეს. ერის მამა რუს ჩინოვნიკ ველიჩკოს (სხვათა შორის იგი სომხებისა და აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით ქართველებს ძალზე დადებითად ახასიათებს) სწორედ იმავეს საყვედურობს. გასაკვირია და ჩვენი სიძე ბატონი, თავად თვითმპყრობელური ჟინით დაავადებული ცნობილ რუსი პოეტი გრიბოედოვი თავის თანამემამულეებს იმავეს უმეორებს.. ეს „წვრილმანი“ ცალსახად მონმობს, საქართველოს საუკეთესო შვილებს ესოდენ ცინიკური დამოკიდებულება რამდენად აწუხებდათ, რის გამოსასწორებლადაც ძალღონეს არ იშურებდნენ. თუმცა ამოდ. რუსეთი, თვითმპყრობელობის ჟამს და შემდგომ, უკვე საბჭოთა ტოტალიტარულ იმპერიად გარდაქმნილი, საამისო პოლიტიკურ და კულტურულ ნებას არასდროს გამოხატავდა. უფრო მეტიც, ახლაც ანალოგიური შეუცნობლობის გადაულახავი ჯებირი აღმართულა ჩვენ შორის, რასაც რუსეთში წარმატებით მოღვაწე ქართველებისა და იქაური ემიგრანტების გულისამაჩუყებლად ყალბი დიპლომატიური აღსარებები ოდნავაც ვერ ალამაზებს და ჩქმალავს. ჩემმა თანამედროვეებმა მომიტეონ, თუ მათ შეკვეთილ და სათავისოდ მომგებიან შეხედულებებზე მეტად ერის მამების სისხლით გაპოხილი სიმართლის მჯერა, რომელთაც სამშობლოს სიყვარული პირად კეთილდღეობას ვერა და ვერ ანაცვალეს. ამ თვალსაზრისით კირიონ მეორის ფრაზა „ფულის გულისთვის მე ჩემს დღეში არ მიმსახურია“ თანამედროვე ფულის დიქტატურით მონამლულ სამყაროში უადგილო ანაქრონიზმად გამოიყურება. არადა, სწორედ უანგარო იდეალისტების თავდაუზოგავმა ბრძოლამ

მოგვიყვანა დღემდე და ავად თუ კარგად, მრავალჭირგამოვლილი საქართველოს ბედი ჩაგვაბარა. ჩვენი რაობის განმსაზღვრელი თვალსაზრისის სრულფასოვნად შეცნობის მიზნით ნაშრომის პირველი თავი მართლმადიდებელი ივერიის გაცნობასა და უძველეს ქართულ საეკლესიო სავანეთა დახასიათება-აღწერას ეძღვნება. ქართული ეროვნული კულტურის მასშტაბური ნაშრომის კვალდაკვალ საქართველო ბიზანტიის ღირსეულ მემკვიდრედაა დასახელებული, რასაც უთვალავი ფაქტი ცხადყოფს. მუსლიმთა ალყაში მოქცეული მცირერიცხოვანი ქვეყანა საუკუნეების მანძილზე უთანასწორო ომში საკუთარი სისხლის ფასად აღმოსავლეთის წმინდა ადგილებსა და ეკლესიებს მუდამ მედგრად იცავდა. სწორედ ამ მრავალსაუკუნოვანი ომების გამოისობით საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური ქვეყნის, გამორჩეულ როლს უცხოური წყაროებიც ერთხმად ადასტურებენ; ლეგენდად ქვეულ მებრძოლ ბერ იოანეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იმჟამინდელი მსოფლიო ჯვაროსნების ჩანაწერებზე დაყრდნობით დავით აღმაშენებელს როგორც უწოდებდნენ. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მსოფლიო ბატონობის ჟინით შეპყრობილი რუსები ისტორიული სინამდვილეს არასდროს აღიარებენ და მას სათავისო ინტერესთა მიხედვით უბოდიშოდ ცვლიან და ამახინჯებენ. რუსული მესიანიზმის იდეით გაჟღენთილი ქვეყნებს ცეცხლითა და მახვილით იპყრობენ და ამავდროულად ქრისტეს სარწმუნოებას იარაღად იყენებენ. ქართველთა ქრისტიანული მისიონერული ღვაწლის ამსახველი უმდიდრესი მასალა ამაზე ნათლად მეტყველებს, რაც შოვინიზმით დაავადებულ იმპერიას გულზე მურმანის ეკლად ესობა. ეს სავესებით ბუნებრივია, რადგან ბიზანტიის დაცემის შემდეგ ქრისტიანული მესიანიზმის პრეტენზიით შეპყრობილი რუსეთი ერთპიროვნული გაბატონებისას ივერიის ოდინდელი ღვაწლს გულმოდგინედ ჩქმალავდა და უგულვებელყოფდა. მისი უკიდევანო პატივმოყვარეობა ივერიის თუნდაც გარდასულ დიდებას მესიანიზმის პლანით ოდნავაც ვერ მოითმენდა. ეს წმინდა მტაცებლური დამოკიდებულება კირიონმა მეცნიერულად გამოიკვლია და საზოგადოების წინაშე საქვეყნოდ საბუთების მეშვეობით გამოფინა. რუსული საისტორიო წყაროების შესწავლის კვალდაკვალ უცხოური მატყინების სკრუპულოზურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ბიზანტიური ანალები რუსულ მესიანიზმზე კრინტს არ ძრავენ, ვინაიდან ის საერთოდ არ არსებობდა და მხოლოდ და მხოლოდ რუს გადამწერთა და კომპილატორთა ურცხვი და ურთიერთგამომრიცხავი სიცრუის ნაყოფი იყო. წყაროების შეჯერებისას დადგინდა, მეთვრამეტე საუკუნეში უეცრად აღზევებული ქვეყნის ქრისტიანული აღმსარებლობა მსოფლიოსთვის მანამდე სავესებით უცნობია. კირიონი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით გვიჩვენებს, რომ მესამე რომად გამოცხადებული მიმართვა-მოწოდება სპეკულატიური სიცრუეა და იმჟამად რუსეთს ამ საპატიო მისიის ტვირთის უნარი არ გააჩნდა,

ვინაიდან ნახევრადველურ ვითარებაში იმყოფებოდა. ცხადია, ეს კარდინალური საკითხი, კავკასიაში რუსეთის გაბატონებას მიზნით საქართველოს დასუსტებასა და ჩანაცვლებას რომ ისწრაფვოდა, რუსულ-ქართული მესიანიზმის შეუთავსებლობის სახითაა ნარმოჩენილი. აქ სარწმუნოებრივი დომინანტობის კვალდაკვალ პოლიტიკური ნების შეუვალობა იკითხება, რაც ამ ნაშრომის მიუღებლობის უპირველეს მიზეზად იქცა. კირიონმა გაბედა და იმპერიას ფაქტებით მიახალა, რომ ქრისტიანული სამყაროს დამცველი აღმოსავლეთში საუკუნეების მანძილზე მხოლოდდამხოლოდ საქართველო იყო და ბიზანტიის სულიერ მემკვიდრეობას ის ყალბი მითებით კი არა, არამედ თავდაუზოგავი ძალისხმევითა და აუარებელი მსხვერპლის ფასად ითავსებდა და საკუთარი სისხლით ამტკიცებდა. ეს პრინციპული თემა საქართველოს უძველეს გავლენას გამოხატავდა, რისი აღიარებაც ერთმორწმუნე რუსებს მუდამ ესიკვდილებოდათ. რუსეთ-საქართველოს ისტორიისა და კულტურის ზედმიწევნით მცოდნე კირიონმა ისტორიული უკუღმართობის შედეგად დასუსტებული საქართველოს უმძიმესი ხვედრი რელიეფურად გახსნა და მისი დაქვეითების მიზეზები ობიექტურად, ფაქტებზე დაყრდნობით ასახა, რაც კეთისინდისიერ მკვლევარებს გაუყალბებელ წყაროს აწვდიდა, ხოლო დახელოვნებულ ყალბაბანდებს გზას საიმედოდ უკეტავდა. „რუსეთის პოლიტიკური წარმატებები მართლმადიდებლური აღმოსავლეთის პოლიტიკურ უბედურებათა შედეგი იყო. იმ დროს, როცა XVI-XVII საუკუნეები რუსეთის თანდათანობით განვითარებასა და განდიდებას ხელს უწყობდა, იმავე საუკუნეებმა საბოლოოდ დაასუსტეს და დაამსხვრიეს ძლიერება მართლმადიდებლური საქართველოსი, რომელიც მუსლიმანური ოკეანის შუაგულში მარტოდმარტო, თანადგომის გარეშე აღმოჩნდა. ხშირად იგი მუსულმანებს ერთდროულად სამ ფრონტზე ებრძოდა და ზეადამიანური ძალისხმევით წმიდა ჯვრის დროშასა და სამშობლოს იცავდა. ეს უიღბლო ეპოქა რომ არა, საქართველო დღესაც უეჭველად ტრადიციული მიზნებისა და ბიზანტიის ანდერძის აღმსრულებელი იქნებოდა და აღმოსავლეთში ქრისტიანობის დამცველისა და ქომაგის დიად როლს ღირსეულად გააგრძელებდა. რუსებს ქრისტიანულ აღმოსავლეთში უკანასკნელ დრომდე არც ერთი მონასტერი არ გააჩნდათ და იქ, XVIII საუკუნემდე რუსეთის როლისა და საგანმანათლებლო მისიის შესახებ საუბარი უცნაურიც კი იქნებოდა. „უმკაცრესი დევნის პირობებში ამგვარი სიმართლე განცვიფრებას ბადებს. ეს უზარმაზარი სულიერებისა და თავგანწირვის ისტორიული აქტია, რომელიც ძალაუნებურად ბიზანტიის საეკლესიო იერარქებთან მოკამათე უბადლო მთარგმნელისა და საეკლესიო მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის გაბედულ გამარჯვებას გვახსენებს, როდესაც ღირსმა სასულიერო პირმა დაუზოგავი პოლემიკისას თავგასულ ბიზანტიელებს ქართველთა სარწმუნოებრივი სიძველე დამაჯერებლად დაუმტკიცა და რკინის არგუ-

მენტაციის საფუძველზე თვით ყველაზე შეურიგებელ მეტოქეებს ქართულ ეკლესიის სიძველის წინაშე ქედი მოადრეკინა. განსწავლული ბიზანტიელები „ბარბაროსის“, მრავალმხრივმა ინტელექტმა და ბიბლიის უბადლო ცოდნამ იმდენად განაიარაღა, საკუთარი ეკლესიის სინმინდის დამცველი თანასწორ ძალად ცნეს და ანგარიში გაუნიეს. საუკუნეების შემდგომ მონღოლთა სისხლით გამოკვებილი ველური რუსეთი ანალოგიური შეგნების ნაცვლად სასტიკ რეპრესიას მიმართავს, რაც რუსული ბუნების გამოძახილია. რუსი ინტელიგენციის ნიალიდან მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოებრივ ფილოსოფოსმა მოინანია და საქვეყნოდ აღიარა რუსული იპერიის მიერ ჩაგრული ივერიის წინაშე ჩადენილი უამრავი ცოდვა. სამისოდ ბერდიაევისა და როზანოვის დასახელებაც იკმარებს. რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმინდანი სერაფიმ საროველი, რომელსაც ღვთისმშობელი შვიდგზის გამოეცხადა, ნათელხილვების შემდგომ საკუთარ სამშობლოს მკაცრად აფრთხილებდა, რომ მას ღვთისმშობლის ქვეყნის ჩაგვრისთვის სასტიკად მოეკითხება, რომ ივერია ხელშეუხებელია და ვინც მასზე ძალმომრეობას განაგრძობს, დაღუპვას ვერ ასცდება. აქედან გამომდინარე, ამ მრისხანე, ბარბაროსული ძალის წინაშე მარტოდმბრძოლი ქართველი ეპისკოპოსის (იმჟამად კირიონი პატრიარქის ნოდებას არ ფლობდა) ქმედება უმაგალითო გმირობად ხმიანდება. ისტორიული დოკუმენტის მეშვეობით მან მსოფლიოს თვალში რუსეთის იმპერიას ყალბი ნილაბი ჩამოგლიჯა და მისი მტაცებლური და აგრესიული სახე ყველას თვალნათლივ დაანახა. უფრო ადრე ამ დონის უპრეცედენტო შესტს უზარმაზარი საეკლესიო მოღვაწე, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე ახორციელებს, რომელიც საქართველოში სტუმრად ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს ქუთაისის ამბიონიდან ხმამაღლა შესძახებს: „შესდექ, იმპერატორო!“ ეს გუბერნიად გადაკეთებული განაპირა მხარის კი არა, უძველესი, ერთდროს უძლიერესი და გავლენიანი ქრისტიანული საქართველოს ნიალიდან ამომსკდარი გმინვაა, პროტესტი-გაფრთხილებაა, რაც დაჩაგრული ერის საუკეთესო შვილის პირით ვაჟკაცურად გაცხადდა. შემთხვევითი როდია, რომ კირიონმა, ამბროსი ხელაიამ და სხვა ღირსეულმა სასულიერო პირებმა ლეგენდარული მასწავლებლის „გაბრიელის ესტაფეტა ერთგულად გადაიბარეს და მის ანდერძს მედგრად იცავდნენ. და აი, ამ უკიდურესი სისასტიკის ფამს, როდესაც რუსეთი კავკასიაში გაბატონდა, ქართველებმა ხმა აღიმალეს და უპირობო მორჩილების ნაცვლად ოდინდელი „პრეტენზიები“, წამოაყენეს. რუსეთის ხელისუფალთათვის ეს გაუგონარი „მკრეხელობა“ უნაპირო შფოთის მაუწყებელ სიგნალად იქცა, რომელიც სათავეშივე თუ არ აღიკვეთებოდა, კავკასიაში ფეხს ვერასდროს მოიკიდებდნენ. აფხაზეთი, როგორც ამ უშეღავათო ომის შუაგული-როგორც ალექსანდრე ნაშუქარი, სასურველი ზღვითა და სხვა სტრატეგიული უპირატესობით დაუცხრომელი ბრძოლის პოლიგონად ამიტომ იქცა. ეროვნულად

მოაზროვნე სასულიერო პირებს რუსული პოლიტიკის დამანგრეველი არსი კარგად ესმოდათ და ძირძველი კუთხის დასაცავად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. რუსებმა მიზნის მისაღწევად აფხაზეთის გამაჰმადიანებას ხელი განგებ შეუწყეს, რათა მოგვიანებით ეს ბერკეტი სათავისოდ მოებრუნებინათ. თითქოსდა პარადოქსია, რომ ქრისტიანობის ცენტრად აღიარებული იმპერია, ყველას ქრისტიანულ დროშის ქვეშ დარაზმვისკენ რომ მოუწოდებდა, საქმით საპირისპიროს სჩადიოდა. იმპერიული ბატონობის ფსონი იმდენად მაცდური გამოდგა, რელიგია მხოლოდ საჭირო იარაღად იქცა და მისი მანიპულირებით ერები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდეს. ცხადია, ჩვენი ღირსი მღვდელთავრები ამ უკიდურესად სახიფათო თამაშის მოსალოდნელ შედეგს ნათლად ჭვრეტდნენ და ცდილობდნენ ესოდენ მზაკვრულ ჩანაფიქრს წინ აღდგომოდნენ. რუსეთმა თავისი ჯაშუში, კაცთმოძულე ანაფორიანების მსგავსად ქართველი სასულიერო პირები აფხაზეთს ვერ აუშხედრა და ტაქტიკა შეცვალა. გაბრიელ ქიქოძის უზარმაზარი ღვანლი აფხაზეთის ხელახალი გაქრისტიანებისას ძალუმად გაცხადდა. ამბროსი ხელაია თავის უალრესად მნიშვნელოვან ნაშრომში: „ხმა სოხუმიდან“, ამ საკითხს საგანგებოდ გამოყოფს და მწვავე აფხაზური პერიპეტეების აღწერისას გაბრიელ ეპისკოპოსის სასწაულებრივ მაღლსა და უზარმაზარ ამაგს აფხაზთა გაქრისტიანების საქმეში სიყვარულითა და სასოებით გადმოსცემს. ის, რაც მთელმა იმპერიამ ვერ შეძლო, ამ კაცთმოყვარე ქართველმა ეპისკოპოსმა უმოკლეს ვადაში განახორციელა და თავდადებული მისიონერული მოღვაწეობით გამაჰმადიანებული აფხაზები ქრისტიანულ ნიალს მშვიდობიანად დაუბრუნა. ამგვარი რამ მხოლოდ ღვთის ხელდასმულს ხელენიფება, რომელმაც იმპერიის მიერ გაჩაღებულ ანტაგონიზმს ჭეშმარიტად ქრისტიანული ღვთისმოსახურება დაუხვედრა და რუსების სისასტიკით გულაცრუებულ აფხაზებს მსხნელად მოეველინა. რუსი სამღვდელოების ბარბაროსული სისასტიკისა და შეუწყნარებლობის კვალდაკვალ ქართველი ეპისკოპოსის მიერ გამოვლენილი კაცთმოყვარეობა მართლაც რომ სამაგალითოა და იმპერიის მესვეურთათვის არასასურველ კონტრასტს ქმნის. ამ ურთულესი პირობების გათვალისწინებით რუსი-ფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა უშეღავათოდ მიმდინარეობდა, რაც ქართველ სასულიერო პირთა მაღალზნეობრივ სახეს თვალმისაცემად გამოკვეთს. ამავე ნაშრომში, რომელიც რუსი შავრაზმელის, ვოსტორგოვის ცილისწამების საპირწონედ შეიქმნა, ამბროსი იმპერიის დამქაშების უწყვეტი თავდასხმებისგან თავის ღირსეულ თანამოსაგრესს, კირიონს იცავს, გავლენიანი პროვოკატორები სამართლიან კირიონს იმაში ადანაშაულებენ, რასაც თავად სჩადიან. აფხაზეთისთვის ბრძოლა აქ მწვავედ იკვეთება და ცხადყოფს, ვერაგი იმპერია ქართველთა და აფხაზთა შორის უთანხმოებას ვერ კიდევ როდიდან ამნიფებდა. პარადოქსია, ესოდენ

ცხელ წერტილში გადასროლილი ქართველი მღვდლებისგან იმპერია მონურ მორჩილებას რომ მოითხოვდა! ამბროსი ხელაიასთვის აფხაზეთი მშობლიური გარემოა, სადაც მამამისი მღვდლად მსახურობდა და თვითონ ეს ძირძველი ქართული კუთხე სიყრმიდან შეიყვარა და შეისისხლხორცა. შესაბამისად, რუსი ანაფორიანი აგენტებისა და რუსიფიკაციის სასტიკ რეპრესიებს თავიდანვე მძაფრად შეეჯახა. კირიონის არჩევა სოხუმის მეუფედ იმედს სახავდა, რომ გონივრული დიპლომატიის მეშვეობით კირიონი კაცთმოძულე რუსი სამღვდლოების ძალმომრეობის საპირისპიროდ აფხაზებსა და ქართველებს გაბრიელ ეპისკოპოსისგან შეთვისებული ქრისტიანული მადლის წყალობით მშვიდობიანად მოარიგებდა, რაც ცხადია, იმპერიას ხელს არ აძლევდა; „ხმა სოხუმიდან“, დოკუმენტურად გვანვდის, რუსები აფხაზეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებას გამიზნულად როგორ ჩაგრავენ და მშობლიურ ენაზე ნიურვის მოსმენის უფლებას კატეგორიულად უკრძალავდნენ. სოხუმში მცხოვრები ესტონელების თხოვნის უგულვებელყოფა სწორედ ამის მაგალითია. ამ ნიადაგზე წარმოქმნილ შეტაკებებს ბოლო არ უჩანდა, რისი გამოისობითაც შავრაზმელი მღვდლები „ურჯულობით“, დასახლებული კუთხიდან გარბოდნენ და აღმავლობებელ, ყალბ საჩივრებს ზემდგომ უწყებაში უწყვეტად გზავნიდნენ. ეროვნებათშორისი შუღლის გამღვივებელთა შორის განსაკუთრებით ეპისკოპოსი არსენი გამოირჩეოდა, რომლის ძალმომრეობა იმდენად აუტანელი იყო, რომ მისი ხუმტურებით განამებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ მიცვალებულის ნემტის დამცირებისთვის „ჭუმანისტ ქრისტეს მსახურს“ შეურაცხყოფა მიაყენა. ამის საილუსტრაციოდ ქართველი დეკანოზის, მაჭავარიანის გარდაცვალების ფაქტი იქცა. ადგილობრივთა ახალგარდაცვლილი ქომავი ქართველი მღვდელი არსენმა ლაქიად და მოჯამაგირედ მოიხსენია (ის ყველა ქართველ სასულიერო პირს, ვისაც საკუთარ ქვეყანასა და ხალხზე გული შესტკიოდა, ამგვარი ეპითეტებით ამკობდა!), ესეც არ იკმარა; პოლიციის, ქალაქის თვითმმართველობისა და საზოგადოების შუამდგომლობის მიუხედავად ტაძარში მისი ცხედრის დასვენებაზე უარი განაცხადა და საალავე წესის შესრულებაც აკრძალა; ამ გულმხეცობამ მოთმინებიდან გამოყვანილი მოსახლეობა აიძულა კაცთმოძულე არსენისთვის საკადრისი პასუხი გაეცა. მსგავსი კონფლიქტები იმდენად მრავლად იყო, რუსეთის იმპერია დარწმუნდა, სანამ აფხაზეთიდან ქართველებს არ აყრიდა, რადგან ოდითგანვე ისინი მკვიდრ მოსახლეობას შეადგენდნენ, ამ კუთხეს ვერასდროს დაიქვემდებარებდა. აფხაზეთში ქართველთა წმენდას სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, დროთა განმავლობაში რის მომსწრეებადაც ვიქცით! სამწუხაროდ, უახლესი ისტორიის მწარე გამოცდილებამ დაამტკიცა საუკუნეების განმავლობაში ჩასახულმა ბოროტმა გეგმამ როგორ იბარტყა და ჩვენი ძირძველი კუთხე ხელიდან ვერაგულად გამოგვგლიჯა! ამიტომ მეთვრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ქართ-

ველი სასულიერო პირების თავდაუზოგავი ბრძოლის ერთ-ერთი უძძიმესი პოლიგონი აფხაზეთზე გადიოდა, სადაც პრინციპულობით გამორჩეული კირიონის ჩასვლამ შოვინისტები იმდენად აამღვრია და გააალმასა, მას ვოსტროგოვის პასკვილების სერია თავს დაატყვეს და ერთნლიანი მსახურების შემდეგ აფხაზეთი დაატოვებინეს. ეს ფაქტი დამატებით მოწმობს, რომ რუსები აფხაზებსა და ქართველებს მშვიდობიანი თანაცხოვრების უფლებას აღარასდროს მისცემდნენ, რაც მათი საუკუნოვანი ტრადიციების აკრძალვითა და გაუქმებით გამოიხატებოდა. აფხაზების მასობრივი გამაჰმადიანება კი სარწმუნოებრივ განხეთქილებას იწვევდა, რასაც ზედ ეთნიკური მომენტი ერთვოდა, რუსები განგებ რომ აღვივებდნენ და ვითარებას უკიდურესად ძაბავდნენ. იმპერიული პოლიტიკის უღმობელი მანქანა გააფთრებით ამუშავდა, რომლის უძძიმესმა შედეგმა ლამის საუკუნის შემდეგ გვინია და აფხაზეთი დამყრობელი ქვეყნის უვადო კოზირად აქცია! ესოდენ უღმობელი შერკინების კვალდაკვალ ბუნებრივია, კირიონისა და მისი თანამოაზრეების მუხლჩაუხრელი ბრძოლა ეროვნული ფასეულობებისა და მამაპაპური სარწმუნოების დასაცავად მიუტყვებელ დანაშაულად აღიქმებოდა. ჩატყვილ ხიდს გამთელება არ ენერა, ვინაიდან კავკასიაში გაპარპაშებული რუსები დამორჩილებული ერების კულტურის ხელშესანყობად კი არა, მათ გადასაჯვებლად ირჯებოდნენ და აქ ჩინოვნიკებზე მეტ გულმოდგინებასა და სისასტიკეს რუსი სამღვდლოება იჩენდა! იმდენად, ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, აფხაზეთის შესანარჩუნებლად ჩვენი ღირსეული სასულიერო მოღვაწეები რაოდენ შეუპოვრად იბრძოდნენ! ისინი მხოლოდ სარწმუნოებრივი საქმეებით რომ შემოფარგლულიყვნენ, ვერც ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებას მიაღწევდნენ, ვინაიდან იმპერიები მშვიდობიანად არასდროს არაფერს თმობენ! ომი გრძელდება და ჩვენი კუთხის დასაბრუნებლად წარსულის ცოდნა, მართებული გააზრება და გათვალისწინება აუცილებელი პირობაა.

კირიონის ნაშრომში ქრისტიანული აღმოსავლეთის წმინდა ადგილების დახასიათებისას გონებაგამჭრიახი პატრიარქი იმ საფრთხეზეც მიუთითებს, რაც თანამედროვე მსოფლიოში სადღესოდ საკმაოდ აქტუალურია. სახელდობრ, კათოლიკებისა და პროტესტანტების მხრიდან მართლმადიდებლების შევიწროვების საკითხზე ამახვილებს ყურადღებას; მდიდრული ორგანიზაციებისგან ნაქეზებული პროტესტანტები წმინდა მინაზე დასამკვიდრებლად უზარმაზარ ფინანსებს არ იმურებდნენ და ამ მიზნით უძველესი დროიდან აქ ფესვგადგმულ ბერძნებსა და ქართველებს აყრას აიძულებდნენ. ამ ექსპანსიის მიღმა პოლიტიკური იდეოლოგიის საფრთხე ხრჩოლავდა, მართლმადიდებლური სინმინდეების ხელში ჩაგდების საშიშროებას რომ განაპირობებდა. „ამჟამად მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში სრულიად სხვაგვარი სურათია გამოკვეთილი. თუ ადრე წმ. პალესტინის ადგილები უპირატესად ქართველებსა და ბერძნებს ეკუთვნოდათ, ამჯერად წმ. მინაზე

ყოველგან კათოლიკეთა და პროტესტანტთა კეთილმონყობილი მონასტრები, ყარბთა თავშესაფრები, მისიონერთა ბანაკები და სასწავლო-აღმზრდელობითი სასწავლებლებია განფენილი, რომელნიც წლიდან წლამდე უძრავი ქონებისა და თავიანთი აღმსარებლობის ადეპტთა უზარმაზარი მასის განმტკიცებისთვის იბრძვიან. კათოლიკები და პროტესტანტები წმიდა მინაზე განუწყვეტლად ჩადიან, ხოლო მართლმადიდებელთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდება. არამართლმადიდებლური პროპაგანდა თითქმის მთლიანად სკოლებისა და ფართო ქველმოქმედების გზით ხორციელდება. განსაკუთრებით მდიდრულად ინგლისური და ამერიკული საზოგადოებებია მონყობილი.„- ეს ღრმააზროვანი შორსმჭვრეტელური ანალიზი ცხადყოფს, კირიონი რამდენად ზუსტად და მართებულად აფასებს კარსმომდგარ საფრთხეს და ქრისტიანული მესიანიზმის იდეით შეპყრობილ რუსეთს ღიად მიუთითებს არამართლმადიდებელთა ექსპანსიაზე სათანადო რეაგირება მოახდინოს. ერთმორწმუნე ერების ჩაგვრის ნაცვლად გაჭირვებაში ჩავარდნილ ერთმორწმუნეებს უქომაგოს და თავისი სიძლიერე საერთაშორისო ასპარეზზე, სწორედ კათოლიკებთან და პროტესტანტებთან საქმის მოგვარებით გამოსცადოს. იგივე მოიმოქმედოს, რასაც გარდასულ დროს ანალოგიურ ვითარებაში საქართველო აკეთებდა. ესეც მიუღებელი კაზუსი, რომლის ფორმულირება იმპერიის არც თუ სახარბიელო მდგომარეობას ფაქტებით ააშკარავებდა. ამჭრილში მზარდი სატკივარის გაშუქება კირიონის მასშტაბურ მსოფლმხედველობას მკაფიოდ ავლენს. მას არც ერთი კარდინალური საკითხი უყურადღებოდ არ რჩება და მათი გადაჭრის გზებს საქმის ცოდნითა და გამჭრიახობით ასაბუთებს. ცალკე საკითხია, იმპერიას რამდენად შესწევდა უნარი თავისი ძალა ყველგან განევრცო და განემტკიცებინა. წმინდა მინაზე მისი „მსოფლიო ავტორიტეტი „მსგავს დილემას რომ ვერასგზით დასძლევდა, ეს თვალმისაცემი მოცემულობა იყო, სწორედაც ამიტომ რუსეთის ყბადაღებული მესიანიზმი კრიტიკას ვერ უძლებდა! რუსეთის აკადემიებში მოკალათებულ კონიუნქტურულ სწავლულთა ყალბი მტკიცებები სამისოდ ნამდვილად არ კმაროდა. კირიონის პოლემიკა რუს პროფესორ ბოლოტოვთან სწორედ ამ გადაკეთებულ-ტენდენციური ჭორების წინააღმდეგაა მიმართული და ოდენ რელიგიურ-ისტორიულ სფეროს აშკარად სცილდება. ბოლოტოვი, რომელიც იმპერიის დაკვეთით „ქართლის ცხოვრების“ სანდოობას ფაქტების ფაბრიკაციით ეჭვქვეშ აყენებდა, თავის ცოდნას იმპერიის მსახურებას ახმარდა და კეხის შემობრუნებით ივერიის კულტურასა და ისტორიას თვალმისაცემი მიკერძოებით განიხილავდა, რაც რუსული ინტელექტუალური სივრცის დოგმად იქცა; ამ მტრული კომპლექსის დაძლევა არა და არ ხერხდება, შოვინისტური მსოფლმხედველობრივი პრეტენზია და ფუჭი, სრულიად უსაფუძვლო კულტურული უპირატესობის სიყალბე იმდენადაა ფესვგადგმული. კირიონი ბოლოტოვის პარალელურად

კონიუნქტურულობაში ცნობილ არმენოლოგს, ნიკო მარსაც ამხელს, რომლის წინააღმდეგობრივი და უსამართლო დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი ჯერ კიდევ მისმა თანამედროვე სახელოვანმა ქართველმა და ევროპელმა ინტელექტუალებმა დასაბუთებულად გააკრიტიკეს. კირიონი ერთ-ერთი პირველი სწავლული და მამულიშვილია, ვინც მარის მცდარ თეორიებს მეცნიერულად აბათილებს. თავის ნაშრომში ეს თემა ყბადაღებული სომხური საკითხითაა შეტანილი. ღრმად განსწავლული ქართველი პატრიარქი მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით სომხების ტრადიციული ყალბბანდობის შესახებ საგულისხმო ექსკურსს გვთავაზობს; ამის თაობაზე უწინარესად დიდი ქართველი მთარგმნელისა და საეკლესიო მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის დაკვირვებას იშველიებს, რამაც სამწუხაროდ საუკუნეებს გაუძლო და სომეხთა მტაცებლური ბუნება და სხვა ერების ნაღვანის მითვისების დაუოკებელი და არაჯანსაღი მიდრეკილება საქვეყნოდ გამოფინა. „მართლაც რალაც ღვარძლი და გაუკულმართებული და მზაკვრული ბოროტი თესლი იყო სომეხთა მიერ ჩვენს მინაზე დათესილი და ჩვენ ამისაგან ძალზე ვიტანჯებოდით, რადგან ჩვენი ხალხი იყო გულწრფელი დ გულუბრყვილო, ხოლო ისინი ვითომდა წესრიგის საბაბით ჩვენს ცდუნებას ცდილობდნენ...„ უაღრესად ღვთისმოშიში მოღვაწის მწვავე დასკვნა სომეხთა მიერ შერყვნილ ქართული წიგნების პროტესტითაა განპირობებული. მთაწმინდელის უმაღლესი ავტორიტეტი იმაში გამოვლინდა, რომ ბიზანტიელებმა მის ობიექტურ თვალსაზრისს ანგარიში გაუწიეს, ვინაიდან საუკუნეთა მანძილზე გამოვლენილი სომეხთა მწვალებლური გამოხდომები ამის მყარ საფუძველს იძლეოდა. ქართული ანბანის თემა, ცხადია, ძალზე მწვავედაა წარმოდგენილი. მესროფ მაშტოცის ყბადაღებული როლი ისეა გაცამტვერებული, უნებლიეთ გეცინება ვინაიდან მართლაც შეუძლებელია ქართული ენის არმცოდნე მაშტოცს მესხეთე საუკუნეში ეცხოვრა, ხოლო მის ღვიძლ ძმიშვილს მეცხრე საუკუნეში მათუსალას დღევრძელობა რგებოდა წილად! ამ ყოვლად აბსურდული მონაჭორის გაბათილების კვალდაკვალ კირიონი ავტორიტეტულ უცხოელ ენათმეცნიერებს იმონმებს, რომლებიც ღრმა კვლევის საფუძველზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ სომეხებმა ქართველებისგან მრავალი სიტყვა ისესხეს (ცხადია, მოიპარეს!), რასაც მათივე ლექსიკონი ღალადებს! აქ უკვე გამოღმა შედავების უტიფარი სტრატეგია დომინირებს, რითაც სომხებს მსოფლიოში პირველობას ვერავინ შეეცილება! აქ ჩანს მეცნიერული პოლემიკისას კირიონი რამდენად პრინციპულია და სამარცხვინოდ გაყალბებულ ფაქტებს ბღღვირს რკინისებური ლოგიკით როგორ ადენს! წიგნის ეს მონაკვეთი განსაკუთრებულად დინამიკურია და კირიონის უნივერსალურ ცოდნაზე მკაფიოდ მეტყველებს. განსაცვიფრებელია მისი მსჯელობის არეალი, ძველი წყაროების კვალდაკვალ უხლესი მეცნიერული მიღწევების ღრმა და მიუკერძოებელ ანალიზს რომ ცხადყოფს.



მისი კამათი ნიკო მართან, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, ამის საუკეთესო ილუსტრაციაა. იმპერიის მსახურად გარდაქმნილ მარის მოუთმენელი და ყოვლად არამეცნიერული ტენდენციურობა, ყოველივე სომხური კულტურისთვის სპეციალურად მიენერა, რაც რუსეთის უშუალო დავალებით ხორციელდებოდა (ისტორიულად ქართველებისგან არაერთგზის დავალებული სომხები „მადლიერების„ ნიშნად თავიდანვე რუსებს მიეჭირავნენ და ძირძველ ქართულ მინა-წყალზე გაპარპაშების უფლება და სხვა მატერიალური სარგებელი სწორედაც ქართველთა განუხრელი ჩაგვრის გამო დაიმსახურეს!) არც სახელმძღვანელო ვეროპელ მეცნიერებს გამოპარვით, რომელთა კვლევამ სომხური ყალბაბანდობის არსი საერთაშორისო არენაზე გამოიტანა და მარის წინასწარგამიზნული არაკეთილსინდისიერება ფაქტებით ამხილა. საბედნიეროდ, კირიონი ამ საერთაშორისო სკანდალის არსში სათანადოდაა ჩახედული, რაც მის დასკვნას მრავალპლანიან და უნივერსალურ მნიშვნელობას სძენს. მარი არაერთგზის იმგვარ სიყალბეშია „გამოჭერილი„, მეცნიერული დებულებების სიუხვის პარალელურად პატრიარქის მძიმეწონიანი მსჯელობის ფონზე ირონიულ ჩანართები კირიონის მხვილგონიერებას ცალკე ხაზს უსვამს. სხვაგვარად ამ სტრიქონების გაგება შეუძლებელია: „რა დემართა პროფესორ მარს? ივერიას (ქართლს) „ან ესპანეთად გადაქცევს, ხან მოღვაწე ბერ ევასის ადგილ ევზად, ხან ასომხებს წმინდა წყლის ქართულ პროვინციებს-კლარჯეთსა და ჰერეთს, რომლებიც ქართულად მიაჩნია სომეხ ისტორიკოს მოვსეს ხორენაცს (დააკვირდით კირიონი თვით სომეხი ისტორიკოსების მოსაზრებებს მსჯელობისას რაოდენ ოსტატურად რთავს!) ხან იერუსალიმის საბას ძეგლისწერას თვენად (გულანად) გადაქცევს, ხან მამას შვილად, ხან გრიგოლ ბაკურიანს, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ ქართველია, სომხურ წარმომავლობას მიანერს და ა. შ.“

ჩემი მხრიდან ამ რიტორიკულ კითხვას, დამოკლეს მახვილივით რომ აღმართულა და სიყალბის გასაბათილებლად დაუყოვნებლივ ობიექტურ პასუხს ითხოვს, თანამედროვე ქართველ ისტორიკოსებს მოკრძალებით შევუბრუნებ: პოსტსაბჭოთა ხანაში, როდესაც ადრინდელი მცდარი კლიშეები თითქოსდა დაძლეულია, კირიონის ესოდენ უნივერსალურ, ისტორიულ-რელიგიური შინაარსის ნაშრომს რატომ არ სწავლობენ და შესაბამისად არ აფასებენ? (ამას თავის ბოლოსიტყვაობაში მეცნიერი მიხეილ ქავთარია მიუთითებს, რომელმაც ზემოთხსენებულ პუბლიკაციას საგულისხმო სტატია დაუთმო) „ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში“ ქართულად ორჯერ ითარგმნა. პირველად ეს საეტაპო წიგნი 2005 წელს ამგვარი გამოცემლის, მწერლისა და მთარგმნელის აკაკი ბრეგაძის თაოსნობით მწერალმა ზურაბ თორიამ ოსტატურად თარგმნა ისევე, როგორც ამბროსი ხელაიას ფრად საგულისხმო, ორიგინალური ნაშრომი: „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთა საქა-

რთველოში“. თავის დროზე რუსეთსა და ევროპაში განმაურებულ ისტორიული მნიშვნელობის მქონე წიგნებს, ფასდაუდებელ დოკუმენტურ მასალას რომ შეიცავს, ამდენი წელია რატომ არ აძლევენ მსჯელობას და სამეცნიერო მიმოქცევაში სრულფასოვნად არ რთავენ? აქ ნამოჭრილი ფეთქებადი საკითხები სადღეისოდაც იმდენად აქტუალურია, როგორც ჩანს, სამეცნიერო დანესებულებებში მომუშავე ისტორიკოსებს, პოლიტოლოგებსა და თეოლოგებს ამ ნაშრომების წინ წამოწევა ხელს ოდნავაც არ აძლევთ. ამით კარიერულ თვალსაზრისით გრანტებს ვერ მოიპოვებენ, პირიქით, ოკუპანტად გამოცხადებული რუსეთის რისხვის გამოწვევის პარალელურად სხვადასხვა სახის კეთილდღეობას დარტყმის ქვეშ ხომ ვერ დააყენებენ! ან რა ნონსენსია, რომ ნიკო მარი დაუძლეველ კოლოსად ჰყავთ აღმართული და მის სპეკულატიურ ტენდენციურობას ვერასგზით ელევან. სწორედ ამიტომ რუსეთის იმპერიის მიერ დანესებულ ტაბუს ერთგულად იცავენ, რაც პარადოქსულ მოცემულობაზე მეტყველებს. კომპილაციური ნაშრომების შეკონინებას ესოდენ სასარგებლო წიგნების მიმოხილვა და ანალიზი რომ ჯობია, მშვენივრად მოეხსენებათ, მხოლოდ აქ სათავისო კეთილდღეობაზე მეტად საერო საქმის ბრძოლით გატანის პერსპექტივა იკვეთება, რაც მათ ინტერესს ოდნავაც არ თანხვდება. კარიერისტიკისთვის გაკვალულ გზაზე სიარული და მზამზარეული კომფორტია გადამწყვეტი და არა ეროვნული იდეალებისთვის ბრძოლა, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა სიცოცხლე უყოყმანოდ რომ შეაღიეს! ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში მოკალათებულ ისტორიკოსებს „რატომღაც“ ავინყდებათ„, რომ მათ მიერ უებრო მეტრად აღიარებულმა მარმა თავის დროზე საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის წინააღმდეგ მხურვალედ გაილაშქრა და მხოლოდ წლების შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლის თაოსნობით განხორციელებულმა უზარმაზარმა საქმემ სასურველი ნაყოფი გამოიღო, სხვების ღვაწლის ხარჯზე ლექციების ნაკითხვა მოისურვა, რაზეც საბედნიეროდ უარი უთხრეს, ვინაიდან მისი ანტიქართული გამოხედობები ერის ჭირისუფალ ინტელექტუალებს კარგად ახსოვდათ. ვაგლახ, რომ თანამედროვეებისთვის ამგვარი უანგარო თავგანწირვა ჩინური ანბანივით უცხოა, თორემ როგორმე ამ ნაშრომების სათანადო პოპულარიზაციაზე საგანგებოდ იზრუნებდნენ.

კირიონისა და ღირსეული მამულიშვილების საწიგვარი ნატვრა 1917 წლის 12 მარტს ახდა: ქართულმა ეკლესიამ საუკუნოვანი ბრძოლის წყალობით ავტოკეფალია მოიპოვა. სამწუხაროდ, ამ ზეიმს ერთი წლის შემდეგ კირიონის მკვლელობა მოჰყვა, რამაც მთელი ერი შეძრა. უზარმაზარი საქმის გასრულებას წინამძღოლი შეენირა. ამ დროს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, პატრიარქის კვერთხი კი ღირსეულმა არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ გადაიბარა, რომელსაც ბოლშევიკებთან დაპირისპირებისას ჯოჯოხეთის გავლა ერგო წილად. ანაზღეული

კითხვა ძალაუნებურად ჩნდება: გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკური სისასტიკე რუსეთის ეკლესიამაც ძალუმად იწვინა, რომელსაც სათავეში ტიხონი ედგა. ცარიზმის დამარცხებისთანავე უღმერთო ბოლშევიკები პროლეტარიატის პირსისხლიანი ბელადის და მისი ადვოკატების მეთაურობით ეკლესიებს შეესივნენ და იქაური ქონების მითვისების პარალელურად სამღვდლოებას საღვთო ომი გამოუცხადეს. ამ რეპრესიების ამსახველი მასალის შესწავლა უკვე შესაძლებელია და ძალზე მისასაღმებელია, რომ ახლახან, ცნობილმა ჟურნალისტმა ვახტანგ ბახტაძემ, რომელიც „ისინდის“ წევრია, საგანგებოდ ჩვენი ჟურნალისტის რუსი პატრიარქის, ტიხონის უაღრესად მწვავე და ისტორიული ნაშრომი: „ანათემა ბოლშევიკებს“ ქართულად თარგმნა და „ისინდში“ ექსკლუზიურად გამოქვეყნა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. 80 წლის შემდეგ ჩვენ ხელთაა ბოლშევიკების მიერ რეპრესირებული სამღვდლოების უმძიმესი ხვედრი: თავად ტიხონი, როგორც ბოლშევიკების შეურიგებელი მამხილებელი, კირიონის მსგავსად მოკლეს, რაც ბოლშევიკური ხელნერის ტრადიცია გახდა. ლენინის ბრძანებით განსხვავებულად მოაზროვნე ოპონენტებს ფიზიკურად ანადგურებდნენ, რამაც მასობრივი ხასიათი შეიძინა. ტიხონის პატრიარქად აღსაყდრება ამბროსი ხელის მოღვაწეობას ემთხვევა, რომელმაც გენუის კონფერენციაზე ბოლშევიკთა ნამდვილი სახე მთელ მსოფლიოს გააცნო. ფაქტია, ორივე პატრიარქი ერთ მიზანს ემსახურებოდა. აქ უნებლიედ მეზადება კითხვა, ტიხონი კირიონისა და ამბროსის თანამედროვე სასულიერო პირი, ეჭვგარეშეა, ქართველ პატრიარქთა მნიშვნელოვან, ეპოქალურ ნაშრომებს იცნობდა, თუმცა მთელ რიგ მიზეზთა გამო, რაც წერილში დანვრილებით მიმოვიხილეთ, მათ პოზიციას ვერ გაიზიარებდა. სამწუხაროდ, ამის თაობაზე რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება, რის გამოც მხოლოდ ვარაუდის გამოთქმაა მიზანშეწონილი. ტიხონი, როგორც რუსული ეკლესიის წინამძღოლი ქართველი პატრიარქების ეროვნულ პლტფორმას ალბათ მხოლოდ რუსეთისთვის მისაღებ და სასარგებლო წერილში განიხილავდა. ბოლშევიკების დიქტატურის დამყარებამ ვითარება სრულიად შეცვალა და საბჭოთა ტერიტორიაზე არსებული ყველა ეკლესია მათი კონტროლისა და რეპრესიების ქვეშ მოექცა, რაც სასულიერო პირებზე განხორციელებულ ძალმომრეობის სახით რელიეფურად გამოვლინდა. ამიერიდან, 70 წლიანი საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში განურჩევლად ყველამ იწვინა უღმერთოთა აუნონავი სისასტიკე, მეოცე საუკუნის ოცნლეულში ასე საზარლად რომ გაბატონდა.

საინტერესოა გენუის კონფერენციაზე გაგზავნილ საპროტესტო ტექსტს რუსეთის პატრიარქი როგორ შეხვდა? ისტორიული სინამდვილის სიღრმე სამწუხაროდ ყველა მოვლენას სრულად მაინც ვერ შემოწერს და მოიცავს.

კირიონის „ივერიის როლი რუსეთის ისტორიაში“ ეპოქალურ ნაშრომად რჩება, რომელსაც სამომავლოდ ჯეროვანი ყურადღების მიპყრობისას

რუსეთ-საქართველოს ისტორიისა და ურთიერთობის შესწავლის საქმეში შეუბღალავი სიმართლის მეოხებით გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის! როგორც ამბობენ, დრონი მეფობენ და არა მეფენი. მოვა დრო, საქართველო იმ მდგომარეობას დაიბრუნებს, რისთვისაც მისი მონამე პატარაქი კირიონი მთელ ცხოვრება თავდადებით იღვწოდა.

17.09.2020.

### პოეტ პოეტიშვილი

### ღვინის აკჰანი, ჰაზის გვირგვინით!

უფლის დიდებით შედგა თამადა,  
მშვიდობას იცავს, ვახტა გურულის.  
ძმობა შემფიცა მედგარ ადათმა,  
მგლის მუზარადით ვახტანგურული.  
ვაზები ლოცვით ტალავერდებით,  
რომ მოვინდომეთ სმა ჭინჭილათი.  
ყანნი გადადის ალავერდებით,  
ხელიდან - ხელში ასკინკილათი.  
ღვინო მარანში დაგვიძველდება,  
რომ ქვევრზე თავი შემოარღვიონ.  
სმა ჩვენ დილამდე გაგვიგრძელდება,  
მნდეს არღნის ხმაზე შემოაქვს ღვინო.  
თუ ღვინის ქურდმა დამალე ღვინო,  
მე სხვა რა უნდა დამალეღვინო.  
თავი არავინ დამალეღვინოს,  
სუფრის წესი არ დამარღვეღვინოს.  
ბევრი სმის შემდეგ ყელის არეში,  
ცოტა სიმშრალე მოგაქვს ტანინო.  
ყანნი ჩანოლას ელის მთვარეში,  
რომ მარსის ღვინო მომატანინოს.  
მშვიდობის სუნი უდის ადესას,  
ქართულ სუფრაზე აგებს ომები.  
დაგაჭამნიკებ უღიადესად,  
დავთვრები შენი დაგემოვნებით.  
კირკე ათრობდა მითის ამბითა,  
თავი რომ ჰკითხო ოდისევეს ება.  
სულ არ ვაჭარბებ დითირამბითა.  
ნეტავ მტერს თვალი როდის ევსება.  
წარსულს გვასწავლის ანი ნიპნები.  
ყველა სურვილი შევძარ ხოშებით.  
სახეზე წითლად ანიპნიპებით,  
სიმღერას ვიტყვი შეზარხოშებით.  
თუ ცოტა ღვინომ მომერიესო,  
სასმისში გრძნობა რომ ერიოსო.  
არ თქვათ, მსმელია რომელი ესო,  
თავს ნულარ მომჭრით სომელიესო.  
ხელეში ვიჭერთ ანი ორ ბოცას,



ძმობისთვის მუდამ უბანს სცალია.  
 ბორცვმაც ბორძიკით წაიბორბოცა,  
 ნასვამი ვის არ უბანცალია.  
 ჩოხით დავდივარ და ხმალ-ქარქამით,  
 თვალს არ მაცილებს მე ფური ერთი.  
 ისმის ჭახუნი და ხმა რქა-რქაში,  
 ხარივით მსმელნო მეფურ იერთი.  
 მარანში მელის, დიახ, შიოლა,  
 ცოტა სათქმელიც შემოვიწინახეთ.  
 ალავერდს ვიღებ იახშიოლა,  
 სავსე თასს განვდი შენ მეინახე.  
 დულს და მდინარის ჰოლი-ფონია  
 მიდი შესძახე,სმით გადაკრულო,  
 ქართულსუფრული პოლიფონია,  
 რომ ღმერთთან ახლოს ისმის ჩაკრულო.  
 ძმად ჩაგიხუტე პურისმტე ვნებით,,  
 ბარში გამანდე შენ სანდობარი.  
 ცრემლებს ვმარცვლიდით უპის მტევნებით,  
 როცა ვთქვით დედის შესანდობარი.  
 თქვენ, არ დამითვლით ეშმას ლოთები,  
 ამ მთვრალ ნაბიჯებს, მანევრს, რვიანებს.  
 სიფხიზლე არის შემამფოთები,  
 სიმთვრალე სულ არ მანერვიანებს.  
 ფეხზე ძლივს დგახართ ტიკტომარანი,  
 სმის დროს მუხლებზე წამოიჩოქებთ.  
 ჩვენი სახლია კინტო მარანი,  
 სამიკიტნოში გადმოვიჩოქებთ.  
 რა სირცხვილია არვინ არ ვნახო,  
 ჩუმად სუფრიდან გამოპარული.  
 ღმერთი თამადას სათქმელს მკარნახობს,  
 რომ სადღეგრძელო ვთქვა ტროპარული.  
 ვდღესასწაულობთ ზატიკს კულებით.  
 გრაალის თასში სისხლი წვი მაშინ.  
 ღრუბლები ღვინით გატიკულები.  
 მიწა კი თვრება ღვინის წვიმაში.

კახურმა ღვინომ დაბადა გონი,  
 ხელებს გიკოცნის თითა ვაზეთი.  
 ეს საფერავი და ბადაგონი,  
 ხედებიან ერთურთს სითავაზეთი.  
 ფხიზელი თვალი შენზე მეჭირა,  
 მხოლოდ საფლავეზე სამ წვეთს ვღვრი ღვინოს.  
 მოთქმით ვლიღინებ, ბედს ვკებენ, მე ჭირად.  
 ღვინო მაცოფებს,რომ მგლებს გიღრინოთ.  
 სუფრას მივუსხდით ლხინის ძიები,  
 რომ ავიშაღეთ თავქვეშ ფაფარი.  
 სიყვარულს ვეძებთ ღვინისძიებით,  
 აქ არის ჩვენი თავშესაფარი.  
 განსხვავებული ვინ არ დალია,  
 წინ ამირანი, წინ ან დალია.  
 ქართველი კაცი სმის სარდალია,  
 სულში ჩაღვრილი წინანდალია.  
 საცოლეს ვუხმობ ცოლიკაურით,  
 საპოვნელი მყავს ადამ ჯერ ევა.  
 ბეჭზე რომ დამდებს, ცოლი კაურით  
 შლეგ ღვინოსავით გადამერევა.  
 ჯვარზე მაცვამდა ზიარებისას,  
 ლურჯ ჯვარდასმული მე ზედა შენი.  
 გვანვდიან ხელში იარებისას,  
 მე და შენ ბარძიმს მეზედაშენი.  
 უწინ სინმინდე დანან ხელიდან,  
 ვაზის ჯვრით მოგვეც, წინო პოლისი.  
 ხელით დაგვლოცე სანწახელიდან,  
 რომ ფეხზე დადგეს ღვინოპოლისი.  
 მტრების ჯინაზე გარეკახურით,  
 შემოვუაროთ ერთი ლეკური,  
 ბრძოლამ მომხდური გარეკა რუხით,  
 ცხენისწყლის ნალით წასალეკური.  
 მთვრალ ღრუბლებს უნდათ მოსვა სამ სალის.  
 გავფანტე ღვინის წვიმა ლუღიდან.  
 ვინც,თასი ერთხელ მოსვა სამსალის,  
 ღალატით იგრძნო მიმაღულიდან.  
 ქორწილს მიხდიან აიეტები,  
 თუ მივანვდინე ბანი მედეას.  
 მწკრივში ჩამდგარან, აი ეტები.  
 დოქებით ხელში განიმედეა.  
 ჩვენ დავაყენეთ, ღვინო ისეთი,  
 რომ დასახრჩობად გადავეშვებით.  
 ფეხარეული დიონისეთი,  
 მთვარე ცისფერს ყანწს გავდა ეშვებით.  
 მწვადზე ასხამდა იქ ძმარს აული,  
 შამფურზე გული აშუშხუნდება.  
 ანაბეჭდს სტოვებს ქინძმარაული,  
 ღვინის ჭიქაზე შუშა ხუნდება.  
 გუთანს შეებნენ, ხარის ქედები.  
 ოფლში წურწურებს, გლეხის მარჯვენა.  
 თუ სოფლისაკენ არ იხედებით,  
 ამოიყრიდა ხელის ჯავრს ენა.

მთვარეა ვაზის ბაღის ბადრაგი,  
შენი სიმთვრალე, ქარო, მატულობს.  
გემო კი შენი ბაგის ბადაგის,  
ქართველ ქალივით არომატულობს.  
ღვინოდ ქცეულა ვენა ხეობის,  
რუმბებით შევეკრათ, კარგო, ნავტიკი.  
ვაზეთი ბალმევენახეობით,  
სამიზნედ იქცა არგონავტიკის.  
მომდის ღვთიური მადა წვენითა,  
ეხსნება ღრუბლის კუპრი ელიას.  
ვაზს გავახარებ გადანვენითა,  
თხა და ვენახი კუპრიელია.  
ხოტბა შესხმული ამფორით ზმები,  
სტროფებს ვიგონებთ, მეტ ამფორებით,  
ლექსებს ვაფორმებთ აფორიზმებით,  
ექარგავთ რითმებით, მეტაფორებით.  
არავინ მწყალობს, გარდა ეულის.  
მარტო ღვინოს ვსვამ, დაღვით ნებისას.  
მთვარე გახდება გადარეული,  
მზის კოსმიური დაღვინებისას.  
ვაშენებ, ღვინის აკვნის ბაბილონს,  
რომ ვისაუბროთ ღვინის ენაზე.  
ძირძველ ქართულ ფესვს ასკვნის ბაბილო,  
ბინას ვერ იღებს ჯინი ვენახზე.  
ფხიზელს წყურვილი ამადიანებს,  
სადმე გინახავთ, დუმიდა სიმთვრალე?!  
ღვინოში ვცნობდი ადამიანებს,  
ღვინოში ისმის მუდამ სიმართლე.  
ღვინოში წობით დამბალა პური,  
ქრისტეს სახელი ერქვა ქრისტიანს,  
მამაო ჩვენო მამაპაპური,  
ზიარება და ევქარისტია.  
არს ეს ქვეყანა ვენახოვანი,  
შენ ხარ ვენახი სამარიობო,  
ტანი არა გაქვს, შენ ახოვანი,  
მაგრამ ბედი გაქვს მაგარ იობის.  
დრო არის ხელის დაკაპინებით,  
ერთად ვაშენოთ მინდვრად ატპიჟი.  
ჩვენ მტევნებს ერთად დავკრეფთ ნიჰებით,  
რომ ძმობის ნაღში მინდა პატიჟი.  
დიდ ჯამს ბოლომდე აპიპინებდა,  
რაც რომ ბოლომდე განგებით ისმის.  
დუქანი დუდუკს აპიპინენდა,  
ყარაჩოლლური ჰანგები ისმის.  
მთვარის ყანწში წევს ღვინის აკვანი,  
მზე იავნანის ტრფიალით არწევს.  
ფეხზე დგას ღვინის ხელში ამყვანი,  
განა შავ ნაღველს ფიალით არ წევს.  
ვმლერი ამ-ქარში ნაზად არიას,  
ვუმხელ ობლობას მამაოს, ტატოს.  
ატირებული საზანდარია,  
რომ სიყვარულში დამაოსტატოს.

გული მეთუთქვის, მეტი ვაებით,  
ხმლებმა რომ ჯავრი ამყარონ ხლებით,  
ქორწილს მიხდიან მეტივეები,  
გვერდში მიდგანან ყარაჩოხლები.  
სხვის ხელით საქმე არ მოგვარდება,  
თასზე „სამშობლოს“ სულ იკვეთება  
და საქართველოს გამოადგება,  
ეს ვაჟკაცური სულისკვეთება.  
გადათვრებიან თუ სურთ სურები,  
ცოტა ნუნუას მოსვამს აკვანი.  
ჩვენ არ გავზრდილვართ, უსუსურები,  
მტრებს გაქვთ თითები მოსაკაკვანი.  
უნდა უმღერო მუტრიბო ჰე, მას...  
ფიალის ალიც არ დაშრეტილა.  
დიდხანს ილხენდა, სტუმრით ბოჰემა,  
ალარ უნდოდა დაშლა ელიტას.  
„სტუმარი ღვთისა“ გული დამწვოდეს.  
უქიმერიონს მიქეს რიონი,  
რომ ღვინის პოეტს გადმომანოდეს,  
ცისფერი ყანწი ქიმერიონის.  
მთვარის ქვეშ ითქვა, მანდილოსნების  
ეს „სადღეგრძელო ოქროს ყანწიდან“,  
ბევრ მილოსელზე მანდ ვილოცებით,  
სულს გუნდურ ლოცვას ქორო გვანვნიდა.  
თუ ავად გავხდით, უებარია  
ღვინის შეზეღვა და ძმრის წინდები.  
ავადმყოფ ქარმა უბე არია,  
წმინდა დანვენით დავიწინდებით.  
ძირველი ვაზი-უსურვაზურნი.  
სიღრმეში ფესვის გადგმა ერჩივნა.  
ქარმა მუსიკა უსურვა ზურნის,  
რომ ღვინის სახლი გადაგვერჩინა.  
ვაზის აკვანში ნორჩად უგია,  
ვარსკვლავბიჭუნას ვაზის ფოთოლი.  
ენა და ფეხი რომ აუდგია,  
ღვინის ნათლობით, ამ სასოფლოთი.  
ხმატკბილმა ღვინომ ამიბა ტონი,  
სისხლში და ხორცში დამდის მონიოდ.  
სირინოზის ხმით გამიბატონდი,  
მთლად დამამონე დაიმონიო.  
ატკბილებს, მწარე ენას მახალი,  
დიდხანს გამყვება გემო არმუნჯის  
და ფეხს იკიდებს, სმენა ახალი...  
ღვინის საუბრის გამო ვარ მუნჯი.  
ვაზო, შვილივით რომ ხარ ნაზარდი,  
მოგეფერები სიტყვით ღვინიას.  
მთა დევის სისხლით შორს აზანზარდი,  
პრომეთეს ცეცხლსაც, იქ უბრდღვინია.  
პეშვით რომ ღვინო მიგიტანია,  
საყვარლის საფლავს დაღვრი ნებითა.  
მზე კი პოეტთა მიკიტანია,  
ეპოქალური დაღვინებითა.

გუთანს შევებათ ბარემ მოზვრები,  
 წინ გაუძღვება მას ღამის მეხრე,  
 რომ გადაიხნას გარემო ზვრების,  
 ეს არ გვეშლება ჭამა-სმის მერცხლებს.  
 დიდი ვარ, მაგრამ ფეხით დადგომა,  
 ბავშვივით მიყვარს ენკენისთვისა,  
 სრესა ჭყლეტის დროს შხეფი გადმოვა,  
 ხვავმა ბარაქა შენსკენ ითვისა.  
 სახლის კარს ყველა რადგან აღებდა,  
 ათას სუფრაზე ვარ დანვეული.  
 ქვევრი სიძველეს ალაღადებდა,  
 მარადიული ათასწლეულით.  
 თხამ რომ ვენახი ვერ შეგვიჭამოს,  
 რუმბს ბატონი ჰკრავს, მონა კი თხიერს.  
 სივდება სითხით თხის საკუჭმაჭო,  
 ბევრჯერ გვაქვს ღვინო მონაკითხი ერს.  
 ხორციან ღვინომ მათამათამა და,  
 ვარ მაჟორული გამათა მამა.  
 გულზე მემთხვიოს, მათმა თამადამ,  
 რადგანაც ღვინომ გამათამამა.  
 ღვინით მსურს ვაზზე გიამბოთ ბევრი.  
 ქართული მიწის ნატურ ფიალას,  
 დაცლილ სასმისსაც გეამბორები,  
 რაც უფლის ტრფობით ნატურფალია.  
 თრთვილმა მსუბუქად შემოსა რთველი,  
 მზე მოლზე დადის ფეხაკრეფითა,  
 ვაზზე სხივია შემოსართველი,  
 ფეხს იდგამს, რთვლობა კრეფა-კრეფითა.  
 უფალი, დედა-სამშობლო, ვაზი,  
 ეს სამი რამ გვაქვს სამეტანიო.  
 ენას მუხლს გიყრი, რომ ფარნავაზის,  
 მემატთანემ ნამე ტანიო.  
 ზის დიონისე ავაზიანი,  
 ცამ ვარსკვლავები ჩასხა ნავიდან.  
 ვენახი, ზვარი და ვაზიანი  
 ნამგალა მთვარით დასახნავია.  
 მთვარეს ტიტანურ მხრით სწევ ყინნიდან,  
 მეორედ მოსვლით გადმო გალონ და...  
 მთვრალი პოეტი მთვარის ყანნიდან,  
 ვანის თამადად გადმოგალონდა.  
 ღვთიური მადლი აჰა, ანგურა,  
 სასხლავით შტოებს აჭრი ხიხვის რქას,  
 განგებამ ჰიმნი ააჰანგურა,  
 ნუ მომანოდებთ, მაჭრით ჯიხვის რქას.  
 თანხმობის ნიშნად მიკრავთ, თავს კვერით  
 რომ საქართველო ვადიდო ქებით.  
 ფეხებს ხელებით მიკრავს თაკვერი,  
 ჭიქების ნაცვლად ვსვამდით დოქებით.  
 თამადას გიცდით, გიდი მაგიდის,  
 პირს უხსნი სუფრას და მადას ღვინოს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## ისევ „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“

### მედგარ ჭელიძე

გალაკტიონის პოეტურ სამყაროში შეღწევა, მისი სიმბოლისტური ლექსების შინაარსის გააზრება - პოეტის თანამედროვე კულტურული და ისტორიული კონტექსტების გათვალისწინებით, „ბუნდოვანი ტექსტების“ არსის წვდომა — იმგვარი სახის რთულ ამოცანათა რიგს განეკუთვნება, რომელთა გადაწყვეტის მცდელობა მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით ვერ იქნება წარმატებული. ცხადია, ტექსტის ინტერპრეტაციას დიდი „შავი სამუშაო“ უნდა უძღოდეს წინ: საარქივო მასალების მოძიება და ანალიზი, სხვა ტექსტებთან კონტაქტის გამოვლენა, კულტურული კონტექსტის გააზრება და ა.შ. მაგრამ, საკითხის დამუშავების რალაც ეტაპზე, გადამწყვეტი ხდება — ერთიანი, არანინაალმდგომობრივი სურათის განჭვრეტა, ტექსტის შინაარსის და მთელი ატმოსფეროს გათავისება, როდესაც ყველა დეტალისთვის თავისი ადგილი მოიძებნება ერთიან მოზაიკურ პანოზე. ლოგიკური ანალიზი, მიგნებული სურათის სისწორის დასაბუთება და განმარტება - შემდგომ ეტაპზე ხდება აქტუალური. მნიშვნელოვანია, რომ ინტელექტუალური ჭვრეტის, ინტუიციური წვდომის შედეგად დანახული და აღწერილი ერთიანი სურათი არ ჰკარგავს ღირებულებას მაშინაც, თუ ცალკეული დეტალი არასწორად არის ინტერპრეტირებული ან დამტკიცებული. შემეცნების პროცესში მთავარ ღირებულებას მაინც ეს „განჭვრეტილი ჭეშმარიტება“ წარმოადგენს. თანამედროვე გალაკტიონოლოგიაში ამგვარი ინტელექტუალური წვდომის რამდენიმე გამორჩეული მაგალითი გვაქვს: თუნდაც თეიმურაზ დოიაშვილის კონცეფტები „არტისტული ყვავილების“ პროლოგზე (დოიაშვილი 2003: 41) და „ნიგნ-მთლიანობაზე“. (დოიაშვილი 2019ა: 3 — 4; და დოიაშვილი 2019ბ: 206). დღეს ჩვენ გვსურს გავიხსენოთ გალაკტიონის სიმბოლისტური შედეგების ასეთი ინტუიციური წვდომის კიდევ ერთი მშვენიერი ნიმუში: „არტისტული ყვავილების“ გამორჩეულად მუსიკალური პიესის, ლექსის „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ წინო დარბაისელის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია. ხსენებული ინტერპრეტაცია წარმოდგენილი არის „გალაკტიონოლოგიის“ მე-5 გამოცემაში (დარბაისელი 2010: 83 - 92). ნ.დარბაისელის ნარკვევის შინაარსის გაცნობამდე, გავიხსენოთ გალაკტიონის ამ შედეგის სრული ტექსტი (ტაბიძე 2016ა: 91):

#### ვუალისა და ვიოლეს შესახებ

ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს  
 პალაცო პიტტი და პერუჯი ვენეტა.  
 ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,  
 რომელსაც იძლევა ხმები მასსენეტა.  
 გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი!  
 ოცნება! შენ წარსულს ვედრებით შესძახებ,  
 რომ ისევ აინთოს უცნობი ლამპარი  
 ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ.

ლექსის განხილვისას ნ.დარბაისელი თანამიმდევრულად წარმოგვიჩენს, მის მიერ ერთიანი ხედვით დანახული მოზაიკის ფრაგმენტებს:

„ისევ აინთოს ლამპარი ვუალის, ვიოლის და სხვების შესახებ“ — ამ ფრაზის ინტერპრეტაციისას, ნარკვევის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ლამპარის“ მნიშვნელობა ანტიკურობის ხანიდან გადმოსულ ფრთიან გამოთქმას — „ცოდნის ლამპარი“ უნდა შეესაბამებოდეს და ამ შემთხვევაში გასაგები ხდება გრამატიკულად უცნაური კონსტრუქციის „ლამპარი — შესახებ“ შინაარსი. ნ.დარბაისელის თანახმად, ეს უნდა იყოს ცოდნა, ინფორმაცია ვუალისა და ვიოლეს შესახებ. ამასთან, „ისევ აინთოს ლამპარი“ — მიგვითითებს, რომ „ცოდნას ადრეც გაუნათ(ლ)ებია პოეტის არე. თანაც ეს უცნობი ცოდნა არა ერთი რომელიმე საგნის (ვუალის), არამედ კიდევ ვილაციის თუ რალაციისა და სხვების შესახებაც არის.

წყვეტა, რომელიც ვენერასა და ფრაგონარს შორის „არტისტული ყვავილების“ ტექსტში წერტილით არის დაფიქსირებული, აუცილებელია ამ ტექსტის სივრცეში ორიენტირებისათვის. აქ მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ცალკე ამბავია (ლამპარით ანთებული ცოდნის ცალკე ფრაგმენტია) „ვენერა სარკესთან“ სიუჟეტი და ცალკე ნარატივია ფრაგონარის მიერ პალაცო პიტის, პერუჯის და ვენეტოს გახსენება (მოგონება).

„მშვენიერი საგონარი, რომელსაც იძლევა ხმები მასსენეტა“ — ფრანგი კომპოზიტორის მასნეს მუსიკაა, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა გალაკტიონს და ხშირად საკუთარი ლექსების დეკლამაციისას მუსიკალურ ფონადაც იყენებდა. საგონარისადმი ფერების მინდობის მომენტს, მკვლევარის ხედვით, ხსნის სინესთეზიური აღქმის სპეციფიკა. „გათავდა, განელდა, გაჩუმა ზღაპარი! ოცნება!“ ეს სინესთეზიური პროცესის დასრულების მაცნე ფრაზაა, მთლიანად, ერთიანი ხედვით მოხილული სურათი კი ნარკვევის ავტორს ასე წარმოუდგება: „ლექსის იმაგინაციური ტოპოსი ოთახია — სივრცე, სადაც პოეტი უსმენს გრამფირფიტებს მასნეს მუსიკის ჩანაწერებით — („მასნეებს“) და ამ ფონზე, პარალელურად ფურცლავს, კითხულობს ან იხსენებს ილუსტრირებულ გამოცემებს ფრანგული და ევროპული კულტურის შესახებ. ლექსის პირველი სტრიქონის დისკრეტულობაც — ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს - ამით აიხსნება.

ვუალი, რუსულ-ევროპული სიმბოლიზმის კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერპრეტირებული არის, როგორც გალაკტიონისათვის მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ინვარიანტული სახის (მანდილი, ვუალი) ნაირსახეობა.

გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ვუალთან ერთად ნახსენები ვიოლე, რომლის შესახებაც მოგვითხრობს „უცნობი ლამპარი“ — არის ვიოლე ლე დიუკი (Viollet-le-Duc, 1814 – 1878), სახელგანთქმული ფრანგი არქიტექტორი, მხატვარი, მწერალი, ხელოვნების თეორეტიკოსი, რომელმაც 1850 წელს აღადგინა პარიზის „ნოტრ-დამი“ და გარდა ამისა, დაგვიტოვა არაერთი შესანიშნავი, ხატოვნად ილუსტრირებული წიგნი ევროპულ და რუსულ კულტურაზე. „სხვები“ — სხვა გამოჩენილი მხატვრები და კულტურის მოღვაწეები უნდა იყვნენ, რომლებზეც მოთხრობილია იგივე (ან იმის მსგავს) გამოცემაში, სადაც ვიოლიე-ლე-დიუკის შესახებაც ცნობები არის მოცემული.

წარმოდგენილი ხედვა იმდენად დამაჯერებელია, არაწინააღმდეგობრივია, მთლიანობაში იმდენად კარ-



გად აღწერს გალაკტიონის ტექსტის რეალიებს, ატმოსფეროს, განწყობას, გამომსახველ საშუალებებს, რომ ტექსტის პირველად გაცნობისას, ამ ერთიანი სურათის მხოლოდ მცირედი დამატებითი შტრიხებით შევსების სურვილი გაგვიჩნდა. კერძოდ, მიზანშეწონილად მივიჩინეთ აღგვენიშნა, რომ „ლამპარის“ მეტაფორა, რომლის გამოყენებას მართლაც დიდი ისტორია აქვს ევროპულ კულტურაში, არა მხოლოდ — „ცოდნას“, არამედ ასევე „წიგნსაც“ აღნიშნავს, როგორც ცოდნის აკუმულირების და გადაცემის საშუალებას, კულტურული მემკვიდრეების ფორმას (მეტალიტერატურულ კლიშეს, ზაგადად, ასეთი სახე აქვს: „წიგნი - ცოდნის ლამპარი“). ამრიგად, „ლამპარი ვუალის, ვიოლეს და სხვების შესახებ“ თავიდანვე ტექსტური შინაარსის სიმბოლოა და ზუსტად შეეფერება ნ.დარბაისელის მიერ დახატულ სურათს — ილუსტრირებული გამოცემის (ვუალის, ვიოლიეს და სხვების შესახებ წიგნის) გადაფურცვლის ეპიზოდს. რაც შეეხება „უცნობი“ ლამპარის ანთებას, გვეჩვენება, რომ ამ სახის ინტერპრეტაციისას, ნაკლები „ხვედრითი წონა“ აქვს იმ ვერსიას, რომლის თანახმადაც — ეს არის ანმყოში რეალიზებული ფენომენი. ტექსტიდან არ ჩანს, რომ ლამპარი ახლა, ანმყოში ანთია. ლექსი გვამცნობს, რომ „უცნობი ლამპარის ანთება“ — წარსული დროის კუთვნილებაა: სწორედ წარსულთან აპელირებს ლირიკული გმირი, როდესაც შესთხოვს („შეძახებს“) ლამპარის ისევ ანთებას მომავალში. ჩვენი ხედვით, „უცნობი ლამპარის ანთება“ არის სწორედ წარსულის, და არა ანმყოფენომენი — დაკარგული ედემური სამყაროს ნაწილი. „არტისტული ყვავილების“, როგორც წიგნი-მთლიანობის მთავარი მითოლოგემა - ლირიკული სუბიექტის „ცხოვრების გზა“. ამ დიალექტიკური ნარატივის თანახმად, „თეზისი“ — შეესაბამება იდილიურ (უტოპიურ) ცნობიერებას, „ანტითეზისი“ — იდილიური სამყაროს და ცნობიერების რღვევას („ედემის დაკარგვას“), ხოლო „სინთეზი“ - დაცემულ, არასრულყოფილ სამყაროში სულიერი საყრდენის, რეალობასთან „შერიგების“ სულიერი საფუძვლის ძიებას. თეზისი (იდილიური ნარატივი) „არტისტული ყვავილების“ სივრცეში გახსნილი არის სამი ტიპის მდგენელი სიუჟეტის სახით. პირველი არის „ბავშვობის“ ნარატივი, სადაც იდილიური სამყარო ბავშვის „ედემური ცნობიერების“ სახით არის წარმოდგენილი („ბავშვობის“

მოტივი „არტიტულ ყვავილებში“). მეორე სიუჟეტური ხაზი წარმოადგენს სოფიურ სატრფოსთან დაკავშირებული მითოპოეტური სიუჟეტების სიმრავლეს, ოცნების სამყაროს („ოცნების ბალის“) ნარატივს. „ოქროს ხანის“ მესამე სიუჟეტური ხაზი დაკავშირებული არის ლირიკული სუბიექტის ახალგაზრდულ შთაბეჭდილებებთან, პოეტის და მისი ახალგაზრდობის მეგობრების ზიარებასთან კულტურის, ხელოვნების სფეროსთან, შემოქმედების (და თანამემოქმედების) სიხარულთან, სისავსის და სილამაზის განცდასთან, რაც არ იყო მოკლებული ეროტიკულ შეფერილობასაც. სწორედ ამ უკანასკნელი ინვარიანტული სიუჟეტური ხაზის კერძო ვარიანტად მიგვაჩნია განსახილველი ლექსი. თემა, რომელიც ამ მცირე ზომის პიესაში მუსიკალური ფორმით არის ხორცშესხმული, უფრო ნათელი, ცხადი სახით არის წარმოდგენილი პლასტიკური პოეზიის ისეთ შედეგში, როგორც არის ლექსი „გოტიეს“. მოვიყვანოთ ამ ლექსის ტექსტი (ტაბიქე 2016ა: 28) მთლიანად.

### გოტიეს

თქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით პიმოდანი.  
იგი მარად ფერობდა დელაროშის ფერებით.  
ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი,  
არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით.  
ბედნიერი იგი დრო, ეხლა უფრო ანკარა!  
თვითეულში ელავდა ბრიუმელი ან ლოზენი.  
ნეტავი სად არიან ყველა ეს უანგარო  
პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი?  
ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია,  
ირგვლივ ნაკადებია მსუბუქი და ფარული.  
მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია,  
გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენდარული.  
ჩვენ ვეძებდით რამე ღრმას, გვსურდა რამე ქართული,  
რითმა - ნიუანსები, რიტმიული ლანდები.  
სად არიან ყველა ამ მორევებში ჩართული  
მენადები - გედები და ფრთები - ინფანტები?  
ეხლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია,  
არავისთვის არ არის სული უფრო სათელი.  
ეხლა მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია  
და საკვდავად მილიმის ჩამავალი ნათელი.

ამ ტექსტში ცხადად არის გადმოცემული „ანტითეზის“ შესაბამისი ნოსტალგიური სევდა წარსულ დროზე, დაკარგულ „არკადიაზე“, „ოქროს ხანაზე“: წარსული აღწერილია, როგორც „ბედნიერი იგი დრო, ეხლა უფრო ანკარა“. არკადიის სურათი წარმოჩნდება მხოლოდ როგორც წარსულის მოგონება: „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია“. ეს ბედნიერი დრო დაკავშირებული არის „მყუდრო ბინასთან“, როგორც ხელოვნების, შემოქმედების ძირითად ქრონოტოპოსთან, რომელიც ინვარიანტულია „არტიტული ყვავილებისათვის“ [„მდუმარე სენაკი“ / „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ (ტაბიქე 2016ა: 53)]. ქრონოტოპოსში აქტუალური არის, როგორც პოეზია (პოეტები... გამოთქმებით ცხოვრება იყო ლეგენდარული; რითმა-ნიუანსები, რიტმიული ლანდები),

ასევე სახვითი ხელოვნება (მხატვრები; დელაროშის ფერები; მენადები-გედები და ფრთები-ინფანტები), ლამაზი ქალები (როგორც ამ ხელოვნების დღესასწაულის მონაწილე სალონური პერსონაჟები, ასევე — ლამაზი ქალების პორტრეტები, წარმოდგენილი ხელოვნების ქრონოტოპოსის ვიზუალურ გალერეაში).

როგორც ვხედავთ, პარალელები ლექსთან „ეულისა და ვიოლიეს შესახებ“ თვალში საცემია: ორივე ტექსტში გვაქვს „წარსულის მოგონების მოტივი“: „შენ წარსულს ვედრებით შესძახებ“, მოგონების ასოციაციური ნაკადები („ეგონა ფრაგონარს“, მიენდო მშვენიერ საგონარს“), ერთის მხრივ და მეორეს მხრივ - „ირგვლივ მოგონებების თეთრი ნაკადებია“. ორივე ტექსტში გამოხატულია ხელოვნებით ტკობის, ალტაცების მოტივი და ორივეგან ეს განცდა გადმოცემული არის ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ფერწერის, მუსიკის, პოეზიის) ინტერფერირების ფორმით, სინესთეზიის ეფექტის გათვალისწინებით: ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს (მუსიკა, ფერწერა), უცნობი ლამპარი (ტექსტი; ლიტერატურა) და გამოთქმებით ცხოვრება, რითმა-ნიუანსები (პოეზია), რიტმიული ლანდები (პოეზია, მუსიკა); დელაროშის ფერები, მენადები-გედები და ფრთები-ინფანტები, მხატვრები (სახვითი ხელოვნება). ოქროს ხანის დასასრული, ოცნების, ზღაპრების სამყაროს რღვევაც თვალსაჩინოა ორივე ტექსტში: „გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი“<sup>1</sup> და „ეხლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია... ეხლა მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია და საკვდავად მილიმის ჩამავალი ნათელი. როგორც ვხედავთ, ლამპარის ანთება წარსულში - ჩანაცვლებული არის ანმყოში „ჩამავალი ნათელით“. ქრონოტოპოსი „მყუდრო ბინა“, რომელიც ექსპლიციტურად არის მოცემული ლექსში „გოტიეს“, სუგესტურად, კონტექსტუალურად იკითხება პირველ ტექსტშიც, და ეს ნიუანსი არ გამოპარვია ნ. დარბაისელს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მცირედი განსხვავება ჩვენს მიერ წარმოჩენილ ხედვასა და ნ. დარბაისელის ჰიპოთეზას შორის არ არის პრინციპული წინააღმდეგობის შემცველი, პირიქით, ეს ორი სურათი ავსებს ერთმანეთს. ნ.დარბაისელის მიერ წარმოდგენილ სურათში პრევალირებს გალაკტიონის, როგორც ტექსტის ავტორის განცდების და შთაბეჭდილებების აღწერა, იმ სიტუაციური მოდელის აღწერა, რომელმაც მისცა შემოქმედებითი იმპულსი ავტორს. ამ თვალსაზრისით, „ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს“ და „ლამპარის ანთება“ - შეიძლება ანმყო დროის სიტუაციასაც შეესაბამებოდეს და შესაძლოა — წარსულში მომხდარ (ან არაერთხელ განმეორებულ) სიტუაციასაც. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ტექსტის თანახმად, პოეტისათვის მნიშვნელოვანია ლამპარის არა უბრალოდ ანთება, არამედ მისი აქტუალიზაცია სწორედ „უცნობი ლამპარის“ სახით. „უცნობი ლამპარის ანთება“ - ახალი წიგნის მეშვეობით ხელოვნების ჯერ უცნობი შედეგების პირველად ნახვის აღფრთოვანებას (პირველი ნაკითხვის, გაცნობის ბედნიერებას) გამოხატავს. ეს ნეტარი განცდა - ცალსახად წარსულის კუთვნილებაა და სწორედ „წარსულს

1 „ზღაპარი“ - ოცნების, ედემური ნარატივის ინვარიანტული აღმნიშვნელია „არსითული ყვავილების“ წრის ტექსტებში

შესახებ“ პოეტი ვედრებით, რომლის შინაარსი - არა ამ გახსენებული ხელოვნების ნიმუშების თავიდან ნახვას გულისხმობს, არამედ ახალგაზრდული დროის იმ ნეტარი ემოციების გამოვლენას, პირველი შთაბეჭდილებების მაგიური ხიბლის დაბრუნებას. შინაარსის ამ ნიუანსური განსხვავების გარდა, აქცენტების ასე დასმით, ჩვენს მიერ ყურადღება გადანაცვლებული არის ავტორის უშუალო განცდებიდან, მისი ლირიკული გმირის მითოლოგიზირებულ ნარატივზე, როგორც ნიგნი-მთლიანობის ფრაგმენტზე: განსახილველ ლექსში წარმოჩენილი სურათი დანახული არის, როგორც მონიფული პოეტის მიერ „დაკარგული სამოთხის“ მოგონება. მთლიანობაში, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ნ. დარბაისელის ნარკვევში წარმოდგენილი ხედავ იმდენად დამაჯერებელია, რომ „არტიტული ყვავილებს“ სრულიად სხვა რეალიების ახსნაზე ფიქრისას, მათი ლიტერატურული პირველწყაროს დადგენის პროცესში, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით იმ ილუსტრირებული გამოცემების მოძიება, რომლებიც, ნ.დარბაისელის შიპოთეზით, ლექსში „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ არის მინიშნებული. კერძოდ, ვეცადეთ მიგვეგნო ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციისათვის ან თავად ვიოლიე-ლე-დიუკის ნიგნებში არქიტექტურასა და ხელოვნებაზე, ან იმ მხატვრულ ჟურნალებში ან ალბომებში, სადაც სხვებთან ერთად ვიოლიე-ლე-დიუკიც იქნებოდა მოხსენიებული. რამდენადაც პარადოქსალური არ უნდა იყოს, საბოლოოდ, ჩვენ მოვახერხეთ ამ პირველწყაროს მოძიება. პარადოქსალურობა კი იმაში გამოიხატება, რომ ამ გამოცემას არავითარი შეხების წერტილი არა აქვს ვიოლიე-ლე-დიუკის ფიგურასთან. ილუსტრირებული გამოცემა, რომელზე მინიშნებაც კეთდება გალაკტიონის ლექსში, არის სანკტ-პეტერბურგში 1907 — 1916 წლებში გამომავალი ჟურნალი «Старые годы» — «ежемесячник для любителей искусства и старины». ჟურნალი მიჩნეულა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში საუკეთესო პერიოდულ გამოცემად მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსეთში და ავტორიტეტით სარგებლობდა იმდროინდელ ევროპაშიც. ჟურნალი გამოდიოდა ყოველთვიურად და წარმოაჩენდა თავის ფურცლებზე ხელოვნებათმცოდნეობის მასალებს, რომლებიც ეძღვნებოდა არქიტექტურას, ფერწერას, გრაფიკას, დეკორატიულ ხელოვნებას და ძეგლთა დაცვის საკითხებს. ხელოვნების სხვა დარგები გამოცემაში პრაქტიკულად არ იყო ასახული, თუმცა სამაგიეროდ, სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხები შექედებოდა ყოვლისმომცველად: აქ წარმოდგენილი იყო კარგად ილუსტრირებული და შინაარსობრივად საინტერესო სტატიები სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაზე, რუსეთის მუზეუმებში დაცულ ხელოვნების ნიმუშებზე, რუსეთსა და ევროპაში მიმდინარე მხატვრულ გამოფენებზე და გამოცემულ ალბომებსა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ნიგნებზე. როგორც წესი, თითოეული ნომერი შეიცავდა ორ-სამ შედარებით მოზრდილ სტატიას და ასევე, მოკლე ინფორმაციას მიმდინარე კულტურულ ცხოვრებაზე. ჩვენთვის საინტერესო პუბლიკაციებს მივაკვლიეთ ხსენებული ჟურნალის 1907 — 1909 წლის ნომერები.

ძირითადი მასალა, რომელმაც საშუალება მოგვცა დიდი სარწმუნოებით დაგვედგინა, რომ გალაკტიონის ლექსში სწორედ ამ ჟურნალზე კეთდება მინიშნება, დაბეჭდილი არის 1909 წლის ოქტომბრის ნომერში. სტატიის ავტორი არის დ.როშე, ხოლო მისი სათაური — „რამდენიმე შენიშვნა ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ (203. Roche D. Несколько замечаний о Вуале и Виоллие. /Октябрь 1909; Ил. II . С. 574-593. Французские живописцы, работавшие в России: Жан Луи Вуаль (1744-1804), Анри Франсуа Габриэль Виоллие (1750-1829). როგორც ვხედავთ, სტატიის სათაურის შინაარსიც და ფორმაც სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს გალაკტიონის ლექსის თითქმის მთელ ფრაზას, რომელიც ლექსის სათაურშიც არის წარმოდგენილი: „რომ ისევ აენტოს უცნობი ლამპარი ვუალის, ვიოლიეს და სხვების შესახებ“. ფრაზის სპეციფიკური გრამატიკული ფორმაც (ლამპარი — ვუალის და ვიოლეს შესახებ), რაზე ყურადღება გაამახვილა ნ.დარბაისელმაც და შინაარსიც ეჭვს არ ტოვებს, რომ გალაკტიონის ლექსში საუბარი სწორედ ამ სტატიანაა. სტატია მოგვითხრობს მე-18 საუკუნეში რუსეთში მოღვაწე ორი ფრანგი მხატვრის — ჟან ლუი ვუალისა და ანრი ფრანსუა გაბრიელ ვიოლიეს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ეს ორი, ევროპაში ნაკლებად ცნობილი, მაგრამ კრიტიკოსთა შეფასებით — ნამდვილად კარგი მხატვარი, ხშირად ერეოდით ერთმანეთში და მათი შეწყვილება ერთ სტატიაში სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა. სტატია „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“ სწორედ ამ გაურკვევლობის მოსახსნელად დაინერა. რაც შეეხება „და სხვებს“, რომელთა შესახებაც ასევე „ინთება ლამპარი“, აქ ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია ნ. დარბაისელის ხედავ, რომ ეს - სხვა მხატვრები და კულტურის მოღვაწეებია, რომლებზე მასალებიც ასევე არის წარმოდგენილი ხსენებულ გამოცემაში.

დროში უკან თუ დავბრუნდებით და თვალს გადავავლებთ ჟურნალის წინა ნომრებს, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უძღოდა ხსენებული სტატიის გამოქვეყნებას, აღმოვაჩინეთ შემდეგ საინტერესო მასალებს და მათ, კიდევ უფრო საინტერესო, თანამიმდევრობას:

- 1907 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია დ. ა. შმიდტის სტატია სათაურით ტიცინის „ვენერა სარკესთან“: ორიგინალი და განმეორებანი (40. Шмидт Д. А. «Венера перед зеркалом» Тициана: оригинал и повторения. Ил. 3. С. 216-223.)
- 1907 წლის ოქტომბრის ნომერში ჯეფრის სტატია „შარდენი და ფრაგონარი“ (59. Geffrey I. Шарден и Фрагонар. Ил. 13. С. 497-508. Выставка в Париже произведений французских художников XVIII в. Шарден (1699-1779); Фрагонар (1732—1806).)
- 1907 წლის ნოემბრის ნომერში — გრონაუს სტატია: ჯორჯონეს „კონცერტი“ პალაცო პიტტიში (66. Gronau G. «Концерт» Джорджоне в палаццо Питти. / Ил. 4. С. 571-576.)
- 1907 წლის დეკემბრის ნომერში: ა.გოტჩევსკის სტატია „პერუჯია და უმბრიული ხელოვნების გამოფენა“ (72. Gottschewsky A. Перуджия и выставка




უმბრიისკოგო ისკუსტვა. ილ. 9. ს. 605-615.)

როგორც ვხედავთ ჟურნალის ერთი მეორეს მიყოლებით გამოცემულ ყოველთვიურ ნომერებში (თითო ნომერში კი სულა 2-3 სტატიაა), ვხედავთ გალაკტიონის ლექსში მოხსენიებულ პრაქტიკულად ყველა რეალის (თანაც იგივე თანამიმდევრობით): “ვენერას სარკესთან”, “ფრაგონარს”, “პალაცო პიტის”, “პერუჯას” (“პერუჯი”) და “ვულისა და ვიოლეს შესახებ” ამბავსაც. ყოველივე ეს იწვევს ჟურნალ “Старые годы”-ს 1907 — 1909 წლების ტომების (წლიური კრებებით გამოცემების) გადაფურცვლის ასოციაციას, რაც ზედმიწევნით ემთხვევა ნ.დარბაისელის მიერ ინტუიციურად განჭვრეტილ სურათს (იმ დათქმით, რომ პალაცო პიტის და პერუჯას — ფრაგონარი კი არ იგონებს, არამედ ფრაგონარი თავად არის — ჯერ წიგნში ამოკითხული სიუჟეტის და შემდეგ — გახსენების ობიექტი).

ამრიგად, მიუხედავად მცირე დაზუსტებებისა და კორექტივებისა, რაც ჩვენ შევიტანეთ ნ.დარბაისელის ჰიპოთეზაში, მთლიანობაში, ჩვენ მიერ მიკვლეული მასალები და გამოვლენილი კორელაცია ამ მასალებსა და გალაკტიონის ტექსტს შორის, ადასტურებს ნ.დარბაისელის ზოგადი მოდელის სამართლიანობას. საბოლოოდ ვლბულობთ შემდეგ სურათს: ლექსის გენერირების ტოპოსი ემთხვევა „არტიტული ყვავილების“ ცენტრალურ შემოქმედებით ტოპოსს, რომელიც „არტიტული ყვავილების“ პროლოგში აღნიშნული არის, როგორც „მდუმარე საკანი“, ხოლო ლექსებში „გოტიეს“ და „სული უსახლო“ (ტაბიძე 2016: 40), შესაბამისად - როგორც „მყუდრო ბინა“ და „მიმღები ჭერი“. სამივე ეს ლექსი ასოცირდება გოტიეს სახელთან და დაკავშირებული არის „მინანქრებისა და კამეების“ პროლოგში გოტიეს მიერ მონიშნულ კონცეფციასთან, რომლის თანახმად ჭეშმარიტი პოეტური წიგნი იქმნება ამა ქვეყნის ამოვებასა და სოციალურ ქარტეხილებს გარიდებული პოეტის მიერ — სადმე, განმარტოებულ სენაკში.

ხსენებულ ტოპოსში, მასწავს მუსიკის ფონზე (და შესაძლოა - ილუსტრირებულ ჟურნალებზე თვალის გადავლებისას), პოეტი იხსენებს წარსულის იმ ბედნიერ წლებს, როდესაც იგი ახალგაზრდული ენთუზიაზმით ენაფებოდა კულტურის „მსუბუქ და ფარულ ნაკადებს“, ეცნობოდა ხელოვნების ჯერ უცნობ და ამის გამო კიდევ უფრო ამაღლდებულ, ფარულ სივრცეებს, მუსიკას, სახვით ხელოვნებას, პოეზიას. „უცნობი ლამპარის ანთების“ გაშლილი მეტაფორა გულისხმობს — კულტურის ჯერ უცნობ ფენომენებთან ზიარებას, „პირველი ნაკითხვის/ნახვის ბედნიერებას“. სახვითი ხელოვნების შედევრების და მათი შემქმნელი მხატვრების ბიოგრაფიების გაცნობა ხორციელდება, კერძოდ, ილუსტრირებული გამოცემების მეშვეობით (რომლის ერთი მაგალითიც არის ჟურნალი „Старые годы“). ახალგაზრდობის ეს ბედნიერი დრო დიდი ხანია დასრულდა: „გათავდა, განელდა, გაჩუმდა ზღაპარი! ოცნება!“ (რაც არსებითად გამოძახილია რუსთველური ფრაზის „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“). ნოსტალგიურ მოგონებებს მინდობილი პოეტი ოცნებობს, რომ ისევ განმეორდეს იმ გარდასულ დღეთა ნეტარი განცდა, ხელოვნებასთან მიახლოების, შემო-

ქმედებითი სისავსის, იდუმალი სილამაზის წინაშე თრთოლვის ამაღლებული განწყობა.



#### დამონებანი:

1. დარბაისელი 2010: “სამი ლექსი არტიტული ყვავილებიდან. 2. ვულისა და ვიოლეს შესახებ”. კრ. გალაკტიონოლოგია, V; თბილისი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2010.
2. დოიაშვილი 2003: დოიაშვილი თ. „არტიტული ყვავილების პროლოგი“. გალაკტიონოლოგია, II. თბილისი: 2003.
3. დოიაშვილი 2019ა: დოიაშვილი თ. „არტიტული ყვავილები - 100“. გალაკტიონოლოგია, VIII. თბილისი: 2019.
4. დოიაშვილი 2019ბ: დოიაშვილი თ. “ვარდი ნანვიმარ სილაში“. გალაკტიონოლოგია, VIII. თბილისი: 2019.
5. ტაბიძე 2016ა: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. II. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტე, 2016
6. ტაბიძე 2016ბ: ტაბიძე გ. თხზულებანი თხუთმეტ ტომად. ტ. III. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტე, 2016
7. «Старые годы» — «ежемесячник для любителей искусства и старины». / Старые годы : хронологическая роспись содержания. 1907-1916 / сост. Ф. М. Лурье.— Санкт-Петербург : Коло, 2007.— 208 с. : ил.

**მაცვალა გერმანოზაშვილი**

ესეც ხვედრია უფლისაგან დაწესებული „ათი დედ-მამიშვილიდან ერთი სახელის გარეშე, ყველას სანაცვლო გამხდარა. მონაზვნის კაბა ჩაუცვამს, განმარტოვებულა, ლოცვა-ვედრებაში გაფერმკრთალეულა. სამი სახელის ტვირთი თავის მხრებზე უტვირთავს. „-აბა, რა უნდა ექნა?!“ არსებითს მძიმე ჯვარი აქვს სატარებელი. მან ხომ ყველა არსებულის აღნიშვნა-აღწერა დაივიწყა?! „ზედსართავს-მით უმეტეს! არსებითის ავკარგის განკითხვა დაიკისრა, მამხილებლის როლი შეითავსა, სამყაროს ფერადოვნება რომ არეკლოს. შემოქმედის ტვირთი აიღოს თავის თავზე. “მძიმეა, მეტად მძიმე...“ რიცხვით სახელს ხომ სასწორის სიზუსტით უფლისაგან ქმნილ სამყაროში ყველაფრის დათვლა, ყველას თავისი წესისა და რიგის კანონთა კოდექსის დაწერა დაუკისრებია საკუთარი თავისთვის.“ სამ დედმამიშვილ სახელს: არსებითს, ზედსართავსა და რიცხვითს ყოველგვარი ანგარებისა და განდიდების გარეშე შენაცვლებია, მათი ჭირის სანაცვლო გამხდარა ძმებისათვის თავდადებული და- ნაცვალსახელი. “მუდამ მათზე ლოცულობს. ღმერთს ავედრებს ძმებს სიტყვის ძალა არ მოაკლოს. ოღონდ ისინი უმყოფოს კარგად, ოღონდ მათი სიტყვის ძალამ ადამიანებს შორის კეთილგანწყობა დაამყაროს, არ დაეძებს, უშურველად სწირავს თავს მათ სანაცვლოდ. „ნაცვალსახელი-მონაზვნის შავი კაბითა და მანდილით მოსილი თავის სახელს მალავს. სამაგიეროდ, ძმების სამსახურში ჩამდგარა, მათი სიცოცხლის სანაცვლოდ სამსხვერპლოზე დაუდგია თავი. „გულში ძმების ლოცვა უტრიალებს;“ -გენაცვალთ თქვენი ერთადერთი და! ოღონდ თქვენ იყავით კარგად და დაუდგრომელ ზმნას თქვენ მაგივრად შეევიხიდე. არ შეგარცხვენთ! გენაცვალეთ, ძმებო! თქვენ ჩემზე არც იფიქროთ და არც ინაღვლოთ! ოღონდ თქვენ იყავით... ოღონდ თქვენ მეყოლეთ!“ -ღმერთო! შეისმინე ჩემი ვედრება!“ დაუოკებელ, დაუმორჩილებელ, დაუზარელ ზმნას ხილულსა და უხილავს შორის მგზავრობა დაუსახავს მიზნად. თუ გაჩერდება, თავს ინვრთნის გენიოსი რუსთველის სიტყვებით: „დგომა ცდომია მგზავრისა, კარგსა იქმს, თავსა აწვრთიდესა“ მიდის, მოდის, მირბის, მიჰქრის, მიფრინავს ხილულ სამყაროში. ფიქრობს, ლოცულობს, უყვარს, უხილავს, დაუსაზღვრელ სივრცეში. „ზმნის გარშემო ტრიალებს სიტყვათა კორიანტელი. კორიანტელი, სანამ ზმნას მიუახლოვდებიან სხვა დანარჩენი. მასთან მიახლება და ქაოსის წესრიგად გადაქცევა ერთია.“ სახელებს ფორმას მისცემს, პასუხისმგებლობის ხარისხის მიხედვით პირებად შეითავსებს. გაბმულ მეტყველებაში წინადადებად ჩამოაყალიბებს და აზრიც სწორედ მაშინ გაჩნდება. „თავად შე-მასმენ-ელ-ი, სხვებს სულიერ მოძღვრად მოეგლინება და მასთან ყველაზე ახლოს მყოფს- ქვე-მდებარეს, ყველაზე გამგებს, თავის ჩანაფიქრს შეასრულებინებს. „ქვე-მდებარე-თავმდაბალი, მაგრამ მთავარი მოქმედი გმირია ზმნისაგან დამოძღვრილი. “თავმდაბალი- ტყუილად არ შევარქვით ეს სახელი. თავის მოქმედ სულს სხვასაც გადასდებს და მათაც მთავარ გმირებად წარმოგვიდგენს. „ესენი გახლავთ პირდაპირი და ირიბი დამატება. „-რატომ?“ ქვემდებარე



ვისზე ან რაზე უნდა იმოქმედოს?! თუ არა პირდაპირ დამატებაზე! „მხატვარს რომ დახატვა მოუნდეს, რა უნდა დახატოს?“ ქვემდებარე თავმდაბალი და სულმბალი სუბიექტია. რასაც აკეთებს, ყოველთვის თავისთვის კი არ აკეთებს. მისი ქმედება ქველმოქმედებითია. ხან სხვასაც უხატავს. ვისაც უხატავს, ის არის შემწირველი. „-“ ქვეყნად ერთი ადამიანი რომ ყოფილიყო, არც მადლი იქნებოდა, არც მადლის შემწირველი. ორი მაინც უნდა იყოს, რომ ერთმა გაიღოს და მეორემ შეინიროს. „ბრძანებდა ბრძენთა ბრძენი ილია. „ქვემდებარე სწორედ ის დიდბუნებოვანი ვინმეა, რომელიც ყოველთვის გასცემს. „ღმერთს, თავად სიტყვას და თავად სიყვარულს, ისე გაურიგებია, რომ ერთს რომ გაეცა, მეორეს უნდა შეენიროს. თუ არა და, მადლი აღარ იმადლებდა. „ასე რომ, ირიბ დამატებას შემწირველის როლი შეუთავსებია, რომ მადლი მიიღოს, მადლმოსილი წევრი გამხდარა. „ქვემდებარისაგან გამოსული მადლი რომ არა, ირიბი დამატება რას მიიღებდა?! „პირდაპირი დამატება ის მადლია, რომელიც ყველას იმადლიერებს; განრისხებულს დააცხრობს, უნუგემოს იმედს მისცემს. „წინადადების მთავარ წევრებშიც კი იერარქიაა ღვთისაგან დაწესებული. „ზმნა-შემასმენელია, სულია, გულია, მოძღვრავს ქვემდებარეს. ზმნით შეგულიანებული მოქმედი სული-სუბიექტი დიდსულოვნებას იჩენს და სამყაროში ჩნდება ალებ-მიცემობა, განირვა და შეწირვა. „განწირველისა და შემწირველის ქმედებას თავისი სახელები შერქმევია. ამას კი საოცრად ორიგინალურად ასრულებს სახელ-ზმნა. მართალია, უპიროა, მაგრამ პირიანის ქმედების გამოხატველია; ხატვა, სწავლა, კითხვა.. „პირიანის ნამოქმედარსაც ისევ სახელზმნა გვამცნობს; დახატული, ნასწავლი, დაწერილი, წაკითხული... „ერთი სანყისია, ხოლო მეორე- მიმლეობა. ერთი არსებითს დასძმობილებია, მეორე კი-ზედსართავს. „ორივე სიტყვა ერთ უღელში შებმულან და ორმაგი ტვირთი კეთილსინდისიერად უტარებიათ. „მთავარი და მამოძრავებელი ისე ვერ წარმოჩინდებიან, თუ მათ სამოქმედო არეალი, სივრცე არ ექნათ. „ეს მისია კი ზმნიზედას, მართალია, უცვლელ მეტყველების ნაწილს

შეუთავსებია, რომელიც ზმნასთან, დაუდგრომელ სიტყვასთან გაქვეავებულა, მაგრამ მაინც ზმნიზედის როლი უკისრია. „ზმნას საზღვრულობის გარღვევა უყვარს, ზმნიზედას კი მისი მოქმედების არეალი შემოუსაზღვრავს, აზრი მიუცია საიდან სადამდე, როდის, რისთვის, რატომ, რა ვითარებაში შეუძლია მოქმედება. “ შეიძლება ზმნას ეს კითხვები კიდევ აღიზიანებდეს, მაგრამ კანონმორჩილი მოქალაქე რისი მოქალაქეა, თუ სამყაროს გაგებისაგან დაწესებულ კანონს არ დაემორჩილა?!“ ჰო, და, ზმნა, ანუ შემასმენელი არნახულ მონესრიგებულობას იჩენს და ამ ნესრიგს თავადვე განაგებს. “სრულმნიშვნელოვან, სრულქმნილ გმირებს არასრულმნიშვნელოვანი, ანუ დამხმარე წევრებიც ეხმარებიან სრულფასოვნების მიღწევაში. “არასრულმნიშვნელოვანი, არასრულფასოვანი კი არიან, მაგრამ სრულფასოვნებისკენ მისწრაფებულნი. “ესეც ხვედრია უფლისაგან დაწესებული! “-რას ვიზამთ?! ბევრი ცდილობს მიაღწიოს უმაღლეს ხარისხს, კიბის უმაღლეს საფეხურს, მაგრამ “მრავალნი არიან წვეულნი და მცირედნი რჩეულნი!“ - დანარჩენ ოთხ დამხმარე ნაწილს წვეულთა ბედი ხვდა წლად. ისინი საყვედურს არც გამოხატავენ, უფლის საწინააღმდეგოდ არა წამოსცდებათ-რა. “დროდადრო გმინვა აღმოხდება ხოლმე შორისდებულს, გულსა და გონებას შორის მყოფს, გმინვა, ოხვრა სინანულისა, რჩეულთა შორის ყოფნის სურვილისა, მაგრამ დაფიქრდება თუ არა, კანონმორჩილი, მუხლებზე დაჩოქილი, ზეცად ხელაღკერობილი ადიდება უფალს გულიდან ამოსული დიდი გრძობით; “-ოსანა! ოსანა! ოსანა! დიდება უფალს, მადლობა უფალს! მადლობა უფალს, ჩვენს გამჩენს! “-ალილუია! ალილუია! ალილუია!“ -უფალო, შეგვიწყალებ! უფალო შეგვიწყალებ! უფალო შეგვიწყალებ! ამინ!“

## მანანა პრაჭული

### ლერნამთა შორის

ლერნამთა შორის თვალთა ზურმუხტებს სათნო იათმზის და გურანდუხტის, თვინიერ შენდა, უფალო, ჩვენო, სიცოცხლე რაა, ჩირად არ უღირთ... და ენამებათ თვალთა ფიჭვები ცოქალს, ბორენას, სოფიოს, ხვაშაკს, გულის და ხელის მთხოვნელთა შორის, კაცთა თვალეში იესო არ ჩანს.

### ჩვიდმეტი ნოემბერი

მზე - ცეცხლისფერი ღრიანკალი ცურავს ლილისფერ აბრეშუმზე. თვრება ნეკერჩხლის არღავანი ხმოვანთა სული შარიშურზე. შინდის კარმინი ჩამომწვარა, ხუნდება გუნდა-ლახუსტაკი,

ლურჯი ჩიტები ჩამომსხდარან, ასდით სურნელი ფალუსტაკის. ცის უბე ჩახსნა ღრიანკალმა, მხილველი ნახავ, დამუნჯდები, ღმერთო, ზღაპრული ქვესკნელიდან, ზეცას დაუბრუნე ფასკუფები.

### ნიკო სამადაშვილს

მოაკლდა სიტყვას სინათლის გემო, სამშობლოს გემო მოაკლდა სიტყვას, თვალდაღლი ყოფა, რომ ახმობს მდელოს, ორენა მათრახს სიფათში მირტყამს. „ლექსებს გვაჭრიან ტანზე დუქარდით,,“ სისხლის ვარდები ობლად ცვივიან, ჩვენ, პოეტები, როდი ვუყვარდით არაშვილს, უნასს, მაცილს ცილიანს. დაგვშაღეს, ისე დაგვანაფოტეს, ქრისტეს არ ვგავართ ქრისტიანები, ღამეა, მთვარეს სიცხე აბოდებს, გზებს მილუპავენ ქარტილები. ტაძრებზე ისე აჭრის ოსტატი ვაზის მტევანს და ტურფა ვარდულებს, მაგრამ აღარც ერთს არა აქვს ფასი უდაბნოს მტვერში გადაკარგულებს. დაგვტრიალებენ ყარანგოზები, დღე გვეწურება, ძმაო, საბრინჯე, მადლი მატლად გვაქვს გადაქცეული, სიცრუის ღმერთი გულზე გვაბიჯებს. „ლექსებს გვაჭრიან ტანზე დუქარდით,,“ სისხლის ვარდები მტვერში ცვივიან, და კიდევ კარგი რომ არ ვუყვარვართ არაშვილს, უნასს, ეშმაკს ცილიანს.

### მაჯუნო, ჩვენო!

შენი თვალეების შეირვეს ლილას და ლურჯს დაიკრავს ქარი თებერვლის, შვიდი საღამო და შვიდი დილა ზურმუხტს და ბივრილს ცრემლში გამიცრის. დაენამება წამნამთა ჩერო, სარკეს გასცდება ლანდი ლეილის, დამეკარგები, მაჯუნო, ჩემო, ნახვალ და იმ ძველ წიგნში შეივლი.

### გუშინ იყო ზამთარი

ამურღვებულ ყოფაში, როგორც ამორძალები, ისე მოგონებათა მიმოქრიან ქარები. გაუკენკავთ ვარსკვლავებს მთვარე - მნიფე მტევანი, ყველა უსასრულობა და სულთა უთევანი. ნათლია და იმედი ალბათ, მეცა მყოლია, მაგრამ მახსოვს მარტამდე მარტო როგორ მივედი. ვიყავ მიტოვებული ცას, რომელიც ლურჯია, დედაჩემი მეგონა სევდა უკურნებელი. განა უკურთხებელი სიტყვა შემინახია?!

რაც მზემ შემომაცხოვრა, მინამ შემომახია.  
 ხრიან მალალ ჩინარებს ნერვიული ქარები,  
 დაუღვრელი ცრემლები გლოვის ნახევარია,  
 და, იტკიებს ბილიკებს, გველწითელით მოფენილს,  
 სიმწრით აყმუფლებული, ცოდვის წუთისოფელი.  
 წიგნი მესხი მელექსის საგზლად არ მომწყენია,  
 „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!“,  
 ველარ მკვეთრობს, ილევა „განთიადის“, სინათლე,  
 სისხლად დასდის მთის არწივს ყვავთ ნაკორტნი  
 სიმართლე.

თავი ჩვენი ჩვენადვე პატრონად არ გვყოლია,  
 შვიდთა მზეთა ტკივილი დღემდე გამოგვყოლია.  
 კრთება თოვლის თითებზე იისფერი არილი,  
 აღზევნიდან ვერ მომაქვს სახარავენე მარილი.  
 ჩამოვიდა სოფელი, მოცლით ჩაჯდა ქალაქში,  
 არტისტული ყვავილი ღელავს თავის ქალამი.  
 აღარც ფიქრი მტკვრის პირას, არც კალმახი იორში,  
 მკვდარი ყარამფილები და ცრემლები რიოში.  
 ნათქვამიც და უთქმელიც ნაღველს დაუღარია,  
 „წევხარ ცივ სამარეში და არც სულ უხარია.“  
 უკვე დასაზღვრულია და წლებს აღარ დავითვლი,  
 გული რჩება სამშობლოს, ზეცა მეძებს თავისთვის,  
 უამი ქართა მთავრობის, ვიცი, ნაზავთარია,  
 გუშინ იყო ზამთარი, დღეს კი ნაზამთრალია.

**პარალაქსი**

მალალი მთები, მალალი ციხე,  
 ცას დაკიდული ჯავრის ჯაჭვებით,  
 დევის ტბასა და მის მამამძუძეს  
 მთვარე უჭირავთ ლერწმის მაჯებით.  
 სიზმრის სანოლში, მძინარე ძილთან,  
 პირბადიანი სხედან ქაჯები,  
 „პატიოსანი“ ბუღალტერიით,  
 წყდება გადახრილ წელთა ხარჯები.  
 მე ქარი მიზის ახლა პირისპირ,  
 უმძრახი სიზმრის მირითმავს ფინალს,  
 გამაბრუებელ ალუბლის ყვავილს,  
 როგორ აახვევს სიმწიფის სპირალს,  
 ჭრელა-ჭრულაზე ნკვეარამის ძურნა,  
 ჭინჭრის ჯიბეში მარხვის დღეები  
 ამოიმღერა, ცრემლად დაღვარა

მზისთან ორსული ორქიდეები.  
 რა სურნელება სდიოდა ნაზუქს,  
 ბედნიერი რომ შლიდა ორომზე,  
 ახლა უმწეო მზის ემპრიონი  
 წუხს ჩვენი დროის სოდომ-გორომზე.  
 უამი ასკილის ყვავილობისა,  
 ფშატის ყვავილის რბილი მოჭერი,  
 გადარღვეული იელის ლობეს  
 მობლავის როგორც ბინდის მოზღვერი.

**სიმღერა**

მკლავდე უკმართ და არა მკმართ,  
 ხან სიცოცხლევ და ხანაც სიკვდილო,  
 ამალღებულო ცავ, ივლისისა,  
 ხან მზისფერო და ხან ფერმიხდილო.



მამყოფე, ძარღვებს მიკორტნის ვიდრე,  
 ჯაჭოთვალემა ლექსი - მიმინო,  
 ბევრი გითხრა და ბევრი ვერ გითხრა,  
 ბევრი ცრემლებად დამაღვრევიწო.  
 ასე უხანო ენძელის მამავ,  
 როგორ გამრიე ცხოვრების შარში,  
 მიუნვდომელო შემოქმედებავე,  
 კერეონებად მტირალო ქარში.

**ღმერთო!**

ვერ ვიზამ, ჩემში მოვკლა წარმართი,  
 მთვარე საესე და მთვარე ნამგალა,  
 ეს ვარსკვლავები და ცის აღმართი,  
 აქ არის, ღმერთო, არსად გამქრალა.  
 ქრისტემდე დაჭრილ ირმის ბლავილზე  
 ნაღვარევს ცერზე ვდგავარ შუმერი  
 და, ნირუცვლელი სალოცავისთვის  
 ქრისტიანივით მიმაქვს ქუმელი.  
 ძალკეთილია ჩემი კოპალე,  
 ჩემი კვირია და იახსარი,  
 ძველი ღმერთები რომ არ მიყვარდეს,  
 ახლის ტრფობისთვის რაა სახსარი?!  
 თეთრი ნასარი, ღვთისმშობლის თმაში,  
 ქრისტემ სინათლის ვარდად გაშალა,  
 შენი სახელით მიყვარდა კერპიც,  
 შენი სახელით ვკეცე გზა-მარა.  
 ნუ მიმცემ კაცთა მრუდე სამართალს,  
 კაცთა ნებას და მკრთალ აპათიებს,  
 მე წარმართი და მე ქრისტიანი,  
 შენ დამბადე და შენ მიპატიე!

## სანდრო ნეპიერიჩი

## თვალეზი

„თვალეზი“ დრო და სივრცეში გაჭედული მოთხრობაა. ხშირად მე თვითონაც დავფიქრებულვარ იმაზე, თუ როდის, სად და როგორ ხდება მოქმედება და ვერ მივხვდავარვარ; ალბათ იმიტომ, რომ მთელი მოთხრობა ჩემთვის უცნობი ქვეცნობიერი იმპულსის მოქმედების ქვეშ მყოფმა დავწერე. ამ ჩანახატში დროის ზუსტი ხაზი და ათვლის ნერტილი, როგორც თქვენ მიხვდებით, არ არსებობს. რეალურად, არც სიუჟეტი არსებობს, განვითარებით, კვანძის შეკვრით და მისივე გახსნით, არ გვაქვს სასიყვარულო დრამა, ცრემლისმომგვრელი საყოფაცხოვრებო ტრაგედია, არანაირი ეპიკური მოგზაურობა ან ირონიით გაჟღერებული კომედია. მხოლოდ მსურდა, რამდენიმე საინტერესო სცენა მეჩვენებინა თქვენთვის. იქნებ არც არაფრის კონკრეტულის თქმას არ ვცდილობ - არაა საჭირო ყველაფერში ღრმა და მაღალი მატერიებით დატვირთული აზრი იდოს. ამაზე საფიქრალს თქვენვე დაგიტოვებთ - მკითხველს და მაცურებელს. იმედი მაქვს, კარგად დაინახავთ!

1.

ბიჭი.

გარშემო სიბნელეა.

მანც ყველაფერი ჩანს.

არა იმიტომ, რომ საიდანაც შუქი გამოციალებს. არა.

ჩანს უბრალოდ.

არა იმიტომ, რომ ბიჭი ანათებს თვითონ. არა.

უბრალოდ ჩანს.

ბიჭი.

2.

ნამი ადამიანთა საზომია. თუ ასე შეხედავ, ერთი ნამი იმდენად უმნიშვნელო არსებაა, შეგიძლია გადააფურთხო და დაივიწყო. ხალხი ნუთებში იბადება და არა ნამებში. ადამიანი წლობით იზრდება და არა ნამობით. კაცი საათობით სწავლობს, და არა ნამობით.

სამაგიეროდ, მეორენაირად თუ შეხედავ, ნამი ბევრად უფრო მეტ სუბნამად შეიძლება დაყო. ამ სუბნამებს კი ზოგჯერ იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვერ გადააფურთხებ და ვერც დაივიწყებ. ხალხი ნამებში კვდება და არა ნუთებში. ადამიანს ნამებში უყვარდება და არა დღეებში. ადამიანი ნამებში ფიქრობს და არა ნუთებში. ეს სუბნამები უხილავ ენერგიაში მოძრაობენ, დაყილობენ, ნელდებიან, ჩქარდებიან და მარტივ, უაზრო ადამიანებს ნერვების მოშლასთან ერთად, თავგზას უბნევენ. თუმცა ჩვენ, მხედველები, ამ სუბნამებს ჩვენთვის ვიყენებთ. ველოდებით იმ მაგიურ სუბნამს (ანდა სუბსივრცეს, როგორც გინდათ, დაუძახეთ), როდესაც სუბნამი



ბლანტი ესენციაში ეხვევა და ნელდება; მერე კი ყველაფერი მკაფიო და კმაყოფილებით აღსავსე ხდება. მატერია ირინდება, რალაცას ელოდება თითქოს, სიჩუმე და გამყინავი სტატიკა ისადგურებს, მხოლოდ სიჩუმის ნუილი ჩაგვესმის სმენის ძირში. რას ვაკეთებთ ამ სუბნამებით? ადვილია. ... ვუყურებთ და ვაკვირდებით.

3.

ტრანსი?

ცოტა რთული სათქმელია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ სრულ სიბნელეში გახელილი თვალეზით ყურებაც დაახლოებით იმავე ეფექტს გვაძლევს, თავისუფლად შეგვიძლია, ბიჭის მდგომარეობასაც ტრანსი ვუნწოდოთ.

შავ, სიბნელით გავსებულ სივრცეში ბიჭი ტივტივებს. ბევრი არაფერია, მხოლოდ ის და ბნელი სივრცე არღვევენ მუქი ქაოსის მყუდროებას. და დრო კიდევ; რომელიც, არავინ იცის, არსებობს თუ არა საერთოდ. სუბნამები, რომლებშიც იმდენად ბევრი რამ ხდება, ჩვენ, მხედველებსაც კი გვიჭირს სრულად აღქმა. აი, მაგალითად ამ სუბნამში ბიჭის ურჩი, შავი თმა უამრავჯერ შეირხა. ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანის მზერისგან შეუმჩნეველი, მუდამ მოუსვენარი, ბიჭის თვალის ნერვი ასჯერ მანც გატოკდა. ოო.. და გონება... ბიჭი ხომ ტრანსშია; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის ძალიან ბევრ რამეს ხედავს. იმდენად ბევრს და იმდენად მკაფიოს, ჩვენ, მხედველებსაც კი გვეჭვავება, რომელია ნამდვილი სამყარო - ბლანტი, თბილი სიბნელით და ბიჭის ესენციით ავსებული სუბნამები თუ ფერადი, და მანც... უფერული, მარტივი ნივთიერებათა სივრცე.

4.

ბიჭი ქუჩაში მიდის. გარშემო ყველაფერი მოძრაობს, ირხევა, ყვირის, ტირის, ლაპარაკობს, დგას, ზის, მირბის, ანდა სულაც, დუმს.

ბიჭიც დუმს. იცის, ტყუილად ბგერების დახარჯვა და პირის ტრიალი არ ღირს. სათქმელიც არაფერი

აქვს უფერული, ფერადი სამყაროსთვის. ჩუმი ნაბიჯით მიდის ქუჩის აურზაურში. ხელები ჯიბეში ჩაუნყვია, ურჩი, შავი თმა ყალყზე უდგას. არაფერს არ უყურებს ცხვირზე ჩამოცურებული სათვალის მიღმა, მაგრამ, ვინმემ რომ დააკვირვებოდა შეხედოს, მიხვდება, რომ ყველაფერს ხედავს და აკონტროლებს. მაგრამ, ასე არავინ იქცევა; ისინი მოძრაობენ, ირხევიან, ყვირიან, ტირიან, ლაპარაკობენ, დგანან, სხედან, მირბიან. დუმით მხოლოდ ასფალტი, შენობები და ხეები დუმან. და ბიჭი კიდეც.

იღბლის პორტალი იხსნება. სუბნამები ნელდებიან რომელიღაც მაგიური კვინტესენციის გავლენით; იქამდე ნელდებიან, სანამ არ წყვეტენ მოძრაობას, რხევას, ყვირილს, ტირილს, ლაპარაკს. და ჩვენ, მხედველსაც, საშუალება გვძლევს, მშვიდად დავინახოთ ყველაფერი.

ბიჭის თვალები, სულ ბოლო წამს, სანამ სუბნამები დადუმდებიან, ჩვენი, მხედველის მზერას უსწორდება. ზუსტად ჩვენ გვიყურებს ორი უდრეკი სფერო. თეთრ სკლერას ბზარებივით მიუყვება წვრილი სისხლძარღვი, რომელიც ყავისფერი ირისის ტევრში იკარგება. ცენტრში კი, იქ, სადაც დგას და შთება ყველაფერი, შავი ხვრელი ტრიალებს მარად. ამ შავ ხვრელში თუ ჩაიხედავ, შეიძლება ის ბნელი, ბლანტი სივრცეც დაინახო, სადაც ბიჭის ესენცია რითმულად მიჰყვება ხვრელის ბრუნვას.

მორჩა. ჩუმდება ყველაფერი, მხოლოდ სუბნამები დადიან, მაგრამ ნელა, დაუდევრად, ეჯახებიან ერთმანეთს და გაუთვალისწინებელ ვიბრაციებს გამოსცემენ მატერიის ქსოვილზე.

## 5.

ბიჭის გულისცემა ისმის მხოლოდ. არა, ასე სწრაფადაც არა; არაფერი აქვს სანერვიულო ან ასალეღვებელი, რომ სუბნამში ერთი გულისცემა ეტეოდეს ბიჭს. ამ მოკლე, მოძრავ მომენტში მხოლოდ ღრმა, დიადი ინფრაბგერა ისმის; რომელიღაც უშველებელ კონტრასტზე აღებულ ნოტს წააგავს, რომელიც დიდხანს, დიდხანს ირხევა და მკერდში ჩუმ, ყოვლისმომცველ, დაბალ გუგუნს ტოვებს. შემდეგ სუბნამებში ის მიძიმე დარტყმად გარდაიქმნება და დიდ დაფდაფზე ასხლეტილ ჩაქუჩებს ემგვანება; თუ კარგად მოვუსმენთ (რაც ჩვენ გადასარევედ გამოგვდის), სისხლის თბილ, მოგუდულ ჭყაპუნსაც გავიგონებთ. გავიგონებთ, როგორ ეხლება სისხლი ფართო ძარღვების კედლებს და ერთ გუნდად შეკრული, როგორ იშლება პატარა ნაწილებად, რომ მერე, ათეულობით სუბნამის შემდეგ, კიდევ გაერთიანდეს და მერე, კიდევ დაიშალოს იმისთვის, რომ კიდევ გაერთიანდეს. მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. ახლა კი მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ რომ ბიჭი სუნთქავს. მშვიდად, წყნარად სუნთქავს. ჰაერის დინჯე მოძრაობასთან ერთად მკერდიც ნელა აუდ-ჩაუდის. სუსტად, ძლივსგასაგონად სტვენს ამოსუნთქული ჰაერი; ჩუმი, თითქმის გაურჩეველი,

მშვიდი ქოშინის, სუნთქვის ხმა ისმის სივრცეში.. სუნთქავს ბიჭი. სუნთქავს და ცოცხალია.. თბილი სისხლი წყნარად ეხლება კედლებს, ბნელ, წვრილ გვირბებზე იტოტება, ქრება, მერე ისევ ჩნდება და ისევ ეალერსება კედლებს; ისევ ქრება, ისევ ჩნდება, ისევ გუგუნებს და ღრმა, მყუდრო რეზონანსს გრძნობს ბიჭის მკერდი. ბიჭი კი სუნთქავს...

სამწუხაროდ, დიად მატერიას არ დაუნესებია ხანგრძლივი შეფერხება დროის მიმდინარეობაში. დაბნეული, ნელა მოფორხილავ სუბნამები ნელ-ნელა აღდგებიან; დროც ნორმალურად გააგრძელებს დინებას, იღბლის პორტალიც დაინშობა რამდენიმე ხნით და ჩვენ, მხედველებს უსიზმრო, დროის გარეთ გარიყულ სიზმრებს მივეცემით ბლანტი სიბნელეში, რადგან აზრი აღარ ექნება სწრაფი, უფერული და ყიჟინა სამყაროს დაკვირვებას.

ბიჭი მინისქვეშა გადასასვლელს უახლოვდება. აქ ბევრი ადამიანი ტრიალებს... გრილი, გრუხუნა მეტროდან ამოღწეული ხალხის გროვა, რომელიც სხვადასხვა ინგრედიენტისგან დამზადებულ ორგანულ არსებებს შეიცავს. აქ ყველა ორგანიზმი დამოუკიდებელი და ამასთანავე, ერთმანეთზე საშინლად დამოკიდებულია; ეს უზარმაზარი მასა ჯურღმულიდან მინის ზედაპირზე ამოდის, არიან ისეთებიც, ვინც ჩასვლას ცდილობს, ყველა ერთმანეთს შუა ეკვებება, მუჯღუგუნები, აზელილი საუბრები, ასობით დაღლილი ფეხის ჩლახუნის ხმა, ასობით სახე, იქვე ჩაქროლილი ასობით ავტომობილი, ავტობუსი, დროდადრო ფეხებქვეშ ჩაგრუხუნებული მეტროს ზანზარი, შეუმჩნეველ ქარში ხეების მდუმარე შრიალი და კიდევ ბევრი სხვა რამ, რასაც ბიჭი უყურებს და უსმენს. ხედავს რომელიღაც უნივერსიტეტიდან დაბრუნებულ, უაზრო გამომეტყველების მქონე აწონილ ბიჭს, ნახევრად გაპარსული წვერითა და დაღეჭილი, მხარზე მოურიდებლად გადაგებული ჩანთით; ხედავს ზონზროხა, ორმოცდაათს გადაცილებულ სქელ ქალს, იმდენად მზემოკიდებულს, თეთრკანიანსაც რომ ველარ დაარქმევ უკვე; ქალს უშველებელი, ბაზრობაზე ნაყიდი ნაჭრის პარკები უჭირავს ორივე ხელში და ცდილობს, გზა თავისი უზარმაზარი ტანით ყინულმჭრელივით გაკვალოს, მაგრამ არ გამოსდის, რადგან წინ მაღალი, გამხდარი და ძალზე გამომწვევად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი ეღობება; ამ უკანასკნელს მზის სათვალეები დაუკოსებია ცხვირზე, გასწორებული თმები მხრებზე გადმოუგდია და მობილურში გამწარებული მესიჯობს, სავარაუდოდ, საუკეთესო დაქალთან. ხედავს ორ პატარა ბიჭს, რომლებიც სპორტულ, ოდნავ გაჭუჭყიანებულ ტანსაცმელში გამოწყობილები, მეტროდან ამოსვლას ცდილობენ, მაგრამ არ გამოსდით; ერთ-ერთს კარგად გაბერილი, მაგრამ ცუდად შენახული ფეხბურთის ბურთი უჭირავს და წამდაუნუმ უვარდება ხელიდან, რის გამოც ხშირად ნაკუზვა და უკანალის მიშვერა უწევს ძალზე უკმაყოფილო გამომეტყველების მქონე მოხუცი ქალბატონისკენ.

ეს ქალი აშკარად მორალური აფეთქების ზღვარზეა, მაგრამ დამანგრეველი შენიშვნისგან თავს იკავებს და მხოლოდ მსუბუქი, შეურაცხყოფილი ბიძგით კმაყოფილდება.

სხვა დროს ბიჭი ნაბიჯს შეანელებდა და სათვალის მიღმიდან უფრო გულდასმით დაათვალიერებდა ბრბოს, მაგრამ ახლა მას ეს არ აინტერესებს. მის ყურადღებას სხვა ვინმე იპყრობს.

... გადასასვლელთან, ხალხის მასისგან ოდნავ მოშორებით, მოხუცი ბაბუა ზის.

კალთაში აკორდეონი უდევს, თავზე ძველი, საბჭოთა კავშირის დროს გამოშვებული ქუდი ახურავს და ცხვირსახოცით მშვიდად ინმენდს ოფლს.

მორიდებულად მოკეცილ ფეხებთან აკორდეონის გახსნილი ფუტლიარი ისვენებს, მასში რამდენიმე ხურდა აგდია, რომლებიც მზის მიძიმე სხივებს ისხლეტენ და ხალხს აჭყიტავენ თვალებში.

ბიჭი დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას. სიარულს წყვეტს, მოშორებით დგება, ცალ ფეხს ეყრდნობა და დაკვირვებას აგრძელებს. სწორედ ამ დროს, ბედის კარნახით, მოხუცი მისკენ იხედება. შემთხვევით თუ გამიზნულად? ო, ეს ჩვენც, მხედავებმაც არ ვიცით; საერთოდაც, ჩვენ ახლა გვძინავს, არ ვუყურებთ და არ ვხედავთ, არ გვესმის. ჩვენ კი არა, დიადმა მატერიალამაც არ იცის.

..ბაბუა დადლილად იმზირება. ალაგ-ალაგ გათეთრებულ წვერში მოკუმული, გაბუსხული ტუჩები კრთება. ღრმად ჩამჯდარ, ღია ფერის თვალებში ცოტაოდენი სევდა და დაქანცულობა ჩანს; ჩანს ასევე პატარა, ერთოთახიანი ოთახი, რომელიც ახლო ნათესავებისგან იაფი ქირით აქვს ნაშოვნი მოხუცს; ჩანს მოუხერხებელი, ძველი, რკინის სანოლი ფანჯარასთან, დილას მოხუცის მშვიდ, მძინარე სახეზე გადმოსული მზის სხივები, მაგიდაზე ფაიფურის ფინჯანში დასხმული ჩაი, თიხის ხელნაკეთ ქოთანში ჩარგული ია და ხის ძველმოდური კარები.

ბაბუა ცხვირსახოცს ჯიბეში იღებს, აკორდეონის სამხრეში ხელს ჰყოფს და ფრთხილად ეხება კლავიშს. უეცრად იწყებს დაკვრას, ყველანაირი მომზადების გარეშე. მაშინვე ეცვლება სახე.. აღარ ხედავს ისიც ხალხს, აღარ ხედავს ადამიანებს და აღარ ესმის ხმაური; ხედავს მხოლოდ ფერებს, იმ ფერებს, რომელიც ამ სამყაროს ჭარბად აქვს და მაინც, როგორღაც, არასდროს ჰყოფნის; ესმის ის ხმა, რაც მისთვის ესოდენ ძვირფასია, ხმა, რომელიც წუთით მაინც გადაფარავს უაზრო ხმაურს, გადაფარავს კაკაფონიას, გადაფარავს მოძრაობას, რხევას, ყვირილს, ტირილს, ლაპარაკს და დიდი ხნის მონატრებული შვილივით მიიღებს დუმილს...

ბიჭის ინტერესი ზღვარს აღწევს. ვინმე რომ უყურებდეს, ავადმყოფურ ცნობისმოყვარეობას შენიშნავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხედავს მხოლოდ ზოგთა ხვედრია; მხოლოდ ჩვენ, მხედავები ვიღვიძებთ და ჩვენს მზერას ვაპყრობთ ამ კადრს. ვხვდებით, რომ აქ სუბნამების გარეშედაც ღირს დაკვირვება.

ბაბუასთან მიდის ბიჭი, ფრთხილად უჯდება გვერდზე და თვალებს მალა ალაპყრობს. მოხუცი წელავს და კუმშავს აკორდეონს, მხოლოდ მუსიკის ბგერები ესმის და ხედავს, სხვა არც არაფერი სჭირდება ახლა, ის თავის, მყუდრო სამყაროშია ჩაკეტილი, სადაც არ არის ხმაური, ბევრი ხალხი, მხოლოდ მზის სხივები დილის ფანჯარაზე, ორთქლადენილი ჩაის ფინჯანი ფანჯრის რაფასთან და სანთლის ალზე განათებული ია...

..ის ისევე სწრაფად წყვეტს დაკვრას, როგორც დაიწყო. აკორდეონის გვერდზე მოთავსებულ ლილაკს აჭერს თითს და ჰაერის ჩუმი შიშინის თანხლებით კუმშავს ინტრუმენტს. ბიჭი თვალებში უყურებს მას. მოხუცი ჯერ დაბლა სწევს თავს, მერე კი ჯიქურ აცქერდება ბიჭს; გამომცდელი მზერით უყურებს, თითქოს ცდილობს, გაარკვიოს, რისი თქმა სურს მას, მაგრამ ბიჭის სახეზე არაფერი იკითხება; ყოველ შემთხვევაში ასე იქნება, სანამ ბიჭი მოისურვებს ამას.

ბოლოს ეს უკანასკნელი ნებდება.

– „გამარჯობა,“ კითხულობს ბაბუა მის თვალებში. შეცბუნდება.

– „გაგიმარჯოს, ბიჭო,“ ხედავს ბიჭი მოხუცის თვალებში.

რამდენიმე წამით ისევ სიჩუმე ისადგურებს მათ შორის. გარშემო ისევ მოძრაობს, ირხევა, ყვირის, ტირის, ლაპარაკობს ხალხი..

– „ძალიან კარგად უკრავთ,“ მოხუცი ბიჭის თვალებს უყურებს, მერე კი ილიმება და არაფერს ამბობს.

– „იცით, მეც მუსიკოსი ვარ, მეც ვუკრავ,“ ბიჭი აგრძელებს ფიქრს, „იცით, რომ დაგინახეთ, ვიფიქრე, რომ ამდენ ადამიანში მარტო თქვენთან ღირდა ჩამოჯდომა, აქამდეც დაგინახეთ, ოღონდ სხვაგან, მგონი აქ არ დამინახიხართ.. მგონი არც ამ დროს და არც ამ სივრცეში, უბრალოდ არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლა უნდა ჩამოვმჯდარიყავი და რაიმე მეთქვა თქვენთვის, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ მერე არ გავგიჟედ იმის გამო, რომ არ გამოგელაპარაკეთ..“ ბიჭი ჩუმდება, ისევ ზევით ალაპყრობს მზერას და თმას ცალი ხელით იჩეჩავს.

მოხუცის თვალებში გაკვირვება კრთება. ის იხრება, აკორდეონს ფუტლიარში დებს ფრთხილად და ბიჭს აცქერდება ისევ.

– „წუთუ?“ ხედავს ბიჭი. არა, აქ არც ირონიია, არც სარკაზმი, უბრალოდ გულწრფელი გაკვირვება და დადლილობა.

– „იცოც, ბიჭო,“ ფიქრობს მოხუცი და თითქმის ილიმება, „შენნაირები ბევრნი არ არიან; ხალხი მხოლოდ მინას ჩასცქერის, შენ კი მე დამინახე. ადამიანები ვერ მხედავენ, მათთვის მორიგი ბაბუა ვარ, რომელიც ცდილობს, პურისთვის სამყოფი ფული გამოიმუშავოს უხეირო დაკვრით. – ესეც რომ არა, – აქ მოხუცი ფართოდ ილიმება, ბევრი გაბედავდა და მომიჯდებოდა გვერდზე, ბიჭო?“...

ბიჭი არაფერს პასუხობს. ახლა მისი ჯერია გაილიმოს.

– „მინც რისი თქმა გინდოდა?“ ხედავს ბიჭი ბაბუის თვალბში.

ბიჭი ცბება. დუმს ისევ. მოხუცი ზის და ელოდება.

– „თქვენც ხედავთ?“ კითხულობს ბოლოს, დიდი ხნის მერე კითხულობს, ჩურჩულებს ბიჭი.

ბაბუა სველ, მწვანე თვალებს აპყრობს და დიდხანს, დიდხანს უყურებს.

– „კი, შვილო, ვხედავ მეც“... პასუხობს ბოლოს მოხუცი.. დაბალი, მელოდიური ხმით პასუხობს და ლოყაზე პატარა ცრემლის წვეთი უგორდება.

ბიჭი ხმაურს უგდებს ყურს. სათვალეების მიღმა ბობოქრობს ყავისფერი შტორმი...

ბოლოს კი მოწყვეტით შეირხევა და მოხუც, უცნობ ბაბუას გადაეხევა. ბაბუა მოულოდნელობისგან კრთება, მაგრამ მერე ეშვება და ბიჭს ზურგზე მოუთათუნებს დალილ, ნაჯაფარ ხელებს... ბიჭი გრძნობს, როგორ იღვრება მის გარშემო ძლივს-საგრძნობი ოფლის, ძველი ხავერდის, ნაფტალინის სუნი, რომელსაც გვერდით მოჰყვება იის, ორთქლადენილი ჩაის და დილაუთენია, ფანჯარაში გამოღწეული მზის სხივების სურნელი...

ბაბუ თავს დაბლა ხრის, ლოყაზე ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლები. ცრემლები ფუტილიარში ჩაკრულ ხავერდის სარჩულს ეწვეთება და ასველებს, მაგრამ მოხუცისთვის ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ბიჭი ნელ-ნელა წამოდგება, წამით ჩერდება და სიტყვის უთქმელად აგრძელებს გზას.

მოხუცი თვალებს ხუჭავს და ტირის.

და უცბად, ისევ ხედავს ბიჭის თვალებს. არა, ბიჭი წასულია უკვე, ეს მოლანდებაა, ანდა გამოცხადება..

– „მადლობა.“

– „რისთვის, ბიჭო?...“ გაოგნებული კითხულობს ბაბუა.

„იმისთვის, რომ ხედავთ...“ ამ სიტყვებზე ყავისფერი შტორმი მიიღევა, ბოლოს შავი ხვრელი რჩება მხოლოდ, რასაც მოხუცის ცრემლები ასველებს ისევ და აქრობს ბოლომდე.

ბაბუა დიდი, დიდი ხნის მერე ახელს თვალებს. როცა იხედება, ხედავს, რომ დასველებულ ფუტილიარზე დაჭმუჭნილი, ჯიბიდან ბლუჯად ამოღებული რამდენიმე ხუთლარიანი და კიდეც ოთხიოდე ხურდა აგდია...

მოხუცი ფიქრობს ცოტა ხნით, მერე კი თვალებს მალა ალაპყრობს და ფართოდ, ფართოდ იღიმება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ჰანო გელაშვილი

/თორელი/

ტყე შევუნასოთ შვილებსა...

1

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა მცენარეულობა მეოთხე დღეს შექმნა, ხოლო ადამიანი მეშვიდე დღეს და მას დააკისრა დედამიწისა და მისი სიმდიდრის პატრონობა და გონივრული გამოყენება.

ადამიანმა, რომელიც თავის თავს „ბუნების გვირგვინს“ უწოდებს, მნიშვნელოვნად შეამცირა ტყის რესურსები და შესამჩნევი ზიანი მიაყენა მის მდგომარეობას.

ბუნება მარტო ტყე არ არის, ტყე ბინაა ყოველი ცოცხალი არსებისა, ბუნება ყოველთვის ერთნაირად საყვარელია, რადგან უიმისოდ არავის და არაფერს ცხოვრება არ შეუძლია. ადამიანმა რომ იცხოვროს, დატყებს ბუნების ხილვით, მშენიერებით, თავის მხრივაც უნდა შეუნყოს ხელი მის სიცოცხლეს. ბუნება ადამიანებისაგან ისევე ითხოვს შველას, როგორც ადამიანი ბუნებისაგან, რომ ქართული ტყე ისეთივე საოცარი ფენომენია ქართველი კაცისათვის, როგორც ქართული ვაზი და მასზე ბევრადაა დამოკიდებული თვით ქართველი ერის მომავალი არსებობა.


ტყე და მისი პროდუქტები უდიდეს როლს ასრულებენ ადამიანის ცხოვრებაში, საკვები და სამშენებლო მასალა, სათბობი და სინათლე, სამუშაო იარაღები და ყოველდღიური მოთხოვნილების საგნები, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ყველაფერი ეს ძირითადად ტყესთან იყო დაკავშირებული, ტყე ყოველთვის იყო და იქნება მძლავრი სოციალური ფაქტორი.

საერთოდ თანამედროვე ეტაპზე ტყესთან დაკავშირებით სამი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს: ეკოლოგიური ანუ გარემოს დაცვითი, სამეურნეო და სოციალური.

ქართველი ერი ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ამ პრობლემას და ამიტომაც ქვეყანა ტყით ყოველთვის მდიდარი იყო, შუა საუკუნეების საქართველოში მეტყვევებულების თანამდებობაც კი იყო შემოღებული, რაც ტყისადმი ქართველი მეფეების დიდ ყურადღებას ადასტურებს. თამარ მეფის 1189 წლისა და მეფე ალექსანდრეს 1430 წლის სიგელებში დასახელებულია „ტყის მცველთუხუცესის“ თანამდებობა. მოგვიანებით (XIV-XVIII სს) შედგენილ დოკუმენტებში ტყისა და საერთოდ ბუნების დაცვის საკითხებზე მრავალი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჩვენში ტყის რაციონალური მეურნეობის წარმოების აზრი შორეულ წარსულში შეიქმნა და თანდათან ვითარდებოდა.

თქმულების მიხედვით თამარ მეფეს უარით გაუსტუმრებია ნითელი ხის მთხოვნელი, რის შემდეგაც დაერქვა მას „უთხოვარი“. თამარ მეფის დროს და უფრო ადრეც „ტყის მცველნი“ და „ტყის უხუცესნი“ რომ არსებობდნენ, ეს დოკუმენტალურად დასტურდება, „დასტურლამაში“ (XVIII ს. ძეგლი) ნათქვამია: - „სადაც შევარდენი ბუდობს, ის ალაგი ყორულად შეინახეთ, იქ ნურავინ გაივლის,





ნურც ხეს მოსჭრიან... ბუდეში ნურვინ ჩაეკიდება, ნურც კვერცხებს ნახავენ, ნურც ქულას ნახავენ, შორიდან თვალი ეჭიროს; „ყორული“ ახლებური გაგებით ნაკრძალია, ოღონდ ტერმინი „ნაკრძალი“ მოგვიანებით, შემოვიდა. - აი როგორ გადმოგვცემს ბუნების სტატისტიკას ვაჟა-ფშაველა - ადგა ცულით დაინყო ჭრა, იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენ კი შვილის კვნესა სულს რომ გვცემენ, ჩვენ კვნესით, თქვენ კი კაცი ამას „რაკუნს“ ეძახით, გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენ სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ თავპირს არ ვიკანრავთ, არ ვლაპარაკობთ, წასულს არ მივდებთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვხვდებით ამიტომ არაფერს არ ვგრძნობთ? „მუხასა ვჭრიო - კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომ და არაფერიაო. იგი ვერ ხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლებსა ვღვრიო, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედამინაც აატირა“...

## 2

ტყე უშუალო კავშირშია ადამიანის სიცოცხლის უნარიანობის ბუნებრივი შენარჩუნებისა, ტყის მასივიდან გამოსული ჟანგბადი სიცოცხლის დიდი ორგანული ნაწილია ადამიანის ჯანმრთელობისა.

- ერის ხასიათისა და კულტურის თვისებურებათა ჩამოყალიბებას მრავალი სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს. ბუნება, ბუნებრივი გარემო ამ მხრივ ერთადერთი არაა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ერთია იმ ხალხის ხასიათი და კულტურა, ვისაც მთების გარემოცვაში უცხოვრია და სხვაგვარი - იმ ხალხისა, ვისი ბინაც საუკუნეების მანძილზე ტრამალები ყოფილა.

ნათელი უნდა იყოს რომ ბუნების, ბუნებრივი გარემოს გადაგვარება შესაბამისი ხალხის ხასიათისა და კულტურის, მისი ეროვნული სახის გადაგვარებას მოასწავებს.

აი, თურმე რამხელა გავლენას ახდენს ეკოლოგიურად სუფთა ბუნება ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში და მის ადგილს განსაზღვრავს საზოგადოებაში.

ამ მხრივ რა ხდება ჩვენთან აქ, საქართველოში? იმისათვის, რომ ჯანსაღი ადამიანები და საზოგადოება იყოს, ჩვენ ვუფრთხილდებით ამ უნიკალურ ფენომენს ღმერთისაგან მორთმეულ დიდ ნობათს? - უნდა ვალიაოთ, რომ არა!

მოდით ახლა გადავხედოთ და შესაძლებლობისდაგვარად ჩავიხედოთ ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში, სადაც მთელ ამ ტერიტორიას 42% ტყეს უკავია.

მოკლე ექსკურსი ამ უნიკალურ კუთხის წარმოშობისა:

ორთოგრაფია „რელიეფი“

ბორჯომის ხეობის რელიეფის წარმოშობის საკითხი დეტალურად აქვს შესწავლილი ცნობილ რუს მეტყვე-მეცნიერს, პროფესორს პ.ზ. ვინოგრადოვ - ნიკიტინს (1908-1918), რომელიც „ბუნების წიგნი“ აღწერს, რომ ბორჯომის რაიონის ფარგლებში შემორჩენილია ძველი ვულკანური ამოფრქვევების ნიშნები; ვულკანის ლავამ დაფარა მთელი ტერიტორია ბაკურიანიდან საკოჭავამდე და წარმოქმნა ლავის მინდორი 25 კილომეტრის ფართობით. შემდეგ ლავამ გააგრძელა მოძრაობა ქვედა მიმართულებით და წარმოქმნა ცემის პლატო, ხოლო წალვრის ადგილას დიდი ტბა, რომელმაც შემდგომ დაგვიტოვა კეჩხოზის ტერასი, სადაც ახლა კეჩხოზის დასასვენებელი სახლია. შემდგომ ლავამ გადაუარა სადგრის პლატოს და ჩაკეტა მდინარე მტკვრის კალაპოტი, - აქ დაემატა დაბა-ძველში ამოფრქვეული ლავა და წყლის დინებამ გაარღვია ეს ხელოვნური „ზღვა“ და მთლიანობაში შეიქმნა ბორჯომ-ბაკურიანი-თორის-გუჯარეთის ტერიტორია. ასეა ისტორიულად მოკლედ ამ ტერიტორიის წარმოშობის ისტორია, ცხრანყაროს გადასასველიდან კარგად მოჩანს მთა თავკვეთილა, ვულკანური წარმოშობის ტაბანყურის ტბა და მთლიანად ბაკურიანის ტერიტორიაც ვულკანურია.

ამგვარად, ბორჯომის ხეობას მეტად საინტერესო ორთოგრაფიული ისტორია გააჩნია, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა მის დღევანდელ ბუნებრივ სიმდიდრეზე.

ისტორიულ წარსულში ბორჯომის ხეობა შედიოდა თორის მხარეში, თორის საერისთავოში, რომელიც II-IV-სს დაარსდა და რომელიც მოიცავდა გუჯარეთისა და სადგრის ხეობებს, აგრეთვე მტკვრის ხეობების ნაწილს დვირიდან ტაშისკარამდე, რომელსაც ეწოდებოდა ხეობა.

მტკვრის ხეობაში ორიათასწლეულებისა და უფრო ადრე პერიოდებიდან უცხოვრიათ მალალი კულტურის მატარებელ ხალხს. მკვლევარი ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ აწინდელი თორის თუ ხეობის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით ძველ სოფლებში სამშენებლო მასალად უპირატესად ქვა ჩანს გამოყენებული.

პროფესორ მაკალათიას ცნობით, თორის ტერიტორია მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, სადაც 28 სოფელი ყოფილა. დღეს იქ კარგად შეიმჩნევა ნასახლარები, ნანსქვილარები, მარცვლეულისა თუ ზეთის სახდელი გელაზები აგრეთვე დიდი და მცირე ნაეკლესიარები.

## 3

ეს ტერიტორია რომელიც 2000 ჰექტარზეა გადაჭიმული, მესხეთ-ჯავახეთის პირველ სადროშოს წარმოადგენდა და ცნობილია შალვა თორელ-ახალციხელის სამფლობელოდ. ისიც ცნობილია, რომ ეს მხარე თამარ მეფის სააგარაკოსაც წარმოადგენდა. ცნობილია, რომ თამარ მეფე ბორჯომის „თორის“ ხეობას თავისი „სამეფო გვირგვინის მარგალიტს“ უწოდებდა ანუ მისი მეფო-

ბის დროსაც თორის ხეობა წარმოადგენდა ქრისტიან-იანებით დასახლებულ ადგილს, სადაც შენდებოდა ეკლესია-მონასტრები და სადაც ასევე იყენებდნენ მინერალურ წყალს.

თორის მხარე საქართველოს სხვა კუთხეთა თანაბრად იყოფდა ქვეყნის ავბედობას თუ აყვავებას VIII-ს. მან არაბ დამპყრობთა შემოსევა განიცადა IX-X - სს. თორის მხარე კულტურულად და ეკონომიურად კვლავ დანიშნურდა.

ისტორიული ფაქტებით სავარაუდოდ თორის მხარე თორელ-გამრეკელ, აგრეთვე ჯავახიშვილების ადგილსამყოფელიც ყოფილა. მთა კოდინის გადავლით თქვენ ადვილად მოხვდებით ახალქალაქში, ასპინძაში, ხერთვისში, თმოგვსა და ვარძიაში.

თორის არსებობას და ხეობას, როგორც ასეთი, მე XV-საუკუნემდე უარსებია, შემდეგ სადგერის ხეობად გადაქცეულა და 1830 წლიდან ბორჯომის ხეობად იწოდება.

ისტორიული ცნობები მოწმობენ, რომ ამ დროს ბორჯომის ხეობაში იქმნება ავალიშვილთა სათავადო, ხეობის ნაწილს „გუჯარეთის ხეობას“ კი ციციშვილები ეპატრონებიან. ვახუშტი ბატონიშვილი მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გუჯარეთის ხეობას „შემუსვრილად“ - მოიხსენიებს და ამ ხეობაში ყველა სოფელიც განადგურებული ყოფილა.

1829 წელს რუსეთ-თურქეთის ზავის საფუძველზე რუსეთმა შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები - ახალქალაქი, ახალციხე, აბასთუმანი, „ოძრხე“ - თორის მხარის უძველესი ისტორიისა და მისი მოსახლეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს 1913 წლის ბორჯომის მინერალური წყლების ბაღში საკაპტაჟე სამუშაოების დროს ინჟინერ კომინის მიერ აღმოჩენილი 6 - აბაზანის ნაშთი, რომელთა ხნოვანება ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნითაა დათარიღებული, ჩანს, იმდროულად აქაური მოსახლეობა ბორჯომის მინერალურ წყალს სამკურნალოდ იყენებდა.

ბორჯომის რაიონის საერთო ფართობი 1189 კვ.კ. - აქედან 42% ტყეს უკავია. მისი საერთო ფართობი 75 444 - ჰა-ს შეადგენს, საკმაოდ მრავალფეროვანი შერეული ნაირსახეობით, უფრო კი, ნაძვნარ-ფიჭვნარია და სუფთა ეკოლოგიურ კლიმატს ქმნის, რომელიც ადამიანებისათვის მეტად სასიცოცხლო პირობაა. ტყე ცოცხალი ორგანიზმია და ისევე როგორც ყველა ცოცხალი არსება იზრდება, იზრდება აღწევს სიმწიფის პერიოდს, ბერდება და ბოლოს ხმება. მეცნიერულად დადგენილია, რომ ნებისმიერ ხელუხლებელ ტყეს ყოველწლიურად მერქნის იმდენი შემატება აქვს, რამდენიც აკლდება მას, სახეობათა შორის ან სახეობათა შიგნით არსებობისათვის ბრძოლაში. ესე იგი ტყეში ბუნებრივად მუდმივად მიმდინარეობს განახლებისა და თვით გამოხშირვის პროცესი, რომელიც ციკლური და დამახასიათებელია ხელუხლებელი ტყეებისათვის.

ფასდაუდებელია სამთო-მეტყველების ფუძემდებლის, ცნობილი მეტყვევ-მეცნიერის და საქართველოს პირველი ეკოლოგიის, აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის ღვაწლი ბორჯომის ხეობის ტყის მეურნეობის სწორად წარმართვის საქმეში. იგი მთიანი ტყეების წამყვან მეცნიერად ითვლება არამარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. მისი

უშუალო ჩარევით ბევრჯერ გადაურჩა ბორჯომის ხეობის ტყეები არასწორი ფორმირების დანერგვას, რასაც შეეძლო ჩვენი მთიანი ტყეების დაზიანება. მეცნიერულად მან პირველმა შეისწავლა ბორჯომის ხეობაში, მათ შორის ნაკრძალის ტერიტორიის ნიწვოვანი ჯიშების გავრცელების კანონზომიერებანი, რითაც ბევრი რამ შემატა ამ ტყეების შესახებ პრაქტიკულ და მეცნიერულ გაღრმავებას.

4

ბორჯომში არსებობს არასამთავრობო გარემოცვითი ეკოლოგიური ორგანიზაცია „ბიოსფერო“, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების შესაბამისად. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად სფეროს ეკოლოგიური განათლება, გარემოს დაცვა და ეკოლოგიურ-სოციალური პრობლემების გადაჭრა შეადგენს.

სწირად დამდგარა ბორჯომის ტყეები კატასტროფის წინაშე - ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში, ხანძრებით, მავნე მწერებითა და, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ხელყოფით, ბრაკონიერობით, - რაც ტყეს დიდ ზიანს აყენებდა. მაგრამ, ყველაფერ მოლოდინს გადააჭარბა 2008 წლის ხანძარმა, რომელიც განმეორდა 2017 წელს. საერთოდ საქართველოში 2017 წლის აგვისტოში 2500 ჰექტარი ტყე ემსხვერპლა ხანძარს, აქედან ნახევარზე მეტი მესხეთ-ჯავახეთზე მოდის (1700 ჰექტარზე მეტი).

რა ხდება დღეს გადამწვარი, განადგურებული ტერიტორიების აღდგენის მხრივ? როგორც ბორჯომის გაზეთის რედაქტორმა ვალიკო ლომიძემ მაცნობა - დღეს ძალზე ინტენსიური მუშაობა მიდის ტყეების აღდგენისათვის. დაირგო და ასევე თესლით გაშენდა დაბა ნალვერის გადამწვარი ტერიტორიები, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, ამავე დროს შეჩერებულია უკანონო ჭრები, იქმნება ბაზები, გამხმარ-გადამწვარი მერქნის გამოზიდვა, დალაგება და მოსახლეობაზე მისყიდვა ხდება. ამავე დროს ტყეებში დამონტაჟდა ალაგ-ალაგ მავნე მწერებისადმი დამჭერი საშუალებები. ერთი სიტყვით მთელი ბორჯომის მოსახლეობა ინტენსიურად არის ჩაბმული ტყის გადასარჩენად გაჩაღებულ ბრძოლაში, რაც მართლაც მისასალმებელია.

ერთი გულისტკივილიც შეიძლება გამოვთქვათ: გასულ საუკუნეში ბორჯომში არსებობდა სატყეო მეურნეობის ტექნიკუმი, რომელიც მართლაც სამჭედლო იყო საშუალო დონის ტყისმცველთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. ეს სასწავლებელი უშვებდა კარგ სპეციალისტებს, რომლებმაც მართლაც კარგად იცოდნენ ტყის მოვლა-პატრონობის საქმე. მოიშალა იგი და დღეს - ტყე განიცდის დეფიციტს კვალიფიცირებული სპეციალისტებისა.

ამავე დროს სატყეო სამმართველო, რომელიც განლაგებული იყო ბორჯომში და დაკომპლექტებული იყო მაღალ კვალიფიცირებულ სპეციალისტებით, გადაიტანეს ახალციხეში, სადაც ტყე ბორჯომის ხეობასთან შედარებით ნაკლებია, ამით ამ ხეობას ჯეროვანი ყურადღება მოაკლდა.

ასეთმა ადმინისტრაციული ცენტრის მოშლამ და გადაადგილებამ მართლაც დიდი დალი დააჩნია ბორ-

ჯომის ხეობის ტყეებს, ოკოლოგიურად მოვლა-პატრონობას, რამეთუ კარგი ნათქვამია: „მექოთნემ კარგად იცის ქოთანს ყური რომელ მხარეს მოაბას“.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ თუ რა მოხდა საქართველოში რუსეთის შემოსვლით, -როგორც კი ჩექმიანი ფეხი დაადგა საქართველოს მიწას რუსმა, წამსვე შეტოკდა - და გულში გათვალა: „საქართველო, ქართველების გარეშე“ - ეს ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროს, რუსმა გენერალმა - ტომით გერმანელმა ტოტლებენმა თქვა, როდესაც დარიალის ხეობა ამოივაკა და კავკასიონის ქედებს კაიშაურიდან გადახედა.

რუსეთმა - „გეორგიევსკის ტრაქტატის“ შემდეგ, საქართველი მთელი სიგრძე-სიგანით გაითავისა, ეს ამბავი ისტორიიდან კარგად მოგეხსენებათ და განსაკუთრებით ბორჯომის ხეობას დაადგა თვალი, ჯერ იყო და ავალიშვილებს თითქმის ძალით გამოსტაცა ტერიტორია და იგი რუსმა მმართველმა თავის საკურორტო რეზიდენციად გაიხადა, ააგო სასახლეები, გაიყვანა ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზა და ააგო ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა და მთელი რიგი ნაგებობანი, მტკვარზე ხიდები, ბალნეოლოგიური საავადმყოფო, ისე რომ რუსეთიდან თანდათან მოედინებოდა მოსახლეობა, აქ დასამკვიდრებლად. განსაკუთრებით უკრაინიდან წალვერში, ბაკურიანში, თორში, საგარეჯოს რაიონში დუხაბორები და სხვა.

შეიქმნა ნაკრძალი ლომის მთის ტერიტორიაზე, გაიყვანეს გზა და დაამონტაჟეს ტელეფონი. შეიქმნა დასასვენებელი ადგილები, მოაშენეს ირმების, შვლების ჯოგები, რომლებიც დღესაც არიან შემორჩენილნი. ისე რომ თავიანთი „მომმეთათვის“ სასიამოვნო სანახაობად აქცია, ასე რომ ვთქვათ მედალს ორი მხარე აქვსო, ამას აკეთებდა თავისთვის მაგრამ ეს ხომ ჩვენ დაგვრჩა? - რომ შეხვიდეთ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გაკვირდებით, იმდენ საინტერესო ექსპონატებს ნახავთ აქ გამოფენილს.

ვინ არ ყოფილა და ჩამოდიოდა ბორჯომში: 1887 წლის ივლისში ბორჯომს ეწვია დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი, იგი აღფრთოვანებული დარჩენილა ბორჯომის ხეობის სიმშვენიერით „- უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ, უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რომელიც კი ოდესმე მინახავს, თვით ზოგჯერ, ღმერთს გეფიცებით, ალტაცების ცრემლებიც კი მდის იმ სილამაზის ხილვით, რომელსაც აქ ყოველ ნაბიჯზე ნააწყდებით... ეს ყველაზე ღვთაებრივი და საუცხოო ადგილია მთელს მსოფლიოში“ - ვარაუდობენ, რომ სწორედ აქ ჩაენჭვთა დიდ კომპოზიტორს გულსა და გონებას ქართველი დედის ნაზი და ნალვლიანი იავნანა რომლის მელოდია შემდგომში თავის ბალეტ „მაკნატუნაში“ - გამოიყენა, ბორჯომში დაწერა მან საორკესტრო სუიტა „მოცარტიანა“ აქ მუშაობდა ბალეტ „მძინარა მზეთუნახავზე“ ბორჯომის ინტელიგენციამ მას აქ, ბორჯომის ცენტრში ძეგლიც კი დაუდგა, ძეგლი

დაუდგეს აგრეთვე დიდ ქართველ კომპოზიტორს, ზაქარია ფალიაშვილს, რომელმაც აქ წალვერში დაწერა ორი ოპერა: „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“.

აქ ბორჯომში ყოფილა თვით დიდი აკაკი წერეთელი, რომელმაც მინერალურ პარკში არსებულ ჩანჩქერს ლექსიც კი მიუძღვნა. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც 1858 ბორჯომში ისვენებდა თავის მეგობარს ა. საგინაშვილს სწერდა, რომ ბორჯომსა და მის მიდამოებში მრავალი შესანიშნავი ადგილია: ეკლესიები, ციხე-სიმაგრენი, სასახლეები, მათ დასათვალიერებლად მრავალნი გადიან ბორჯომიდან 10-15 კ.ზე.

საუცხოო ჰავაა, წყალი, ჩრდილიანი ადგილები, ტყე, ნამდვილად ქმნიან სულითა და ხორციით დასვენების პირობებს. 1921 წელს აქ ისვენებდა ი. სტალინი, რომელიც თურმე ბორჯომ-ბაკურიანში 1926 წელსაც ყოფილა და აღფრთოვანებული დარჩენილა ტყის სილამაზით.

გ. სტრუვე, რომელსაც 1867 ბორჯომის მინერალური წყლის ანალიზი გააკეთა, ალტაცებული წერდა, რომ ძნელია ზაფხულში საცხოვრებლად ბორჯომზე უკეთესი ადგილი მოძებნო, აქ ბუნებას უხვად დაუბერტყია მშვენიერებითა და მრავალფეროვნებათა კალთა, რომელიც ისე კეთილყოფად მოქმედებს ადამიანის ფიზიკურ და მორალურ მხარეზე, აქ, ქალაქის საზრუნავისა და ხმაურისაგან მოშორებით, ისე ადვილია ისუნთქო მრავალფეროვანთა მცენარეთა საამური არომატით გაჟხენთილი ეკოლოგიურად სუფთა ჯანსაღი ჰაერით.

ბორჯომის ხეობა განთქმულია ბალნეოლოგიური და კლიმატო-ბალნეოლოგიური ბუნებრივი კურორტებით. მის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიოში სახელგანთქმული ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი სამკურნალო წყალი.

ბორჯომის ხეობაში მრავალი რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია, როგორებიცაა: ლიკანი, სადგერი, დაბა, წალვერი, ბაკურიანი, დიდი ცემი, ტბა, ლიბანი, დვირის აბანო, გვერდუბანი, მზეთამზე, ტყემლოვანა, ჩითახევი, ციხისჯვარი, წინობანი, ჭობისხევი, პატარა ცემი, დაბაძველი, ვარდევანი, თორი.

## 5

ბორჯომის წყალი - მართლაც უნიკალური მოვლენაა დედამიწის, ღვთიურ მოვლენათა შორის. მას სრულიად თამამად შეგვიძლია დავარქვათ „უკვდავების წყარო“, რომლის ტერმინიც კარგადაა გამოყენებულიკომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის უკვდავ ოპერა „აბესალომ და ეთერი“-ში - რომელიც კომპოზიტორმა თავის ცხრა წლის ირაკლის მიუძღვნა. - აბესალომის არია მურმანისადმი: - ... „უკვდავების წყალსა ცივსა ცხრანყაროსი მომიტანდე შემასმევდე, ეგებ ცოტა მოვჯობინდე“...

ცხრანყარო ხომ ბორჯომის ხეობაშია? - მართლაცდა ბორჯომის ეს უნიკალური წყალი, მთელს მსოფლიოშია გავრცელებული და აღიარებული. მინერალურ წყალთა

მსოფლიო გამოფენებში მას ოქროს მედალი აქვს მინიჭებული, რომელიც სამკურნალო თვისებებითაა განთქმული, სუფთა, ჯანსაღი, ეკოლოგიურად სასარგებლო.

ბორჯომის ხეობის ბუნების, ხე-ტყის, ზამთარ-ზაფხულის მიდამოების სიმშვენიერესთან ერთად, დილის ალიონზე, ცხრანყაროს მთების კალთებიდან ზედ ბაკურიანის თავზე, მზის ამოსვლის ხილვით დატკბები. ცნობილია, რომ მსოფლიოში მათ შორის იაპონიაში და აქ, ჩვენთან საქართველოში არის შესაძლებლობა ამ ბუნებრივი უნიკალური მოვლენის ხილვის. აი როგორ აღწერს ამ მოვლენას კომპოზიტორი მერი დავითაშვილი: - ვიყურებოდით აღმოსავლეთისაკენ... უკან სიბნელეა არაფერი ჩანს... კარგა ხნის შემდეგ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო - საოცრება!

ჯერ სიბნელე ნელ-ნელა გაირღვა, შავი ფერი სხვადასხვა სიმუქემ შეცვალა. გაჩნდა; მუქი-ლურჯი, მუქი-იისფერი, მუქი-მწვანე, ფერები. ეს მთები და ხეობები შეფერადნენ, სიბნელემ ფერთა ფანტასმაგორია შექმნა, უცებ წინ ბნელ ცაზე განათდა წითელი ხაზი და თოკივით გაიჭიმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ეს კავკასიონის მწვერვალები შეფერადნენ წითლად, შემდეგ ცეცხლოვან თოკზე „ამოხტა“ ცეცხლისფერივე ბურთულა და ისევე უკან „ჩახტა“... წითელ თოკზე ჯამბაზივით დაიწყო ხტუნვა. ეს მზის პირველი სხივი თამაშობდა მერე ნელ-ნელა მზეც ამოიწვერა და მთელი მიდამო-მთები, ხეობები-სხვადასხვანაირად გაანათა. ჯადოსნური ხილვა ჩაქრა დამთავრდა, როცა პორიზონტზე სრულიად ამობრწყინდა მზე!

ასეთივე შთაბეჭდილებით წერს მზის ამოსვლას აკადემიკოსი, ბიოლოგი ნიკოლოზ კეცხოველიც.

დედამინაზე მცხოვრები არსებები, რომ ღმერთისა და განგების მიერაა შექმნილი, ეს ხომ უდავო საკითხია. და არა მარტო დედამინა, არამედ მთლიანად სამყარო მის საქებლად, მის სადიდებლად განგებამ დედამინაზე მოავლინა პოეტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები - რომლებსაც ქვეცნობიერად „ავალიათ“ - ხატონ, წერონ, შექმნან მუსიკა, შეაქონ, შეამკონ ეს ღვთაებრივი ქმნილება დედამინა. - რომელმან შექმნა სამყარო...

ამ მხრივ, ჩვენთან საქართველოში ასე ვთქვათ, - „დეფიციტს“ - არ განვიცდით, ჩვენ საკმაოდ გვყავს „მქებელი“ — „მეხოტბენი“ - მხატვარ ფიროსმანის მიერ დახატული მთვარე, ავლაბრის ციხიდან მართლაც შედევრს არ წარმოადგენს? - ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“, ხომ დაგატყვევებს მისი მუსიკის მოსმენით. პოეტთა შორის ვაჟა-ფშაველა ხომ - მართლა გენიოსია ბუნების აღწერისა ის მისანია, მინდია, რომელიც ქვეწარმავლებსაც კი ესაუბრება - ფრინველები, არნივი, შვლის ნუკრის ნაამბობი, სათაგური, ხმელი წიფელი - ნაკადულები, წყაროები, ტყე და ყვავილები ქუჩი და სხვა. ისე, რომ მისი შემოქმედება მიძღვნილია გარემოსადმი, ბუნებისადმი. ის ადამიანივით ესაუბრება ყველაფერს რაც კი არსებობს დედამინაზე - „ყველას თავისი ენა აქვსო“.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოეტები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები გვერდს ვერ აუვლიან თუ მათ ნაწარმოებებში, ბუნების აღწერა არ შეიტანეს.

6

ერის სიამაყე შოთა-რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ხსნის მის შინაარსს: „რა ესმოდეს მღერა ყმისა სმენათ მხეცნი მოვიდიან...“ ასეთ შემოქმედ ხალხს, თვით განგება კარნახობს, - ბუნებას მოფერება პატარა ბავშვივით უნდა.

რაოდენი სილამაზე, ხიბლი, რომელიც დევს დედამინის თვალსაწიერში, აბა მითხარით, რომელ პოეტს, მხატვარს ან კომპოზიტორს გული გაუძღვება ასეთი სილამაზის ხილვით? და არა მარტო შემოქმედს, არამედ უბრალო მოკვდავ ადამიანის გულსაც ასეთი ღვთაებრივი სილამაზის ხილვისას რაც ბუნებაშია.

ამიტომ ჩემო ძვირფასებო, გაუფრთხილდით ღმერთისაგან ბოძებულ ამ დიდ საჩუქარს, მოუფრთხილდით, ნუ შეურაცხყოფთ!

„ტყე შეუნახე შვილებსა“ მამა ხარ, შენი ვალია!“

ეს ეკოლოგიურად სუფთა ტყე-ველი ხომ ჩვენი სასიცოცხლო ფილტვებია!

მეც მქონდა ბედნიერება, როცა ტელევიზიაში ვმუშაობდი, მენახა და კინოფირზე გადამელო ეს მართლაც დიდებული სანახაობა, რომელსაც ტელევიზიით ეწოდა „ამომავალი მზის ხეობა“ ავტორები: რევან ურუშაძე და ომარ ჩიტაია, რეჟისორი ვანო გელაშვილი, კინო-ოპერატორი გენო შენჩიშვილი, ხმის ოპერატორი გურამ ციციშვილი, მუსიკალური გაფორმება: ალ. მაჭავარიანის სიმფონიიდან „მზის ამოსვლა“.

და ბოლოს, ამ ნარკვევის მომზადებაში მე დიდ მადლობას ვუხედი საქართველოს დამსახურებულ მეტყვევს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ლირსების ორდენის კავალერს, ბორჯომის საპატოი მოქალაქეს ლევან გოცირიძეს. გაზეთ „ბორჯომის“ მთავარ რედაქტორს - ვალიკო ლომიძეს და არქიტექტორ-ქალაქმშენებელს მარიკა გელაშვილს. რომელთა მასალაზე დაყრდნობით მომზადდა ეს ნარკვევი.





### ზვიად გამსახურდია

ციკლიდან „ტირანტი ბრანელი„

#### უპილო ღამე

სულში სიბერე მოიპარება  
ვით სიმწვანეში წითური სთველი,  
რეკავენ უკვე მწუხრის ზარები  
და იძარცვება თავთუხის ველი.

გიხარის უკვე გაჰხედო წარსულს,  
მსჯავრი დაუდო ცივი გონებით,  
ასწონ-დასწონო მრავალი შარშან  
მიაგო ზიზლი და მოწონება,

ავი გეენა გიმღვრევდეს სურვილს  
გულს გაიმებდეს ნაზი ბორიო,  
და უფსკრულების ლაჟვარდზე ცურვა  
გათენდებოდეს ლურჯ სიზმარივით...  
დიდხანს იდაგო გარინდებული  
ძველი ვნებებით, ძველი შფოთებით,  
მერმე ნახო რომ გათენებულა,  
მზემ კვლავ დაგხედოს, ვით მოწოდებამ

და გათანგულმა იფხიზლო ისევ,  
ცხადი სიზმარი განქარდეს წამით,  
როს გასწოლია იისფერ სივრცეს  
წუთისოფელის უმთვარო ღამე.

### მერაბ კოსტავა

ქართული საგალობელი

არ ამოვიკრავთ პირს ვინაიდან  
წილად გვარგუნეს ღმერთების ენა,  
გიგალობთ რადგან დასაბამიდან  
ყოველი არსი გიგალობს შენა.

სიმღერის მაღლი მოგვდგამს მას იქით,  
როგორც გულის ხმა დაუძლეველი,  
ყველა ქართველში შენი მუსიკის  
ანთია წმინდა საკურთხეველი.

შემადლებინე მაღალო ღმერთო,  
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო.  
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,  
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.

მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,  
გავუადვილო წუთისოფელი,  
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,  
აი, ქართული საგალობელი.

უნდა ევნოო მისი გულისთვის,  
უნდა იწვოდე მისი სახმილით,  
აჰა, მამულო, შენი გულისთქმა,  
შენი სიმღერა და მოძახილი.

**პონდო არველაძე**

**ქართველთაშორის „პოლიტოლოგის“ ჰრანტ მელიქ-შაჰნაზარიანის კომენტარების შესახებ**

ახლახან ინტერნეტში გამოქვეყნდა ქართველთაშორის „პოლიტოლოგის“ ჰრანტ მელიქ-შაჰნაზარიანის სტატია - „სომხურ-ქართული დაპირისპირება ახალ ფაზაში შევიდა“. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი 2011 წლის ნოემბერში საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა შეხვედრის ანგარიში საქართველოს ახალი მთავრობის შემდეგ წევრებთან - იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის დარგში პაატა ზაქარაიშვილი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი.

შეხვედრაზე სიტყვით გამოსულა საქართველოს სომხური ეპარქიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან ისახანიანი. მას დადებითად შეუფასებია მთავრობის ბიუჯეტიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დაფინანსება და მოუთხოვია სხვა რელიგიურ კონფესიებსაც გამოეყოთ გარკვეული თანხა. კერძოდ, საქართველოს სომხური ეპარქია უნდა დაფინანსდეს სომხური ეკლესიების რესტავრაციისა და სომხური კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში აღმოიფხვრება სხვა რელიგიების კონფესიების მიმართ დისკრიმინაცია. ლევან ისახანიანის მიერ წარმოდგენილი პროექტით სხვა რელიგიური კონფესიების დაფინანსება უნდა მოხდეს პროპორციული წესით „მაგალითად, თუ სომხური მრევლის გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 5%-ს შეადგენს, მაშინ მას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ბიუჯეტიდან უნდა გამოეყოს 5%“. მის ამ ინიციატივას გამომხაურებია საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხობისა და ცაიშის მიტროპოლიტი მეუფე გერასიმე. მას თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღუნიშნავს - სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა ხმარდება განათლების საქმეს. ამ თანხით ფინანსდება - სასულიერო აკადემია, სემინარია და გიმნაზია. ამდენად, აღნიშნული თანხა ეკლესიების სარესტავრაციო სამუშაოების და კულტურული ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული არ არისო.

რა თქმა უნდა, კარგი იქნება საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ჰქონდეს იმდენი შესაძლებლობა, რომ სხვა რელიგიური კონფესიები დააფინანსოს, მაგრამ როგორც ვხედავთ, მისი ბიუჯეტი ამას ვერ წვდება. ისე კი საინტერესოა, საფრანგეთის ეროვნული კათოლიკური ეკლესიის ბიუჯეტიდან თუ ფინანსდება აქ არსებული სომხური ეკლესია და სომხური კულტურული ღონისძიებები. ანდა, ეჯიმიანიანის ბიუჯეტიდან რამდენი თანხა გამოყოფილი სომხეთში - კერძოდ აპარანის რეგიონში არსებული ქართული სამლოცველოს რესტავრაციისა და ქართული კულტურული ღონისძიებების ორგანიზე-

ბისათვის... ისახანიანს ვურჩევ ფრთხილად მოეკიდოს სიტყვა - დისკრიმინაციის ხმარებას, თორემ შეიძლება ბუმერანგით უკან დაუბრუნდეს!..

ახლა გავეცნოთ მეუფე გერასიმეს მეორე განცხადებაზე, ე.წ. პოლიტოლოგის მელიქ-შაჰნაზარიანის გაკეთებულ კომენტარს. ქართველ მღვდელმთავარს უთქვამს - საქართველოს საპატრიარქოს სხვა ქვეყნებში აქვს ეკლესიები, მათ შორის სომხეთში. სომხეთში არსებულ ქართულ ეკლესიას უნდა ჰქონდეს ისეთივე იურიდიული სტატუსი, როგორც აქვს სომხურ ეკლესიას საქართველოში. ამ განცხადებას ე.წ. პოლიტოლოგი გაულიზიანებია და განინმატებული წერს - „ფაქტია, რომ პრაქტიკულად არ არის ქართული მოსახლეობა სომხეთში, არც არასდროს ყოფილა ქართული ეკლესიები სომხეთში. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს ეტყობა სულაც არ ალღევებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხურ-ქართული საეკლესიო ურთიერთობა გამწვავდა. ქართული მხარე ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს სომხური ეკლესიების და კულტურული ძეგლების გასაქართულებლად. ეს ხომ ბევრზე მეტყველებს. საქართველოს ეკლესიის ექსპანსიონისტური მოღვაწეობა ისე შორს წავიდა, რომ მიიღეს პროვოკაციული გადაწყვეტილება და სომხეთის ტერიტორიაზე ქართული ეპარქია გახსნეს. ახლა კი პრეტენზია განაცხადეს ლორის და ტაშირის სომხურ ქალკედონისტურ ეკლესიებზე. ქართველმა სასულიერო პირებმა მშვენივრად იციან ეს ეკლესიები ყოველთვის იყო სომხური. ქართული ეპარქიის სომხეთის ტერიტორიაზე დაარსების ერთადერთი მიზანი საპირწონე პრეტენზიაა: როცა ეჯიმიანიანი წამოაყენებს ამათუიმ ეკლესიის კუთვნილება-გადაცემის საკითხს, ვაჭრობის საბაზი რომ ჰქონდეს ქართულ მხარეს“.

ე.წ.პოლიტოლოგი საქართველოს ისტორიაში რომ ვერ ერკვევა კიდევ მისატყვებელია, მაგრამ მშობლიური ისტორიის ცოდნაზეც რომ მწყრალად ბრძანდება, ეს უკვე ძალიან ცუდია. დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის დროს ქართული მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო სომხეთში. სომხეთა ერთ-ერთ დედაქალაქში ანისში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. აქ ნაპოვნია აგრეთვე ქართველი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის ეტიფანეს ვრცელი წარწერა ქართულად. მასში ლაპარაკია ანისის მართლმადიდებელი მრევლის საეკლესიო გადასახადზე და ა.შ. თუ ქართული ქალკედონური მოსახლეობა არ იყო ანისში, რა საეკლესიო გადასახადზე შეიძლებოდა ლაპარაკი? რაც შეეხება ლორე-ტაშირს, ეს იყო ქართული მიწა და აქაც შემორჩენილია XII-XIII ქართული ეკლესიები: ახტალა, ქობარი, ჰნევანქი, ოსკიპარი და სხვ. ამ მიწის ქართულობას მონიშნავს აქ არსებული საფლავის ქვების ქართული ეპიტაფიები. ამ მხარეში ახლაც არიან გასომხებული ქართული გვარის წარმომადგენლები - ძნელაშვილები, ძნელაძეები და სხვ. ასე რომ ქართული ეკლესიები არის სომხეთში და ამ ისტორიულ ფაქტს მოგიწევთ შეეგუოთ. აქვე ვიტყვი - ლო-

რე-ტაპირის აღნიშნული ქართული ეკლესიები თუ საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მოექცევა, მაშინ მათში ქართული წირვა-ლოცვა აღდგება და ქართველი ბერ-მონაზვნების მოღვაწეობა გაჩაღდება. ყურადსაღებია ის, რომ ლორე ი. სტალინმა 1922 წელს აჩუქა სომხეთს - („ჯაბა სამუშია - „როგორ გადასცა სტალინმა ლორე სომხებს“, ჟ. „ისტორიანი“. ტ. VI, 2011, გვ. 14-18).

სომეხი „პოლიტოლოგი“ კომენტარს უკეთებს 2011 წლის ივლისში სრულიად სომეხთა კათალიკოსის გარეგინ II-ის ვიზიტს საქართველოში - „რთული სიტუაცია არის, რთულია გამოინახოს გზა, რითაც შეიძლება მოხდეს სომხურ-ქართული ეკლესიების შერიგება. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ამ ვიზიტს, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა იმიტომ, რომ გარეგინ II მოიარა სამცხე-ჯავახეთ-ნალკა, სადაც სომხებს სხვა საკითხებთან ერთად, სერიოზული რელიგიური პრობლემები აქვთ, რომელიც განპირობებულია სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით, ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ სრულიად სომეხთა კათალიკოსის მკრტირ I-ის (ლრმიანი) შემდეგ ჯავახეთის სომხებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა პატივი მიეგოთ სრულიად სომეხთა სულიერი მამის გარეგინ II-ისათვის. ამ ვიზიტზე დიდი იმედი იყო დამყარებული და გასაგებიცაა“.

მცირე ინფორმაცია - ქართველმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ჟ. „ჯეჯილის“ რედაქტორმა, ანდრია ლულაძემ მკრტირ I-ს (სომეხი ხალხი სიყვარულით ჰაირიკს — მამიკოს ეძახდა) მიუძღვნა წიგნი - „მკრტირ I-ი პატრიარქ-კათალიკოსი გრიგორიანთა“ (1893). მას დიდი სიყვარულით და პატივისცემით აქვს გადმოცემული სომეხი კათალიკოსის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვეკითხები ე.წ. პოლიტოლოგს მელიქ—შაჰნაზარიანს - დამისახელოს ვინმე სომეხი მწერალი ან ჟურნალისტი, რომელსაც თავი შეენუხებინოს და რომელიმე ქართველ პატრიარქზე წიგნი დაენეროს, არამც თუ XIX ს-ში, თუნდაც მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეებში. ეს ფაქტი კი მრავლისმეტყველია. მისი აზრით, გარეგინ II-ის ვიზიტს ქართველი ჟურნალისტების და საზოგადოების შემფოთება გამოუწვევია. ქართულ მხარეს სადაო ეკლესიების თემა თურმე ისტერიული განხილვის საგნად გადაუქცევია „ნიშნდობლივია ცნობილმა ქართველმა „არმენოლოგმა“ ბონდო არველაძემ თავხედური განცხადება გააკეთა. იგი თავის „შეხედულებებში“ იქამდეც კი მივიდა, რომ თქვა - „ერთადერთი, რაც უნდა გააკეთოს გარეგინ II-მ საქართველოში ეს არის, რომ ქართველ ხალხს ბოდიში, პატიება უნდა სთხოვოს ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო აფხაზეთში. ჰ. მელიქ-შაჰნაზარიანი გაზ. — „ასავალ-დასავალში“ მიცემულ ინტერვიუში ჩემს ნათქვამს ტენდენციურად, კუდ-მოკვეცილად გადმოსცემს და მკითხველი შეცდომაში შეჰყავს. ინტერვიუში ვთქვი - გარეგინ II-მ ჯერ ბოდიში უნდა მოუხადოს ქართველ ხალხს ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის წამება-ხოცვა-ჟლეტვის, ეთნომენდის გამო აფხაზეთში და შემდეგ შეიძლება სადაო ეკლესიების საკითხის განხილვა-მეთქი.



ვფიქრობთ, ნორმალური თხოვნაა, ამაში სანწყინი არაფერია.

ჰრანტ მელიქ-შაჰნაზარიანის სტატიის შემდეგ მოდის ხელმოუწერელი, ცილისმწამებლური ინფორმაცია - „ნითელი ჯვრის მეშვეობით სოხუმის ხელში ჩაგდების შემდეგ ზვიადისტები სომხებს ხოცავდნენ და მათ სახლ-კარს ძარცვავდნენ. ყოველი თავმოყვარე მამაკაცი, როგორც წესი, სახლს, ოჯახს და თანამოძმეებს დაიცავდა. ისეთმა საძაგელმა ადამიანმა, როგორც ბონდო არველაძეა, უნდა იცოდეს, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, სომხეთმა მიიღო და შეიფარა თბილისიდან დევნილი ზვიად გამსახურდია და შესაძლებლობა მისცა სადაც უნდოდა იქ წასულიყო, ე.წ. „მომძე“ აზერბაიჯანის რესპუბლიკამ არა თუ შეუშვა თავის ტერიტორიაზე ზვიად გამსახურდია, არამედ მასთან დალაპარაკებაზეც კი უარი თქვა და გააგზავნა - „HA... X“

ეს უნდა გახსოვდეთ და დააფასოთ, ბატონო!..“

სომხურ გამოცემებსა და პრესაში ძალიან ხშირად გვხვდება ასეთი განცხადებები. მათ ავტორებს ერთი-ორჯერ მოკლედ გავეცი პასუხი. ახლა მსურს ცოტა ვრცლად შევჩერდე ამ სიკეთის გაუთავებელ წამოძახებასა და დამუნათებაზე, თუმცა სიკეთეცაა და სიკეთეც...

ზვიად გამსახურდიას ქვრივმა ქ-მა მანანა არჩვადემ მის ინტერვიუებში არაერთგზის ილაპარაკა სომხეთში - კერძოდ, იჯეფანში ორკვირიანი ტანჯვა-წამებისა და გაუსაძლისი ყოფის შესახებ. პრეზიდენტის ოჯახი, ორი მცირეწლოვანი შვილით და გარემოცვით სრულ იზოლაციაში ყოფილა მოქცეული. მათ არ აძლევდნენ საკმარის საკვებს და რასაც იღებდნენ იყო უხარისხო. გამორთული ჰქონდათ შუქი, არ იყო გათბობა. აუტანელი პირობების გამო პრეზიდენტი იძულებული გამხდარა შიმშილობა გამოეცხადებინა. ამის შემდეგ სომხეთის მაშინდელი პრეზიდენტის ტერ-პეტროსიანის მეუღლე მისულა, მაგრამ პირობები დიდად არ შეცვლილა. გარკვეული ძალების პრინციპული მოთხოვნით ტერ-პეტროსიანს დევნილებისათვის აეროდრომ „ზვართოცის“ გზა გაუხსნია. ვაივავალაბით მისულან აეროდრომზე, სადაც სოხუმიდან ჩამოფრენილი თვითმფრინავი ელოდათ, რომელსაც მართავდა მფრინავი ბეღია. „კეთილმა“ მასპინძლებმა დევ-

ნილებს თვითმფრინავში სპეციალური ასასვლელი კიბეც არ მისცეს. ბედად უპოვნიათ მოკლე სახანძრო კიბე, თვითმფრინავის კარებს რომ ვერ სწვდებოდა. გარემოცვის დახმარებით ძლივს აბობლებულან. „მასპინძლებს“ გამოუჩენიათ „სტუმართმოყვარეობა“ და ასაფრენი ბილიკი ჩაუხერგავთ. ბედია იძულებული ყოფილა სასიკვდილო რისკზე წასულიყო და საფრენი მანქანა გარბენის გარეშე ადგილიდან მოწყვეტით აეფრინა... პრეზიდენტის შესაფერი პატივით მიიღო ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, მაჰმადიანმა ჯოხარ დუდაევმა. ასე რომ სომეხ ავტორებს თავის მოსაწონი ბევრი არაფერი აქვთ. ქრისტიანული მორალის მიხედვით განუულ სიკეთეს არ ამადლიან...

ხსენებული უცნობი ავტორი თვითონ არის ის ორგანო, სადაც სხვას აგზავნიან... არავის დაცვას არ ვაპირებ, ზვიადისტები თავს თვითონ დაიცავენ. ერთი კი ვიცი, საქართველოს გენერალური პროკურატურის არქივში დაცულია 150 სქელი ტომი. ამ ტომებში აღწერილია ჩრდილო კავკასიელი, რუსი და კაზაკი ბოევიკების მიერ ჩადენილ დანაშაულთა შემზარავი ფაქტები აფხაზეთში. აქვეა გადმოცემული ბაგრამიანის სომხური ბატალიონის ბოევიკები როგორ ბარბაროსულად ტანჯავდნენ და ანამებდნენ მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას, შემდეგ ხოცავდნენ. მათ სახლ-კარს ძარცვავდნენ და წვავდნენ. თან გაიძახოდნენ - „აფხაზეთი ჩვენია, ქართველები აქ ვერასდროს დაბრუნდებით“.

ამ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე აწ განსვენებული პროფ. თეიმურაზ მიბჩუანთან ერთად გამოვაქვეყნეთ ნიგნი - „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნომენდა აფხაზეთში“ (2009), ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებზე.

ამ ნიგნის შესავალში აღნიშნულია როგორ მამაცურად იბრძოდა სომხეთის გარკვეული რიცხვი ქართველების გვერდით. ზოგი მათგანი გმირულად დაეცა. მათი სახელები ამოკვეთილია გმირთა მოედანთან აღმართულ მემორიალზე. საქართველო მათ ხსოვნას მარადიულად სათუთად შეინახავს. მაგრამ ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ ჩადენილი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე შავ ლაქად რჩება ქართველი და სომეხი ხალხის კეთილმეზობლობის ისტორიაში.

ინტერვიუებში არაერთგზის ვთქვი და ახლაც ვიმეორებ - აფხაზეთში ამ კანის შვილთა ჩადენილი დანაშაულის გამო სრულიად სომეხთა კათალიკოსმა გარეგინ II-მ პატიება და შენდობა უნდა სთხოვოს უფალს და ქართველ ხალხს თუ ქართველი და სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ძმობა რამედ უღირს!

რომის პაპმა იოანე-პავლემ 2000 წელს პატიება და შენდობა ითხოვა ინკვიზიციის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო...

**ლიანა მატონია**

**ამონარიდები ისტორიული რომანიდან „მესიის მასპინძლი“**

\*\*\*

ბრძოლა არზრუმის ციცაბო ფერდობზე გაიმართა.

რიცხოვრებულ ლაშა-გიორგის ჯარი აღემატებოდა მტერს და გონივრული ტაქტიკით არზრუმელებს უკანდახევას აიძულებდა.

მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, რადგან რელიგიური და სხვა მრავალი ურთიერთსაპირისპირო გარემოება ამ ორ მხარეს დაზავების საშუალებას არ აძლევდა.

მტერს პირველი ახალგაზრდა მეფე ეკვეთა.

გვირგვინოსნის სიმამაცით გულმოცემულმა მხედრებმა შეტევა სწრაფად განახორციელეს.

მარცხენა ფლანგს ივანე სარდლობდა, მარჯვენას - შალვა, ხოლო ცენტრალურ ნაწილს თავად ლაშა მიუძღოდა წინ.

ხმალთა კვეთებამ ჰაერი გააპო. ველზე საშინელი ბული ავარდა.

არზრუმელები დაუზოგავი სისასტიკით ეკვეთნენ ქართველებს, მაგრამ მართლმორწმუნე მეომრები მაინც ვერ ნამოაჩოქეს.

ლაშას მხარეს არა მარტო ქვეყნის ღირსეული ჯარი იდგა, არამედ უპირველესად-ღმერთი იფარავდა.

სწორედ უფლის რწმენამ გააძლებინა დაღლილ მხედრობას ბრძოლის ველზე და თავგანწირვისკენ იბიძგა.

-ომში სიკვდილი ოცნებაა!-ლაშა ხმამაღლა მოუწოდებდა დაძაბულ ბრძოლაში ჩაბმულ წინა ხაზს-ან გავიმარჯვებთ, ან ღირსეულად დავიხოცებით!

და მეომრებიც, ამ ომახიანი სიტყვების გაგონებისთანავე მტერს განახლებული შემართებით ეძვერნენ.

გვირგვინოსანი მუსრს ავლებდა დიდსა თუ მცირეს, ახალგაზრდას თუ მასზე დიდს.

იბრძოდა და ფიქრობდა თავის ქვეყანაზე, დიდ თამარზე, ღირსეულ მამასა და ცხოვრების არსზე.

ბრძოლა უყვარდა ლაშას. იგი ხომ „მესიის მასპინძლი“ იყო და მთელ ცხოვრებას ქვეყნის კეთილდღეობას სწირავდა.

მეფეს არც ერთი წამით არ უფიქრია საკუთარ თავზე, მაშინაც კი, როდესაც ბარბარე შეერთო. რაზეც შემდეგი გარემოება მოწმობს: დიდებულებისა და ეკლესიის დასამოშმინებლად სანატრელი თანამეცხედრე უმაღლესი განიშორა და ამის შემდეგ პირადი ბედნიერება მასთან ერთად დამარხა.

შალვა ახალციხელს მტერი ახლოს ვერ ეკარებოდა. როგორც ყოველთვის, თავდაუზოგავად



იბრძოდა, არავინ იყო მისი მომრევი. უებრო მე-ბრძოლს ახალი ომის დროს ყოველთვის ადრე გადახდილი ბრძოლები ახსენებოდა, სადაც ლომის წვლილი მის მხნეობასა და თავგანწირვას მიუძღოდა.

და აი ახლაც, როდესაც არზრუმელი მეომრის ჯავშანი თავისი მჭრელი ხმლით გაკვეთა, უცებ შამქორის ბრძოლა მოაგონდა.

მაშინ 1995 წელი იდგა და საქართველო აბუბაქრის წინააღმდეგ ამხედრდა.

დავით სოსლანის ჩინებული ტაქტიკის მეშვეობით მრისხანე მტერი დამარცხებული უკუიქცა; ყველაფერი ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ახალციხელს ის მძიმე წამები მოაგონდა, როდესაც უკნიდან მიპარულმა ურჯულომ კინალამ მის ძმას, ივანეს გამოუყვანა წირვა.

მაშინ გამძვინვარებული შალვა ლაჩარ ბარბროსს ეკვეთა და ხმლის ერთი მოქნევით ძირს დასცა და სული გააფრთხოვინა.

ეს საოცარი ბრძოლა იმით დაგვირგვინდა, რომ ახალციხელმა ხელთ ხალიფას დროშა იგდო. მოგვიანებით კი, თამარმა გამარჯვების მაუნყებელი ალაფი გელათის მონასტერს შესწირა.

შალვას მოაგონდა სისხლიანი ბასიანიც, სადაც ის და თავისი ძმა მესხთა მენინავე ლაშქარს სარდლობდნენ.

„მართლაც რა ნაომარია ჩემი გაჭალარავებულის სამშობლო!“, ფიქრობდა გულში და ხმაღს გამალებით იქნევდა.

ბრძოლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა.

არზრუმელებმა, როგორც კი გაიაზრეს, რომ სასტიკად მარცხდებოდნენ, უკან დაიხიეს და მეფეს შენდობა სთხოვეს.

ლაშა-გიორგიმ კვლავ შეიგრძნო იმ ბედნიერების წამები, რასაც დიდი მეომარები ბრძოლაში ღირსეულად გამარჯვების შედეგ განიცდიან, მაგრამ ვაი, რომ დაუნდობელი ბედისწერა მეფეს ხიფათს უმზადებდა, სახეში დასცინოდა და მის დაღუპვას ლამობდა.

\*\*\*

ქართველთა და მონღოლთა ჯარი ერთმანეთს ელვის სისწრაფით ეკვეთა.

ხელონარულმა ბრძოლამ ლაშას თანამებრძოლებს დიდი უპირატესობა მიანიჭა. გრძელი შუბებით უმაღლესი ხელოვნებით დღიერ დარტყმებს და ურდოვ ცელ-ნელა მცირდებოდა.

მძიმედ შეჭურვილ მეომრებს მოძრაობა უჭირდათ, მაგრამ წინ მაინც მედგრად მიიწევდნენ.

გაქაფული ცხენები ჭიხვინებდნენ. ბასრი იარაღის გაელვებაც კი საკმარისი იყო, რომ ცხოველები უარესად გააღმასებულიყვნენ და ხმაც უფრო აემალლებინათ.

თავდაპირველად ქართველები დამაჯერებლად იგებდნენ. მონღოლებს უჭირდათ გამოცდილი მეომრების კარგად გალესილი ხმლების ან მოქნეული შუბების მოგერიება და უმაღლესი უკან იხედნენ.

პირველმა ქარმა რომ ჩაიარა, ურდოები თითქოს გამოცოცხლდნენ და ახლა თვითონ უტევდნენ ქრისტიანებს. უკანა ხაზზე მდგომი ჯარი ისრების წვიმას ისროდა. განწირული კვილი და ცხენიდან ძირს ჩამოვარდნის ხმა დაერთო ამ საბედისწერო დღეს.

ზოგჯერ ძირს გართხმულ მხედარს მისივე მხარეს მებრძოლი მეომრის ცხენი უმონყალოდ თელავდა და სიცოცხლეს ამრიგად ასალმებდა.

ერთ მონღოლ მეომარს, სახელად ბათუს, ბედაური მოუკლეს და გააღმასებული ურჯულო ახლა ქვეითად იბრძოდა.

მანვე წააქცია რამდენიმე ქრისტიანის ცხენი და ბოლოს იმდენად გამწარდა, რომ მშვილდით დაჭრილ ქართველს მივარდა და ნაჯახით დაჩეხა. ამ შემზარავ სანახაობას შალვა ახალციხელი შეესწრო და მტერს გამოუდგა.

ბათუმ ამირსპასალარს სისხლით დასვრილი იარაღი მოუღერა, მაგრამ ახალციხელმა ფარი დროულად დაუხვედრა. უცებ შალვას უკან მეორე მონღოლი გაჩნდა და ახლა იმან ამოიღო დაღუნული ხმალი. ამირსპასალარის შუბლიდან ოფლი წყალივით იღვრებოდა. გული ჯერ კიდევ ახალგაზრდულად უცემდა. საზოგადოდაც ასეა: ადამიანი სიკვდილის მოახლოებასთან ერთად სიცოცხლეს უფრო მძაფრად შეიგრძნობს. ამ დროს ერთი შეხედვით ნაკლებად თვალმისაცემი მოგონებაც კი მეტად ღირებული და ძვირფასი ხდება.

ამ დროს თავში უამრავი აზრი უტრიალებდა: განვლილი ცხოვრება, ყველა ბედნიერი წამი; და ყველა ამ ფიქრს მაინც თავის ნაომარ სამშობლომდე მიჰყავდა. მთელი არსებით შეიგრძნობდა იმ სიხარულს, სევდას, მძიმე ბრძოლით მოპოვებული გამარჯვების ფასს, რასაც კი თავისი ქვეყანა განიცდიდა. მისი ქორული, უდრეკი მზერა და მოუღლეელი მკლავი უთუოდ გაფიქრებინებდა, რომ საქართველოს ყველა გულისტკივილი და სიხარული შალვა ახალციხელს ახოვანი მხრებით ეჭირა და ასე ამაგრებდა. ფეხის ერთი დაცდენაც საკმარისი იყო, იმ აღსასრულისათვის, რომელიც ყოველწამიერად უფრო უახლოვდებოდა.

– „აქ არ მოგკვები!“ – ამგვარმა სიტყვებმა იფეთქა შალვას გულში და უამური ფიქრი განდევნა.

ამირსპასალარის ზურგს უკან მდგომმა მხედარმა ველური ყიფინით შეუტია. იმ წამს დაიძრა შუბლმეჭმუნული ბათუც და ნაჯახი მოუღერა.

შალვა დაიხარა, დარტმა აიცდინა და ხმალი სწრაფად დაატრიალა. ბათუს მოქნეული ნაჯახი ფარს მოხვდა, ხოლო მეორე მონღოლის მოქნეულმა ხმალმა ახალციხელის აბჯარი გაკვეთა და მარცხენა მხრიდან სისხლი გადმოდინდა. ორივე მონღოლი მიწაზე დაემხო.

შალვას ფკუამ გაჭრა: როდესაც დაიხარა, ტრი-  
ალისას ხმლით ორივე მეომრის წვივს მისწვდა და  
გვერდზე გადახტომაც მოასწო. მხარში დაჭრილი  
ამირსპასალარი ფეხზე სწრაფად წამოხტა და მონ-  
ინაალმდეგეებს დაელოდა. არ სურდა დაცემული-  
სათვის მახვილის ჩაცემა. ეს ხომ ყველაზე დიდი  
სილაჩრე გახლდათ და რასაკვირველია ქართველ-  
თა სასახელო ამირსპასალარი თავს უფლებას არა-  
სოდეს მისცემდა, ასეთი რამ ჩაედინა.

პირველად ბათუ წამოდგა და შალვასკენ კოჭ-  
ლობით დაიძრა. თან რალაცას გაჰყვიროდა მონ-  
ლოლურად. ახალციხელმა მის მიერ მოქმეული ნა-  
ჯახი ოსტატურად აიცილა და ხმალი მოიმარჯვა.  
არ გასულა ორი წამი, რომ ეს ბუმბერაზი მეომარი  
ისევ მიწაზე დაეცა, ოღონდ ამჯერად სამუდამოდ.

შალვას სიძლიერით შეძრულმა მეორე მონ-  
ლოლმა შიშჩამდგარი თვალებით შეხედა გარ-  
დაცვლილი თანამებრძოლის სხეულს. წამსვე  
აითრია ფეხი და რაც ძალი და ღონე შერჩენოდა,  
მთელი სისწრაფით მოკურცხლა.

ახალციხელი აღარ გაჰკიდებია მტერს, რადგან  
კიდევ რამდენიმე მებრძოლი უახლოვდებოდა. მა-  
შინვე ცხენს მოახტა და ახლა ტაიჭზე ამხედრებუ-  
ლი შეუპოვრად იქნევდა ხმალს.

ივანე ათაბაგიც გაშმაგებით იბრძოდა. უკვე  
ველარც მტერი და ველარც მოყვარე გაერჩია ისე  
ულერებდა შუბს მოახლოვებულებ მეომრებს. თან  
ლაშასადმი გულში ჩაბუდებული მტრობა უფრო  
მრისხანეს ხდიდა და მოსვენებას უკარგავდა.

„ჯერ ძალაუფლება წამართვა, ახლა საყვა-  
რელი ქალი! „-ჯავრობდა თავისთვის“ და საქმე  
ისეა გაჩარხული, რომ მის გამო სისხლიც კი უნდა  
დავეღვარო!“

მხარგრძელისნაირი ადამიანისათვის უცხო იყო  
სამშობლოს სიყვარული და მეფისათვის თავგან-  
ნირვა. მუდამ საკუთარი კეთილდღეობისათვის  
იბრძოდა და ახლაც, ცდილობდა თავი გადაერჩინა,  
თავი და არა ქვეყანა, თავი და არა მეფე!

ლაშას სიკვდილი რუსუდანზე არანაკლებად  
სურდა და ქალის გამეფება დიდად გაუხარებდა  
გულს.

რუსუდანთანვე აკავშირებდა ფარული, შავბნე-  
ლი ზრახვები და თუკი სადავეებს ის ჩაიდებდა  
ხელში, კვლავ ძველ დიდებას დაიბრუნებდა.

მართალია ლაშა-გიორგი პირდაპირ ერიდებო-  
და მხარგრძელების გვართან დაპირისპირებას, მა-  
გრამ ფარულად მაინც ისე ჩარხავდა საქმეს, რომ  
სამეფო კარზე მათი გავლენა შეესუსტებინა.

ამის დარად გაძლიერდა დადიანების გვარის  
უფლებები, რაც ივანეს მეტად აწბილებდა. თამ-  
არის დროს ნაბოძები საერისთავოები ნიშნავდა  
ძღვენს, რომელთა გამოც მხარგრძელებს ევალებ-  
ბოდათ სომეხი მოსახლეობის გაქრისტიანება, მა-  
გრამ ამ საქმეზე მეტად მუდამ საკუთარი მამუ-  
ლების გაზრდა ადარდებდათ.

ივანე, ყველაფერი თუ კარგად ჩაივლიდა, შალ-  
ვა ახალციხელის მოშორებასაც გეგმავდა.



\*\*\*

პირველი ბრძოლა ელვის სისწრაფით გაჩაღდა.  
დუმნებად დაყოფილმა მონლოლთა ჯარმა  
კარვები წამში აშალა და ქართველობას გამოუდგა.  
ლაშას მიერ გაგზავნილი მხედრობა მტერს  
ეკვეთა.

სუბუდაი ცხენს მოახტა და მშვილდი მოიმარჯ-  
ვა. ერთ ნაწილს თავად გაუძღვა, მეორე კი ჯებეს  
გადააბარა.

უცხოოდ ჩაცმული ხალხის ხილვამ მონლოლებიც  
გააოცა. მართალია უკვე მრავალი ქალაქი დაეპყ-  
როთ, მაგრამ ქართველთა მდიდრულმა სამოსმა და  
გარეგნობამ მათზე დიდად იმოქმედა. ამის ხილვის  
შემდეგ უფრო მეტად გაცხოველდნენ, უფრო დიდი  
ძალით ეკვეთნენ მტერს და უფრო მეტი სითამა-  
მეც გამოიჩინეს.

ივანე მხარგრძელისა და გაგელის ჯარი ბრძო-  
ლის დასაწყისისთანავე აირია, დაიფანტა და ლა-  
მის დაიშალა კიდევ. (მოგვიანებით მხარგრძელ-  
მა ეს ყველაფერი ამრიგად ახსნა: თურმე წყეულ  
მანასაგომის პატრონ - ჰამიდოლას შურისძიების  
მიზნით ათაბაგის ცხენისათვის ძარღვი გადაუჭრია  
და სწორედ ამან შეცვალა საქმის ვითარება.)

ასე იყო, თუ ისე, მონლოლები აშკარად ჯაბ-  
ნიდნენ ქართველთა მცირერიცხოვან ჯარს, რომე-  
ლიც მტერს მაინც მედგარ წინააღმდეგობას უწე-  
ვდა.

ხმლის ქნევაში განაფული საუკეთესო მეომრე-ბი ერთი მოქნევით ერთდროულად რამდენიმე ბარბაროსს მზეს უბნელებდნენ, მაგრამ მათი რიცხვი არა და არ მცირდებოდა.

ათს მოკლავდა რომელიმე წარჩინებული და მის ადგილას ახალი ათი გაჩნდებოდა...

პირველი დაპირისპირება უშეღავათო გამოდგა.

ივანე მხარგრძელს წარბი შეეჭმუხნა და ისე უგუნებოდ ბრძანდებოდა, რომც დაეჭრათ, ალბათ არც მაგას მიაქცევდა ყურადღებას.

გაგელი მედგრად იბრძოდა. უწინაც მრავალი ომი ჰქონდა გადახდილი და ახლაც მზად იყო სული მტრის ხელში დაეღია, ვიდრე შინ უდარდელად მჯდარიყო და მარცხს მორჩილად შეგუებოდა.

ის იყო ვარამს ცხენი მხარგრძელისაკენ უნდა გაეჭენებინა, რომ ერთ-ერთმა მონღოლმა ბედაურს ისარი პირდაპირ თვალში მოახვედრა.

ტკივილისაგან აჭიხინებული ცხენი უკანა ფეხებზე დადგა და პატრონი მყისვე ძირს ჩამოაგდო. გაგელი რამდენიმე მეტრით უკან რომ არ გახიხიებულიყო, პირდაპირ ტაიჭის ქვეშ გაიჭყლიტებოდა. ასე სიკვდილი კი ნამდვილად დასანანი იქნებოდა!

მონღოლები ისრებს პირდაპირ გაჭენებული უბელო ცხენებიდან დან ისროდნენ და იშვიათად რომ სამიზნისათვის აეცდინათ.

ეს ყველაფერი იმდენად შთამბეჭდავი და ამავდროულად დამზაფრავი აღმოჩნდა შალვა ახალციხელისათვის, რომ ერთხანს თვალი ვერ მოაშორა ერთ-ერთ ბარბაროსს, რომელიც ისარს პართიული\* სტილით ისროდა.

ამირსპასალარი, ლაშას დარად სწრაფადვე ეკვეთა მტერს.

გამეტებით იქნევდა ხმალს და თან ფიქრობდა ნაომარ ქვეყანაზე, მეფეზე, თავის შვილსა და ამქვეყნიურ ყოფაზე.

ომში გამონრთობილ ახალციხელს გული მუდამ საქართველოზე შესტკიოდა და მას მშობელ დედასავით თავს ევლებოდა.

როდესაც ბრძოლა იყო საჭირო-იბრძოდა, როდესაც სიტყვა იყო საჭირო-ამბობდა, როდესაც დიდგვაროვნები განუდგებოდნენ მეფეს-საკადრისად სჯიდა.

ასეთი მხურვალე გულის პატრონი შალვა ქართველთა ჯარის უყოყმანო სიყვარულით რომ სარგებლობდა, ხმალს სიჭარმაგეშიც არ იშორებდა. უზადო მეომრის სახელს თავგანწირული მამულიმვილობა აძლიერებდა, რაც უნაპირო პატივმოყვარეობით აღსავსე ივანე მხარგრძელს გულზე ეკლად ესობოდა და პირველობისათვის ბრძოლაში გადაულახავ წინააღმდეგობას უქმნიდა. შალვას წაგებული ბრძოლა არავის ახსოვდა, რის გამოც გული ავად ეთანაღრებოდა ათაბაგს; ბოლო დროს სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით გვარიანად მოიკოჭლებდა, რისი მიზეზიც ახალციხელისადმი პიროვნულ ქიშპსა და მზაკვრულ სიკერპეში

იკითხებოდა, საქვეყნო საქმეზე მეტად მას მუდამ საკუთარი გავლენა და კეთილდღეობა ანალვლებდა. ქრისტიანული რჯულიც ამიტომ მიიღო და გაქართველებული დიდგვაროვნის ნოდება ზედმეტად შეიფერა.

ლაშა-გიორგი ერთ ზორბა მონღოლს შეეჩეხა. როგორც ჩანს, ცხენი ბრძოლაში მოუკლეს და ახლა დაღუნულ ხმალს გამეტებით იქნევდა. მომხდურმა მეფე შენიშნა თუ არა, პირდაპირ მისკენ დაიძრა.

უცებ გაუგონარი რამ მოხდა: ლაშა-გიორგი ცხენიდან ჩამოხდა და მტერთან ისე მიიჭრა.

ამირსპასალარმა თითქოს რაღაც დაუყვირა შორიდან, მაგრამ ლაშას აღარაფერი ესმოდა. იდგა უშველებელი მონღოლის წინ და ხან მარჯვნივ მოუქნევდა ხმალს, ხან მარცხნივ.

გმირულად სიცოცხლე სწყუროდა მეფეს და ამისათვის არაფერს დაიშურებდა.

მტრის მოქნეული ხმალი სწრაფად აიციდნა და გვერდზე ოსტატურად გახტა. მეომარიც მაშინვე გამეტებით მივარდა, ლაშას, მაგრამ გვირგვინოსანმა იარაღი პირდაპირ მკერდში აძგერა.

მონღოლმა ერთი დაიღრიალა და მეფის ხმალზე შამფურივით წამოეცვა.

-სიცოცხლეს საფრთხეში ეგრე ადვილად ნუ იგდებ!-გაუწყრა ახალციხელი.

-სიცოცხლე დაუსრულებელი ომია, მე კი დამარცხება არ მნადია. არ გესწავლება ახალციხელო, მრავალმომავლოვლებმა საქართველო მტრისგან მუდამ უნდა დავიცვათ!-გაეპასუხა გვირგვინოსანი და ხმალი ქარქაშში ჩააგო.

ბრძოლის ველის შემხედვარემ თვალი მწუხარედ გააყოლა ურიცხვ მოკლულს.

საუკეთესო მხედრობა, საუკეთესო ექვსი, ან რვა ათასი ქართველი მეომრის უსულო ცხედარი მიწაზე გართხმულიყო.

მონღოლთა ურიცხვი გვამიც იქვე ახლოს ეყარა, მაგრამ მათი უცხო სახის მოყვანილობით კაციშვილი ვერ მიხვდებოდა ისევ ცოცხლები იყვნენ თუ არა...

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## ერაკლე სალლიანი

## აფხაზური პოეზია

## იუზა კოლონია

სვანი მირზაყანი<sup>2</sup>

მიხვდა გირგვალ, შეაფრფოლა მასაც,  
 გახდა მისთვის უკვე გასაგები,  
 გმირს ვერაფრით ვერ შეუკრავ გზასა,  
 ვერ ჩაკეტავ დევგმირს გასალებით.  
 ნახა, მეტად რიხიანი იყო,  
 სვანი კაცის სვლა და სიარული,  
 ნალველი სულ არ ეფინა იმ დროს,  
 თითქოს იყო მეტად მხიარული.  
 შეიბერტყა თავის ზორბა ტანი,  
 შევიდოდა შტაბში სვანი სანამ  
 ირიჟრაჟა, გაქრა ბინდი ღამის  
 სალდათები თითქოს არსად ჩანან.  
 შემოვა და დავეცემით ერთ კაცს,  
 დავატყდებით თავზე როგორც დელგმა,  
 ვით გასწირა ის, მაღალმა ღმერთმა  
 ვინც დასახა ვერაგული გეგმა.  
 შემოვა და გათავდება დღეისს,  
 გენერალი ფიქრობს ბოლმით მთვრალი,  
 გვერდს უმშვენებს მჭრელი ამასკეი,  
 სვან მირზაყანს აფხაზური ხმალი.  
 მოუღლეელი ახლდა თავის მკლავიც,  
 ბუმბურაზ გმირს ამასკეის გარდა,  
 განწყობა მთელ ქალაქში ღამის,  
 ეფარება ფანჯრებს სქელი ფარდა.  
 ცხრა საათზე შედის შტაბში სვანი,  
 გენერალთან შედის მხოლოდ მარტო  
 გაგარინთან ერთად იყვნენ სხვანიც  
 მოსულ კაცზე არავინ არ დარდობს.  
 ხალხით სავსე გაგარინის შტაბი,  
 მოჰგავს ხშირ ტყეს, გაუვალს და უღრანს,  
 გენერალი ბოლთასა სცემს, დადის  
 მჭრელი მზერით მთიელ დეკაცს ბურღავს.  
 არის ბედის ნებიერი ახლა,  
 ბედმა ასე ალაზავა ვინაც,  
 მზერას მისსას ქედმაღლობა ახლავს,  
 სინდის-ნამუსს მასში კვლავაც სძინავს.  
 ჭკვას ატანენ ნიავს ქერის ბზისებრ,  
 ვერ იტანენ სტუმარს ახლომყოფსა  
 და სიტყვასაც გაისვრიან ისე,  
 გაისვრიან ვით ხშირ ხშირად თოფსა  
 მე ვარ, რიხით იტყვის გაგარინი,  
 მოგზავნილი მეფისაგან თქვენთან,  
 დასთამაშებს მას ტურებზე ღიმი,  
 თქვა ის, რაც მას კიდევ უნდა ეთქვა.  
 არ მეურჩე, გეტყვი მე შენ იმას,  
 ხარ შენ ღირსი ამისათვის ქების,  
 ჩემს ბრძანებას შეასრულებს ვინაც  
 ერთგულია უსათუოდ მეფის.  
 მზე აშუქებს სასახლესაც, ქოხსაც,



მეფის ზრუნვით მე ვარ ახლა სავსე,  
 თუ კი რამე საგანგაშო მოხდა,  
 ჩემი ჯარი მიერთგულებს წამსვე.  
 ამიტომაც შენ მოგმართავ, თავადს  
 კარგად ვიცი, ვაჟკაცი რომ ხარო,  
 შენი ბედი გადანყვიტე თავად  
 იარაღი უნდა ჩამაბარო!  
 უცებ შტაბში ისეთი რამ მოხდა,  
 გენერალი რომ დატოვა სახტად,  
 არ ისურვა სვანმა მუხლის მოყრა  
 და გაგარინს უპასუხა სხარტად.  
 ჩვენ იქ მთაში, ადგომას მზეს ვასწრებთ,  
 შეუყვებით ბილიკს მთისკენ სისხამს,  
 ვწვდებით ხელით ღრუბლის მოზრდილ ნაჭრებს,  
 იარაღსაც ტყუილა როდი ვისხმათ.  
 აღარ ვგვარ მეკობრეს და მპარავს,  
 კარგად ხედავთ, იარაღი რომ მშვენის,  
 მე არც თქვენი ჯარისკაცი არ ვარ,  
 არც ლაქია აღარა ვარ თქვენი!  
 არა ვგავარ თქვენს ფინია მწვეარს,  
 არც აჭრილა სხვაში ჩემი სისხლი,  
 სალოცავად ტაძარში რომ შევალ  
 იარაღს მხოლოდ, მხოლოდ მაშინ ვიხსნი!  
 მეც ვატარებ მკერდზე მთვარის ნიშანს,  
 შევსწრებივარ დღის და ღამის გაყრას,  
 იარაღის აყრა ჩვენში ნიშნავს  
 ღირსების და ღირსად ცნობის აყრას.  
 მეომრებო, წამოდექით ხელად,  
 ყვირის შტაბში მშიშარა და ტრელი,  
 ჩინიანმა თუ უჩინომ ყველამ  
 სატევარზე იკრეს ორივე ხელი.  
 აიმართა მირზაყანიც ზეზე,  
 აამღერებს მახვილს, როგორც ლარქემს,  
 ეძებს ხიფათს და ფათერაკს ეძებს,  
 არ მიმტყუნო ამასკეი, გასჭერ!  
 სახით მოჰგავს მანათობელ მთვარეს,  
 ხელებზედაც მთვარისფერი გაჰკრავს,

2 დასარული. დასაწყისი იხ. „ისინდი“ № 10

მტერს დაუსვა რისხვა სვანმა მწარედ,  
ვერ ითვლიან იმის ხმალის ნაკრავს.  
ნაეტანა ერთ ხმალს ერთიანად,  
ალესილი ასი გორდა ხმალი,  
მირზაყანი დაიბნევა განა?  
არწივივით ჭრის იმისი თვალი.  
ბრდღვინავს, როგორც ვეფხი, თვის თავს არ ჰგავს,  
ზოგი კიდევ ხრიალებს და ხავის,  
მოიხელთებს გაგარინს და დაჰკრავს,  
ტანს გაშორდა მოკვეთილი თავი.  
გაიჭრება გმირი უცებ გარეთ,  
არ აშინებს მტრის თოფების ჭექა,  
ნაფოტებად დაშლის შტაბის კარებს,  
მისგან ბევრი მწარედ დაიბეთქა.  
გადაირბენს ნამშეუმშრალ ეზოს,  
შევარდება უცებ უცხო სახლში,  
კვალში სდევენ, ვერაგნებენ ეგ ზომ,  
ცეცხლს თესენ და დატოვებენ ნახშირს.  
შერჩა ხელში სვან კაცს თვის ხმლის ვადა,  
თავს არიდებს მტრისგან ნასროლ ტყვიას,  
დაუხვდება, უნდა იყოს სადაც  
თუნდაც დარჩეს სახლის კარი ღია.  
ნახა ტახტი, კუთხეში რომ იდგა,  
დაშალა და იწყო მტერთა ლენვა,  
დაუხვდება მტერს კარებთან მიმდგარს,  
არყევს, როგორც ქარი არყევს ლერწამს.  
ესროლეს და დაჭრეს მირზაყანი,  
ჯარისკაცმა მას ესროლა მიჯრით,  
არ ნებდება მტერს დაჭრილი სვანი,  
არ ნებდება და ბოლომდე იბრძვის.  
არცა კვნესა, არც მცირედი მოთქმა,  
შეავედრებს თვის ბედს სვანურ საყდრებს,  
ის კიდევაც შეიძლება მოკლან,  
მაგრამ მაინც აღარ უნდა გატყდეს.  
დაიცხრილა იატაკიც და ჭერიც,  
კვლავ მოარტყეს ტყვია უფლის ტარიგს,  
ნახოს ყველამ, ერთმა კაცმა მტერი -  
მტერი უნდა წაახდინოს რარიგ.  
ნახა სვანმა, თავის თვალით ნახა,  
თვალებიდან ამოსული ნისლი,  
ღირსებას ის თვისსას აღარ მარხავს,  
თუმც კოჭებშიც ჩასდის უკვე სისხლი.  
აღარაფრით არ იწურავს იმედს,  
ვერ მოდრიკავს სიმრავლენი ჯოგთა,  
დაჭრეს გმირი, დაჭრეს მეტად მძიმედ  
მაგრამ ტკივილს მაინც აღარ გრძნობდა.  
მე იარალი აღარ დამიყრია,  
იტყვის სვანი, ერთგულია ფიცის,  
ყოველ მტრისგან გამოგზავნილ ტყვიას,  
ის აყოლებს ხარხარსა და სიცილს.  
მოკლეს როცა, ცად წავიდა სული  
მეც მსურს მისი შემართება დამყვეს,  
კავკასიის იყოს სიქადული,  
კავკასიის იყოს სიამაყე!  
დაამწუხრა მთელი ხეობა და,  
იყო სვანი იმპერიის ურჩი,

კავკასიის იყო ზნეობა და  
ამ ზნეობის იყო მტკიცე ბურჯი.  
მე დღეს მასზე ვფიქრობ, მასზე ვდარდობ,  
სიტყვას ვამბობ, თუმცა ძალზე გვიან,  
თვით სიკვდილშიც იყო იგი მარტო,  
მარტოსულმა თავად სიკვდილს სძლია.  
სიტყვა ჩემი აისისკენ მიმყავს,  
მიმყავს სადღაც, დავეყენებ ნამით,  
ვით აფხაზი გმირი, ისე გვიყვარს  
ჩვენ აფხაზებს სვანი მირზაყანი!

#### თარგმანი ერეკლე სალლიანის

### პასტანგ ბასტაქა

#### ჟურნალისტი, პუბლიცისტი

#### „სპეციალურად „ისინდისათვის“

#### პატრიარქ ტიხონის ანათემა ზოლშევიკებს

საბჭოთა რუსეთის ისტორიის (ანტიტოტალიტარისტ) ექსპერტთა აზრით, პატრიარქმა ტიხონმა ე.წ. უკანდახევა (ზემოთაღნიშნული მონაწიება) გააკეთა ტაქტიკური (პოლიტიკური) მოსაზრებით, რათა გაეგრძელებინა საეკლესიო ღირებულებათა გადარჩენისათვის გადაწყვეტი ბრძოლა.

მაგრამ მივყვით ყველაფერს თანმიმდევრულად.

რუსეთის უმაღლესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1923 წლის 25 ივნისის დადგენილებით გაათავისუფლა იგი პატიმრობიდან. 1924 წლის 21 მარტს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოს დადგენილებით პატრიარქ ტიხონის საქმე შეჩერებულ იქნა. მიუხედავად ამისა, პატრიარქი, როგორც უკვე წამებული, უწინდებურად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა შორის, რაც მოსვენებას არ აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას. რუსეთის ეკლესიის პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების შემდეგაც ბოლშევიკური პროპაგანდა მას წარმოადგენდა, როგორც ეკლესიისათვის თავსდატეხილი ყველა უბედურების მიზეზს. „...ვის არ ახსოვს ის გაშმაგებული წყევლა-კრულვა, - გკითხულობთ 1927 წლის 19 აგვისტოს „იზვესტიის“ სარედაქციო სტატიამი, - როდესაც პატრიარქი ტიხონი თავს ატეხდა საბჭოთა ხელისუფლებას იმ დროს, როცა იგი ებრძოდა კაპიტალისტურ სამყაროს, და იმ დროს, როცა მან გადაწყვიტა ნაძარცვი საეკლესიო სიმდიდრის ნაწილი გამოეყენებინა მოშიშმიღეთა გადასარჩენად... ნაკლებ საინტერესოა ის ბრძოლა და კინკლაობა, რომელიც ტიხონის სიკვდილის შემდეგ გაჩაღდა საერთოდ სამღვდელოებასა და კერძოდ ტიხონელებს შორის... როცა დაიწყო ტერორისტული აქტები პროლეტარიატისა და გლეხობის მოწინავე მეზობლობა წინააღმდეგ, - გულისწყრომის ამ აფეთქება

მუშლმავარ ტიხონელებისთვისაც ცხადი გახდა, რომ მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, დაყოვნება შემდეგ დამლუბველი იყო სამღვდლოებისათვის“ (გაზ. „იზვესტია“, 1927, 19 აგვისტო).

მიაქციეთ ყურადღება, როგორი აღვირახსნილი ბრალდებაა! საბჭოთა ხელისუფლება ბრალს დებს ეკლესიას მძარცველობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიამ დააგროვა ურიცხვი სიმდიდრე თავისი არსებობის 900 წლის მანძილზე. რუსი მეფეები, თავადები და იმპერატორები, არისტოკრატები, ვაჭრები ეკლესიას სწირავდნენ უდიდეს თანხებს და ღირებულებებს. ბოლშევიკები კი ხატებიდან გლიჯავდნენ ძვირფას მოჭედებებს, აძრობდნენ ძვირფას ქვებს, ბიბლიებს აცლიდნენ ასევე ძვირფას ყდებს, მიჰქონდათ ოქრო-ვერცხლის ნივთები, ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნახელავები, ივანე მრისხანესა და პირველი რომანოვების დროინდელი ჩამოსხმული ოქროს ჯვრები, ძვირფასი ქვებით მოჭედილი სამკაულები, რომლებიც ტაძრების, ლავრების და მონასტრების სიამაყეს შეადგენდნენ.

•

ორი კვირით ადრე, ვიდრე პატრიარქი ტიხონი ანათემას გადასცემდა აღვირახსნილ ბოლშევიკებს (რევოლუციონერებს), და თავის ეპისტოლეში გაილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, პეტროგრადის აღმასკომში მოწოდება გავრცელდა პეტროგრადის მოსახლეობისადმი.

როგორც ჩანს, ბოლშევიკები ფხიზლობდნენ. აი, პეტროგრადის აღმასკომის მოწოდება, დათარიღებული 1918 წლის 5 იანვრით - „პეტროგრადის მოსახლეობისადმი“.

„ხალხის მტრები, კონტრრევოლუციონერები და მესაბოტაჟეები ხმებს ავრცელებენ იმის შესახებ, რომ 5 იანვრის დღეს რევოლუციონერი მუშები (?) და ჯარისკაცები ესროდნენ მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციას.

და ეს ერთი მიზნით კეთდება: შიში და არეულობა შეიტანონ მშრომელი მასების რიგებში, ექსცესებზე გამოიწვიონ ისინი და იმ განამანიაში თავდასხმები მოაწყონ რევოლუციის ბელადებზე, რითაც რახანია, იმუქრებიან.

უკვე დადგენილია, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციულ გასროლებს დედაქალაქში წესრიგის დასაცავად შერჩეული ჯარისკაცებისა და მატროსების მხრივ. მუშებს ესროლეს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის აღმასკომის მიერ დასახულ იქნა უმკაცრესი გამოძიება 5 იანვრის მოვლენებისა. მუშათა და ჯარისკაცთა სისხლის დაღვრაში დამნაშავენი, სადაც კი აღმოჩნდებიან, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.“

1918 წლის 19 იანვარს პატრიარქმა ტიხონმა გამოსცა თავისი მოწოდება, რომელიც ცნობილია, როგორც პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს.

•

გამოჩენილი რუსი მწერალი - დოკუმენტალისტი ალექსანდრე სოლჟენიცინი წერს:

„პირდაპირ ქარხნების ეზოებში ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ მუშათა ჯგუფებს, რომლებიც დამოუკიდებელი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის არჩევას მოითხო-

ვდნენ. მოგაგონებთ - ეს იყო თვრამეტი წლის მარტი. ახლა იშვიათად თუ ვინმე აღიდგენს მესხიერებაში 1921 წელს პეტროგრადელ მუშათა გაფიცვის ჩახშობასაც და იმავე ოცდაერთში კოლპინის დახვერცხასაც“.

ცოტა უფრო ადრე კი მოწინავე მასწავლებელთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას ულიანოვ-ლენინმა გულახდილი განცხადებაც გააკეთა:

„უნდა ითქვას, რომ ძველი რუსეთის ინტელიგენციის ძირითადი მასა აშკარა მოწინააღმდეგეა საბჭოთა ხელისუფლებისა და უეჭველად გაგვიჭირდება ამ სიძნელეების გადალახვა. მასწავლებელთა ფართო მასებში მღელვარება ხომ აგერ-აგერ იწყება“.

მაგრამ თუკი წვრილი მესაკუთრენი, ინტელიგენცია და მასწავლებლების ფართო მასები წინააღმდეგნი არიან, მაშ ვინლაა „მომხრე“?

„მხოლოდ შეგნებული მუშების იმედად უნდა ვიყოთ. დანარჩენი მასა, ბურჟუაზია და წვრილი მეურნეები ჩვენი მოწინააღმდეგენი არიან“, - წერდა ვლადიმერ ლენინი. ხოლო შემდგომ ის აზუსტებს:

„ჩემთვის ცნობილია, რაოდენ ცოტაა რუსეთში მოწინავე, შეგნებული მუშა“.

დასავლეთის საბჭოთა რუსეთის ანტიტოტალიტარისტ მკვლევართა აზრით, ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბოლშევიკები აშკარა უმცირესობას ეყრდნობდნენ, გაბრიყვებულ მუშებს, რომელთაც შეგნებულებს ეძახდნენ, მაგრამ ერთ-ორ თვეში მუშების ეს შეგნებული ნაწილიც ხომ შეიძლებოდა გონს მოსულიყო?

ვთქვათ, მუშები მართლაც მოეგნენ გონს და გლეხებს შეუერთდნენ, როგორც ვითომ არიან შეერთებულნი ფორმულაში - „მუშურ-გლეხური ხელისუფლება“? სულაც არ იქნებოდა ზედმეტი მათი ერთმანეთზე დაგეშვა, შეჯახებისა და გათიშვის მიზნით. ინსპირირებულ შიმშილობასა და პურზე ჯვაროსნულ ლაშქრობას ამ პრობლემის გადაწყვეტაც შეეძლო.

„საჭიროა მ უ შ ა თ ა ჯვაროსნული ლაშქრობა დეზორგანიზატორებისა და ხორბლის გადამმალავთა წინააღმდეგ“.

„...თუ ამას ვერ მივალწივით, არავითარ სოციალისტურ გარდაქმნაზე არ შეიძლება ფიქრი“.

აი, თურმე რისთვის დასჭირვებიათ რუსეთის პური! ყოველ შემთხვევაში, არა იმისათვის, რომ ბოლო მოეღოთ შიმშილობისათვის მოსკოვსა და პეტროგრადში. მთავარი ამოცანა ყოფილა - ქვეყანა რომ მართო, საჭიროა მონოპოლია ყველა სახის პროდუქტზე!

მთავარი არის პურის მონოპოლია! საიდან შეუძლია გაიგოს ათეულ მილიონობით ადამიანმა, რომელთაც აქამდე მხოლოდ ჩაგვრით კვებავდა სახელმწიფო, მხოლოდ ძალადობით, მხოლოდ მოხელეთა ყაჩაღობითა და ძარცვით, საიდან მიიღონ იმის შეგნება, თუ რა არის მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომ პური, რომელიც ზედმეტია და არ გადასულა სახელმწიფოს ხელში, თუ იგი მფლობელის ხელში რჩება, რომ ის, ვინც მას ინარჩუნებს - ავაზაკია, ექსპლუატატორია, დამნაშავეა პიტერის, მოსკოვის მუშათა საშინელ შიმშილობაში და სხვ.? საიდან უნდა იცოდეს მან ეს, როდესაც იგი დღემდე უვიცობაში ჰყავდათ, საიდან მიიღოს მან ეს შეგნება?!

...თუ მშრომელ გლეხს თქვენ იმას უწოდებთ, ვინც ასობით ფუთი პური მოინია თავისი შრომით და ყოველგვარი დაქირავებული შრომის გარეშე, ხოლო ახლა ხედავს, რომ ეს ასობით ფუთი პური გადაინახოს და მერე გაყიდოს ფუთი არა ექვს მანეთად, არამედ უფრო ძვირად, იგი ექსპლუატატორი ხდება, ყაჩაღზე უარესი!“

აი, ახლა კი მართლაც ყველაფერი ლენინურად ნათელია და გასაგები: გლეხები, რომელთაც თავიანთი ოფლით მოინიეს პური და სურთ მისი გაყიდვა და არა უფასოდ ჩაბარება - ყველანი ყაჩაღები არიან. ისინი კი არ ყოფილან ყაჩაღები, ვინც იარაღით, ძალით ართმევდა პურს გლეხობას, არამედ ისინი, ვინც მათ წინააღმდეგობას უწევდა და პურს ნებაყოფლობით არ აბარებდა.

მაგრამ ყველაზე საშინელი ის იყო, რომ სასურსათო დიქტატურა, რაგინდ სასტიკი და არაადამიანურიც უნდა ყოფილიყო, მაინც არ წარმოადგენდა თვითმიზანს, იგი გახლდათ მშვენიერი საშუალება იმისათვის, რომ სამომავლოდ მთელი პური ეგდოთ ხელთ და თავიანთი შეხედულებებისამებრ გაენაწილებინათ.

„იმიტომ, რომ, თუ მას (პურს) სწორად გავანაწილებთ, ჩვენ შრომის ყოველ დარგზე ვიბატონებთ“ (ტ.27, გვ. 578).

უფრო ზუსტად და უფრო მოკლედ, როგორც ეს ლენინმა თქვა, ვერ იტყვი.

ისევე ლენინს მოვუსმინოთ:

„ბოლშევიკებმა მეტისმეტად იოლად შეძლეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება როგორც დედაქალაქში, ასევე რუსეთის მთავარ სამრეწველო ცენტრებში. მაგრამ ცენტრიდან დაშორებულ პროვინციებში ხელისუფლება ისეთ წინააღმდეგობას ნააწყდა, ომს რომ უტოლდებოდა, და მხოლოდ აგერ ახლა, მთელმა ოთხმა ნელმა რომ განვლო ოქტომბრის რევოლუციიდან, ახლა ცხრება ნელინელ. ამჟამად, ძირითადად, გადალაზული და დაძლეულია ეს წინააღმდეგობა. რუსეთი დაიპყრეს ბოლშევიკებმა.“

ან: „როდესაც ერთი ქვეყანა მეორეს იპყრობს, როდესაც რუსეთის იმპერიამ, ვთქვათ, დაიპყრო შუა აზია, როგორც გენებოთ, ისე მონათლეთ და, მიზანი, რომელსაც თვით დამპყრობელნიც არ მალავდნენ, აშკარა გახლდათ. ბევრი მანიფესტი (თუ მოწოდება) სწორედ ასევე იწყებოდა ხოლმე: „ესწრაფვის რა რუსეთის იმპერიის საზღვრების შემდგომ გაფართოებას...“

ან: „როდესაც ერთი ქვეყანა მეორეს იპყრობს და იქ მკაცრ საოკუპაციო რეჟიმს ამყარებს, რათა დათრგუნოს მოსახლეობის წინააღმდეგობა და დაპყრობილი ქვეყანა მორჩილებაში იყოლოს, ამას არც მაინცდამაინც კეთილი, მაგრამ გასაგები მიზანი აქვს: მიუერთოს მეტროპოლიის დაპყრობილი ქვეყანა.“

დასავლეთის ისტორიკოსთა მტკიცებით, რუსეთი დაიპყრო ადამიანების მცირე ჯგუფმა - ბოლშევიკებმა, რომელთაც მაშინვე უსასტიკესი საოკუპაციო რეჟიმი დაამყარეს ქვეყანაში; რეჟიმი, რომლის მსგავსიც კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა. მათ ასეთი რეჟიმი ძალაუფლების შესანარჩუნებლად შემოიღეს - ყველასა და ყველაფერს დათრგუნვა ხელისუფლების შენარჩუნების



მიზნით. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ფაქტობრივად მთელი მოსახლეობა მათი წინააღმდეგი იყო, მხედველობაში თუ არ მივიღებთ „მონინავე“ მუშების ვიწრო ფენას, ანუ რუსეთის მთელი მოსახლეობის რამდენიმე მეთაურ პროცენტს. მიუხედავად ამისა, ესროდნენ, ჭრიდნენ, შიმშილით სულს ხდიდნენ, ყოველნაირად ძალადობდნენ, ოლონდაც ქვეყანა ხელში ჰყოლოდათ.

რატომ, რის გამო, რა მიზნით, რისთვის? იმისათვის, რომ დაპყრობილ ქვეყანაში თავიანთი პოლიტიკური პრინციპები განეხორციელებინათ:

„თუ ჩვენ მთელი საქმე მარტოოდენ ბოლშევიკური პარტიის ხელში ავიღეთ, ჩვენ მას ვიღებდით ჩვენს თავზე, რადგან დარწმუნებულნი ვიყავით, რომ რევოლუცია მნიფდება ყველა ქვეყანაში და, ბოლოს და ბოლოს, როგორ სიძნელეებსაც უნდა განვიცდიდეთ, როგორი დამარცხებებიც უნდა გვხვდეს ნილად, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუცია მოვა“ (ტ.27, გვ. 97-98).

„ჩვენ ჩვენივე ჩამორჩენილობამ დაგვძრა წინ, და ჩვენ დავიღუპებით, თუკი ვერ გავძლებთ მანამ, სანამ სხვა ქვეყნების აჯანყებულ მუშათა მძლავრ მხარდაჭერას არ ვიგდნობთ.“

„ხოლო სანამ იქ, დასავლეთში, რევოლუცია მნიფდება, თუმცაღა დღეს იგი გუშინდელზე ჩქარა მნიფდება, ჩვენი ამოცანა მხოლოდ ესაა: ჩვენ, როგორც წინ მიმავალმა რაზმმა, ჩვენი სისუსტის მიუხედავად, ყველაფერი უნდა მოვიმოქმედოთ, ყველანაირი შანსი უნდა გამოვიყენოთ, რათა შევინარჩუნოთ მიღწეული პოზიციები, დავრჩეთ ჩვენსავე საგუშაგოზე, როგორც სოციალისტური რაზმი, მოვლენათა სხვათა და სხვათა გამო ჩამორჩეული სოციალისტური არმიის რაზმებს და იძულებული - დაელოდოს სხვა ქვეყნების სოციალისტური რევოლუციების დახმარებას.“

„ჩვენ არ ვიცით, შეიძლება, არავინ არ იცის, ეს სავესებით შესაძლებელია, მან გაიმარჯვოს რამდენიმე კვირის შემდეგ, რამდენიმე დღის შემდეგაც და როდესაც დაიწყება, რასაკვირველია, ჩვენ აღარ დაგვტანჯავს ჩვენი ეჭვები, აღარ იქნება საკითხები რევოლუციურ ომზე, არამედ იქნება ერთი განუწყვეტელი ტრიუმფალური მსვლელობა“ (ტ. 27, გვ.108).

•  
აღსანიშნავია, რომ ვიდრე რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა რუსეთის იმპერიის იმდროინდელ საზოგადოებრივ და სასულიერო წრეებში გაავრცელა თავისი ცნობილი მოწოდება (1918 წლის 5 იანვარი), რომელიც ცნობილია, როგორც „პატრიარქ ტიხონის ანათემა ბოლშევიკებს“, მანამდე, 1917 წლის დეკემბრის და 1918 წლის იანვრის დღეებში, ახალი წლის დაწყებამდე გავრცელდა რისხვით აღსავსე, მებრძოლ ათეისტ-ბოლშევიკთა სანიშნაღმდეგო, შედარებით რადიკალური, არადიპლომატიური, მართლმადიდებლური მართლმამხილებლური პირდაპირი მოწოდება პეტროგრადის მოსახლეობის, მრევლის, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ შვილთა მიმართ, რომელიც შედგენილი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატიოსან მღვდელმსახურთა მიერ. გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს ამ ტექსტიდან:

„(...) ყოველივე ეს უღრმესი მწუხარებით აღავსებს გულთა ჩვენთა და გვაიძულებს, კაცობრიობის ასეთ მტარვალებს მხილების რისხვიანი სიტყვით მივმართოთ.

მოეგეთ გონს, უგუნურნო, შეწყვიტეთ სისხლიანი ძალადობანი. ყოველივე, რასაც თქვენ სჩადიხართ, არა მარტო საქმეა სასტიკებისა, იგი ჭეშმარიტად სატანური საქმეა, რისთვისაც ცეცხლსა და გენიასა მიიღებთ მომავალს ცხოვრებაში, ან კი, ამა სოფლად, თაობათა საუკუნო წყევას.

ღვთისაგან მონიჭებული უფლებებით, გიკრძალავთ ქრისტეს საიდუმლოთა ზიარებას და გადაცემთ ანათემას...

...რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატიოსანი მღვდელნი აფიცებენ თავის ერთგულ მრევლს, ყოველთა ქრისტესმოყვარე შვილთა თვისთა, არავითარი ურთიერთობა არ იქონიონ ამ მტარვალებთან.

წყეულ არიან ისინი სატანურ საქმეთა თვისთა გამო სოფელსა ამას შინა და მომავალსაცა მას ცხოვრებასა.

მართლმადიდებელნი! შემძლე არს უწმინდესი პატრიარქი შეკვრად და გახსნად კაცისა, რამეთუ მოეცა ეგე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან, რომელი ამბობს: „ამინ გეტყვი თქვენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი გაჰხსნათ ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.“

ნუ წარწყმიდავთ სულთა თქვენთა, განწყვიტეთ ყოველგვარი კავშირი სატანას მსახურ ბოლშევიკებთან.

მშობლებო, თუკი შვილნი თქვენნი ბოლშევიკები არიან, მთელი უფლებამოსილებით ითხოვეთ მათგან, რომ საცთური თვისი ბიწიერი უკუაგდონ და სინანულით შეინანონ მარადიული ცოდვის გამო, და თუ არ გისმინონ, უარყავით ისინი.

ცოლებო, უკეთუ ქმარნი თქვენნი ბოლშევიკები არიან და არა განეშორებიან სატანის მსახურებას, გაცილდით მათ და იხსენით სულნი თქვენნი და შვილნი თქვენნი სულისა მის წარწყმედელისა სენისაგან.

ყოვლად შეუძლებელია კავშირი მართლმადიდებელი ქრისტიანისა ეშმაკის მსახურთან.

გახსოვდეთ სიტყვანი უფლისანი: „და ყოველმან, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი ანუ დანი, ანუ მამაი ანუ დედაი, ანუ ცოლი, ანუ აგარაკნი სახელისა

ჩემისათვის, ასწილად მიიღოს და ცხოვრებაი საუკუნო დაუმკვიდროს.“

„არ გეშინოდეთ წამებისა, რაჟამს გყუედრიდნენ და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა.“

(...) ეკლესია ქრისტესი მოგინოდებთ თქვენ, რათა დაიცვათ სარწმუნოებაი იგი მართლმადიდებელი. იუდა-გამცემლებმა უწყალოდ სტანჯეს და გლიჯეს ჩვენი მინიერი მამული, ან კი სურთ ეკლესიის კურთხეულ ნავთსაყუდელს მოგენყვიტონ, ანგრევენ და შეურაცხყოფენ, უწყალოდ ბილწავენ ტაძართა ღმრთისათა.

ცოდვათა ჩვენთა და მცირედმორწმუნოებისა ჩვენისა გამო მოგვივლინა უფალმა განსაცდელნი ესე. დავივიწყეთ ღმერთი და ღმერთმა მიგვატოვა ჩვენ. სისხლით მოირწყა მინები ჩვენი და უსამართლობით აღივსო ქალაქნი ჩვენნი. „და მიატოვა უფალმა ქვეყანა ეგე და არა მოიხილა ჩვენზედა.“

მაგრამ მონყალეა ყოვლისმპყრობელი! შეინანეთ და მხურვალე ლოცვით მოუხმეთ უფალს, განიშორეთ თქვენგან ხელნი უცხოთანი, ხელი ოდინდელთა მტერთა ქრისტესათა, ასე თვითმარქვიად რომ უწოდებენ თავს „სახალხო ხელისუფლებას“.

...მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულნი შვილნი, მართლმადიდებელი ეკლესია მოგინოდებთ თქვენ: მცველად დაუდექით შეურაცხყოფილ, და ამჟამად გატანჯულ წმინდასა ჩვენსა დედასა ეკლესიასა.

და თუ არა ისმინოთ თქვენ ეკლესიისა, არათუ შვილნი მისნი გენოდოთ თქვენ, არამედ თანამოქმედ და ზიარ სატანის სასტიკ მოქმედებათა, რომელსაც სჩადიან ქრისტეს ჭეშმარიტების აშკარა და ფარული მტრები.

(...) აღსდევინ ღმერთი გულსა შინა თქვენთა და განიზნინენ ყოველნი მტერნი მისნი. აღსდევინ შენ, რუსეთო მართლმადიდებელო, რწმენისა მის ქრისტესთვის, და წარწყმედი შენ მხედრიონო ეშმაკისაო; ვითარცა ბურუსნი ჭაობისანი განიზნინენ ცრუ და მტყუვარი მეგობარნი ხალხისანი, წარწყმედისაკენ რომ მიაქანებენ უწყალოდ.

და ვითარცა ცვილი დასდნის წინაშე ცეცხლის, ეგრეთ წარწყმედენ უწმინდური მტარვალნი ჯვართა ქრისტესათა.

შეიმართენით! ნურას აყოვნებთ! სულთა თქვენთა ნუ წარწყმიდავთ და ნუ მიჰყიდით მას ეშმაკსა და მის მსახურთ.

წაკითხვის შემდეგ გადაეცით სხვებს. (...)

ხოლო თქვენ, ძმანო და მოძღვარნო, ნუ დააყოვნებთ ნურცერთ წუთს თქვენს სულიერ ღვანლში, მგზნებარე გულმოდგინებით მოუხმეთ სამწყსოს მართლმადიდებელი ეკლესიის შებლალულ უფლებათა დასაცავად. ახლავე დაამყარეთ სულიერი კავშირები ხალხთან და მოუწოდეთ, თავისუფალი ნების თანახმად დადგენენ მართლმადიდებელი ეკლესიის, მართლმადიდებლობის დაცვის ჭეშმარიტ სულიერ მებრძოლთა რიგებში. (...)

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია...

(დასასრული შემდეგ ნომერში)



## მარსიანი

## ზვიად გამსახურდიას ლირიკა

ზვიად გამსახურდიას პოეტურ შემოქმედებაზე საუბრის პირდაპირ დაწყება რალაცნაირად არ გამოდის, ფართო საზოგადოება ხომ მას სულ სხვა ამპლუით იცნობს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც: პოლიტიკოსის სახელმა გადაფარა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის სხვა მხარეები - ის გახლდათ მეცნიერ-ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ესეისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, პოეტი... მაგრამ, პირველ რიგში, ის ცნობილია, როგორც ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, დისიდენტი, შემდეგ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, პირველი პრეზიდენტი; ამ ყველაფერს აგვირგვინებს მისი მონამეობრივი აღსასრული... საუკუნის მეოთხედზე მეტი დრო გავიდა, რაც იგი ჩვენს შორის აღარ არის, უკვე მიწელდა მისი პიროვნების გარშემო აღძრული ვნებათაღელვანი, ბევრი მისი მოწინააღმდეგე დღეს მის მომხრედაც კი გარდაისახა, თუმცა ჯერჯერობით არც ისეთები არიან ცოტანი, ვისაც დღემდე არ განელებია ბოღმა და სიძულვილი მისდამი... მაინც დრო თანდათან ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ბევრი რამ გაცხადდება და შეფასდება; ისტორია ზვიადის სასარგებლოდ „მუშაობს“, მიუხედავად იმისა, რომ მის შემდეგ მოსულ არცერთ ხელისუფლებას არ გამოუჩენია სურვილი, ჯეროვნად, ობიექტურად შეეფასებინა მისი როლი საქართველოს უახლოეს ისტორიაში, არც ოფიციალურ სამართალდამცავ ორგანოებს უცდათ სერიოზულად იმის დადგენა, რა ვითარებაში დაიღუპა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი; ეს არცაა გასაკვირი - როცა ხელისუფლების უზურპატორი დიდ დემოკრატ-პოლიტიკოსად და ქვეყნის მსხველად შეირაცხება, როცა ყოველგვარ ნაციონალურ ფასეულობათა მტრები „ნაციონალურ მოძრაობად“ გვევლინებიან, როცა ყოველგვარი ოცნებისა და სამომავლო იმედის ჩამხშობ-დამსამარებელი, მედროვე პრაგმატიკოსები „ქართულ ოცნებას“ ირქმევენ - კარგს რას უნდა მოელოდე, რა სამართალი უნდა მოსთხოვო ამგვარ მარიონეტებს? (ყველა ეს „პოსტზვიადური“ ხელისუფლება რომ მარიონეტული, გარედან მართული იყო და არის, მგონი უდავო ფაქტია).

და მაინც ზვიადის სასარგებლოდ „მუშაობს“ ისტორია, თანდათან ცხადი ხდება, რაოდენ მართალი იყო იგი თავის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, გათვლებსა თუ პროგნოზებში: „დინების სანინალმდეგოდ სვლა“ (ჯორჯ ბუშ-უფროსის ფორმულირებით) სხვა არა იყო რა, თუ არა ანტიგლობალისტური, ნაციონალისტური გეზი პოლიტიკაში. და განა ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც ფაქტობრივად ამგვარსავე გეზს არ ადგას? განა ამის გამო არ უპირისპირდებიან მას ნეოლიბერალური მსოფლმხედველობის პოლიტიკოსები? ჩვენებურ-



მა ლიბერალ-სნობებმა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე მიაკერეს ზვიად გამსახურდიას „დიქტატორის“ იარლიყი, ხოლო შემდეგ „პროვინციულ ფაშისტად“ და „ბოლშევიკადაც“ კი მონათლეს კაცი, რომელმაც ბოლშევიზმთან, იმპერიასთან ბრძოლას შესწირა ყველაფერი, სიცოცხლეც კი... ასეა, ნაცადი ხერხი გახლავთ - რის წინააღმდეგაც იბრძვის, სწორედ იმის მსახურება უნდა დასწამო კაცს, თუ მისი დისკრედიტაცია გინდა: როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძეზე ხანჯლით გაიწია ერთმა თავადმა, როცა ილიამ ბატონყმობის გაუქმებას და გლეხთა განთავისუფლებას დაუჭირა მხარი; სოციალ-დემოკრატებმა კი, სანამ ფიზიკურად გაანადგურებდნენ, წინასწარ იბრუნეს მისი დისკრედიტაციისათვის და დესპოტ მეზატონედ, ლამის რალაც „გველემაჰად“ შერაცხეს-გლეხებს ჩაგრავეს და წყალს არ აძლევსო“, ჭორი დაუგდეს: ზოგ-ზოგებს დღემდე სჯერათ ეს ჭორი... რაკი ილია ვახსენეთ, ერთი უცნაური, მრავლისმთქმელი ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ: მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მეშვიდე წელს მოჰკლეს ილია, ხოლო მეოცე საუკუნის დამთავრებას რომ შვიდი წელი აკლდა, ზვიადი მოჰკლეს... აი ეს ორი დაწყველილი თარიღი - საუკუნის დასაწყისში (1907) და საუკუნის დასასრულს (1993) ასე სიმეტრიულად განლაგებული - ანი და ჰოე გახლავთ ჩვენი ქართული სუიციდისა: ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის ორი თავკაცი ქართველობისავე ხელით განიგმირა და ამით საქართველომ ორჯერ ჩაიდინა თვითმკვლელობის აქტი! რალა გვიკვირს, რომ მეოცე საუკუნეშიც უკულმა წაგვივიდა საქმე და ოცდამეერთეში კიდევ უარესი დაგვემართა? ჩვენი ცოდვები ჩვენვე უნდა ვზლოთ და ვზლავთ კიდევ!

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველოს სტუმრად ეწვია ამერიკელი პოეტ - ბიტნიკი ალენ გინზბერგი. იმხანად ტიცინან ტაბიძის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავი აღინიშნა და

ტიციანის და გალაკტიონის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში ჩაიყვანეს ქართველმა მწერლებმა ამერიკელი სტუმარი; ჩანს, ტიციანის ტრაგიკული ისტორიაც გააცნეს სახელდახელოდ და ერთი გაზეთის კორესპონდენტთან ინტერვიუში, როცა ჰკითხეს, რა აზრი შეგექმნათ ტიციან ტაბიძეზე, ალენ გინზბერგმა ჭეშმარიტად ამერიკულ-ბიტნიკური პირდაპირობით უპასუხა: „ჩემი შთაბეჭდილებით, ქართველები ჯერ მოკლავთ კაცს და მერე ძეგლს უდგამთ!“ არაა მართალი? უღვთოდ გამეტებულ ილია ჭავჭავაძეს მოგვიანებით ძეგლებიც დავუდგით, ერის მამა ვუნოდეთ, კულტად ვაქციეთ და ბოლოს წმინდანადაც შევრაცხეთ; ზვიად გამსახურდიასაც და მერაბ კოსტავასაც უკვე დავუდგით ძეგლები, მთანმინდის კალთასაც მივაბარეთ და იქნებ სამომავლოდ მათი წმინდანებად შევრაცხვაც მოგვიხდეს... რა თქმა უნდა, კარგია, ღირსეულ მამულიშვილს სიკვდილის შემდგომ მაინც რომ ღირსეულად დააფასებენ მისი თანამედროვენი თუ შთამომავლები, მაგრამ უფრო კარგი ის იქნებოდა, სიცოცხლესაც რომ ვაცდიდეთ ამ ღირსეულ მამულიშვილებს... თითქოს რაღაც ნეკროფილური ვნება ბუდობს ჩვენში, კაცი მაინც დამაინც უნდა მოკვდეს (უნდა მოკვლათ!) რომ მისი დამსახურების შესაფერი პატივი მივაგოთ; აკი ლადო ასათიანიც ამას ამბობს ფიროსმანისადმი მიძღვნილ ლექსში: „მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა, ცოცხალი არვინ არ გაიკარა...“ რამდენ თავის რჩეულ შვილს მოექცა ასე სასტიკად საქართველო და ალბათ მომავალშიც რამდენს მოექცევა...

სტუდენტობის დროს ერთობ ინდიფერენტულად ვიყავი განწყობილი ეროვნული პრობლემებისადმი - კომუნისტური იდეოლოგიით ხომ ბავშვობიდანვე გვაბრიყვებდნენ; ერთხანს გულუბრყვილოდ ისიც კი მეგონა, რომ კომუნიზმი სულ მალე აშენდებოდა; მოგვიანებით, რა თქმა უნდა, მივხვდი, ეს რომ უნაყოფო ფანტაზია იყო, მაგრამ საბჭოთა სისტემა თუ ჩვენს თვალწინ დაიშლებოდა, ამას სიზმრადაც ვერ წარმოვიდგენდი და ამდენად, მის წინააღმდეგ ბრძოლაც ამო გარჯად მეჩვენებოდა... როცა 1977 წელს ზვიად გამსახურდია დისიდენტური მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს, გულდანწყვეტილმა ვთქვი - რა ჭირად უნდოდა ეს დისიდენტობა, ან მგას მთარგმნელობით მუშაობას აღარ დააცლიან-მეთქი: მის მიერ თარგმნილი „ამერიკელი პოეტები“ ჩემთვის, დამწყები პოეტისათვის, მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა იყო, პირდაპირ ღვთის წყალობა: ამ მცირე მოცულობის წიგნმა ძალიან ბევრი მომცა: აქ რამდენი პოეტიცაა წარმოდგენილი, იმდენი განსხვავებული, მაღალმხატვრულ დონეზე გადმოცემული ინდივიდუალური ხელწერა ჩანს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთარგმნელს გააჩნია სტილური გარდასახვის უნარი, იგი თავის სტილს კი არ ახვევს თავის სათარგმნელ ავტორებს, არამედ ახერხებს თითოეული მათგანის სტილურ თავისებურებათა ადეკვატურ გადმოტანას სათარგმნ ენაზე (ამ შემთხვევაში ქართულზე).

მერე და მერე ზვიად გამსახურდიას სხვა ნაშრომებსაც გავეცანი - „ვეფხისტყაოსნის სახის-მეტყველება“, „საქართველოს სულიერი მისია“, წერილებისა და ესეების კრებული... და ლექსების წიგნი „მთვარის ნიშნობა“, რომლის შესახებაც ვაპირებ საუბარს წინამდებარე წერილში; როგორც მის პოლიტიკურ გეზს, ასევე მის ლიტერატურულ მოღვაწეობასაც იმთავითვე ჰყავდა თავგამოდებული მომხრენიცა და თავგამოდებული მოწინააღმდეგეც: მე პირველთა (მომხრეთა) კატეგორიას ვეკუთვნოდი და ყოველთვის მიკვირდა, რატომ ვერ ხედავდნენ მის ნაშრომთა მაღალ ღირებულებას მავანნი და მავანნი, რატომ ედგნენ კრიჭაში ასე დაჟინებითა და გააგებით: როგორც ჩანს, „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“-ს ფაქტორი არცთუ მცირე როლს თამაშობდა ამ შემთხვევაში: სხვანი და სხვანი რომ წლებზე ფეხს იდგამდნენ, რათა ქართულ კულტურაში (ლიტერატურა იქნებოდა ეს თუ სხვა რამ სფერო) თავი დაემკვიდრებინათ, ზვიადს ყველაფერი „ხონჩით მორთმეული“ ჰქონდა - ცოცხალი კლასიკოსის შვილი იყო, წარმოშობითაც და აღზრდითაც არისტოკრატი, მეტად ფართო განათლება მიიღო, მატერიალური უზრუნველყოფაც ალბათ არ აკლდა... დისიდენტობის სახიფათო გზას რომ არ დასდგომოდა, ბედის ნებეირა იქნებოდა მთელი ცხოვრების მანძილზე, ვერავინ დააბრკოლებდა მისი ნაშრომების გამოცემასა და პოპულარიზაციას...

ბევრ მწერალს ჰქონდა იმხანად „მამულიშვილობის“ ამბიცია: ქარაგმულად, მინიმუმებით ამხელდნენ საბჭოთა დიქტატურას თავიანთ ნაწარმოებებში და ამით პატრიოტულად განწყობილი მკითხველის თვალში თავისებურ დისიდენტურ იმიჯსაც იქმნიდნენ, ოღონდ კომუნისტური ხელისუფლებისაგან ნაწყალობე პრივილეგიებზეც არ ამბობდნენ უარს: ამგვარ ორმაგი სტანდარტებით მარჯვედ მანიჭებდნენ, მომგებიან პოზიციაზე დგომას თავისი სახელი ჰქვია - ნონკონფორმიზის კონფორმიზმი; და როცა ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ აუკარა ბრძოლა წამოიწყეს იმპერიის წინააღმდეგ, როცა თავანთი დისიდენტური ქმედებებით თავი რეალურად საფრთხეში ჩაიგდეს და „დამდგარ-დანმენდილი“ საბჭოური ჭაობი აამღვრიეს, ამით გვარიანი დისკომფორტი შეექმნათ ზემოთ ხსენებულ „გაბედულ მამხილებლებს“ საბჭოთა იმპერიისა: მათი პატივმოყვარეობა შეილახა, მათ ილუზორულ „გმირობას“ ჩრდილი მიადგა; ბოლო ყამის საბჭოთა იმპერია ადრინდელივით მკაცრი აღარ იყო, ზომიერი კრიტიკა უკვე ზემოდანაც დაშვებულიც გახლდათ და მეტი რალა გინდოდა - შეგეძლო „გაბედული ქვეტექსტები“ გაგეპარებინა შენს ნაწერებში, გეკეკლუცა დისიდენტური იმიჯით, ოღონდ მთლად დაუკრეფავშიც ნუ გადახვიდოდი... კომუნისტებისაგან ფრიად განებივრებულ ერთ ცნობილ პოეტს, პარალელურად რომ მამულიშველობაზეც თავს სდებდა, ზვიადის მისამართით ღვარძლიანად უთქვამს: „მამამისი რომ მოკვდება, მერე აჩვენებენ მაგას სეირსო!“ („სეირის

ჩვენებაზე“ უფრო მაგარი გამოთქმა უხმარია, მაგრამ აქ ვერ გავიმეორებ). ეს მართლაც ასე მოხდა - კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებიდან სულ ორი წელი იყო გასული, ზვიადი რომ ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და შემდეგ კიდევაც დააპატიმრეს; კონსტანტინეს ავტორიტეტი ასე თუ ისე იცავდა ზვიადსა და მის თანამებრძოლებს საბჭოური უშიშროების კლანჭებში მოხვედრისაგან...

შური და სიძულვილი ისე აბრმავებდა ზვიადის მონინალმდეგეებს, რომ მის ნიჭიერებასაც განინმატებით უარყოფდნენ: რაღაც დილეთანტური, ზერელე და დემაგოგიური „ფსიქოანალიზი“ ჰქონდათ მომარჯვებული მისი ღვანლის დასაყინებლად: აქაოდა ვერც მხატვრულ შემოქმედებაში, ვერც თარგმანში, ვერც ლიტერატურულ გამოკვლევებში მნიშვნელოვან შედეგებს ვერ მიაღწია, თვითდამკვიდრება ვერ შეძლო თავისი ამბიციის შესაბამისად, სახელოვანი მამის ჩრდილში დგომას თავი ვერ დააღწია და ამიტომ გადაიჭრა პოლიტიკაში, სისინებდნენ; ისე გამოჰყავდათ, თითქოს ზვიადი ჰუმანიტარულ სარბიელზე „ხელმოცარვის“ გამო ჩაუდგა სათავეში ეროვნულ მოძრაობას... სხვათაშორის, ფსიქოანალიზი ხშირ შემთხვევაში ბუმერანგის ბუნებისა გამოდგება ხოლმე და მის გამოყენებულს უკანვე შემოუბრუნდება: ვინც უკეთური განზრახვით ცდილობს სხვისი ქმედებების მოტივთა გაშიფრვას რაღაც ფსიქიკურ კომპლექსებზე მითითებით, ძალაუზნებურად თავის საკუთარ კომპლექსებს ამჟღავნებს, საკუთარ ქვეცნობიერს ამზერებს არა-იშვიათად... ჩვენს პატივცემულ ინტელიგენციას ეს რომ შეეგნო, იქნებ ცოტათი თავი შეეკავებინა და თეთრისათვის შავი არ ეწოდებინა: ზვიად გამსახურდის ნიჭიერება რომ ეჭვქვეშ დააყენო, ეს იგივეა, მტკიცებას მოჰყვე - ზღვას მარილი აკლიაო!

არაერთმა ცნობილმა პიროვნებამ ამხილა საკუთარი თავი ზვიადის განკითხვით - ცხადად დავინახეთ მათი ნამდვილი სახე: „მამულიშვილობის“ თუ „მოქალაქეობის“ ნიღაბი რომ საკუთარი პერსონების განდიდების მიზნით ჰქონდათ მორგებული, უტყუარად გამოჩნდა, ანუ, რასაც ზვიადს უკიჟინებდნენ, სწორედ ის სჭირდათ თვითონვე და საკუთარი კომპლექსების ზვიადზე მიწერას ახდენდნენ გაუცნობიერებლად. იმპერიის (თუ იმპერიების) ლაქია შევარდნაძეს რომ ლაქიად დაუდგნენ მისი „მეორედ მოსვლის ჟამს“ და მისგან წყალობანიც რომ მშვენივრად მიიღეს, ამით ჩვენმა ე.წ. „ელიტარებმა“ შესანიშნავი თვითლუსტრაცია მოახდინეს...

მაგრამ ვფიქრობ, საკმარისია ეს ზოგადი საუბარი. დროა, კონკრეტულ საკითხზე, ზვიად გამსახურდიას ლირიკაზე გადავინაცვლოთ.

„მთვარის ნიშნობა“ მომცრო ზომის პოეტური კრებულია, ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1999 წელს გამოცემული მანანა არჩვაძე-გამსახურდიას რედაქტორობით და ეძღვნება ზვიადის დაბადების 60 წლისთავს (ეს მეორე გამოცემაა, პირველი ავტორის სიცოცხლეში გამოვიდა). წიგნს ნამძღვა-

რებული აქვს თვით ზვიად გამსახურდიას მოკლე წინასიტყვობა, რომელშიც საკმაოდ მკაფიოდ არის მინიშნებული, როგორი ტიპის პოეზიასთან შეხვედრა ელის მკითხველს: „კაცობრიობის პირველადი ენა მუსიკალური და ალოგიური იყო“ -აცხადებს ავტორი და განგვანყობს საიმისოდ, რომ მისი პოეტური მეტყველება სწორედ კაცობრიობის იმ პირველად ენასთან მიახლოების ცდად აღვიქვათ. ამთავითვე უნდა ითქვას - მუსიკალურ სანყისზე ჭარბმა აქცენტირებამ და ამაღლებულ - პათეტიურმა ტონმა, რასაც ამ წიგნში ვხედავთ, შესაძლოა თავდაპირველად უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს მკითხველში, რომელიც კარგახანია მიჩვეულია (მიაჩვიეს, იმას, რომ „თანამედროვე პოეზიად“ წოდებულ ტექსტებში აღარაფერი უნდა იყოს ისეთი, რაც ტრადიციულად პოეზიის ატრიბუტებად მიიჩნეოდა: არათუ მუსიკალური კეთილხმოვანება, მდიდარი და ვირტუოზული რითმები თუ ალიტერაციები, არამედ ყოველგვარი სალექსო მეტრი და რიტმიც უარყოფილია ამგვარ ტექსტებში, პოეზია უიმედოდ გამქრალია და სწობი მკითხველი უხალისო, ყალბი მონონებით შესცქერის მეფის არარსებულ „საუცხოო“ სამოსელს... და თუ რომელიმე „ბავშვი“ გაბედავს და წამოიძახებს, „მეფე შიშველიაო“, მას სასწრაფოდ ხმას ჩააკმენდინებენ, როგორც „ჩამორჩენილს“ და „არათანამედროვეს“...

თავისუფალი ლექსის, ვერლიბრის ტექნოლოგიას რომ ზვიად გამსახურდია უზადოდ ფლობდა, ეს მისმა თარგმანებმა დამაჯერებლად დაადასტურა: მის მიერ ქართულად ამეტყველებული კარლ სენდბერგის, რობინსონ ჯეფერსის, ეზრა პაუნდის, ტომას სტერნზ ელიოტისა და სხვათა პოეტური ქმნილებანი, შეიძლება თამამად ითქვას, ხარისხობრივად შექსპირის დრამატულ ქმნილებათა ივანე მაჩაბლისეული თარგმანების დონეზე დგას; საკუთარ პოეტურ პრაქტიკაში ზვიადი ზოგჯერ მიმართავდა ვერლიბრს (მაგ: „WIR PHILOLOCEN“, „აქა ამბავი სცილასი“, „CAPRICCIO“, „საიქიო“, „სამება“, „გველის ამაღლება“) და საკმაოდ კარგ შედეგსაც აღწევდა, მაგრამ მისი სტიქია მაინც რითმიანი, მუსიკალური ლექსია: აქ იგი თავის პოეტურ ტალანტს უფრო სრულყოფილად, მთელი სისავსით ავლენს; რა თქმა უნდა, ყველა ლექსი თანაბარი დონისა ვერ იქნება, მაგრამ ავტორის ოსტატობა, წერის მაღალი კულტურა ყველგან თვალსაჩინოა.

ზვიად გამსახურდიას მკვეთრად გამორჩეული ხელწერა აქვს და მკითხველი უნდა გარკვეულწილად „შეეჩვიოს“ ამ ხელწერას; მკითხველებს ჩვენთვის აქამდე უცნობ მხატვრულ სამყაროსთან მიმართებაში ხშირად მოგვდის ტიპიური შეცდომა - ზერელე თვალისგადავლებით შექმნილ შთაბეჭდილებას ზედმეტად ვენდობთ და თუ ეს შთაბეჭდილება ურყოფითია, ჩვენგან ათვალწუნებულ ავტორზე მცდარი შეხედულება ჩამოგვიყალიბდება, რომლის გადაფასებას შემდეგ ძნელად თუ მოვინდომებთ ხოლმე. ამას პირადი გამოცდილებით ვამბობ: იყო დრო, როდესაც ზვიადის პოეზია ზედმეტად მანერული,

მაღალფარდოვანი ჩანდა ჩემს თვალში. დროთა განმავლობაში ჩემი შთაბეჭდილებების მართებულობა ეჭვქვეშ დავაყენე: აღმოჩნდა, რომ ზვიადის სტილი სავსებით ამართლებდა თავისთავს ლექსების უმეტეს ნაწილში, თუმცა ვფიქრობ, ზოგან მართლაც ჰქონდა ადგილი ერთგვარ გადაჭარბებასა და ხელოვნურობას (სხვათაშორის, იგივე დამემართა ოთარ ჩხეიძის პროზასთან დამოკიდებულებაშიც-რამდენიმე ათეული წელი დამჭირდა, რომ მის არაორდინარულ, უცნაურსა და რთულ სტილს შევჩვეოდი და კარგად დამეგემოვნებინა);

მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას გარკვეული წილი აქვს სუბიექტურობის მომენტსაც, აბსოლუტური ობიექტურობა მიუღწევადია, თუმცა ისიც უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ობიექტური კრიტერიუმი რეალურად არსებობს, სხვაგვარად ვერაფრით აიხსნება კლასიკურ ქმნილებათა დროში მედეგობა, ანუ უკვდავება: ჩვენ „ლამაზი თვალებისათვის“ კი არ ვცემთ თაყვანს რუსთაველსა თუ ვაჟას, არამედ მათი ქმნილებების რეალურად არსებული ღირებულების გამო; სხვა საქმეა, რამდენად ძალგვიძს ამ რეალური ღირებულებების განმარტება, ახსნა თუ საჩინოყოფა.

მე გამიჭირდება, დამაჯერებლად განვმარტო, ალიტერაციის ინტენსიური გამოყენება ზვიადის მიერ ზოგ ლექსში რატომ იწვევს ჩემს მოწონებას და აღფრთოვანებასაც კი და ზოგში რატომ მეჩვენება ნაკლებეფექტურად (გნებავთ, უკუეფექტის მქონედაც კი); შეძლებისდაგვარად მაინც ვცდი, თუმცა ჩემს სუბიექტურობასაც გულახდილად ვაღიარებ: მაგალითად ლექსი „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ თუმცა კარგ ნაწარმოებად მიმაჩნია, მაგრამ მის ზოგიერთ სტროფში მეტისმეტად აშკარა და საგანგებო ალიტერაციული შეთანხმებანი გარკვეული ბგერებისა ხელოვნურად მეჩვენება და ცოტა არ იყოს, ყურსა მჭრის; ვნახოთ პირველი სტროფი:

**„მულაზანზარულ მუზარადთა ზმით და ზარებათ,  
ზეიდალთაებრ მზე-ზარნიშით მზზინვარე ზღვათა,  
ზედგანმზრახველთა არგამნირავთ მუქაფის ზღვათა,**

**ზეგარდმო ქნარნი მუნ ამკობენ ზეშთა ზარებად“.**  
სამაგიეროდ სამნაწილიან ლექსში „მთანმინდა“ მეორე ნაწილის ყოველგვარ ზღვარსგადასული ალიტერირება რალაცნაირ ხალისიან ალტაცებას მგვრის:

**„ცა ანგელოსებით ივსება  
კილია ალაღ და კილაჰონ  
ლაჟვარდულ ზეფირთა ღირსება  
კვლავ აავვირილა დილამან  
ვა რომ განრომილან რემანი  
რაბამ რად რებულთა რუთან  
შავშეთურნი და შავგვრემანი**

**ყარყუმთ მაყრევანნი ყრუთანი  
გრემილ გარდამრიდთა გარება  
გრიგალურ გარიზინს გარისად  
გარდაკურ განმგის ანგარებით  
განლევს გრავანთა მონაგარისად“**

მაინც რა უპირატესობა აქვს მეორეს პირველთან შედარებით? პირველ მაგალითში გულდაგულ დაძებნილი და გამოფენილი ალიტერაციები რალაცნაირად ამძიმებენ,თითქოს ბორკავენ ლექსის ევფონიურ მდინარებას, არადა, პირიქით უნდა იყოს; მეორე მაგალითში კი ტექსტი იმდენად რიტმული, მუსიკალურად ჟღერადი ხდება, რომ ენის საკომუნიკაციო ფუნქცია უკანა პლანზე გადადის (არაერთი აქ ხმარებული სიტყვის მნიშვნელობა მე პირადად არც კი მესმის), ბგერწერა გაბატონებულ ადგილს იკავებს და ესთეტიკური ღირებულება მისი მეშვეობით მიიღწევა უპირველეს ყოვლისა; აღსანიშნავია ერთი მომენტიც: ალიტერაციის ტექნიკა აქ თავისი უკიდურესობამდე მისული აქტივობით, ზაუმური, ლალი უცნაურობით ერთგვარ თვითპაროდირებაში გადადის (შესაძლოა ავტორისაგან გაუცნობიერებლადაც) და ეს გარემოებაც აძლიერებს მხატვრულ ეფექტს; ვიმეორებ, რომ ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ მე, ასე თუ ისე, მაქვს ლიტერატურული გემოვნება (ამაში ჩემს მიერ ნაქები პოეტები მაინც უნდა დამეთანხმონ) და ალბათ უსაფუძვლოდ არ მომეწონებოდა ეს უჩვეულოდ მჟღერი ტექსტი; ალბათ ის მოუხელთებელი ობიექტური კრიტერიუმი მკარნახობს აგრეთვე, რომ მთლიანადაც ეს ლექსი მთანმინდა“ შედეგად მივიჩნიო, თუმცა მისი შინაარსი ნაკლებად ემორჩილება ლოგიკურ ახსნა-განმარტებას; შინაარსს უფრო ასოციაციური ველების მეშვეობით შევიგრძნობთ და მის მასშტაბურობასა და დიდმნიშვნელოვნებაშიც ამ გზით ვრწმუნდებით; პოეტთა მეფის, გალაკტიონის ნოვატორულმა პრაქტიკამ ხომ ენიგმური პოეტური ტექსტების დამაჯერებელი კანონიზირება მოახდინა მეოცე საუკუნის ქართულ ლირიკაში და მას ამ ხაზით არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა: მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული და თვითმყოფადი პოეტური ინდივიდუალობაა ზვიად გასახურდია: მის მთელ რიგ ნაწარმოებებში ინტენსიურად თავს იჩენს სიტყვისა და აზრის გარკვეული ურთიერთდაშორების ტენდენცია, ანუ „ენის დისლოკაცია მნიშვნელობისაგან“, როგორც თვითონაც აღნიშნავს ელიოტი-სადმი მიძღვნილ ესეიში: სიტყვა მასთან ერთგვარ „ავტონომიურობისაკენ“ მიდრეკილებას ამჟღავნებს, ასე ვთქვათ, ყოველთვის „ალარ უდრის თავისთავს“, ანუ მისი საყოველთაოდ მიღებული, „ყოფითი“ კომუნიკაციური ფუნქცია შესუსტებულია (თუ მთლიანად გამქრალი არა) და ამის სანაცვლოდ სხვაგვარ ფუნქციას ითავსებს, რალაც ძნელად მოსახელთებელ კონოტაციებს წარმოაჩენს, როგორც ზემოთმოყვანილ მაგალითში შეგვიძლია დავინახოთ; მეტნაკლებად ამგვარი პრინციპითაა აგებული „ქვაბთახევის ელეგია“, „BAGATELLE“, „სიონის ელეგია“, „თრთვილი“, „წამთა წამება“, „ლამე იღვენთება“, „მოგონე-

ბა“, „ქაშვეთი“, „მთვარიანი მთა“ და სხვა. ამგვარი ნაწარმოებები თითქოს „მღერთან“, მათი ევფონია და რიტმი თითქოს სიტყვიერი ხელოვნების ფარგლებს გარეთ გაჭრას და მუსიკის ტალღებად ქცევას ელტვის; ამავდროულად მათში საკმაოდ უხვადაა ფერწერული ფერადოვნება: ასე რომ ეს პოეტური ოპუსები თავისებურ „ფერად მუსიკადაც“ შეიძლება აღვიქვათ...

ზვიადის სტილის ერთ-ერთი მახასიათებელია აგრეთვე ერთსა და იმავე სალექსო საზომში, მეტრში რამდენიმე სხვადასხვა რიტმის მონაცვლეობა; უაღრესად მახვილი მუსიკალური სმენა ავტორს საშუალებას აძლევს, ეს რიტმული დისონანსები წარმატებით დაუმორჩილოს ლექსის საერთო ჰარმონიის შექმნას. ნათქვამის ნათელსაყოფად მაგალითის მოყვანა დაგვჭირდება: აქ მთლიანად ამოვწერთ მოზრდილ ლექსს „ქვაბთახევის ელეგია“, რომელშიც ზვიადის პოეზიის ეს თავისებურება თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი; ერთსა და იმავე საზომში რამდენიმე სხვადასხვა რიტმის არსებობა განპირობებულია ცალკეულ სტრიქონთა დაყოფით სხვადასხვა ზომის ტერფებად:

- ქვაბთახევის ელეგია
- „ღამეა/იდუმალ/-ვნებული (3:3:3)
- მეშორა/ ნაცნობი/ქარები (3:3:3)
- კანკელი/თრთის მოყვივებული (3:6)
- შერყვილან/ის მინანქარები (3:6)
- და სული მით შემცვივებულია (3:6)
- სდუმანო/დავითის/ქნარები(3:3:3)
- ზღვა ზურმუხტით/მოზიმიზიმი(4:5)
- იქცევა/წვეთებად/საშიში(3:3:3)
- იხსნება ფრდილი/კოზიმიტი(5:4)
- ხრჩოლავს ნარგისებად/ჰაშიში(6:3)
- კრთი რაო,/შენ,სულო/იმიითი(3:3:3)
- სიკვდილი/როა ცის/საშოში?(3:3:3)
- იხსნება ფრდილი/კომპოზიტი(5:4)
- კრთის ბედისწერის/აზიმიუტი(5:4)
- მარტოობისა/ჰანგები(6:3)
- მოვლენლა ის ფარშევანგები?(3:6)
- ზღვა ზურმუხტით/მოზიმიზიმი(4:5)
- გადადის/ლალები/რიყეზე, (3:3:3)
- ასე შორია როს/იმიედი(6:3)
- ლოდით დაფარული/მძიმეთი(6:3)
- არე რად/ირევა/არეთი(3:3:3)
- ქალა-გულის/სიმწუხარეთი?(4:5)
- სნეულია მუზა/იმიითი(6:3)
- იხსნაო ფრდილი/კოზიმიტი(5:4)
- დრკა ბედისწერის/აზიმიუტი.(5:4)
- შარავანდედია/ჩანგების(6:3)
- თუ დიადემა/განგების(6:3)
- აღსასრულისაა/ჰანგები(6:3)
- მოვლენლა/ის ფარშევანგები?“(3:6)

ვგონებ სურათი ნათელია: სხვადასხვა რიტმთა ინტენსიური მონაცვლეობა სრულიად სპეციფიკურ ინტონაციას ქმნის: თითქოს მდინარე ლოდებს შორის მიედინება და მალიმალ უხდება დაბრკოლებათა გადალახვა; შიგადაშიგ მეტყველების მარკირებული ელემენტების შერევა და ინვერსიული სიტყვა-

თწყობა ტექსტს ამაღლებულ-პათეტიკურ ტონსა და განუმეორებელ გრაციას ანიჭებს. შინაარსობლივ მხარეს რაც შეეხება, ლექსი თითქოს თავიდან ბოლომდე „პესიმისტური“ ფლერადობისაა, მძიმე სულიერი განცდების, უიმედობის გამოხატველია თუ ტექსტს პირდაპირ, სიტყვებში გამოხატული მნიშვნელობებით გავიაზრებთ, მაგრამ ფორმის არტისტიკობა, მუსიკალობა რალაცნაირად არბილებს, „ამეორადებს“ ამ მწუხარე განცდებს, ანუ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სიტყვები რამდენადმე სცილდებიან თავიანთ ტრადიციულ მნიშვნელობებს და იმგვარ ასოციაციურ ველს წარმოქმნიან, სადაც, ნაცვლად მწუხარებისა, სულის ამაღლებულ-ზეიმური განწყობა შეიგრძნობა; ეს არის უმშვენიერესი პოეტური მისტიკა, სულის ადამიანურ შეჭირვებათა დაძლევა-გადალახვით ზენა სამყაროსთან შერთვის მცდელობა: „ქვაბთახევის ელეგია“, ჩემი აზრით, ნამდვილი მარგალიტია ქართული ლირიკული პოეზიისა; იგივე შეიძლება ითქვას „მთანმინდასა“ და „სიონის ელეგიაზეც“: ეს სამი ლექსი ფორმის მონუმენტურობის გამოც დავასახელებ საგანგებოდ, მათს მხატვრულ დონესა და შინაარსობლივ მასშტაბსაც რომ თავი დავანებოთ; თუმცა ამ კრებულში არაერთი მომცრო ზომის ლექსია (ზოგი მათგანი ზემოთაც ჩამოვთვალე), რომლებშიც შესაშური მხატვრული ხარისხია მიღწეული. საერთოდ, თუმცა კი მცირე მოცულობისაა ზვიადის პოეტური ნაღვანი, მაგრამ ამის მიუხედავად, მის შედეგთა რიცხვი არცთუ მცირეა...

ზვიად გამსახურდია ნამდვილი დიდოსტატია და ვირტუოზია ლექსისა და მის ტექნოლოგიურ არსენალში ნაირგვარი ვერსიფიკაციული ხერხი და საშუალება მოიპოვება: გარდა ზემოთ დასახელებული რიტმული დისონანსებისა, იგი ინტენსიურად მიმართავს პეტრომეტრულ ლექსთწყობასაც, ანუ ლექსში სხვადასხვა საზომთა მონაცვლეობას; ზვიადმა აგრეთვე ახალი, თავის მიერ მიკვლეული საზომებიც შემოიღო და გამოიყენა ზოგ ნაწარმოებში - თვრამეტმარცვლიანი (6:6:6) და ოცდაოთხმარცვლიანი (6:6:6:6). კერძოდ, ამ საზომებითაა დაწერილი „პალადიუმის რაინდისადმი (ბაირონისადმი)“ და „შელლის მოტივზე (სტანსები)“. პირველი ლექსიდან ორ სტროფს მოვიყვან, სადაც ორივე ეს საზომია ნახმარი:

„ბნელ საუკუნეთა/საშო განანათლა/შავეთის ძალთათვის/შიშის დამთეველმან(6:6:6:6)

პელაზგთა დევგმირო/შენმა სიალფემან/ და სიდიადემა“(6:6:6)

პირველი სტრიქონი ოცდაოთხმარცვლიანია, მეორე თვრამეტმარცვლიანი. „სიონის ელეგის“ ბოლო ორი სტროფიც თვრამეტმარცვლიანია:

„სულიც მოლხენილი/, ცად გარდავლენილი/ისუნთქებს ხვალეთი (6:6:6)

ეთერად მქროლი და/ციურთა მრჩენელი/სხვა სიმხურვალეთი“ (6:6:6)

თვრამეტმარცვლიანი საზომით თარგმნა ზვიად გამსახურდიამ დიდი ამერიკელი პოეტის რობერტ ფროსტის ლექსი “ნოემბრის სტუმარი“. ჰომეროსის

„ილიადას“ ჩვიდმეტმარცვლიან ჰეგზამეტრსაც, რომელიც ქართულ წყობილსიტყვაობაში პირდაპირ არ გადმოიტანება, თვრამეტმარცვლიანი საზომი მიუ-სადაგა ზვიადმა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მიზეზთა გამო მასზე მუშაობა შეწყვიტა და ეს თარგმანი ფრაგმენტის სახითა დარჩა.

სხვათაშორის ეს თვრამეტმარცვლიანი საზომი იკა ქადაგიძის რამდენიმე ლექსშიც აღმოვაჩინე, მაგრამ არა მგონია, მას ის ზვიადისგან ჰქონდეს „ნასესხები“, ალბათ დამოუკიდებლად მიაკვლია; მახსენდება, რომ ახალგაზრდობის ყუამს მე და რამაზ ბერეკაშვილმაც „აღმოვაჩინეთ“ ახალი რიტმები ათმარცვლიან საზომში (2:4:4 და 3:3:4) და რვამარცვლიან საზომში (2:4:4 და 3:3:2). მაგრამ მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ეს რიტმები ჩვენზე ადრე ოთარ ქელიძეს გამოუყენებია მრავალ ლექსში და სხვა პოეტებთანაც წავაწყდით მათი ხმარების შემთხვევებს.

რიტმთან დაკავშირებით ერთ საინტერესო მომენტზეც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება: ქართული ლიტერატურა, რამდენადაც ვიცი, აქამდე იცნობდა ოცმარცვლიანი (გაორმაგებული ათმარცვლიანი) საზომის იმ რიტმს, რომელიც ოთხი ხუთმარცვლიანი ტერფისგან შედგება (5:5:5:5). ამ საზომითაა დაწერილი ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შავთელის „აბდულმესიანი“, „ვეფხისტყაოსანის“ ერთი სტროფიც („შეკრა წითელი/ათი ათასი/პირად მზემან და /ტანად სარომან...“), ოლონდ იგი, ზოგი მკვლევარის მიხედვით, რუსთველს არ უნდა ეკუთვნოდეს, გვიანდელი ხანის ინტერპოლატორის მიერ ჩამატებული უნდა იყოს; შემდეგ ბარათაშვილმა თავის ორ უმთავრეს შედევრში („მერანი“, „შემოღამება მთანმინდაზედ“) გამოიყენა ეს საზომი თოთხმეტმარცვლიან („ბესიკურ“) საზომთან (5:4:5) ერთად. გალაკტიონის „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“-იც ოცმარცვლიანია. სხვა რიტმი ამ საზომისა, რამდენადაც ვიცი, არავის მიუკვლევია, ანუ ამ საზომის ტერფთა სხვაგვარი კომბინაცია არსად გვხვდება; მაგრამ აი, ზვიადის ლექსთა ციკლში „კოსმიური ნირვა“, კერძოდ მეექვსე ლექსში, სათაურით „ნათლისღება“ არის ასეთი სტროფი:

„შენ  
ვარსკვლავთა/ნაფიქრი ხარ (4:4)  
ნათლად ბრწყინავ/მთვარისათა/და მზისათა/  
ცისა, მადლით/სრულისათა (4:4:4:4:4)  
ედემს სასოდ/დამირგისხარ (4:4)  
სახელითა/მამისათა/ და ძისათა/ და წმიდისა/  
სულისათა“ (4:4:4:4:4)

აქ პირველი და მესამე სტრიქონები რვამარცვლიანი მაღალი შაირია (4:4), ხოლო მეორე და მეოთხე სტრიქონები ოცმარცვლიანი, რომელშიც ხუთი ოთხმარცვლიანი ტერფია (4:4:4:4:4). როგორც ვხედავთ, პოეტმა საყოველთაოდ ცნობილი ლოცვის სიტყვები, სამების სამწვერიანობის გამომხატველი ფრაზა-ფორმულა, რომელიც რაღაც უცნაური დამთხვევით ოც მარცვალს შეიცავს, სალექსო სტრიქონად წარმოგვიდგინა, მეორე სტრიქონიც

(მასთან გართმული და სტრუქტურულად რამდენადმე მას მიმსგავსებული) იმავე სტროფში მოაქცია და ამით ოცმარცვლიანი ლექსის ახალი რიტმულ-ტერფული ვარიაცია შეჰმატა ქართულ წყობილსიტყვაობას.

„კოსმიურ ნირვაში“ არაერთი სხვა რიტმი (და შესაძლოა, საზომიც) გვხვდება, რომლებიც ალბათ ახალი და უჩვეულოა ქართული პოეზიისათვის, მაგრამ ზემოთ განხილულისგან განსხვავებით, ისინი სტიქიურად, იმპოვიზებულად მიგნებულის შთაბეჭდილებას სტოვებენ ზემოთმოყვანილი მაგალითებისაგან განსხვავებით და იქნებ ავტორის მიერ ყოველთვის შემჩნეული არც იყოს. ლექსების მეორე ბრწყინვალე ციკლშიც „ტერენტი გრანელი“ გვხვდება ცალკეული ჰეტერომეტრული საზომებით დაწერილი მონაკვეთები და უცნობი რიტმული ვარიაციებიც; ზვიად გამსახურდიას სალექსო ტექნოლოგიაში რითმებსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა; მინდა „ტერენტი გრანელის“ ციკლიდან ერთი ლექსი, რიგით მეცხრე, რომლის სათაურია „აპოკალიფსური ელდა“, აქ მთლიანად ამოვწერო; ეს ლექსი ზვიადის ერთ-ერთ შედევრად მიმანია ბრწყინვალე ფორმისა და ღრმა, მისტიკური შინაარსის გამო, თუმცა შინაარსის „თარგმანება“ დაწვრილებით და დეტალურად ნაკლებ შესაძლებელი მგონია და, გამოტყვევით ვიტყვი, ამის სურვილიც ნაკლებად მაქვს: ვფიქრობ, მთავარია, ეს შინაარსი შეიგრძნო, სულიერად განიცადო. ტერენტი გრანელის სურვილიც „სხვა პლანეტაზე“ გადასვლისა გარკვეულ ორიენტირად გაიხადო...მაშინ თავისთავად გასაგები ხდება, მშობლიური პლანეტის „კახპა ლეშს“ რატომ ეყრება ლექსის ლირიკული გმირის სული; ოლონდ ამჯერად დაკონკრეტებულად მაინც ფორმაზე, უფრო ზუსტად, მის ერთ-ერთ კომპონენტზე მინდა ყურადღების გამახვილება; რითმებს ვგულისხმობ:

**აპოკალიფსური ელდა**

„ცა ლუციფერის ფრიალა ფაცერი.  
მზეში გახვევა და უხმოდ ლოდინი.  
ვიცი რომ ბედი ხარ ცრემლებით ნანერი,  
შენს დაღამებაში ულონოდ ვთრთოდი მე.  
შუქსლა მიაცილებს კამარა ტიალი,  
ლექსს ღამე აცილებს კუპრს, შავად მომდინე.  
ბოდვებს ენატრებათ სულში ხეტიალი,  
სიკვდილი, ცრემლიან იმედის ფარეში,  
ახლა იმ ხვალეთა ჩუმი მხვეტელია.  
მიჰქრიან მზეები ელვათა თარეშში  
და გლოვის ქარბუქში ქშუის კარნავალი.  
სნეული ფოთლები ფარავენ მთვარეს შავს,  
ცაში ეკარგებათ გზები ქარ-ნავალი  
და სული ეყრება პლანეტის კახპა ლეშს,  
ტვინი იბუგება ცაში მქარგავ ალით:  
მადროვე ოცნებავ, შენით გარდავალ იქ!“

ზოგი რითმა აქ ე.წ. „მრავალჯერადი გამოყენებისა“ გახლავთ და შეიძლება სხვა პოეტებთანაც შეგხვდეთ („ფაცერი-ნანერი“, „ტიალი-ხეტიალი“, „ფარეში -თარეშში“), მაგრამ რითმათა მეორე ფგუ-

ფი მხოლოდ ზვიადს ეკუთვნის, მისი ორგინალური მიგნებაა და ამდენად, „ერთჯერადი გამოყენების“ რითმებად უნდა ჩაითვალოს: („ლოდინი - ვერთოდი მე - მომდინე“, „ხეტიალი-მხვეტელია“, „თარეში - მთვარეს შავს - კახა ლემს“, „კარნავალი - ქარ-ნავალი - მქარგავ ალით - გარდავალ იქ“).

ზვიად გამსახურდიას პოეზიის ვერსიფიკაციული თავისებურებანი, რაც მას თამამ ექსპერიმენტატორად წარმოაჩენს, საგანგებო კვლევის საგნად შეიძლება გახდეს ლექსთწყობის მკვლევართათვის; მე აქ მხოლოდ ადვილად შესამჩნევ მხარეებს შევხვები. ჩემთვის, როგორც პრაქტიკოსი ლექსთამთხვევლისათვის დიახაც, მახლობელი და გასაგებია ზვიადის ძიებანი და მიგნებანი ფორმის სფეროში, მაგრამ ამ სიახლეთა სრულად, ამომწურავად წარმოჩენა და სისტემატური მეცნიერული ანალიზი უკვე სცდება ჩემი კომპენტენციის ფარგლებს, ეს სამუშაო სპეციალურ თეორიულ მომზადებას მოითხოვს და თუ მაინც საგანგებო ყურადღება მივაპყრო ამ საკითხს, ალბათ იმიტომ, რომ იქნებ ამ დარგის სპეციალისტები დავანტერესო; გარდა ამისა, იქნებ პოეტობის მოსურნეთაც დავანახვო, ჭეშმარიტი ოსტატობა და თვითმყოფადობა რაოდენ დიდი შემოქმედებითი შრომითი, შინაარსის შესატყვისი ფორმის ძიებით, გაუკვალავ ბილიკებზე სიარულით მიიღწევა; ე.წ. „პოეტა“ უმეტესობას ხომ ამ ყველაფერზე მცირეოდენი წარმოდგენაც არა აქვს: თავიანთი პრიმიტიული აზრები ასევე პრიმიტიულ, გაცვეთილ და ყველასათვის მისაწვდომ ფორმაში თუ ჩატენეს, ამ ხალხს პოეზიის მწვერვალები დაპყრობილი ჰგონია და ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „უფიცობის ცუდმედიდობით“ შეპყრობილნი ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას მიმართავენ ლიტერატურული სივრცის დასაუფლებლად...

ზვიად გამსახურდიას ლირიკაში რელიგიურ-მისტიკურ თემატიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. მისი საუკეთესო ნაწარმოებები სწორედ ამ ნიშნით გამოირჩევა; ერთ გარემოებას უნდა მივაპყრო საგანგებო ყურადღება: მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა შემოქმედებაში რელიგიურ მოტივებთან მიმართება მეტწილად თავისუფალი, არაეკლესიური ხასიათისაა და არაიშვიათად ერესის იერსაც კი დაიკრავს, თუ მკაცრი დოგმატიკის პოზიციიდან განვსჯით; მართალია, არც თუ მცირე რაოდენობით არიან ჩვენში საეკლესიო პირნი თუ, უბრალოდ, მორწმუნე მრევლის წევრები, რელიგიური ხასიათის ლექსებს რომ წერენ და ოდნავადაც არ არღვევენ დოგმატიკის ჩარჩოებს, მაგრამ როგორც წესი, ისინი არ არიან პროფესიონალი პოეტები: მათი შემოქმედებითი პროდუქცია, ეკლესიური თვალსაზრისით სრულიად მისაღები, მეტწილ შემთხვევაში ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირებულებას მოკლებულია და პროფანულ-დილეტანტურ დონეს ვერა სცდება; ამ ფონზე ზვიად გამსახურდია ერთგვარი გამონაკლისია: იგი პროფესიონალი ლიტერატორი და პირველხარისხოვანი პოეტია, ლექსის ჭეშმარიტი დიდოსტატი

და ამავე დროს მორწმუნე, ეკლესიური პიროვნება: უმკაცრესად დაცული სტილურ-ტერმინოლოგიური შესაბამისობით ბიბლიურ ტექსტებთან, მაქსიმალური კონცენტრირებით სახარებისეულ მოტივებზე და მზურვალე დასტურყოფით ამ ტექსტებში გაცხადებული ჭეშმარიტებისა, ლექსთა ციკლი „კოსმიური წირვა“ ისევე სრულყოფილად ჯდება ორთოდოქსულ-ქრისტიანული დოგმატიკის ჩარჩოებში, როგორც დავით გურამიშვილის რელიგიური ლირიკა და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“; ამ კლასიკური მართლმადიდებლური ძეგლების მსგავსად „კოსმიური წირვა“ საგალობელთა ნაკრები გახლავთ, რომელიც ალბათ თავისუფლად გამოდგებოდა ლიტურგიაში; გურამიშვილის ერთი ლექსი, იესო ქრისტესადმი აღვლენილი გოდება-ხოტბა („ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნისო“) აკი იგალობება კიდევ ეკლესიაში.

„კოსმიური წირვა“ ათი ლექსისაგან შედგება, რომელნიც დამოუკიდებელ ნაწარმოებებადაც შეიძლება მივიღოთ და მთლიანი კომპოზიციის ცალკეულ ნაწილებადაც: „ცად დაუტეველი“ უფალი იესოსა და „სამოთხის ვარდის“-მარიამ ღვთისმშობლის გარდა აქ ფიგურირებენ იდუმალი მეფე-მღვდელმთავარი მელქისედეკი (რომელმაც აბრაამი პურითა და ღვინით აკურთხა), წმინდა გიორგი და წმინდა ნინო; აქ არის გეთსიმანიის ბაღში მამისადმი აღვლენილი ლოცვა-ვედრების პოეტური ვარიაცია (რომელშიც ავტორი, ზვიადი, წინასწარმეტყველებს თავის საკუთარ ჯვარცმასა და მოწამეობრივ აღსასრულს), უძღები შვილის ღალადისი და „სინანულის ცრემლთა რუები“, „სულეთის ცისარტყელის“ (სულიწმინდის) შესხმა-დიდება, საოცარი კეთილზმოვანებით, მელოდიურობით რომ გამოირჩევა... მთელი ციკლი ბიბლიური სურნელით, „რუახ ელოჰიმი“ არის გაჯერებული... ბოლო ლექსი „აღდგომა“ კულმინაციაა სულიერი ზეიმისა, ესქატოლოგიური ჰიმნია, წინასწარხილვა ბნელეთის ძალთა საბოლოო დათრგუნვისა და ცათა სასუფეველის მოახლოებისა; აქ სამგზის მეორდება სტროფი-რეფრენი, რომლითაც მთავრდება კიდევ ეს დიდებული საგალობელი:

**„რა შევბაა რა ზარია,  
აღდგა ღმერთი სულმნათი,  
დედამინა ტაძარია,  
ზეცა მისი გუმბათი“**

„კოსმიური წირვა“ ზვიად გამსახურდიას ლირიკის ცენტრალური ქმნილებაა, გვირგვინია მისი შემოქმედებისა: შეიძლება ითქვას, ამ ციკლის ათივე ლექსი შედევრია; აქ ავტორი შედარებით ნაკლებად მიმართავს ენიგმატურ პოეტურ მეტყველებას, თვით ციკლის სპეციფიკა - ბიბლიურ-ეგანგელური კანონიკურობის მკაცრი დაცვა-მოითხოვს უფრო ღია, აზრობრივად გასაგებ ტექსტს, თუმცა ამით როდი იზღუდება მხატვრული გამომსახველობა-აქაც ისევე, როგორც სხვა ზემოთგანხილულ შედევრებში, ავტორი მაქსიმალურად ავლენს თავის დიდ პოეტურ ტალანტს: მეტაფორები, შედარებანი, რითმები, რიტ-

მები, მელოდიკა—უაღრესად მაღალხარისხოვანი, ორგინალური და განუმეორებელია.

საინტერესო პარალელი შეიძლება გავავლოთ ზვიად გამსახურდიას და დავით გურამიშვილის ვერსიფიკაციულ ნოვაციებს შორის. გურამიშვილი თავის ლირიკაში ორგინალურ ექსპერიმენტებს მიმართავდა - მასთან გვხვდება იმგვარი საზომები და რიტმები, რომლებიც, რამდენადაც ვიცი, მის წინამორბედთა შემოქმედებაში არ ფიქსირდება: განსაკუთრებით საყურადღებოა „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“, სადაც ძირითადად ცამეტმარცვლიანი საზომის მრავალგვარი რიტმული ვარიაციაა გამოყენებული, ამასთანავე, შიგადაშიგ თორმეტმარცვლიანი, თოთხმეტმარცვლიანი, თხუთმეტმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი საზომებიც გვხვდება, ბოლო ორი სტროფი კი ათმარცვლიანია. ოღონდ გურამიშვილის პოეზია მაინცდამაინც არ გამოირჩევა მუსიკალობით, მელოდიურობით, მისი მხატვრული მეტყველება უფრო „ხორკლიანი“, არარაფინირებულია და მასთან რიტმული დისონანსები უფრო მკვეთრად, ხისტად გაისმის, ვიდრე ზვიად გამსახურდიას მელოდიურ ლირიკაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გურამიშვილის ერთი ლექსი ეკლესიაში იგალობება: სამწუხაროდ, არ ვიცი, ვინ არის ამ მშვენიერი მელოდიის ავტორი, ალბათ რომელიმე თანამედროვე კომპოზიტორია; მაგალობელ ქალთა გუნდი და იადონის ტკბილხმოვანებით გამორჩეული სოლისტი (არც მისი გვარ-სახელი ვიცი) ბრწყინვალედ ასრულებდა ამ საგალობელს ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში: ახლაც ხმაინებს ჩემს სმენაში ის ჟრუანტელისმომგვრელი, გულსაკლავი ტრაგიკული ჰანგი - „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“ ეს ლექსი დავით გურამიშვილს თექვსმეტმარცვლიანი დაბალი შაირით აქვს დანერილი და მასში არ არის ზემოთხსენებული რიტმული დისონანსები, ხალხური ლექსივით სადად იკითხება და ასამღერებლადაც ფრიად მოხერხებულია; ზვიად გამსახურდიას „კოსმიური წირვის“ ერთი ლექსიც „უძღები შვილი“ თექვსმეტმარცვლიანია, ოღონდ მაღალი შაირითაა დანერილი და ძალიან ადვილად ემორჩილება ამღერებას:

**უძღები შვილი**  
**„ვით უძღები შვილი სოფლად, ვერ ნაუველ ვერ-სადაო**  
**თვალთა შენთა მანთავ ნათელს, მეუფეო ზეცათაო!**  
**ქვესკნელს დამნთქა სულთა მტერმა, სად შენა და მე სადაო**  
**მომიძიე კრავი შენი, მეუფეო ზეცათაო!**  
**გულისთქმათა განმგებლო, მსურს ამაღამო,მე-სადავო,**  
**სულთა მწეო, ყოვლისმძლეო, მეუფეო ზეცათაო!**  
**სინანულის ცრემლთა რუებს ან კი უნდა ესათავო,**  
**მოხვედ ჩვენად სინანულად, მეუფეო ზეცათაო!“**  
მაგრამ „კოსმიური წირვის“ ისეთი ჰეტერ-

ომეტრული და რიტმულ დისონანსთა შემცველი ლექსებიც, როგორცაა „ნათლისღება“ და „აღდგომა“- არანაკლებ ემორჩილება ამღერებას; საერთოდ, მთელი ციკლი შეიძლება რეჩიტატივისა და მელოდიის მონაცვლეობით ამღერებულ იქნას და ერთ დიდ საგალობლად, ორატორიად იქცეს, ხოლო მისი ცალკეული, განსაკუთრებით მელოდიური მონაკვეთები, მსგავსად გურამიშვილის ლექსისა, ეკლესიაშიც კი შესრულდეს მაგალობელთა მიერ - მაგალითად, იგივე ზემოთციტირებული „უძღები შვილი“...

ალბათ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა: რატომ ვარ ასე დარწმუნებული, რომ პოეტური ციკლი „კოსმიური წირვა“ ადვილად ასამღერებელი ტექსტია? ლექსის მუსიკალურობა ხომ თავისთავად სულაც არ არის იმის გარანტი, რომ ეს ლექსი მუსიკის ენაზე ადვილად გარდაქმნება: ვგონებ ჯერ არავის უცდია ქართველ კომპოზიტორთაგან, გალაკტიონის მონუმენტურფორმიანი შედევრების - „დომინოს“ ან „გრიგალის“ ტექსტებზე მუსიკა დაენერა, თუმცა კი ეს ნაწარმოებები თავიანთი სტრუქტურით მუსიკალურ სონატებს ჰგავნან და საოცარი მელოდიურობითაც გამოირჩევიან...

აქ უნდა „კარტები გავხსნა“: მე, მარსიანმა, გალაკტიონის „დომინოცა“ და „გრიგალიც“ ავამღერე (უფრო სწორად, ამიმღერდა) რეჩიტატივითა და მელოდიით, და ზვიადის „კოსმიური წირვაც“(თავიდან ბოლომდე)... არაერთი სხვა პოეტის ნაწარმოებებიც ამიმღერდა, მაგრამ ნოტები არ ვიცი, არც მაგნიტაფონი მაქვს, რომ ეს ყველაფერი ჩავნერო, არც რომელიმე ლოტბარს ვიცნობ, რომელიც ისურვებდა გუნდთან ერთად დაემუშავებინა ჩემს მიერ მიწოდებული, ასე ვთქვათ „მუსიკალური ნახევარფაბრიკატი“, რომლისგანაც სრულყოფილ პროდუქტს, ბოლო კონდიციამდე მიყვანილ კომპოზიციას შექმნიდა...

ზვიად გამსახურდიასათვის პოეტობა არ ყოფილა რალაც მეორე-მესამეხარისხოვანი საქმე, როგორც შეიძლება ეგონოს მავანსა და მავანს; თუნდაც ის ფაქტი, რომ ზვიადი არ ქცეულა თავის მიერ თარგმნილი დიდი პოეტების ეპიგონად, იმის მანიშნებელია, რომ მას საკუთარი პოეტური სამყარო გააჩნდა, თავისი ენა, თავისი პოეტიკა; ზვიადის პოეტობაზე სიტვის ჩამოგდებისას სტალინი თუ აიათოლა ჰომეინი კი არ უნდა გვახსენებოდეს, რომელნიც „აგრეთვე ლექსებს წერდნენ“ და ამით მისი „გატაცების“ მეორადობაზე (და ნება-უნებლიეთ მის პოლიტიკურ „ავტორიტარიზმზე“) კი არ უნდა მივანიშნებდეთ, არამედ, აჯობებდა, თუ წინასწარაკვიატებულ განწყობას მოვიშორებდით და ობიექტური კრიტიერიუმის მიხედვით განვსჯიდით - ამ უაღრესად მრავალმხრივი, უნივერსალური და მასშტაბური პიროვნების სულიერი აქტივობის ეს მხარე - პოეტური შემოქმედება - რა ღირებულებისა რეალურად; მე პირადად, აქამდეც ვთვლიდი, რომ ზვიად გამსახურდიას პოეზია ნამდვილად ღირებული და მნიშვნელოვანია,



ხოლო ამ წერილის წერისას (კიდევ და კიდევ მრავლ-გზის რომ მომიხდა მისი ლექსების გადაკითხვა) იგი თვალდახელშეუა „გაიზარდა“ ჩემს თვალში და უკვე მტკიცედ ვირწმუნე - ზვიადი დიდი პოეტია!

მე ვიცი, ვინც ნაწარმოების მთავარ ღირებულებად შინაარსს თვლის და არა ფორმას, ამ წერილში გამოვლენილი ეგზომ საგანგებო ყურადღება ფორმის, კერძოდ ვერსიფიკაციის მიმართ ალბათ ზედმეტ ჩაკრიკიტებად, ნაკლებ საინტერესო გარჯად მოეჩვენება; ფორმა ხომ, ასე ვთქვათ, „მატერიალია“, ფიზიკურადაც დასანახი რეალობა, შინაარსი კი მასში დაფარული „სულია“, უხილავი სუბსტანცია; მაგრამ პარადოქსი ის გახლავთ, რომ სწორედ შინაარსის მალაჩრებელი მკითხველები (რომელთა შორისაც არაერთი მწერალი, პოეტი, კრიტიკოსი თუ ლიტერატურათმცოდნე მოიაზრება) აღმოჩნდებიან საკმაოდ ხშირად უფრო მინიერ, ემპირიულ რეალობაზე ორიენტირებულნი, ასე ვთქვათ, „რეალისტები“, გნებავთ, „მატერიალისტებიც“ კი: ისინი მოითხოვენ ცალსახად განიმარტოს, რისი თქმა უნდოდა ავტორს ამა თუ იმ ნაწარმოებში, რა აზრი ჩადო მასში; ეს ცალსახა, კატეგორიული განმარტებანი კი, არც თუ იშვიათად იმ მაღალი, დაფარული შინაარსის, ლექსის გულისგულის დაკნინებულ-დამდაბლებული „გამოთარგმანებაა“, იგნორირება იმ ღვთაებრივი სანყისისა, ურომლისოდაც ფასი არა აქვს არანაირ შემოქმედებას. ის დაფარული შინაარსი განაპირობებს ფორმის, როგორც კრისტალის ელვარება-ციმციმს, მშვენიერებას, ესთეტიკურ ღირებულებას; ოღონდ, თავის მხრივ, სწორედ ფორმათქმნადობის ალქიმური პროცესის შედეგია იმ დაფარულ-ღვთაებრივის გამონათება; და საერთოდ, ძნელია თქმა - ფორმა განაპირობებს შინაარსს თუ შინაარსი - ფორმას? თვით „ფორმად“ და „შინაარსად“ ნაწარმოების, ტექსტის დაყოფაც ხომ საკმაოდ პირობითი რამ გახლავთ და ფორმის „მატერიალურობაც“ ხომ მოჩვენებითია - ლექსში გამოყენებული სიტყვების თანმიმდევრულობას თუ მთლიანად დავარღვევთ, აღარც ფორმა იარსებებს და აღარც შინაარსი, ორივე გაქრება; ეს განა იმას არ ნიშნავს, რომ ცალ-ცალკე არც ფორმა არსებობს და არც შინაარსი?

ყოველ მნიშვნელოვან შემოქმედებას თავისი ინდივიდუალური მახასიათებლები გააჩნია, რომელთა იგნორირება და არშემჩნევა პრინციპულად არამართებული მგონია: არის სათანადოდ გამოკვლეული გალაკტიონის ვერსიფიკაცია? მხოლოდ ამ კუთხით (სხვა ფორმისეულ თუ შინაარსისეულ მხარეებსაც რომ თავი დავანებოთ) იმდენი სიახლეა მის შემოქმედებაში, რომ ამ ყველაფრის არდანახვა თუ ვერდანახვა გალაკტიონის პოეზიის კარგ ცოდნად არავის ჩავთვლება; ზვიად გამსახურდიას ლირიკაც, გალაკტიონის ხაზის გაგრძელება რომ არის ამ მხრივ (არამარტო ამ მხრივ), უთუოდ იმსახურებს იმას, რომ კარგმა, „პროფესიონალმა“ მკითხველმა საფუძვლიანად გაიაზროს მისი თუნდაც წმინდად ტე-

ქნოლოგიური მხარე: სხვანაირი მიდგომა ნაკლოვანი, არაკომპენტენტური მიდგომა იქნება; თანაც ტექნოლოგიური მახასიათებლები მართლაც ცალსახად შეიძლება გამომზეურებულ იქნას: ამ შემთხვევაში არასწორი განმარტება და თვითნებური ინტერპრეტაცია შეიძლება პრაქტიკულად გამოირიცხოს, რადგან ის რითმები, რიტმები, საზომები, სალექსო კონსტრუქციები რეალურ-ემპირიულად არსებობენ ნაწარმოებში, მხოლოდ დაკვირვება და მიგნება სჭირდება.

ზვიადის პოეზიას, მჯერა, მომავალში უთუოდ გამოუჩნდებიან კომპენტენტური მკვლევარები, სიღრმისეულად რომ გაიაზრებენ და გაანალიზებენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას, განსაკუთრებულ ფენომენს ქართული ლიტერატურისა; დღეს-დღეობით კი, ჩვენი ცდა - ოდნავ მაინც შეგველოკარი ამ მოცულობით მცირე, მაგრამ შინაგანად ფართო, ღრმა და მასშტაბური პოეტური სამყაროსი - თუ პოეზიის მოყვარულთა გაიშვიათებულ მოდგმას ცოტათი მაინც უზიდავს მის ახლო გასაცნობად და გასათავისებლად, უნდა ჩავთვალოთ, რომ ამაოდ არ გავრჯილვართ.

31.VI — 10.VII.2020

გია ჯიჟონია

### სონეტი ზვიადს

გმირს, ტკივილამდე გეორგია ვისაც უყვარდა და თავს სწირავდა ყოვლადმინდა იდეალისთვის, აღარ უწყოდნენ, აწამებდნენ, უფალო რისთვის, გაჭირვებულთა გულის სიმზე ვინაც უკრავდა. დავრდომილების სულს ათბობდა, ოცნებას რგავდა, ცოდვილ მინაზე ჩამოვიდა იგიც ამისთვის და ქვეყნის მტრებმა ის დასაჯეს სიყვარულისთვის, გულთან მიტანილ ხალხის ტანჯვით ვინც არვის ჰგავდა.

ქვეწარმავლები რომ შელოცვით ვერ დააძინა, ბოლო მშველელმაც მიატოვა, განზე გასცურა, უხსენებელმა სასიკვდილოდ იგი დაკბინა, რას დააკლებდა, მან ჩივილით ცას მიაშურა, ეს ერთადერთი სიტყვა ბაგეს აქ დააცივდა, საქართველოსთვის - თქვა, ცრემლები ჩამოუცვივდა.

XXXII

ვიცი, აქედან სინანულის გარეშე წავალ, ან თქვენს შემყურეს, მითხარ რისი იმედი მქონდეს, ვერ მიეჩვია ჩემი სული თვალთმაქცურ ჰავას, როგორ არ მინდა ეს სიყალბის ქარი აქ ქროდეს. ბევრს ხომ ისედაც სატრაბახო არაფერი აქვს, ვინაც არ ცდილობს კვლავ მართალი კითხვების დასმას,

გაიძვერობის უღრან ტყეში კიდებენ ჰამაკს, მაძღურ ბილიკებს რაც მიენდნენ და სხვისი არ სწამთ.

ვინაც გიყვარს და გულის ნუხილს ვინაც მუდამ სძლებს,

ის უნდა ნახო, შენ წამებში გაცეცებისას,  
სული გიტოკავს მის სახელის გაგონებაზე,  
უზენაესის, ვით არსების მოგონებისას.

აგერ ის კაცი, საუბრისას ხმას რომ აბოხებს  
და ბოლო იმედს ფანტაზიის წყალობით შეველის,  
სხვაზე ნაკლებად წააგავდა დღეს მემამბოხეს  
და დღის ბოლოსკენ, გააღვიძა სულში მაშველი.

XLIII

**პანტერას თვალებით**

ჩემო პანტერა, მოდი გულზე გადამირბინე,  
შენ რაც ირბინე, ბედის წიგნში იმან ჩანერა,  
ვინც გადანერა და ითვლიდა გულზე სირბილებს,  
ნერვთა სირბილემ შეუტია რაკილა წნევას.  
განზე გადადე რატომ ჩემი ბაგიბუგები,  
რომ ვილუპები, ვინ დაითვლის ანი იმ ვარდებს,  
წაიღებს დარდებს ის სურვილი გადაბუგების,  
შიშის უფლებით, - უფსკრულში არ გადამივარდე.  
შენი თვალები, ო, თვალები, შავო ავაზა,  
ვით ყვავილს ვაზა უხდებოდა გრძელი ფეხები,  
როცა გეხები, იქ ოცნებებს ედებათ რაზა,  
მყის გადარაზავს რაიც ფიქრებს იმ შეხვედრების.  
ვინც გადაურჩა, ვერ მბარებს ბედის გაკვეთილს,  
ასჯერ გაკვეთილ იმ ოცნებას ფეხი დაუცდა,  
თქვა - არა უშავს ჩემს სიგიჟეს აქ ფეხაკვეთილს,  
სასონარკვეთილ ნოსტალგიას როცა დაუსხლტა.

XLI

**სცენები ნიკოლო პაგანინის ცხოვრებიდან**

რატომ გაჩუმდით ბატონებო,რამ შეგაშინათ?  
ეს გამოჩენა, ვატყობ, აღარ გესიამოვნათ,  
ან იქნებ ბნელა და სიბნელემ თქვენ დაგამონათ,  
თქვით, იმ ჰანგების ანგელოზთან ვინ დამასმინა?!  
რომ თითქოს მძულხართ, არ ვფიქრობდე თქვენ-  
ზე მაშინაც,

როცა ვტირივარ ანდა სულაც, როცა მარტო ვარ,  
ქარს მონაყოლი ჰარმონია რამ მოგაგონათ,  
ვნებით დაღლილი ხელოვანი როს ფრთებგამ-  
ლილად

იდგა მარტო და ცრემლთაფრქვევით რომ წარ-  
მოსთქვამდა..

მითხარით: მაშინ ის შეგძულდათ თუ შეგიყვარ-  
დათ?

როცა ტიროდა უბედური, გულით მოთქვამდა,  
შემდეგ ცეკვავდა, იცინოდა, ისე უკრავდა...


ორივე ნახეთ, გულგრილობა ვერ შეგმოსავდათ.  
აჰა, მითხარით ან ის, ან ის- გძულვართ? გიყვარ-  
ვართ?

**ესკიზები ავტოპორტრეტისთვის**

||

ჩემს მოსაშხამად თვალწინ ცეკვავს ახლაც ავ-  
სული,

რომ საბოლოოდ ჯანდაბისკენ ეშმაკს გაუყვეს,



ახლაც ოცნება თუ სულს ლაფავს ღიმილის  
ხუნდზე,

სწორედ მის გამო შემინუხდა ძვირფასო გული.

ამ ცოდვიანი არსებობით შემოსაზღვრული  
ლელავს ცხოვრება რახან ცრემლით ისევ დახ-  
უნძლეს

(თუმც მიმზიდველი მაინც არის, რაგინდ გახ-  
უნდეს)

და არ მაშინებს გაყურსული ის დასასრულიც,  
მორიგ შეხვედრის გაოგნება თუკი კვლავ ამცდა,  
(ალბათ შემდეგი ალტაცებაც სადღაც მინაცრდა),  
აღარას ვნანობ,მშვიდად ვვადები ფიქრების ნავ-  
ში,

როდის ყოფილა, მეოცნებემ თავი დახაროს,  
დახუჭულ თვალებს ალტაცების ავახელ ზღვაში,  
ახალმა კადრმა ჩემი სული რომ გაახაროს.

XLIII

ვაჟი შეჩერდა,ლაპალუპით ცრემლი სდიოდა,  
ვინაც ვერცერთი ოცნებანი ვერ აისრულა,  
ლამაზი სატრფოც თურმე სადღაც შორს აღეს-  
რულა

და არ იცოდა თვითონ ახლა სად მიდიოდა.

რად სანატრელი ის სიკვდილიც არ მოდიოდა?!

„ავმა ცხოვრებამ ასე ძლიერ რად შემიძულა?“-

ფიქრობდა იგი,ან ეს ბედი რამ აიძულა

მოეკლა იგი ვიზედაც მზე ამომდიოდა.

ის ვინც ზოგ-ზოგის ყველა სურვილს აკმაყო-  
ფილებს,

კეთილდღეობის დიდ მწვერვალთან მყის შე-  
აერთებს,

ზოგს ძირს დაუშვებს და დააგდებს უფსკრულის  
ფსკერზე,

...შენ სად მიდიხარ უბედურო ან რა გატირებს?-

ის საუბრობდა მარტოდმარტო,თქვა - ღვთის ნე-  
ბაა,

შემდეგ დუმილი, რაც საუბრის გაგრძელებაა.

## ნანა შალაგაბერიძე

## ამონარიდი ნიგნიდან „მიგრანტები“

\*\*\*

სალონში პირველად ჩვენ შეგვიყვანეს, მე და დაჯი, ხელბორკილების გარეშე. დალლილობისგან გათანგულს ერთი სული მქონდა, როდის ჩავესვენებოდი და კომფორტულად მოვენყობოდი სავარძელში. ერთმანეთის შორიასხლოს დავგვსვეს. ორივე მხარეს პოლისფუმენები მოგვისხდნენ უსაფრთხოებისთვის, ანუ იმისთვის, რომ სალონიდან არ გავექცეთ. „აი ახლა კი მართლა მაძეგებენ ქვეყნიდან, მხოლოდ ვერ გავიგე, რატომ? ამდენმა გაუგებრობამ როგორ მოიყარა თავი ჩემ გარშემო!“ მინდა შემოჯარულ ფიქრებს თავი დავაღწიო და თვალებს ვხუჭავ.

— სწრაფი ნაბიჯებით იარეთ წინ! — ისმის ვილაციის მბრძანებლური ხმა სალონში და თვალებს ვახელ. დისტანციის დაცვით, რიგრიგობით, ხელბორკილებით შემოჰყავთ თავდახრილი, ახალგაზრდა ქართველი ბიჭები, ნახევარზე მეტი მომპარავეები ან ნარკომანები. თითოეულს ორი პოლისმენი მოაცილებს და ერთმანეთისგან მოშორებით საიმედოდ აბინავებენ სავარძელში. ყველაზე ბოლოს დაჯის ნაცნობი მამა-შვილი შემოიყვანეს. მამა ნერვიულად ახამხამებდა თვალებს.

— თქვენ საიდან აქ? — უკვირს დაჯის.

— ვინც აქა ვართ, ყველანი ღამით აგვიყვანეს სახლებიდან. დაბადების დღეზე ვიყავით და იქ მოგვაკითხეს! ასე თანამშრომლობენ ჩვენები საემიგრაციოსთან! — ბოლმას ვერ ფარავს კაცი.

— ამას როგორ იკადრებენ ჩვენები, რას ამბობ, ვერ დავიჯერებ! — ისმის დაჯის დალლილი ხმა. ამან, ეტყობა, წონასწორობა ისე დააკარგვინა ახალმოსულს, რომ არც აცია, არც აცხელა, შეუბრალებლად მიახალა დაჯის:

— შენ არ იცი, ვისი ჩაშვებული ხარ? მთელი დუბლინი ლაპარაკობს, გულიკომ ჩაუშვა და თავიდან მოიშორაო!

გაშრა დაჯი, თავი დახარა, თითქოს თვითონ ჩაედინა ეს სისაძაგლე!

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა. ამჯერად სამნი შემოვიდნენ სალონში: ექიმი და მედლები. აუცილებელი კომპონენტები სრული უსაფრთხოებისთვის და კიდევ კომფორტისთვის, ალბათ.

ისევ სიჩუმე. კიდევ რამდენიმე წუთი და სალონში მკაცრი იერით, თითქოს მარშით შემოვიდა ჯგუფის ხელმძღვანელი. შემოვიდა და შედგა ჩემი „ნაცნობი პოლიცემანი-ი“. შედგა და თვალი მოავლო სალონს რამდენიმეჯერ, თითქოს რალაცას აზუსტებდა და ითვლიდა. რალაც ანგარიში არ გამოსდიოდა თითქოს. „მე ხომ არ მეძებს, ალბათ, ვერ მხედავს.

ეტყობა, ძალიან ღრმად ვზივარ სავარძელში და არ ვჩანვარ“, გამიელვა თავში და გავსწორდი. დავენახე. მართალი აღმოჩნდი. პოლიცემანი ექიმს მიუახლოვდა და რალაც გადაულაპარაკა. ექიმი რატომღაც ჩემკენ წამოვიდა, გვერდით მომიჯდა და მეკითხება:

— ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს, ქალბატონო? ხომ არაფერი განუხებთ? წნევას გაგისინჯავთ! — მოიმარჯვა ექიმმა წნევის აპარატი და ფონედოსკოპი.

— გმადლობთ, ახლა კარგად ვარ! წუხელ ვიყავი ცუდად და პრიზონის მორიგე ექთანმა კუთვნილი წამალი არ მომცა. ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. შუალამისას კი, როცა გამოვყავდით შენობიდან, თითქმის ბრძანებით გადამაყლაპეს აბები და თან სამი დღის მარაგი გამომატანეს. დასამშვიდებელიც და წნევის წამალიც. დამიჯერეთ, თავს კარგად ვგრძნობ, თან მშვენიერ ხასიათზე ვარ (?!).

— მომიტევეთ, მე ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო!

— მაგრამ მე ხომ არ დამიჩვილია, რომ შეუძლოდ ვარ?

— გთხოვთ! ნუ მიძალიანდებით!

— კეთილი, ბატონო ჩემო!

— რატომ ხართ გალიზიანებული! რა მოხდა? — დაინტერესდა მარჯვენა მხარეს ჩემ გვერდით მჯდომი პოლისფუმენი ექიმის პროცედურების შემდეგ.

— არაფერი. ყველაფერი უცნაურად არის ერთმანეთზე მიბმული, მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ!

— გადამიშალეთ გული! მოგეშვებათ! იქნებ სულაც მე შემიძლია რაიმე დახმარების განევა. გთხოვთ!

— არაფერი, არ ღირს ამ თემაზე საუბარი!

— და მაინც, გთხოვთ!

— ეტყობა, თქვენი ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა, გამოასწოროს თავისი უსამართლო დამოკიდებულება ჩემ მიმართ.

— მოხდა რამე?

— დაჯისთან, ჩემს მეგობართან, აი ამ ქალბატონთან ვიყავი იმ ღამეს, როცა მათ მოაკითხეს. მეც რომ ჩამსვეს მანქანაში, ავკრიფე ჩემი ადვოკატის ნომერი და მივანოდე, რომ დალაპარაკებოდა. მან კი გათიშა, არ დაელაპარაკა. შემდეგ საემიგრაციოში გაიარა, ჩემი აყვანის თაობაზე ნებართვის ორდერი აიღო და გამაცაფცაფა პრიზონში. გზაში კიდევ ორჯერ ავკრიფე ნომერი და ვთხოვე დალაპარაკებოდა ადვოკატს ან საადვოკატო კომპანიის უფროსს, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ეს ხალხი, სალონში რომ სხედან, ყველანი წუხანდელი აყვანილები არიან. რა აუცილებელი იყო ორი კვირით ადრე ჩემი დაბინავება პრიზონში, რომელი კრიმინალი მე ვარ? ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა! ახლა თუ ცრემლებს გამოვლვრი, ცუდადა ვარ, მიშველეთ-მეთქი, ტრაპიდან მომხსნის და დამტოვებს? მაპატიეთ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ასეთი რამეები საჩემო არ არის!

— მესმის თქვენი. მაგრამ შეცდომები ყველას მოსდის.

— მეც მესმის თქვენი!

— ჩვენს შეცდომებს, უმეტეს შემთხვევაში დღევანდელი განაპირობებს. ეს არ ნიშნავს, რომ შეცდომების დაშვების უფლება გვაქვს, მაგრამ აგიხსნით რეალობას და სულ სხვა თვალთ შეხედავთ ყველაფერს!

— გთხოვთ, მე გავაგრძელებ: ჩამოსულებმა, ვგულისხმობ დევნილის სტატუსის მაძიებლებმა, იმდენი ქნეს, ანუ ისეთი „გულ სტორის“ შეკერეს, შესაბამის ინსტანციებში დამაჯერებლად სცნეს და ადვილად ჩამორიგდა მოქალაქეობის სტატუსი. ნლობით გრძელდებოდა ასე. მანამ, ვიდრე ვიღაცამ არ დააფიქსირა და არ გაუჩნდა შეკითხვა, რატომ ჰგავდა, ვთქვათ, ყველა ნიგერიელის ან ყველა ზიმბაბველის, თუნდაც ყველა ქართველის „სტორი“ ნვეთი წყალივით ერთმანეთს. გაჩნდა ვარაუდი, ეჭვი, შემდეგ უნდობლობა და თანდათან ეს ისტორიაც შენედა, ანუ უფრო მეტი დოკუმენტის მოძიება გაცილებით მეტ დროს ითხოვდა. საჭიროდ სცნეს „ავადმყოფებზე“ (იგულისხმება შიზოფრენიითა და ეპილეფსიით დაავადებულებები) ხანგრძლივი დაკვირვება და ხშირი კონტაქტი ორი უკიდურესობის, რეალურისა და არარეალურის, ერთმანეთისგან გასამიჯნად. უმარტივესი გზა, შვილის გაჩენა და მექანიკურად მოქალაქეობის სტატუსის მიღებაც კი, დაიბლოკა. გადიოდა დრო და ორივე მხარე ხვეწდა მეთოდებს, გზებსა და საშუალებებს.

— თქვენ საიდან გაქვთ ამდენი ინფორმაცია?

— ანალიზზე ვმუშაობ. „შიგნიდან“, მოპოვებულზე არანაკლებ საინტერესოა „გარეთ შეკრებილი“, რეალობა. მთავარია, შეგეძლოს პრობლემის დანახვა, ანალიზი და სწორი დასკვნების გაკეთება მიუკერძოებლად. გავაგრძელო? გაინტერესებთ?

— კი. მაგრამ ერთი მიკვირს, რატომ არც ერთი საშუალება არ გამოიყენეთ, ეს უხერხულობა თავიდან რომ აგცილებინათ?

— არ ჩავთვალე საჭიროდ. ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი.

ასე ხდებოდა ყოველთვის, მიდიოდნენ ემიგრაციაში, როცა საკუთარ ქვეყანაში სამუშაო არ იყო. ემიგრანტობისას ხელმისაწვდომია მამაკაცებისთვის მუშად, ხოლო ქალებისთვის დამხმარედ მუშაობა. როცა ადამიანი განწირულია ემიგრანტობისთვის და იცის, სხვა გზა არ არის, უნდა წავიდეს, ცდილობს, შეიმსუბუქოს ხვედრი და ეძებს გზებსა და საშუალებებს, რომ იქ უფრო ადვილად და ადამიანურად იცხოვროს, ვიდრე თავის ქვეყანაში. მით უმეტეს აქ, თქვენთან, რამდენიმე წელია დევნილის სტატუსის მაძიებელთა ანუ ლტოლვილთა, მიღების პროექტი ხორციელდება. ამიტომ ვიღაცა რაღაცას იბრალებს, უფრო იბეჩავებს თავს, ვიდრე სინამდვილეში არის, ფსიქიკურ დაავადებებსაც იბრალებს, ყველა ღონეს



ხმარობს, ოღონდაც პროექტის ჩარჩოში მოხვდეს. უფრო მეტიც, ოღონდაც ქვეყნის სოციალის მხრებზე შესკუბდეს. ვერ შეეძავები, ყველას თავისი ცხოვრება აქვს! ან არა და კარგად შეფუთული ტყუილი ისე დააბნევს ხოლმე ადამიანებს, რომ შიშველი სიმართლის დაჯერება უჭირთ.

— თქვენ?

— რა თქმა უნდა, მეც ჩემი ცხოვრება მაქვს. როგორ აგიხსნათ? ვეცდები ყოველ შემთხვევაში. ირლანდიაში ბედის საძიებლად ბრმად არავინ ჩამოსულა. ყველა ფლობდა ინფორმაციას, მათ შორის მეც, რომ პროექტის ფარგლებში ქვეყანას გარკვეული რაოდენობის დევნილი უნდა მიეღო და თავშესაფარი მიეცა. ყველამ მშვენივრად იცოდა, რა სახის მოტივი იყო პრიორიტეტული დადებითი პასუხის მისაღებად. ჰო, ნუ გიკვირთ!

პატარა ნიუანსს მოგანვადით: ერთი პერიოდი ჰაჩჰოლში ვცხოვრობდი, წმ. სტეფან გრინის მიმდებარე ტერიტორიაზე. საათობით ვადევნებდი ხოლმე თვალს, როგორ აპურებდნენ პატარა გოგო-ბიჭები ხელოვნურ ტბაზე მოსრიალე ყელმოღერებულ გედეებს სახლიდან წამოღებული პურის ნატეხებით. როგორ მოსწონდათ და ახარებდათ ეს საქმიანობა, სუფთა ჰაერზე გასეირნების აუცილებელი ატრიბუტი! გაბრწყინებულ პატარებს ნაღვლიანად შეჰყურებდნენ მათი მშობლები.

მათ მსგავსად მეც თითოეული გედი მეფე ლირის შვილებს მაგონებდა და ჩემ თვალწინ ქვეყნის ისტორიის ფურცლები ცვლიდა ერთმანეთს. რამდენჯერ დავიჭირე თავი, დღის განმავლობაში როგორ სათუთად ვაგროვებდი სასუსნავებს უცოდველ გედებთან წასაღებად....

მე ცხოვრებას ჩემი წესებით ვერკინები ხოლმე. არ მიყვარს ბრძოლა წესების გარეშე!

## ჯემალ მხსრიშვილი

### მწვავე პროზა

#### მთავარი ენა

თანამოდმენო, იმდენად იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, როგორი სამსახური გაქვთ, არამედ იქ ვინ არიან ხელმძღვანელები! ამიტომ იცოდეთ - წარმატებას ვერასოდეს მიაღწევთ და სულ მუდამ გატანჯულ-განამებულსაც გიყოლიებენ, თუ არ გეცოდინებათ მთავარი ენა!!!

უჰ, მე ეგ საფრთხე არ მემუქრება, - უმაღ სიტყვას მიმატოვებინებს ბევრი ახალგაზრდა, - ინგლისური წყალივით ვიცით!

ნუ ჩქარობთ, ვარსკვლავებთან მოთამაშენო - მე როდისა ვთქვი, ეს მთავარი ენა მაინცდამაინც ინგლისურია-მეთქი?! „არა?! - სიტყვას კვლავ გადამისხებთ, - აბა, დღეს რომელია მთავარი ენა? ქართული?! მაგრამ ქართული რაღა სათვალავშია ჩასაგდები!.. მამ, რომელი: ჩინური?!. ესპანური?!. არაბული?!. ფრანგული?!. გერ...“


ვაი, რა შორსა ხართ!.. ყველაფერს დალაგებით აგისხნით, ოღონდ თუ ღმერთი გნამთ, მოთმინება იქონიეთ და სიტყვას ნულა დამილახავთ!.. ჰოდა, თქვენ მიერ თავდაჯერებით ჩამონათვალი ეგ ოთხიოდე ენა კი არა, რაც მსოფლიოში დღესდღეობით ცოცხალი ენებია, ყველა ერთად რომ შეკონოთ, ახლოსაც ვერ მივლენ იმ მთავარ ენასთან!..

ო, იმ ენას არც გაქრობა უნერია, არც დაკნინება - პირიქით, სანამ კაცობრიობა იარსებებს, ისიც იყვავილებს და უფრო და უფრო გაიფურჩქნება!!! გარდა ამისა, მას ჩირადაც არ უღირს რაღაც გრამატიკული კატეგორიები თუ მკაცრი მართლწერა!.. და რაც გადამწყვეტია, ამ ენის ათვისება დამოკიდებულია არა იმდენად მსურველის ნიჭიერებაზე, რამდენადაც მის შინაგან ბუნებაზე!..

მამ, გულის ფიცარზე ამოიტივიფრეთ: ეს მთავარი ენა თუ ხუთი თითივით გეცოდინებათ, სამსახურში ყოველგვარი სიკეთე უზრუნველყოფილი გექნებათ!.. ეს ენა თუ არ იცით, მაგრამ თავგამოდებით ცდილობთ მის ათვისებას, ხელმძღვანელობისგან მუდამ წახალისებული იქნებით, რათა შეუფერხებლად ხდებოდეს ამ მთავარი ენის მცოდნეთა ბუნებრივი შევსება!..

თავიანთი მოუაზრებლობით ზოგიერთები საერთოდ, ვერცა ხვდებიან ამ ენის შესწავლის საჭიროებასა და აუცილებლობას! თქვენ წარმოიდგინეთ, უფროსობა ასეთ ფენას მიმტყვებლური ღიმილით ითმენს და ერთგვრად უფრთხილდება კიდევ, რათა დანარჩენებს გაუთვალსაჩინონ - აი, რა გაუხარელი ყოფა ელით ამათთანა ბოთებს!..

მაგრამ... მაგრამ ვაი, თქვენი ტყავის ბრალი, თუ ხელმძღვანელობამ შეგატყოთ: არამცთუ არ ცდილობთ სამსახურში გაბატონებული ამ მთავარი ენის შესწავლას, არამედ დანარჩენების გონზე მოსაყვანად მას ქედმაღლური ზიზლითაც კი ეკიდებით!!!



ასეთ შემ... ნუ მანყვევებინებთ!.. წელან რაზე შევთანხმდით?!. თქვენი ხმა აღარ გავიგონო!.. დამამთავრებინებთ!.. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში მაშინვე სამუდამოდ უნდა მიატოვოთ ასეთი სამსახური!.. თორემ თუ გამოიჩინეთ საბედისწერო წინდაუხედაობა ან რეგენული თავდაჯერებულობა და ისევ იქ დარჩით, მაშინ სულ ერთია: გინდ მათთან გითანამშრომლიათ, გინდ სქელტანა გველგესლების სოროებით დახვრელილ შამბნარში გულალმა გძინებიათ!!!

ამგვარი შედარებით, ალბათ, ბევრს ზურგი შეუტენიანდება და შეშლილებივით შემომწივლ-შემომკივლებენ.

-- ნერვები ნუ დაგვაგლიჯე -- ჰა, გვითხარი, რომელია ეგ მთავარი ენა?

ეს არის ასაკგადაცდენილ, ხასიათამძალეულ შინაბერებთან სალაქუცო ენა.

#### იურისპრუდენციის სილატაკე

დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა.

ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას სარდლობა.

#### კონსტანტინე გამსახურდია

##### „დიდოსტატის მარჯვენა“

სათაურის ნაკითხვისთანავე გაკვირვებით შემომეკითხებით: კი მაგრამ, რაში ხედავ მის სილატაკესო? ჰმ! ამას თქვენ თვითონ ჯერ კიდევ თუ ვერ მიმხვდარხართ, მაშინ...

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 115-ე მუხლი იუნყება: მოქალაქის თვითმკვლელობამდე მიყვანა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე! მაგრამ იგივე კოდექსი არაფერს ითვალისწინებს, თუ პიროვნება ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს!

მოქალაქის ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიყვანა უფრო მეტი უბედურების მომტანი არ არის ქვეყნისთვის?!

დააკვირდით ჩვენს გაცულლუტებულ დღევანდელობას: რისამე გამორჩენის მიზნით ანდა საზოგადოებრივი რჯულმდებლის მანტიის ხელგამოსაკრავად თავ-თავიანთ სამოღვაწეო სფეროში ხელმოცარული ჩურჩუქა ქოსატყუილები, არამკითხე კლიმაქსიანი შინაბერები თუ საზოგადოებისათვის

სრულიად უცნობი პირები რომელიმე გამოსადეგან მეტ-ნაკლებად ცნობილ, არაფრით გამორჩეულ, მაგრამ იაფფასიანი პოპულარობისთვის ავადმყოფურად განუწეველ ციგანს, ნაძველბიჭარს, პარტიულ რობოტს თუ მთლად ჭკუამხიარულს სნაიპერული სიზუსტით იღებენ ნიშანში და მერე ყბებს ღორის ქონით მოიქნიან ხოლმე, რათა უზომ-უსაზღვრო პირფერობით როგორმე ზნეობრივ თვითმკვლევლობამდე მიიყვანონ: შენა ხარ ჩვენი მეორე დავით აღმაშენებელი... ლიკურგე... ვახგანგ გორგასალი... ალექსანდრე მაკედონელი... ილია ჭავჭავაძე... სოლონი... მილტიადე... ფეოლა... ბიბლიური მოსე... საქართველოს მესია... სოლომონ ლიონიძე... კუბერტენი... ანაქსაგორა... პელი... ეზოპე... ბუდა... ჟიულ რიმი... ჰანიბალი... ქართული მეტალურგიის მამა... რიჩარდ ლომგული... ჰეროდოტი... ერაზმ როტერდამელი... პეტრე დიდი... იან ჰუსი... ლე კორბუზიე... ციცერონი... ულრიხ ცვინგლი... მარკუს ავრელიუსი... ჯორჯ ვაშინგტონი... ჯუზეპე გარიბალდი... კასიუს კლეი... პლატონი... პრომეთე... სიმონ ბოლივარი... კარლოს დიდი... ისაკ ნიუტონი... ივანე ჯავახიშვილი... ჟაბოტინსკი... კოლუმბი... ბისმარკი... მარტინ ლუთერ კინგი... არსენა მარაბდელი... ჰერაკლე... ქართველების გუტენბერგი... ლეხ ვალენსა... ჰელმუტ კოლი... ვაცლავ ჰაველი და კიდეც ვილა არაო!!!

შედეგი? ამგვარი მავნებლური ხოტბა-ქებით ზნეობრივ თვითმკვლევლობამდე მიყვანილთა გვაშობით თანდათან ივსება ისედაც გაუბედურებული საქართველო!

ჰოდა, ერთ-ერთი ნაძველბიჭარი ტელეეკრანიდან აგერ, რას გადმოგვძახის: საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად მე დამნიშნეთ და რუსებს დონს იქით გადავრეკავო!.. მეორე - გაეროში გამამწესეთ და ბრესტის ზავით დაკარგულ ტერიტორიებს სამ თვეში დავაბრუნებო!.. მესამე, არაინტელექტუალურ პირისახეზე გონებრივად დაქვეითებულის ბეჭედი რომ ატყვია და თან ისე გაურკვევლად ბლუკუნებს, თითქოს პირში ცხელი კარტოფილი უდევსო - ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორად დამნიშნეთ და მსოფლიოში უპირველეს სამეცნიერო ცენტრად ვაქცევო!.. მეოთხე - მთანმინდაზე დაკრძალვის წერილობითი პირობა მომეცით და თან თუ ძალიან შემეხვეწებთ, პრეზიდენტობაზე თანახმა ვიქნები და გაძვალტყავებულ საქართველოს ფეხზე წამოვაცენებო! არადა, ისიც კი არ ესმის, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა ფარული კენჭისყრით ხდება და არა მლიქვნელ-მამაბებელთა ფარისევლური შეხვეწებით!.. მეხუთე - ყოველთვიურად სამი მილიონი ევრო დამინიშნეთ და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ოთხ წელიწადში მსოფლიო ჩემპიონს გავხდიო!.. მეექვსე - რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენლად გამიშვით, ვოვასთან (ე.ი. ვლადიმერ პუტინთან!) საქმეს ჩავანყო და აფხაზეთ-სამაჩაბლოს ხინკლით სავსე ხონჩასავით მოგართმევთო!.. მეშვიდე - თბილისი

სულ დამანგრევენით და რამდენიმე წელიწადში ისეთ დედაქალაქს აგიშენებთ, პარიზი და ტოკიო მიმიქარავსო!.. მერვე - რაკი ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ ფულის კეთება იცის, გონივრულად მოხმარება კი არა, მთელი თავისი ფინანსები მე ჩამაბაროს და საქართველოს შვეიცარიამდე ავწევო!.. მეცხრე - ჩემისთანა დიდი მამულიშვილი რომ გამოგეცლებით ხელიდან, ვიცი, სახელმწიფო დროშებს დაუშვებენ, მთელი საქართველო გლოვას მიეცემა და ყვავებიც შავს ჩაიცვამენო! ჰოდა, თავსატეხი რომ არ გაგიჩნდეთ, სად დამკრძალოთ - სიონში, სვეტიცხოველში, მთანმინდაზე, გელათში თუ ალავერდში, ჩემი სურვილი დალუქულ კონვერტში იქნება, რომელიც...

მოკლედ, ყურო, ნუ მოისმენ, თვალო, ნუ დაინახავ!.. ბოლოს და ბოლოს რა გეჭირს - ამდენ თვითმარქვია „მოღვანეს“ რატომ ვერ დაუოკებია აცანცარებული ტვინის ლიტინი?!

-- ეს რა ყეყეჩი ვინმე ყოფილხარ, - გულიანი სიცილ-ხარხარით ამიყიჟინდებით, - ნუთუ მართლა გჯერა ამ დაბედურთა ბჟუტურის?!

მაშინ მით უარესი! სულის მლაფავ საქართველოს ამდენი ბჟუტურით ტვინის გაბურღვალა უნდა?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალთაობელებს ხომ სულ თავგზა აუბნიეს და ვეღარ გარკვეულან - მართლა როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ეროვნული მოღვანე... თავმდაბალი მამულიშვილი... ერისკაცი... ღირეული სამთანმინდე... უკვდავების ბინადარი... დიდი ქართველი... გამორჩეული შემოქმედი... კითხული... ხალხის წინამძღოლი...

ჰოდა, ნუთუ ავკაცობაში უნდა ჩამომერთვას, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ოფიციალურ დონეზე მლიქვნელურ-ანგარებიანი ქება-დიდებით მოქალაქის ზნეობრივ თვითმკვლევობამდე მიყვანის მუხლის ჩამატებაც რომ მოვითხოვო სასჯელის უმკაცრესი ზომის...

მჯერა, ახლა კი ხმაგაბმით ამიყვირდებით: რას მიედ-მოედები?!.. აბა, სხვა რომელი ქვეყნის კოდექსშია მაგვარი მუხლიო?!

კი მაგრამ, თქვენ სხვა ქვეყნებს რას უყურებთ?!

რატო გავინწყდებათ, რომ საქართველო კირილე მიმინოშვილის, კვაჭი კვაჭანტირაძის, ყვარყვარე თუთაბერისა და ასიათასობით მათ მსგავსთა სამშობლოც არის!!!

## იპა ქაღაბიძე

### „მებრული შთაბეჭდილებაჰი“

ძალიან სასიამოვნოა, როდესაც გაგანია ზაფხულში, კორონოვანი სინამდვილის მიუხედავად ადამიანები დასვენებას რომ ესწრაფვიან, ახალ საქმეს ეყრება საფუძველი. დიდი ხნის უნახავი კოლეგა გირეკავს და გინვევს ფესტივალზე, რომელშიც იმ მწერლების უმრავლესობა მინაწილეობს, ვინც ეროვნულ მწერლობას შეძლებისდაგვარად ემსახურება. ამგვარი შეხვედრები მონაწილეობს, თაობათა ხიდი გადებულია და შემოქმედებითი მრავალპლანიანობა სახეზეა.



მოკლედ, მშვენიერი პოეტისა და დაულაღავი პიროვნების, ლია ნაროუშვილის საინტერესო პროექტმა ემიგრანტთა ბალი - „ფესვები“ ეს-ესაა ხორცი შეისხა. როდესაც ქ-მა ლიამ ჩვეული ენერგიულობით დამირეკა და „წერილების ფესტივალი“ მიმინვია, ბუნებრივია, წინასწარ სამოქმედო პროგრამა საქმიანად გამაცნო. შესაბამისად, ფეისბუქის შთამბეჭდავი სურათების ფონზე მწერლების გადაადგილების გრაფიკი გამოქვეყნდა. 14-15 აგვისტოს, ზუგდიდმა XXI საუკუნე და ქართული მწერლობა ეგიდით „წერილების ფესტივალი“ დედაქალაქიდან და რეგიონიდან ჩასულ სტუმრებს უმასპინძლა. ამ პროექტის მხარდამჭერებად აფხაზეთის მთავრობა, ჩემ მიერ ასგზის გაკრიტიკებული კულტურის და სპორტის სამინისტრო, სსიპ გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის პროექტი „კულტურა საზღვრებს გარეშე“ საქართველოს მწერალთა მშობლიური კავშირი (მე ხომ მისი მუდმივი პროტესტანტი წევრი ვარ და რესტორნები: „ბუ (ბათუმი) და „ბერმუხა“- (ზუგდიდი) მოგვევლინენ. ჩამონათვალის მიხედვით ძალა ერთობაშია ნიშნავს, რომ საქმეს კარგი პირი უჩანს. კორონას ჯიბრზე არდადეგები დროებით შეწყდა და საქმიანი მოგზაურობის ხიბლმა თავი იჩინა, მით უფრო საპანდემიო ვენებათაღელვის ფონზე. ჩვენთვის გამოყოფილ ორ ავტობუსს რომ მივამურე (ავტობუსების ზნე-ჩვეულებებზე ცალკე დაინერგოდა ნოველა, დრო რომ მქონდეს) და დიდი ხნის უნახავი ღვანჭმოსილი თუ ნაკლებად პატივსაცემი თანამოკალეების გაღერვა რომ ვიხილე, რაც ჩემს ბასრ კალამს შესანიშნავ მასალას აწვდის, გული საამოდ ამიტოკდა. საერთო შეხების წერტილი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, მწერლებს პანდემიაც ვერ გვაფერხებს, მონატრებული შეკრების ემხით საზღვრებს გავცდეთ და იქ გავჩქაროთ, სადაც სიტყვას ქმედება ენაცვლება. მაშასადამე რა ძნელი მისახვედრია, წინ საინტერესო თავგადასავალი გველოდა. რატომღაც თეთრმა ავტობუსმა მიმიზიდა, თუმცა მეზობელი ავტობუსის ბინადრები თავისკენ თავაზიანად მეპატიჟებოდნენ, სალონიდან კეთილი ფერიას, მარინა თექთუმანიძის ღიმილმა რომ შემომანათა, საკუთარ ინტუიციას გულში ხოტბა შევასხი. ეგლა მაკლია, საკუთარ ღირსებებზე ხმამაღლა ვიტრაბახო, ეს უმრავლესობის თვისებაა, მე კი დე გოლის გენიალური ფრაზა გულში ღრმად ჩამრჩა, რომლის მიხედვითაც სამოქმედოდ ისეთი გზა უნდა აირჩიო, სადაც სხვები ვერ გამოყვებიან და ამიტომ კონკურენტები არ გეყოლება. რა ბედენა თუკი ამ იმ-

ვიათ სიბრძნეს მცირედნი მისდევენ, ყველა საკუთარ უნარს ამჟღავნებს და შედეგიც შესაბამისია. მოკლედ, ვარსკვლავთცვენას სასიამოვნო მისალმების ფონზე შევეურთდი. ყოჩალი მენეჯერის წყალობით (ახალგაზრდა მამაკაცი ულტრაპირბადით ეჭვგარეშეა, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი იყო) დისტანციის დაცვის პრინციპს უმტკივნეულოდ დავმორჩილდით, შესაბამისად, კომფორტულ ავტობუსში სკამგამომგებით თუ ორსკამგამომგებით ჩამწკრივებულ მწერალთა რიცხვი თუ არ ვცდები, 11-12 კაცს აღწევდა. სტატისტიკური მაჩვენებელი უნებლიეთ თუ გაუცალები, გული მიგრძნობს, არც თუ სახუმარო ფათერაკგამოვლილი თანაავტობუსელები ერთხმად არ შემაჩვენებენ (საყოველთაო გამოცდილების მიხედვით) მათ რიცხვში ორიოდ შეურიგებელი ისევე აუცილებელია, როგორც ვთქვათ, ზღვაში მელუზა გორგონა) ჩვენი თეთრი ავტობუსის ცნობილი უფროსთაობელი მწერლების გვარდიიდან: ტარიელ ხარხელაური, რეზო მიშველაძე, ბელა შალვაშვილი, ზაალ ბოტკოველი, ბალათერ არაბული და დავით შემოქმედელი (ტაკიძე) შეადგენდნენ. გერმანიაში მცხოვრებ პოეტ ირმა შილაშვილს რომ შევხედე, წამით წარმოუდგენლად მეჩვენა, ერთმანეთს ბოლოს 22 წლის წინ შევხვდით. მასაც იგივე განცდა დაუეფლა, საუკუნეა, ერთმანეთი არ გვინახავსო, როდესაც ზუსტად შენიშნა. ეს ფიგურალური გამოთქმა ჩვენთვის მეცნიერულად პედანტურ დროს უჩვეულოდ დაემთხვა. ერთი ქალბატონი იმდენად გულიანად კისკისებდა, უმალ გაემხიარულდი. იგი პოეტი ცირა ბარბაქაძე აღმოჩნდა, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი და თუ ზეენერგიული პროფესორი ფოტოგრაფის როლსაც მშვენივრად ითავსებს, გაუკვდავება გარანტირებულია. ეგაა, მისი მრავაფეროვანი გაღერვიდან რატომღაც სულ რამდენიმე ფოტოდან ვინონებ თავს, არადა, მხიარულმა „პაპარაციმ“ საკმაოდ ბევრი სურათი გადაგვიღო, სადაც თქვენი მონა-მორჩილი აქტიურადაა აღბეჭდილი. სკამზე ლიტერატურული ჟურნალის „ხორნაბუჯის“ ნომერი დამხვდა; მისი რედაქტორი, პოეტი გიორგი ნატროშვილი ახლახანს საგულისხმო ჟურნალის იუბილე რომ მივულოცეთ, დინჯად და თავაზიანად მოგვესალმა. საინტერესო და საყურადღებო ჟურნალის კითხვის სურვილმა წამძლია, (გიორგიმ „ხორნაბუჯი“ უმურველად გვისახსოვრა, რისთვისაც დიდი მადლობა) თუმცა დავით შემოქმედელის არაჩვეულებრივმა უნარმა, ყველაფერი გურული იუმორის კუთხით წარმართა, ამავედროულად მწერლური ცხოვრების უამრავ სახალისო და სახასიათო ისტორიას იმდენად სხარტად გვამცნობდა, ჩვენი ავტობუსის ბინადრების თვალში ის ერთხმად საინფორმაციო საქმეთა მინისტრად გააფორმა; ფაქტია, ექსკურსიანიძელობა იმდენად ბუნებრივად მოიხდინა, ენაწყლიან გურულს ნებისმიერი საკითხის გასარკვევად ყველა კუთხის წარმომადგენლები წამდუნუნ მიმართავდნენ, რასაც ამაოდ აპროტესტებდა. ამ მხრივ ბარბაქაძე-შემოქმედელის დუეტი აშკარად დომინირებდა, რაც ჩვენს ხალხიან განწყობას აძლიერებდა. ამ დასავლური „მტურმის“ ფონზე სიტყვააქუნნი აღმოსავლელები სიღინჯეს ინარჩუნებდნენ. კუთხეთა კოლორიტული თავისებურებები ხომ უცვლელია და მოდურ მოდერნიზაციას ძნელად ემორჩილება. უკანა რიგში,

ჩემს მეზობლად მშვენიერი გარეგნობის პოეტი იანელ კოჭლამაზიშვილი აღმოჩნდა. რას წარმოვიდგენდი თუ იანელთან (მოგზაურობამდე ის სხვადასხვა თავყრილობებზე სულ რამდენჯერმე მყავდა ნანახი) ერთად უჩვეულოდ მძაფრი მოვლენების ცენტრში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ თხრობის თანმიმდევრობას არ დავარღვევ. ჩვენი მკითხველის თმენის უნარი ხომ ისევე უსაზღვროა, როგორც ფულისხვეჭია მთავრობის სულსასული სწრაფვა ყბადაღებული არჩევნების მოსაგებად...

სამეგრელოში ეს ჩემი რიგით მეორე ვიზიტი გახლდათ. 4 წლის წინ შესანიშნავი პოეტის, ლაშა გახარიას სახელობის მუზეუმის გახსნა მუხურში მისი ერთგული მეუღლისა და ცნობილი სპორტსმენის, ქ-ნ როზა ბერიკაშვილის ინიციატივით წარმატებით განხორციელდა. მაღალ დონეზე ორგანიზებული თავყრილობა არაჩვეულებრივად დამამახსოვრდა, თუმცა მოზღვავებული საქმეებიდან გამომდინარე, ჩხოროწყის ციკლის დაწერა დღემდე ვერ მოვახერხე. გულს მაკლია, ზღაპრული სტუმართმოყვარეობით გამორჩეულ კოლხებს ჯერჯერობით მხოლოდ რეპორტაჟებითა და კაფიით გამოვხვდებოდე, ისევე, როგორც პოეტ დავით არახამიას პურადი ოჯახის გამასპინძლების ტრადიცია ცალკე აღსანიშნავია. ამდენად, ხმამაღლა გავახმოვანე, რომ საუკეთესო მოგონებების შემდეგ სამეგრელოს დედაქალაქში განხორციელებული საქმიანი ვიზიტი ანალოგიურ ასოციაციას აღმიძრავდა. მრავალფეროვანი პროგრამა ამის საფუძველს ამყარებდა. სოლიდური მწერლებით დახუნძლული ავტობუსი ზუგდიდის გამგობის წინ შუადღისას ჩამოდგა. მასპინძლები: ქ-ნი ლია ნაროშვილი და სამეგრელო- ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე, პოეტი ლაშა გვასალია, აგრეთვე ჩვენი მეგობარი პოეტი გია ჯიჭონაია თბილად შემოგვეგებნენ და პირდაპირ დადიანების სასახლისკენ ავიღეთ გეზი. უპირველესად უნიკალური ექსპონატის, ლეთისმშობლის კვართის ხილვას ვესწრაფვოდით, მაგრამ სამწუხაროდ, ოცნება ვერ ავისრულეთ; სიმართლეს გაუმარჯოს, გული საშინლად დაგვწყდა, უპირველესი სინძინდე საკუთარი თვალთ რომ ვერ ვნახეთ, რადგან საცავის ხელმძღვანელი რატომღაც ადგილზე არ დაგვხვდა. ნაპოლეონის ნიღბთან კი სურათიც გადავიღე, რაც სხვათა შორის აკრძალულია. ულამაზესი ექსპონატების თვალჩინებისას მრავალფეროვანი ისტორიული კადრები ისე მოზღვავდა, შთაბეჭდილებების ოკეანეში ჩავიძირეთ. მართლაც რა განძს ვფლობთ ქართველები ამერ და იმერ და არაფრით ეგების, რაც სულმნათმა წინაპრებმა ბრძოლით შეინარჩუნეს და დავიციოვეს, მომავალ თაობებს არ შემოვუნახოთ. პანდემიის ფონზე ენგურის ხიდზე დაგეგმილი აქცია გადაიდო. ცეცხლოვანი სტრიქონები გულში უხმოდ ჩავიბრუნე. ეჭვიც არ მეპარება ენგურს აუცილებლად გადავლახავთ და სანატრელ აფხაზეთს- მოშუშებულ იარად რომ აჩნია ჩვენს მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს, სისხლიან ცრემლებს ფაქიზად შევუმშრალებთ. შორია არ ნიშნავს, რომ დაკარგულია. ამის რწმენა ძალას შეგვმატებს სწორი პოლიტიკის წარმოებით ძირძველი კუთხის დასაბრუნებლად სარკმელი გავჭრათ. მთავარი სიურპრიზი-ულამაზესი სანახაობა ზუგდიდის პირველ სკოლაში გველოდა, რომელიც 150 წელს ითვლის.

ეროვნულ სამოსში გამონყოფილი თვალმახარა, მიმზიდველი კოლხები თავაზიანად შემოგვეგებნენ-ჩოხებში ჩაცმულმა პატარა ვაჟკაცებმა ხმლებქვეშ საპატიო კორიდორის შექმნით გაგვატარეს. ამ დროს მობილურების და ფოტოაპარატების ნათებამ ცის სილაყვარდე ლამის დაჩრდილა. სკოლის ეზოში გაშლილმა უხვმა სუფრამ მეგრელების გასაოცარ სტუმართმოყვარეობაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა; განთქმულ კერძს, ელარჯს პირდაპირ ჩვენ წინ ამზადებდნენ. უგემრიელესი კოლხური კერძების დაგემოვნების შემდეგ ღონისძიება დაიწყო. გულთბილი მისალმებები. ცეცხლოვანი ქართული ცეკვა, პატარა დეკლამატორების ოსტატური გამოსვლები ერთმანეთს ბუნებრივად ენაცვლებოდა. პირველი სკოლის გუნდის წევრებმა ხალხური სიმღერები რომ დააგუგუნეს, მივხვდი, ჩვენს გენს გადაშენება არ უწერია. ძალიან ძნელია, საქართველოში სიმღერის ნიჭით ვინმე გააკვიროვო, მაგრამ ზუგდიდის პირველი სკოლის ანსამბლის შესრულების ხარისხმა იმდენად ალგავართოვანა, სიტყვიერად ამის გადმოცემა შეუძლებელია. მეომრული სულის აღზრდა ქართველში სწორედ ამგვარად იწყება და ვინც ამის ამოძირკვას ეცდება, ის აუცილებლად დამარცხდება. ირგვლივ ყველაფერს სიყვარულისა და გულითადობის ბეჭედი აჩნდა. ზუგდიდში შეკრებილი ქართველობა საზეიმო ფერხულის მონაწილედ იქცა, ერთიანობის მუხტმა შეგვკრა, როდესაც ამ პატარებს ვუსმენდით და ვუყურებდით, საქართველოს მომავლის იმედი ჩაგვესახა. ასეთ შეხვედრებს ხომ ანდამატის ძალა გასდევს. დრომ უკან დაიხია-სკოლის მერხებზე ჩამოსხდარი მწერლები გადავინყებულ საქმეს-წერილების წერას შევუდექით-თითქოს ძველი დრო მობრუნდა და შეგვახსენა, რომ იმპროვიზაციულად უნდა შეგვეთხზა თავისუფალი თემა ყველაზე ღირებულ ფასეულობებს რომ მოიცავს. ჩვენ, მწერლებს მომავალი თაობის თანდასწრებით უნდა აგველესა კალამი, მისთვის ანგარიში ჩაგვებარებინა, რასაკვირველია, ყველას საკუთარი უნარისა და შესაძლებლობისამებრ. ამას ზედ სკოლის პედაგოგებისა და მწერლების გამოსვლები დაერთო...

წერილების ფესტივალის პირველი დღე მომავალ თაობასთან შეხვედრამ და გასაუბრებამ დააგვირგვინა. რესტორანში რომ გადავინაცვლეთ, ქართული სიტყვის ძალა ჩვენმა მასპინძელმა, პოეტმა ლაშა გვასალიამ ძალუმად გვავრძობინა. თამადამ, რომელმაც უთვალივი ლექსის ფეირვერკი გამართა, ყველა გაგვაოცა. დიდი მადლობა ლაშას ძალზე გულთბილი და უშურველი დახასიათებისთვის, რასაც ჩვენი ცნობილი და პატივსაცემი უფროსთაობელი მწერლები სიამოვნებით შეუერთდნენ. კოლეგიალობა ხომ ყველაზე უკეთ გამოხატავს მწერლობის არსსა და საქმისადმი მიმართების ხარისხს. ზუსტად იქ აღმოვჩნდი, სადაც გული ყველაზე მეტად მიმიწევდა. სიმართლეს გაუმარჯოს, ჩვენი მაგიდა მართლაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა; ყველას თვალს სჭრიდა პოეტების თანავარსკვლავედი: ტარიელ ხარხელაური, ბათუ დანელია, ვასილ ბესელია, ნომადი ბართაია. საოცარი დიალოგის დროს გულში ვფიქრობდი, რომ ამგვარ შეხვედრებს მართლაც ვერაფერი შეედრება. იმპროვიზაციის ნილ პატივისცემა გამოსჭვივის, ძალდაუტანებელი



სითბო იღვრება, რომელიც შეუნიღბავ გულწრფელობას გზას ბუნებრივად უთმობს. მართლაც როგორ გვაკლია ამგვარი შეხვედრები, შინაარსიანი საუბრები, მსჯელობა, საქვეყნო სატიკივარის საერთო ჭრილში გააზრება. ფესტივალის ორგანიზატორის, ლია ნაროუშვილის ნაროუშვილს დიდი მადლობა იმისთვის, ერთ დარბაზში ყველა თაობის გამორჩეული შემოქმედი რომ შეკრიბა. რასაკვირველია, იმპროვიზაციული პაქტობისას პოეტებმა პროზაიკოსები და მთარგმნელები დაჩრდილეს. პირველი დატვირთული დღე ახალი ფესტივალისა ასე დასრულდა. ოჯახებში გადანანილებული პოეტების ამბავი ცალკე თემაა, რომელსაც აუცილებლად გავაშუქებ. თანმიმდევრული თხრობის სპეციფიკა ქრონოლოგიის დაცვას მოითხოვს. ასე რომ გაგრძელება იქნება...

#### **ზუგდიდური პოეზიის სალონი-სტუმრად გაა ჯიქონაისთან (მეგრული დღიურიდან)**

დატვირთული გრაფიკის შემდეგ სუფრაზე მოღბენა საბოლოოდ მასპინძლის ოჯახში მოსვენებას ითვალისწინებს, რაც პურად კოლხებს არასდროს ესწავლებათ. მოკლედ, გამორჩეული ლხინს შემდეგ სტუმრების განანილების ჟამმა ჩამორეკა. მე „კოლხური კირბებს“ ავტორის, ჩვენი მეგობარი პოეტის, გაა ჯიქონაის ოჯახში მივიჩქაროდი; ძალიან გამეხარდა, როდესაც იმ რამდენიმე კოლეგიდან, ვინც გაასთან გაათევა ლამეს, მისი თხოვნითა და ორმხრივი თანხმობით ტარიელ ხარხელაური „მოგვამაგრეს“. კეთილი ფერია-მარინა თექეთმანიძე თავისმა მეგობარმა მოგვტაცა, მანდილოსნებიდან იანელ კოჭლამაზაშვილი შემოგვიერთდა, ხოლო როდესაც ზაალ ბოტკოველი და თამაზ ხმალაძე დაგვემატნენ, დავრწმუნდი, ძალზე სოლიდური და რაც მთავარია, მშვიდი და დარბაისელი კოლეგების გარემოცვაში აღმოვჩნდი. გაამ იხუმრა, მგონი გამოსაფხიზლებლის დირექტორობა მხვდა წილად, ეს კარტი ნაღდად შენ ჩააწყე, რადგან სასმელს არ სწყალობო. გამეცინა. განგება მართლაც ჩვენ გვწყალობდა და სანამ გაა მანქანას დაიჭერდა, ლამეული სამეგრელოს წყნარი მშვენებით ვტკებოდით. მე და ბატონი ტარიელი შეუმჩვენვლად დავინაურდით. არც თუ ენაწყლიან და თავშეკავებული პოეტი იმ საღამოს საუბრის გუნებაზე იყო, ჩემი მჭვრემეტყველური უნარი კი კი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. და რადგან ტაქსის გამოჩენას საშველი არ დაადგა, ვიხუმრე: ეს ცნობილი პოეტები ბრემენელი მუსიკოსებივით დავცხეტებით ლამეულ ზუგდიდში. აქაური სინყარე მამშვიდებს. - თუ მანქანები განყდა, აგერ, გარეთ მშვენური ავეჯი გამოუფენიათ, სავარძლები შევარჩიოთ, მანდილოსნებს გეყოფათ, მე 12 წელი ცხვარში გავატარე და ხის ძირასაც გავძლებ,- ან თბილად გაიღიმა. -ესე იგი ნამწყემსარის მოგონებები გაცოცხლდა? რა საოცარი-ია!- გაკვირვებით აღმოხდა- იქ მთაში სუფთა ადამიანები იყვნენ. მწყემსებისგან ტყუილს ვერ გაიგონებდი. ბარში სხვანაირადაა და ქალაქს ამიტომ ვერიდები, ჩემთვის ვარ, - წყნარად დააზუსტა თუ არა, ჩვენ წინ მანქანამ დაამუხრუჭა. -ჩემი მეუღლე უკე გიცნობს, შენზე იმდენი რამ ვუამბე. ერთმანეთს კარგად გაუგებთ, ერთნაირი მსოფლმხედველობის ხალხი,- გაას ნათქვამი სწრაფად აცხადდა, მშვენური სახლის სათნო, კეთილი და მზრუნველი დიასახლისი თამარი სხარტად

შემოგვეგება და თავს ისე მზრუნველად დაგვეტრიალებდა, ცოტა ხნის შემდეგ მეგონა, მასთან მთელი ცხოვრება ვახლობლობდი. გაას 21 წლის მშვენური გოგონა ნინო, სტრასბურგში განათლება რომ მიიღო და 7 ენას თავისუფლად ფლობს, თავაზიანად შემოგვეგება. კოლხი მანდილოსნების მიერ განყობილ საუცხოო სუფრას აღწერა არ სჭირდება. პატარა ვაჟკაცი გიო, რომელმაც ყოჩალი პაპარაციის როლი წარმატებით აითვისა, სუფთა, უზაკველი გამოხედვითა და თავაზიანობასთან შერწყმული კეთილმოსურნეობით ეკზიუპერის პატარა უფლისწულს მივამსგავსე. ოჯახის საუცხოო გარემო არაჩვეულებრივ აურას ქმნიდა. არანაირი არტისტიზმი, არც მისხალი სიყალბე ან თავმოწონეობა, ყველა გულითადად შემოგვეგება, საოცარი ყურადღებით გვისმენდნენ თან ტაქტიან ინტერესს ავლენდნენ, ამიტომ უცბად გავშინაურდი, რაც ახალგააცნობილებთან იშვიათად მახასიათებს. მოკლედ, ჯიქონაისების მყუდრო, გულიანმა და თბილმა გარემომ მრავლისმნახველი მწერლები უმალ მოგვხიბლა და მოგვიხადირა. ყველა სიკეთესთან ერთად გაას მეუღლე თამარი, მწერლობის დიდი მოყვარული გამოდგა და საუცხოო გემოვნება და ცოდნა რომ გამოამჟღავნა; ოჯახს ჩემი „ქვიშის გალაქტიკა“ და „ისინდის“ ახალი ეგზემპლარები სიამოვნებით ვუახსოვრე. ასე რომ „ისინდის“ მეცხრე და მეათე ნომრები ბინას ზუგდიდის ბიბლიოთეკაში დაიდებს. დასავლეთის დალაშქვრა დაიწყო. რაოდენ დიდი ბედნიერებაა, როდესაც ოჯახში მხოლოდ მატერიალური სამყაროს კი არ აყენებენ წინა პლანზე არამედ სულიერ ფასეულობებს ანიჭებენ უპირატესობას. ეს ორივე ახალგაზრდას შუბლზე ეწერა. ამიტომ იანელ კოჭლამაზაშვილმა რომ აღნიშნა, ღმერთმა ასეთი ოჯახები და ახალგაზრდები საქართველოს უმრავლესო, საერთო მოსაზრება გააჟღერა. სწორედ ჯანსაღი მომავალი თაობაა აუცილებელი, რომელიც სამშობლოს ფეხზე დააყენებს და ძველგაზრებთან ერთად გამოვლენილი ძალისხმევის ფასად მას ძველ დიდებას დაუბრუნებს. პოეტების ლხინი რომ სალონურ თავყრილობაში გადაიზრდება, ეს განსაკუთრებული განზომილების გამოძახილია. ბ-ნი ტარიელი მოსასვენებლად გავიდა, მაგრამ ლექსები რომ დავეჭქეთ და პოეზიის ცეცხლი ძალუმიად აინთო, გულმა ვერ გაუძლო და მალე ჩვენს მცირერიცხოვან და ამავედროულად თვალმისაცემად გამორჩეულ აუდიტორიას შემოუერთდა. მსმენელებად ცნობილი და გამოცდილი მწერლები გამწესდნენ, მრავალფეროვანმა სიტყვამ ძალა მოიცა და გული გალალდა. შუა მარათონის დროს ბ-მა ზაალმა სიტყვა მეც ჩამადგმევინეთ, გვთხოვა და როგორც კი საუბრის სადავე ხელთ იგდო, მეცნიერული სიმშვიდით წარმოთქვა: - კონსტიტუციურად ხომ მეკუთვნის ძილის უფლება? - წინდახედული ლიტერატორი სიცილის თანხლებით გავაცვილეთ. მკაფიოდ ახსოვდა, მეორე დღეს ძილის 11-ზე ზუგდიდის გუბერნიის წინ გვიხმობდნენ: პროექტ ემიგრანტული ბალის „ფესვების“, სულისჩამდგმელმა, ქ-მა ლია ნაროუშვილმა არ დავივიანოთ თორემ დაგხოცავთო, ღიმილით გავგაფრთხილა. ბ-ნი თამაზ ხმალაძე კი პოეტური პაუზის დროს გამოჩენილ კოლეგებზე ძალზე საყურადღებო ფაქტებსა და მოვლენებს იხსენებდა. მერამდენედ დავრწმუნდი,

სალონურ გარემოში მოწყობილ იმპროვიზაციულ პოეზიის საღამოს ძნელად შეედრება რაიმე. თვალსაჩინო პოეტის მიერ არაჩვეულებრივად წაკითხული დაუფინყარი ლექსების შინაარსს ყურს სულგანაბლული ვუგდებდით. როდესაც ავტორი საკუთარ ლექსს თავად კითხულობს, იქ სხვისი, თუნდაც დიდსოტატი მსახიობის ჩარევა ზედმეტია თუკი პოეტის ხმა შესანიშნავი ლექსებს შინაარსს ზედმინვენიტ ესადაგება. პატარა გიომ ჩანანერით შემოგვიანა ეს საუცხოო კადრი. ჩემი ჯერი რომ დადგა, ცეცხლოვანების კვალდაკვალ სინაზეს მივეცი გასაქანი. მადლობა ღმერთს, მხოლოდ ჟანა დარკის მახვილს არ ვწყლობ, ჩემი პოეტური პალიტრა თემატურად საკმაოდ მრავალფეროვანია. გიას კოლხური კირბებისა და სიმარტოვის ელეგიების დახვეწილ, მელიოდურ სტრიქონებს ფილოსოფიური შინაარსის ნილ არტისტული წაკითხვა გამორჩეულ ხიბლს სძენდა. ნიღბების გალერეის მძაფრი აღწერა იმ კარნავალის გამოძახილია, რომლის მონაწილედაც ცხოვრება გაქცევს. ის, ვინც თამაშს არ სწყალობს, ნიღბს ვერ ეგუება და ბედავს საზოგადოების წინაშე ნამდვილი სახით წარდგეს. განგების ნებით აქ სწორედ ამ თვისებით გამორჩეული პოეტები შეიყარნენ. იანელ კოჭლამაზიშვილის ლექსებს სინრფელით გაჯერებული ფილოსოფიურ სიღრმე გასდევდა, რაც გაუხმევანებელ ტკივილს მძაფრად ასხივებდა. ახალგაზრდების სახეები მონმობდა, პოეტური დღესასწაულის მაცდური ხიბლი დაუძლეველია, სიტყვის - ძალა კი წინაღუდგომელი. ჯიჭონაიების შესანიშნავ ოჯახში გამართული პოეტური ზეიმი და ზღაპრული დახვედრა მეგრული შთაბეჭდილებების საუკეთესო მოგონებად გარდაისახა, რაც საბედნიეროდ ბუნებრივ გაგრძელებას აუცილებლად ჰპოვებს. უღრმესი მადლობა ჩვენს კოლხ ოჯახს ასეთი დაუფინყარი მასპინძლობისა და საოცარი პატივისცემისთვის, რაც კიდევ ერთხელ მონმობს, რომ ქართლურ-კოლხური ფესვი უკვდავია და განურჩევლად კუთხისა, ნამდვილი პოეტები და ერის ჭირისუფალნი უპირველესად საქართველოს ერთგულობენ და ემსახურებიან!

**ხიბულა**

ცოდეა გამხელილი სჯობს, ჩვენი მარშრუტის ყველაზე ღირსსახსოვარ ისტორიულ მომენტს-ხიბულაში მონამე პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მონახულებას რომ ითვალისწინებდა, მოუთმენლად ველოდი.

ჯერ კიდევ ყველაზე მეგრძოლი და ეროვნული ჟურნალის „ისინდის“ დაარსებამდე, 2014 წელს, ზვიად გამსახურდიას უსამართლო შეფასებისა და მისი ღვანლის გაყალბებისთვის ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, სტივენ ჯონსის ტენდენციური, ლიბერალური მსოფლმხედველობით გაჯერებული ნაშრომი: „საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორია დასავლურად“ უმწვავესად გავაკრიტიკე, გახმაურებული წიგნის ავტორს მკაცრად მივუთითე, მონამე პრეზიდენტთან მიმართებისას ცილისწამების გავრცელებისა და ფაქტების ფაბრიკაციის უფლება რომ არ გააჩნდა და ამას ეროვნულად მოაზროვნე ქართველობა არასდროს შეეგუებოდა. მხილების ხარისხიდან გამომდინარე ვეჭვობდი, რომ ესოდენ მწვავე, საჭირობოტო წერილს

სადმე გამოაქვეყნებდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, ცნობილმა მწერალმა და მეცნიერმა როსტომ ჩხეიძემ გარისკა და ეს ბომბი „ჩვენს მწერლობაში“ უყოყმანოდ დაბეჭდა. ასეთი მასშტაბური წერილი იშვიათად წამიკითხავსო, შეხვედრისას პირდაპირ განმიცხადა. წერილის რეზონანსმა ცხადყო, ლიბერალისტებისგან დაჩაგრული საზოგადოება სიმართლის დაცვისას რაოდენ მწვავედ რეაგირებდა. ცნობილმა ისტორიკოსებმა შემომითვალეს, რომ ჩემ წინ ქედს იხრიდნენ, რადგან ის, რაც მათ ვერ გაბედეს, მე უყოყმანოდ გავაკეთე და უცხოელებს ვუჩვენე, რომ მათი რეგალიები და ფინანსები არ მაშინებდა ეროვნული თავმოყვარეობა დამეცვა და ჩვენი ეროვნული გმირის ღირსების შელახვისთვის არაკეთილმოსურნეთათვის საკადრისი პასუხი მომეთხოვა. ისტორიკოსთა გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ, არ მინდა პრესტიჟულ სამსახურში პრობლემები შექმნათ. მოგვიანებით ეს წერილი „ისინდის“ მესამე ნომერში გავიქვეყნე. 4 წლის წინ ტელევიზია „ქართული არხის“ ეთერით გავიდა ჩემი საავტორო გადაცემა „**ზვიად გამსახურდიას საქმე**“, რომელშიც კონსტანტინე გამსახურდიას უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომის განხილვისას თავად ბ-ნი კონსტანტინე და ცნობილი ლიტერატორი და პოლიტიკოსი, ან განსვენებული თემურ ქორიძე პრეზიდენტის საიდუმლოებით მოცული მკვლელობაზე ფაქტებითა და უაღრესად საგულისხმო დაკვირვებებით საუბრობდნენ. რეჟისორ გ.ოვაშვილის საზარელი, კონიუნქტურული ფილმის ეკრანიზაციის შემდეგ კი ახალი, არანაკლებ მწვავე წერილი გავამზადე სახელწოდებით: „**sos ხიბულა!**“ რომელიც ჩვენი ჟურნალის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებისთანავე არანაკლებ გახმაურდა. ჩემი მეგრძოლი სტატიების მხრდამხარ „ისინდის“ ნომრების უმრავლესობას ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობის ამსახველი შესანიშნავი, საეტაპო წერილები თან ახლავს, რომლის ავტორი მარსიანი გახლავთ. მისი „**ზვიადი და მამარდაშვილი**“, „**გოგის მეომრის ვნებები**“, აგრეთვე უახლესი წერილი „**ზვიად გამსახურდიას ლირიკა**“, მალე დღის სინათლეს იხილავს. ზვიადისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებზე აღარაფერს ვამბობ. მონამე პრეზიდენტის სახელის სათანადოდ წარმოჩენა და დაცვა უახლესი ისტორიისა და კულტურის სრულფასოვნებისათვის აუცილებელია და ამიტომ „ისინდი“ ამ მიზნის მისაღწევად გეზმინართულად იბრძვის. აქედან გამომდინარე, ჩემი სოლიდური პუბლიკისთვის სავსებით გასაგებია ხიბულაში გამგზავრება ასე რატომ მალელებდა.

პროექტის მესვეურმა, ქ-ნმა ლია ნაროუშვილმა მითხრა, რომ განახლებულ შენობაში (ბ. ივანიშვილის მიერ გამოყოფილი თანხით დამწვარი სახლი აღადგინეს; სარემონტო სამუშაოები ჯერაც არ დასრულებულა) საგანგებო ღონისძიება დაიგეგმა, სადაც „ზვიადისტი“, მწერლები ჩვენს ეროვნულ გმირს შესაფერისი გამოსვლებითა და მიძღვნილი ლექსებით საკადრის პატივს მივავებდით. ემიგრანტული ბალის „ფესვების“ ბუკლეტში განერილი პროგრამის გრაფიკი (სახლ-მუზეუმის ევექტური ფოტოსურათის თანხლებით) იმავს ადასტურებდა. ამიტომ დილით ჩემი შესანიშნავი მასპინძლისა და მეგობრის, გია ჯიჭონიას ვაჟი, დაუზარელი გიო მუზეუმის დასათვალეობლად დავიყოლიე. გაირკვა,

რომ ხიბულაში არც გია იყო ნამყოფი. მოკლედ, თანამედროვე მარკო პოლოებმა გაათმაგებულ ცნობისწადილით შეკრების ადგილს მივაშურეთ. ჩვენი ექსპედიციის წევრები სტუმარ-მასპინძლურ შთაბეჭდილებებს ერთმანეთს ენაწყლიანად უზიარებდნენ. კოლხური დახვედრით ყველა ნასიამოვნები და კმაყოფილი ჩანდა. ცხადია, სტუმარ-მასპინძლური მართონის დახასიათებაში ენერგიულად ჩავერთეთ; სად იყო და სად არა, უცბად ავტობუსში გვიკრეს თავი. აღმოჩნდა, რომ ხიბულაში ვერც ქ-ნი ღია და ვერც ლაშა გვასალა მოემგზავრებოდნენ; ლაშას ანაზღად კარანტინის ხალხი გადაუმისამართეს და მათ დასაბინავებლად მიიჩქაროდა. ვიმედოვნებდით, რომ სახლ-მუზეუმში ადგილობრივი ნამყვანი ან პოეტი დაგვხვდებოდა რათა ჩვენი პოზიცია სათანადოდ გამოგვეხატა. დაუსრულებელმა მგზავრობამ იმედი გადაგვიწურა, რომ ოდესმე დანიშნულების ადგილს მივალწევდით. კომფორტული ავტობუსი ამ საშინელ ქვა-ლორღინ გზაზე (გზაც არ ერქვა) ოხვრით ძლივს მილოლავდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩვენ რთული მარშრუტი გავიარეთ მაშინ, როდესაც ხიბულადან საკმაოდ კარგი და მოკლე გზა ყოფილა გაყვანილი. თბილისელ მძღოლებს ამდენი ინფორმაცია არ გააჩნდათ და ბუნებრივია, უცხო გარემოს ალღოს სწრაფად ვერ აულებდნენ. კითხვა-კითხვით ხიდს რომ მივდექით, ჩამოქვითება მოგვიხდა. ავტობუსი ხიდზე ვერ გაივილიდა და გზა ფეხით უნდა გაგვეგრძელებინა. იქაურობას ჟრიაშულით მოვედეთ, ოპტიმისტები ენერგიულად დავნიშურდით, რომ ერთ-ერთმა ადგილობრივმა გვითხრა, წინ საკმაოდ შორი მანძილი, ასე 4 თუ 5 (6-ც დავგისხელეს) კილომეტრი გვედო. ამ საიხლემ წინდახედულები ავტობუსთან მიაბრუნა, ბედის ნებიერებს მანქანაში ჩაბრძანების პატივი ერგოთ, მწერლების უმრავლესობა კი ამ ქვადორღან გზაზე საკუთარი უნარისა და მოხერხების ამარა დაიქსაქსა. ყველა ცდილობდა გამველი მანქანა დაეჭირა, (მანქანების საზეიმო კოლონას ჩვენი ხათრით იქ ვინ ჩამოატარებდა, ორიოდვე ადგილობრივი ძლივს დაილანდა). ამ საყოველთაო არეულობაში ერთმანეთი დავკარგეთ. ბედად თეთრი ფერის მანქანამ გამოიარა და გავვიჩერა: ამკარად შევებრალეთ; ვილაც ღვთისნიერი სახლის შესაკეთებლად მიიჩქაროდა სახლ-მუზეუმის სიახლოვეს და რამდენი კაციც დავეჭიეთ, ყველა წამოგვკრიფა. მე სკამზე მოვთავსდი, უკან სარემონტო ხელსაწყოები ელაგა. ამის მიუხედავად თავისუფალი ადგილი სწრაფად შეივსო, ჩემს გვერდით რკინის მოაჯირზე ცნობილი პოეტი ბ-ნი თემურ ჩალაბაშვილი განთავსდა თავის უმცროს მეგობარ ხევსურ პოეტთან ერთად, რომელიც იმდენად ზორბა იყო, ნელში მოხრილს ამ სივინროვეში დგომა საშინლად უჭირდა. ბოლოს ბ-მა თემურმა ძალისძალად მას თავისი ადგილი დაუთმო. მოულოდნელად მოვლენილ საოცნებო ტრანსპორტს წინ იმდენი ხალხი მიანყდა, ვეღარ გავარჩიე, ჩემები სად იყვნენ. მანქანას ლამის გულ-გვამი ამოვაცოლეთ, სამაგიეროდ დიდი ხნის უნახავი უფროსი კოლეგა ქათინაურებით მართობდა, მხურვალე სიყვარულს ენერგიულად მეფიცებოდა. თავადაც გამიკვირდა, რომ გაიხსენა, ბოლო შეხვედრიდან წელიწადი გაფრენილიყო. ბოლოს როგორც იქნა, მუზეუმს მივალწვიეთ. საკრალური შენობის დათვალიერებისას უც-

ნაურმა განცდამ მომიცვა. წინამურთან ერთად ხიბულა ჩვენი დროის ყველზე დიდი ქართველის დრამატული აღსასრულის საიდუმლოს პირქუშად ინახავს. ეზოში მწერლების ჯგუფი შემადლებულ ადგილზე შეიკრიბა. მათ მიუახლოვდი. ჩემთვის უცნობმა ქ-მა მოგვმართა, აქ საღამოს გამართვა სხვაგვარად წარმომედგინა, მაგრამ ისე ვერ წავალ, პირველ პრეზიდენტზე არ ვისაუბრო. მივხვდი, ჩემი არ იყოს, დაგვემთლონისძიებას ელოდა. იგი ჟურნალ „რინის“ ახალი რედაქტორი, ნანა ქარდავა აღმოჩნდა. გამეხარდა, როდესაც აღნიშნა, რომ ჟურნალის ახალი ნომერი მთლიანად ზვიად გამსახურდიას დაეთმო. რაც მეტი დაინერება ჩვენს მონამე პრეზიდენტზე, მით უკეთესი, ამიტომ მსგავსი პრეცედენტები ძალზე მისასალმებელია. ჩემი გამოვლის ტექსტის ჩანაწერს პუბლიკას ცალკე შევთავაზებ (ვიდო-ერგოლებისა და ფოტოების გადაღებისთვის დიდ მადლობას ვუხედი მარიამ ხოსრაშვილს, რომელმაც ეს იმპროვიზაციული შეხვედრა ფირზე აღბეჭდა და ოპერატიულად გამომიგზავნა). ამიტომ მოკლედ მოვჭრი: ვისაც ზვიადთან შეეშალა, მას საქართველოსთან შეეშალა! სიტყვის დასასრულს კი მისდამი მიძღვნილი ერთ-ერთი ლექსი წავიკითხე. ქ-მა ბელა ქეზურიამ გულითადად რომ მიილო, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ. თავად ძალზე ემოციურად გამოვიდა, რაც სავსებით ბუნებრივია და საკუთარი პოზიცია ლექსით დაავირგვინა. ჩვენი მლელვარე გამოსვლების ფონზე იქვე ჭიშკართან ბ-ნი რეზო მიშველაძე იდგა ზოგიერთ მწერალთან ერთად და გაუჩერებლად საუბრობდა. წესით ყველა აქ უნდა შეკრებილიყო, ჩვენ ხომ ჩვენი მონამე პრეზიდენტის სახელს ვახსენებდით, რაც ერთიანი საქართველოს სიმბოლოა. როდესაც მას ჰკითხეს, რატომ არ შემოგვიერთდა, მე არ გამომაცხადესო, უკმაყოფილოდ შენიშნა. არადა, იმპროვიზაციულ საღამოზე, რომელსაც არც წამყვანი ჰყავს და არც გზამკვლევი, საგანგებო სიას არავინ ადგენს და არც პრემიების მიხედვით შერჩეულ საპატიო გამომსვლელებს ნომრავს. და თუ არა ამ საოცარ ალაგს, მწერლების დაქსაქსულობას ბოლო სად უნდა მოლებოდა? თუ გული გულობს, წრფელი სიტყვა გულიდან თავისით, ძალდაუტანებლად მოედინება და ასეთ დროს პომპეზურ გამოცხადებებს ოდნავაც არ ითხოვს და არ საჭიროებს. გარეთ გამოსული კვლავ იდუმალებით მოცულ სახლზე ვფიქრობდი, მონამე პრეზიდენტის გატანჯული სახის წარმოდგენისას გული ტკივილით მეკუმშებოდა. მტარვალთაგან დევნილი აქ გამომწყვედილიყო; ვინძლო გაუსაძლისი ვითარებიდან გამმდინარე სულდამძიმებულმა სიკვდილს რამდენჯოის გაუსწორა მზერა?! ამასობაში მწერლები გამგზავრების თადარიგს იჭერდნენ. ორიოდვე მანქანა უნდა მოგვმსახურებოდა. გზისპირას, ბლოკებთან ვიდექით და ჩვენ ჯერს ველოდით, რომ ანაზღად ფეხი დამისხლტა და წინ გადავქანდი, შევნიშნე, ზუსტად ამ დროს შემხვედრად წითელი მანქანა მთელი ძალით მოქროდა. ისე ელვისებურად მოხდა ყველაფერი, ვარდნისას მივხვდი, ზედ გადამივილიდა, რადგან პირდაპირ ბორბლებქვეშ ვუვარდებოდი. აღარ მახსოვს თვალები თუ დავხუჭე. დამუხრუჭების ხმაზე გახვევებულმა ხალხმა შევით ამოიხუნთქა. დაუჯერებელი სურათის აღქმა ყველას უჭირდა: მძღოლმა ბოლო წამს მქროლავი მანქანის

დამორჩილება და გაჩერება შეძლო. ეს მართლაც სასწაულს ედრებოდა. ოდნავი ნაკანრიც არ მქონდა, მანქანა არ შემეხებია, არადა, პირდაპირ ჩემკენ მოქროდა. მოულოდნელი ვარდნის გამოისობით უკანდასახევი გზა მოჭრილი იყო. ღმერთმა გადაგარჩინა! რა სიმბოლოურია, რომ ეს ხიბულაში, ზვიადის სახლ-მუზეუმთან მოხდა! თითქოს მისი წამების გზა ასე გაიარე, - თემურ ჩალაბაშვილი მომვარდა და წამოდგომამი რომ მესმარებოდა, ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა. სახეზე ფერი არ ედო. მისმა ხევისურმა მეგობარმა ყრუდ მომიბოდიშა, რომ ვერ მომეშველა. ყველაფერი იმდენად სწრაფად და გაუთვალისწინებლად დატრიალდა, ამ კადრს ნებისმიერ მძაფრსიუჟეტის ფილმში ინატრებდნენ: ნითელი მანქანა ნითელკაბიან ქალს შიშით გახევებული ადამიანების თვალწინ ეჯახება... გადავრჩი! მართლაც ბენჯეზე გადავრჩი! უთვალავი დამზერის ქვეშ დასისხლიანებული-დასიებული კოჭი ძლივს ავამოძრავე, ტანსაცემელი ჩამოვიფერთხე და მშვიდად წარმოვთქვი: -კაბა ძალიან დამესვარა? - კაცებმა ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს. იფიქრეს, ჯერაც შოკშიაო. მშვენიერმა ახალგაზრდა ქალმა (მოგვიანებით გავიგე, პოეტ დავით ახლოურის მეუღლემ) თავს როგორ გრძნობთო, თანაგრძნობით მკითხა და ზვიადის ეზოდან მოკრეფილი მსხალი გამომიწოდა, გეამებათო. ჩემი მსხალი ვუჩვენე, ვარდნისას კანი რომ გადაქერცლოდა. ეს მირჩენია, ჩემთან ერთად ხიფათი გამოიარა-მეთქი, ღიმილით მივუგე. ზუსტად ამ დროს კაცებმა სიკვდილის მანქანის კარი გამომიღეს, რათა ფეხბატკიებულს გზა მშვიდობიანად და რაც მთავარია, ურიგოდ განმეგრძო. უკანა სალონში პოეტები: ქეთი შენგელია და ირმა შიოლაშვილი ისხდნენ. ორივე ხმაამოუღებლად მიმზერდა. მტრული დუმილის სურნელმა ჩემზე ცივი შხაპით იმოქმედა. შენგელია არც კი განეულა, ადგილი გაეთავისუფლებინა. იქით გადადიო, მშრალად მესროლა. ეს იყო და ეს. და მაინც ძალიან გამიკვირდა, ზრდილობისთვისაც რომ არ უკითხავთ რაიმე, მე ხომ სულ რაღაც 3 წუთის წინ მათ თვალწინ იმ მანქანით, რომელშიც თავად ისხდნენ, დალუპვას სასწაულით გადავურჩი! არადა, სამშობლოს სიყვარულსა და ყვავილებზე რამდენ გულისამაჩუყებელ ლექსს წერე და აქვეყნებენ. სახალხოდ რა მზრუნველ ჭრისსუფალ მატრონებად მოაქვთ თავი. ადრე ამგვარი გულცივობისთვის იქნებ ყურადღება არც მიმეცქია, მაგრამ ახლა, როდესაც სიკვდილს თვალეში ჩაეხედე და ჩემმა კოლეგებმა თუნდაც ზედაპირული თავაზიანობის მიზნით შესაფერისი სიტყვაც კი არ შემომამშველეს, ისე მომარჩინდნენ, თითქოს ოდესმე რომელიმეს რაიმე დაფუშავე. განსაცდელის ჟამს მოსისხლე მტრის გადასარჩენად იბრძოლებს კაცი საგულეში გული თუ უძგერს. მართო ვაჟა ფშაველას ციტატების დაზუთხვა არ ნიშნავს, რომ სულმნათი წინაპრის გზას ადგახარ და მისი საქმის გამგრძელებლად მოიაზრები. ზნეობრივი გადასახედიდან ამ კატეგორიის ნაწერს ჩალის ფასი ადევს, სიცრუის ხარისხის ძალა ჩემთვის იმდენად მიუღებელია. სიკვდილიც რომ ვერ აღძრავს თანალობის უნარს, სალაპარაკო რაღა... ამასობაში ახალი სიურპრიზი შემეჯახა: დამხვედურთა გულთბილობით ნაქეზებული მძლოლი აწუნუნდა, მანქანა ვერ დაიძვრე-

ბა, ძალიან გადატვირთულიაო. ესენი კვლავ შეწყობილად დუმდნენ, იმ კაცისა არ იყოს, ერთი სული ჰქონდათ თავიდან როდის მომიშორებდნენ, ძალიან არ ანაღვლებდათ ფეხი დავიშავე თუ კისერი. ანაზად მარკუს ავრელიუსის სიტყვები გამახსენდა: „მაინც რამდენი ადამიანი ნატრობს შენს სიკვდილს?! „ამათ რომ შევხედე, თავი ჯოჯოხეთში მეგონა, საფეთქლებში სისხლი მომანვა და მძლოლს მკვახედ მივმართე: - თქვენი ნაყვანა ვის რაში სჭირდება? თქვენთან რა გამაჩერებს, ეს რა ადამიანობაა!- კარი მაგრად მოვიჯახუნე. ბრაზისგან ფეხის ტკივილი არად ჩავაგდე და გზაზე დავეშვი. ბ-ნი თემური გამომეკიდა: - ასე ვაჟკაცურად მხოლოდ შენ მოიქცეოდი! დაიცა, სად მიდიხარ, რაიმე გამოივლის და იქ ჩაგვამ, შენი ფეხით სიარული სად გაგონილა, ესენი ვინ ყოფილანო, გაოგნებული იმეორებდა. ამასობაში იანელ კოჭლამაზაშვილი და დავით შემოქმედელი მომიახლოდნენ. ისე შეგვაშინე, ლამის გული გაგვისკდა. გვერდიდან რომ დაგენახა საკუთარი თავი, ვერ დაიჯერებდი, რომ გადაარჩი, მართლა სასწაულად გაგიმართლაო,-დავითმა თავი გააქნია. შენუხებული იანელი იმავეს მიმეორებდა. ადრე ძლიერი თვალისგან დასაცავად გიშრის ჯვარი რამდენჯერაც არ გავიკეთე, იმდენჯერ შუაზე გადატყდა. ავი თვალის არსებობა თუ ცრურწმენაა, მაშინ შავი აურის ზემოქმედება სიკვდილის მანქანის თანხლებით უფრო მხატვრულად ჟღერს. მანქანა კი მაინც გამოგვიძებნეს და გზაზე რაც ოთხ მწერალს თავს გადაგვხდა, ამას სხვა დროს გიამბობთ; ეს სრულიად დამოუკიდებელი ამბავია და სიკვდილთან შეთამაშების კონტრასტს იმპროვიზაციულად ქმნის...

და ბოლოს, ხილის გადამამუშავებელი ქარხნის პირდაპირ ეკლესია რომ შევნიშნე, გულმა მისკენ გამინია. -წმინდა გიორგის სახელობისაა. სანთლები დავანთოთ, წმინდა გიორგი, ყველაზე მეტრძოლი წმინდანი ჩემი მფარველია,- იანელს შევესიტყვე

ტაძარში პატარა გიო და ზორბა ხევისური პოეტი შემოვიდნენ. გალობის ფონზე ანაზად მღვდელმა შემომხედა და დამიძახა:- მომიახლოვდით, ზეთი იცხეთ,- დიდება შენდა ღმერთო! პირჯვარი გარდავისახე და გულში გავიფიქრე, მხოლოდ მაცხოვრის იმედი უნდა გვასუდგმულვებდეს, ადამიანის იმედად ყოფნა ყველაზე დიდი მკრეხელობაა ამქვეყნად...

**„წერილების ფესტივალი“** დასკვნითი ნაწილი ემიგრანტების ბაღში ყველა მონაწილის მიერ მისივე სახელობის ხის დარგვას ითვალისწინებდა. ეს იდეა ძალიან მომეწონა. გავა დრო და ტრიალი მინდორი ტყით დაიფარება. ნაძვის ნერგები იხარებენ, რომელსაც ხელი მწერლებმა შეავლეს. და ესოდენ იმპროვიზირებულ და ამავდროულად სასარგებლო ჩანაფიქრს ჩვენი ვინაობის ამსახველი მრგვალი დაფა მოგონებად გაჰყვება. ვინც მომავალში ბაღს დაათვალიერებს, ის დაფების დერეფანს აუცილებლად გაივლის და შემეცნებით ნაკადს ძალდაუტანებლად ეზიარება. ხიბულადან პირდაპირ ემიგრანტების ბაღისკენ ავიღეთ გეზი. პროექტის ორგანიზატორი საზღვარგარეთიდან მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ბაღის გამშვენიერებაში სასიკეთო წვლილი რომ შეიტანეს, საზეიმო შეხვედრისთვის გულდაგულ ემზადებოდა. ფერადი ქოლ-

გების მხიარული ღიმილი ჩამავალი მზით აალებულ ჰორიზონტს ბუნებრივად ეხამებოდა. დედაქალაქიდან ჩამოსული ნამყვანი თავყრილობას ხალისიანად უძღვებოდა. მომღერალ დათო არჩვადის შემდეგ ადგილობრივმა ანსამბლებმა დაანთეს ცეცხლი. ლამაზად მორთულ მაგიდებს ვუსხედით და არაჩვეულებრივი პეიზაჟის ფონზე გამომსვლელებს ვუგდებდით ყურს. სამადლობელი სიტყვების ნიაღვარი მღელვარედ მოედინებოდა. ჩვენ წერილებს დასანერად ვემზადებოდით. მორიგი იდვის მიხედვით აფხაზეთისადმი მიძღვნილ წერილებს ბოთლების მეშვეობით ზღვაში ჩაუშვებდნენ. ტალღები ჩვენს გულისთქმას იმ სანაპიროზე გარიყავდა, ესოდენ რომ გვენატრება და გვეძვირფასება. პატარა ფოსტალიონები მოუთმენლად გველოდნენ. საყვარელ გოგო-ბიჭებს წერილები სიამოვნებით მივანებეთ. ნათლად წარმოვიდგინე პატარა ხელებით ბოთლში ჩაცურებულ ფურცლებს ზღვისკენ როგორ მიმართავდნენ, აფხაზეთის ლაჟვარდი მათ კრიალა მზერაში ახალ სიცოცხლეს შეიძენს. ჩვენ დაგბრუნდებით, ტკივილისა და მონატრების გავლით კვლავ დავიბრუნებთ ძირძველ კუთხეს, დამპყრობლებმა ვერაგულად რომ წაგვართვეს...

როგორღაც ისე მოხდა, მწერლებმა თავყრილობა წაადრევედ დატოვეს; ჩემი აზრით მასპინძლის პატივისცემა იმით გამოიხატება, ღონისძიებას ბოლომდე დაესწრო იმის მიუხედავად, სიტყვას მოგცემენ თუ არა; საზეიმო შეხვედრას მადლიერების ნილ სოლიდარობა აგვირგვინებს. მით უფრო, როდესაც სიტყვას არც არავინ გიკავებს, ხოლო გამოცხადების შემდეგ ღონისძიების დატოვება, რბილად რომ ვთქვათ, მიზანშეუწონელია. ყოველთვის მაკვირვებს ყველგან გაბატონებული თანამედროვე ცხოვრების არასწორი წესი: ყველგან სათავისო ინტერესებით იხელძღვანელონ, რაც საერთო საქმეს აზარალებს; არადა, ამგვარი პროექტები სწორედ საერთო ძალისხმევას ეყრდნობა და ჯანსაღ სულიკვეთებას აძლიერებს. ბოლომდე დგომისა და მხარდაჭერის კულტურა რომ გვაკლია, ეს „დეტალი“ ყველგან საცნაურდება. არადა, დროა სხვის შრომას პატივი სათანადოდ მივავით და არც მადლიერების გამოხატვის შეგვრცხვეს, ლამაზ დღესასწაულს ზუსტად ანალოგიური ფინალი ესაჭიროება...

საღამოს 10 საათზე, ის იყო რესტორანში სულის მოსათქმელად შევედით, რომ გაირკვა, უნდა დავძრულიყავით. რეზო მიშველაძემ მოსამზადებლად 12 წუთი გამოგვიყო, დაღლილი მძღოლების განბილება არ შეიძლებოდა და ჩვენც ავტობუსში დათქმულ დროს ავედით- ჩემი წესიერი ავტობუსი უპრობლემოაო, ბ-ნი რეზოსგან კუთვნილი შექება დავიმსახურეთ. მასპინძლები ვერ გველოდნენ. მობილურის ზარები არ წყდებოდა, გვთხოვდნენ ღამე კვლავ მათთან გაგვეთია, მაგრამ ოფიციალურ განრიგს ვერ გადავუხვევდით. ორდღიანი მეგრული ვოიაჟი იმდენად მრავალფეროვანი გამოდგა, წამდვილად ვერ წარმოვიდგენდით თუ მორიგი სიურპრიზი თავს დაგვატყდებოდა. ავტობუსი ნახევრადცარიელ ტრასაზე მიჰქროდა. ყველაზე უკან იანელ კოზლამაზაშვილი მოკალათებულიყო, მის წინ, ერთმანეთის გასწვრივ მე და დავით შემოქმედელი ვისხდით. დავითი ზუმრობდა, იანელმა მშვენიერი საძინებელი მოიწყო, რომაელივით წამოწვება და დაიასვენებს, ჩვენ ვიკითხოთო. თავს შთაბეჭდილებების ანალიზით ვიქცევდით. წინ ჯერ კიდევ იმაზე მსჯელობდნენ დარჩენა ჯობდა თუ ღამეული მგზავრობა, რაც გახშირებული

ავარიების გამო ჩვენს ხანდაზმულ კოლეგებს შფოთს უძლიერებდა. ისიც კი ითქვა, გაუთავებელი სიარულით მძღოლს არ ჩაეძინოსო, ვილაც წინ მიუჯდა, იანელმა რა კარგია, რომ ასეა, ღმერთი გვიფარავსო, წარმოთქვა და დასაძინებლად მოემზადა. დამშვიდობების მიზნით ხელიც დაგვიქნია და წამოწვა. ამ დროს ავტობუსი ძლიერად შეირყა, წამიც და რალაცას შევასკდით. შემდეგ როგორც ფილმებშია, შუშის წამსვრევეები დაგვეყარა, წინ გადავქანდით, თავზე დამაგრებული სათვალე დამემტვრა, ბენზინის მძაფრმა სუნმა მიგვახვედრა, შეჯახებამ ბაკი დააზიანა.- არიქა, კარი გახსენი, არ ავფეთქდეთ!- დავითის სწრაფ რეაქციას ენბიის კალათბურთელიც ინატრებდა. დაბნეული მძღოლი კარის გაღებას აყოვნებდა. ხალხის ყვირილი გაძლიერდა. ბოლოს როგორც იქნა, კარი გაიხსნა და გარეთ გამოვცვივდით. იანელი ფეხშიშველი იყო, გაოგნებული იმეორებდა, წამით ადრე რომ არ დავწოლოლიყავი, შუშებით ისე დავისერებდი, ვერც გადავრჩებოდიო. ჩვენ მასზე ოდნავ წინ ვიყავით და ქვემოთ რომ ჩავედით, შუშის წამსვრევეებს სამოსიდან ვიფერთხავდი. ზაალ ბოტკოველმა ჩემს თმამი შუშის საბაღო აღმოაჩინა. რა მოხდა?- მკითველის ხმა სანამ გაუღერდება, თხრობას განვაგრძობ: შუალამიას (12 საათი იყო) ტრასაზე სამი უპატრონო ძროხა სამაიას ცეკვავდა და გვერდის ავლისას მეორე ავტობუსს, რომელიც უკან მოგვედევდა, დისტანცია ვერ დაიცვა და შეგვეჯახა;- არიქა, დაწერე, რომ ისევე ჩვენიანმა დაგვარტყა, ეს არ გამოგრჩეს!- ბედი არ გინდა, ისევე ჩვენმა მოძმე ავტობუსმა გაგვიმეტა სასიკვდილოდ. -დღეს სიკვდილს მეორედ ჩავეხდე თვალებში! -ხმამალა აღმოხდა. -თავს როგორ გრძნობთ? -რეზო მიშველაძემ თავაზიანად მკითხა რაც მართალია, ჩვენს თანაავტობუსულ მამაკაც კოლეგებს: ბ-ნ ტარიელს, ბ-ნ რეზოს, ბ-ნ ზაალსა და ბ-ნ დავითს საკმაოდ ყოჩაღად ეჭირათ თავი, მამინ როცა ვინც შეგვეჯახა, ისინი შეწყვეტილ ქეიფზე დარდობნენ და რესტორნიდან ნაადრევ გამოგზავრებას მისტიროდნენ. მოკლედ, აბაშასთან სამი უპატრონო ძროხის სამაიას კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი მოძმე ავტობუსების შეჯახებისას ავარია მოჰყვა. საბედნიეროდ, დაზღვევა ორ მეგობარ მძღოლს ზარალს აუნაზღაურებს. რაც მთავარია, უვნებლად გადავრჩით. იანელი, თქვენი მონა-მორჩილი და დავითი დარტყის ეპიცენტრში მოვეყვით, დიდება უფალს, ნაკანრიც არ გვაჩნდა. პირველი ნაკადი გამვლელ ავტობუსში ჩავგსხეს. რეზო მიშველაძემ ბელა შალვაშვილს უთხრა: ჭინკა ყოფილხარ, რას დაიჩემე, ავარიაში არ მოვეყვით,-იმდენი ვიძახე, აგერ ცუდი წინათგრძნობა ამიხდა, ვილაცამ მითხრა, 80 წლის ხარ, გეყო, რაც იცოცხლე, რატომ, ვის რას ვუშლი, შვილიშვილები მეზრდება, მათთან ყოფნა მინდა!- ქ-ნი ბელა ამ ფრაზამ იმდენად შეძრა, წამდაუნუმ იმეორებდა. მაინც რას არ იტყვის ადამიანის ენა! რამდენიმე საათის წინ მანქანამ რომ კინაღამ გადამიარა და ამ ამბავს ჩემი გაუჩინარებით დაფეთებულ მარინა თექეთუმანიძეს ვუყვებოდი, მობილურით რომ მეძებდა, ცირა ბარბაქაძე ისე მხიარულად იცინოდა, გაკვირვებულმა ვკითხე ამაში სასაცილოს რას ხედავდა, მეგონა ზუმრობდიო, სხვების სახეებს რომ შეხედა, მერვედა მიხვდა, მხიარულება უადგილოაო და გაჩუმდა, თუმცა რეაქცია რეაქციად რჩება, ამიტომ ქ-ნი ბელას გულისტკივილი არ გამკვირვებია. ექსტრემალური ვითარება აჩვენებს, მწერლები ისეთივე ადამიანები არიან,

როგორც სხვები და სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად სხვებზე უარესად იქცევიან...

დილას ქ-მა ლიამ მზრუნველად რომ დამირეკა, თქვენზე ვლოცულობდით, გამეღიმა და ზუგდიდის დაუფინყარი მოგზაურობის აღსანერად ძალების მოზღვავება ვიგრძენი. შედეგი სახეზეა. ოთხი ჩანანერი უკვე გამოქვეყნდა, რაც დაგვაკლდა, დღის სინათლეს სამერმისოდ იხილავს. ყველას როდი ეძლევა საშუალება შუალამისას ძროხების სამაიას შესწროს და უდანაკარგოდ დაუბრუნდეს მშობლიურ კერას...

16 –19.08.2020.

**შექსპირული ჩანახატები**

შექსპირის პიესებიდან განსაკუთრებით მიყვარს „ჰამლეტი“ და „რიჩარდ III“, რომლებიც თითქმის მთელი ცხოვრებაა თან „მომყვებიან“! მახსოვს 9-ე კლასში ვიყავი, როდესაც ჩემი ყურადღება მიიპყრო ჰამლეტის ცნობილმა გამონათქვამმა: „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“, რომელიც ეპიგრამად ჰქონდა წამძღვარებული აინშტაინის ფარდობითობის თეორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოს. როგორც ცნობილია, აინშტაინმა „დაამსხვრია“ ნიუტონისეული აბსოლუტური დროის ცნება და აჩვენა, რომ დრო ფარდობითი სიდიდეა (დამოკიდებულია ათვლის სისტემაზე — მოძრავ სისტემაში დრო უფრო ნელა მიდის, ვიდრე უძრავში) და სწორედ ეს იყო დროის (საერთოდ სამყაროს) შესახებ წარმოდგენების გადატრიალება. ამ გაგებით, ხატოვნად შეიძლება ითქვას, რომ მართლაც „დროთა კავშირი დაირღვა“ (დრო „ნაღრძობა“). აქედან დაიწყო ჩემი გატაცება „ჰამლეტით“, ხოლო „რიჩარდ III“-ით მას შემდეგ დავინტერესდი, როდესაც ვნახე რუსთაველის თეატრის გახმაურებული სპექტაკლი.

ახლა კი გადავწყვიტე, რომ უკვე დროა ჩანანერების სახით დავაფიქსირო ჩემი მოსაზრებები „ჰამლეტის“ შესახებ, რომლებიც ვფიქრობ არა მარტო ჩემთვის იქნება საინტერესო. („რიჩარდ III“-ის შესახებ სტატია „აპოლოგია ტირანისა“ უკვე გამოქვეყნდა ჟურნალ „ისინდის“ მე-6-ე და მე-7-ე ნომრებში)


**თიეოზაზ ნაღარაიშვილი  
ჰამლეტი**

შექსპიროლოგიაში კარგადაა ცნობილი ჰამლეტის უმოქმედობის პრობლემა. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გმირს დაკისრებული აქვს ამოცანა, რომლის შესრულება მას არ შეუძლია და ამიტომ აჭიანურებს შურისძიებას. ეს ინტერპრეტაცია სათავეს იღებს გოეთედან, როდესაც იგი რომანში „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“, მსჯელობს ჰამლეტის შესახებ: „აჩრდილის გაქრობის შემდგომ ვის ვხედავთ ჩვენს წინ? შურისძიების გრძნობით ანთებულ ახალგაზრდა გმირს? ხელმწიფეს, რომლისთვისაც ბედნიერებაა, რომ მისი მონოდება დასაჯოს უზურპატორი? არა! მარტო დარჩენილი ჰამლეტი შეძრწუნებული და დათრგუნულია, იფიცება რომ არ დაიფიცებს გარდაცვლილს და ასკვნის ღრმავაროვანი ამოსუნთქვით:

**„დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“**

(თარგმანი ივანე მაჩაბლის. ქვემოთ მოვიტან ჩემულ თარგმანსაც და ყველგან ტექსტში, ჩემი თარგმანები იქნება)

ეს სიტყვები, ჩემი აზრით, გვაძლევენ გასაღებს ჰამლეტის მთელი საქციელისადმი და ჩემთვის ნათელია, რა უნდოდა ეჩვენებინა შექსპირს: ნებისყოფის სისუსტე მოე-



ალებობის წინაშე! აი, ჩემი აზრით იდეა, რომელიც გასდევს მთელ პიესას. აქ მუხა დარგულია ძვირფას ჭურჭელში, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ მიიღოს მხოლოდ ნაზი ყვავილები. მუხის ფესვები იზრდება, ანგრევს ჭურჭელს და მუხა კვდება. მშვენიერი, სუფთა, კეთილშობილი, მაღალზნებრივი ქმნილება, რომელიც მოკლებულია გრძნობების ძალას, რომლის გარეშეც არ არსებობენ გმირები, იღუპება ტვირთის ქვეშ, რომლის არც ზიდავა, არც მოცილება არ შეუძლია. ყოველი მოვალეობა მისთვის წმინდაა, ხოლო ეს მისთვის არანორმალურად მძიმეა. მისგან მოითხოვენ შეუძლებელს, არა ისეთს, რომელიც საერთოდ შეუძლებელია, არამედ მხოლოდ მისთვისაა შეუძლებელი.“

დაახლოებით იგივე აზრს გამოთქვამს ჰეგელი (რომელიც ნაწილობრივ ეყრდნობა გოეთეს) თავის ცნობილ თხზულებაში „ესთეტიკა“: „დასაწყისში ჩვენ ვხედავთ ჰამლეტს, რომელიც იტანჯება ბუნდოვანი შეგრძნებით, რომ მოხდა რაღაც საშინელი რამ. ამის შემდგომ მას ეცხადება მამის სული, აჩრდილი და იგი უხსნის ჩადენილ დანაშაულს. ჩვენ ველოდებით, რომ ამის შემდეგ ჰამლეტი უმაღლე დასჯის დამნაშავეს და ვთვლით, რომ მას აქვს შურისძიების სრული უფლება, მაგრამ ის სულ უფრო აყოვნებს და აყოვნებს. ჰამლეტის ამ უმოქმედობას საყვედურობდნენ შექსპირს და კიცხავდნენ მას იმისათვის, რომ ტრაგედიაში თითქმის არ არის მოძრაობა, ქმედება. მაგრამ პრაქტიკულად ჰამლეტი წარმოადგენს სუსტ, ჩაღრმავებულს თავის სულიერ განცდებში ნატურას. იგი მელანქოლიურია, განწყობილია იქექოს თავის სულში, ღრმავაროვანია და ამიტომ არ შეუძლია სწრაფი მოქმედებები. გოეთეც ასევე ამტკიცებდა, რომ შექსპირს უნდოდა გამოეხატა თავის ტრაგედიაში დიდი გმირობა, რომელიც დაკისრებული აქვს ისეთ გმირს, რომელიც არ იმყოფება ამ გმირობის დონეზე. გოეთე თვლიდა, რომ მთელი პიესა შექსპირის მიერ დამუშავებულია ამ მიმართულებით.“

ამასთანავე ჰეგელს შემოაქვს ახალი მოტივიც ჰამლეტის ქმედებების შესაფასებლად. კერძოდ იგი აგრძელებს: „მაგრამ რაც შეეხება მამის აჩრდილის გამოჩენას, შექსპირი აქ იძლევა გაცილებით ღრმა შტრიხს. ჰამლეტი აყოვნებს იმიტომ, რომ იგი ბრმად არ ენდობა აჩრდილს!“ აქ ჰეგელს ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მოჰყავს ჰამლეტის სიტყვები, საიდანაც ჩანს ერთ-ერთი მოტივი „ზაფანგის სცენის“ მონყობისა:

**„იქნებ ის სული, მე რომ ვიხილე, ეშმაკი იყო, ხოლო ეშმაკს კი შეუძლია საამური სახის მიღება და შესაძლოა მან გადაწვიტა ჩემი მოსპობა, რადგან ჩემნაირ სევდიან და სუსტ არსებაზე უფრო მოქმედებს მავნებლობა ბოროტ სულისა!“**

**და მე მჭირდება სამხილი მქონდეს უფრო ძლიერი:  
ეს წარმოდგენა ხელში ჩამიდებს ნამუსს მეფისას“**

და ჰეგელი ასკვნის: „ჩვენ ვხედავთ, რომ აჩრდილი ვერ იმორჩილებს, ვერ განაგებს ჰამლეტს სიტყვაშეუბრუნებლად. ჰამლეტს ეჭვი ეპარება და სანამ რამეს მოიმოქმედებდეს, მას უნდა დარწმუნდეს დანაშაულის სინამდვილეში“.

მოვუსმინოთ ახლა კოლრიჯს მისი ცნობილი „შექსპირული ლექციებიდან“: „ყველაფერი, რაც მიმზიდველი და საუკეთესოა ბუნებაში, ერთი ღირსების გამოკლებით, შეკრებილია ჰამლეტში. ესაა მედიტაციაში მყოფი კაცი, რომელსაც ჰუმანურმა და კეთილშობილურმა მოტივებმა უბიძგეს ქმედებისაკენ, მაგრამ მისი ცხოვრების დიდი მიზანი აუხდენელი რჩება იმის გამო, რომ კი გადაწყვიტა ემოქმედა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების მეტი არაფერი იღონა!“

თითქმის იგივეს ამბობს ლორენს ოლივიეც: „ესაა ტრაგედია ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია გადანყვეტილების მიღება“.

როგორც ვხედავთ, ყველა ზემოთ მოყვანილი შეფასება ჰამლეტის უმოქმედობისა, მაინც ეყრდნობა გოეთესიეულ მოსაზრებას: „ნებისყოფის სისუსტე მოვალეობის წინაშე!“ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ცალკეული განსხვავებული მოსაზრებებიც. ასე მაგალითად კოტე მარჯანიშვილი უშანგი ჩხეიძეს ეუბნებოდა: „მინდა ითამაშო უბრალო, მაგრამ კეთილშობილი ადამიანი“ და ჰამლეტის უნებისყოფობაზე არ აკეთებდა აქცენტს. ასევე საინტერესოა ალექსანდრე წუნუნავას მოსაზრებაც: „არაფერი არ არის საკვირველი, რომ ჰამლეტი ფილოსოფიის მეფედ იწოდებოდეს. აზროვნება ჰამლეტს სამყაროს შემეცნებისკენ და მის შესაცვლელად აქტიური ჩარევისაკენ უბიძგებს, რათა „ნაღრძობი“ საუკუნე კალაპოტში ჩააყენოს.“

მინდა გავაკეთო რამდენიმე კომენტარი ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით, ხოლო ბოლოს კი საკუთარი განსხვავებული მოსაზრება გამოვთქვა ჰამლეტის „უმოქმედობის“ შესახებ.

1) ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ გოეთეს მოსაზრებას, რადგანაც როდესაც ადამიანს რაიმე რთული პრობლემა აქვს გადასაწყვეტი, მაშინ ჩემი აზრით, ორი შესაძლო სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები.

ა) ადამიანი შესაძლოა მოულოდნელად „დაბრძენდეს“! მას უჩნდება „გვერდითი“, არაბუნებრივი იდეები, რადგანაც ადამიანი ვერ ძლევს პრობლემას და ცდილობს აიცილოს იგი; ამ მოვლენას ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ვაკვირდებით. კერძოდ, როდესაც მოსწავლემ ცუდად იცის გაკვეთილი, მაშინ იგი უცაბედად მჭერმეტყველი ხდება და გაკვეთილის გარდა, ყველაფერზე ლაპარაკობს („მიიღ — მოედება“!). ასევე, ზოგიერთი პოლიტიკოსის გამოსვლებში მაშინ „დგება ბევრი წყალი“, როდესაც მას არ ძალუძს პრობლემის უშუალოდ გადაჭრა და ა.შ. ზოგადად ამ სიტუაციის დასახასიათებლად კარგი გამოთქმა არსებობს რუსულ ენაში: *Печальная мудрость неудачника!*~ და შესაძლოა ჰამლეტის მონოლოგები, საკუთარი უმოქმედობის შესახებ, სწორედ „გვერდითი“ იდეები, „ხელმოცარული ადამიანის სევდიანი სიბრძნე“ იყოს!

ბ) ადამიანმა შეიძლება დაიწყოს მისთვის უფრო მარტივი პრობლემის გადაწყვეტა (იმის, რაც მან იცის ან გრძნობს, რომ დაძლევს!), რადგანაც მას უჭირს რთულის გადაწყვეტა! ამ შემთხვევაში კი ჰამლეტისათვის მონოლოგების წარმოთქმა უფრო მარტივი ამოცანაა ვიდრე, შურისძიების აღსრულება!

2) ჰეგელის მოსაზრებით ჰამლეტმა არ იცის რა ტიპის სულთან აქვს საქმე, ამიტომაც მთავარია ჰამლეტმა დაადგინოს მკვლელობის ფაქტი, რისთვისაც აწყობს „ხაფანგის“ სცენას, მაგრამ ეს სცენა მესამე აქტის დასაწყისშია და თუ მართო ამით იყო გამოწვეული ჰამლეტის უმოქმედობა, მაშინ გაუგებარია თუ კვლავ რატომ არ მოქმედებს ჰამლეტი დანარჩენი ორი აქტი (პიესის თითქმის მთელი მეორე ნახევარი!)

3) „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა!“

(განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მომყავს ამ ადგილის ინგლისური ვარიანტი და ჩემი თარგმანი)

**”The time is out joint; O cursed spite  
That ever I was born to set it right”**

„joint“ არის სახსარი, ხოლო „is out of joint“ სახსარიდან ამოვარდნას ანუ ნაღრძობობას ნიშნავს (ოღონდ „ნაღრძობა“ თავად დრო!), ამიტომ ეს ადგილი შემდეგნაირად ვთარგმნე:

**„დრო ნაღრძობია; წყეულო ბედო,  
მე რად მარგუნე მისი განკურვანა!“**

გოეთეს მიერ ნახსენები ჰამლეტის ეს „საბედისწერო“ ფრაზა ნათქვამია უშუალოდ აჩრდილის ნახვის შემდგომ და ამიტომ შეიძლება ჩაითვალოს ემოციურ ფრაზად და არ ნიშნავდეს უნებისყოფობას! დამატებითი არგუმენტი იმისა, რომ აქ სისუსტეზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი ის არის, რომ ამ სიტყვების წარმოთქმამდე ჰამლეტს უკვე მოფიქრებული აქვს შემდგომი მოქმედების გეგმა - თავი მოაჩვენოს შემლილად (რათა ამ „ნიღბის“ ქვეშ მას გაუდვილდეს მოქმედება) და მეგობრებს თხოვს შეგნებულად თუ შემთხვევით არ გაათქვან იგი:

**„იქნებ დამჭირდეს უცნაური მე გარდასახვა,  
თავის ჩვენება შემლილ არსებად,**

**და თუ თქვენ მნახავთ მე ამ ყოფაში,**

**ნუ შეიცხადებთ, ნურც ხელების გულზე დაკრეფვით,  
ნურც თავის ქნევით და ნურც საეჭვო წამოძახილით!“**

4) ასევე ეს ფრაზა შეიძლება იმის ხმამაღალი გააზრება იყოს, თუ მართლაც რა რთული ამოცანა დააკისრა ბედმა ჰამლეტს (და მეტი არაფერი!). ამასთან დაკავშირებით მახსენდება, სცენა თეოდორ დოსტოევსკის „ძმებ კარამაზოვებიდან“ ხუცესი ზოსიმი თუ როგორ დაუწოქებს დიმიტრი კარამაზოვს, მისი მომავალი რთული ცხოვრების წინაშე!

5) ფრიად საინტერესოა ჰორაციოს გულწრფელი რეპლიკის შემდეგ, ჰამლეტის ანალიტიკური დასკვნა ნანახის შესახებ

ჰორაციო:

**„ო, დღე და ღამე, ეს გასაოცრად უცხო რამაა!  
ჰამლეტი:**

**თუკი უცხოა, შენც ისე შეხვდი, როგორც უცხოა,  
ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცაშიც დაბლაც  
რაც ფილოსოფოსთ ფიქრშიც კი არ აქვთ!“**

6) ასევე საინტერესოა მარცელიუსის შემდეგი ცნობილი წამოძახილი

„მგონი დანიას ელის უბედურება!“

ეს ივანე მაჩაბლის თარგმანია. ორგინალში კი წერია: **”Something is rotten in the state of Denmark“**

ი. მაჩაბლის თარგმანში წინა პლანზეა წამოწეული შედეგი - ის, რომ დანიას ელის უბედურება, ხოლო მიზეზი ისაა, რომ დანიაში რალაც ლეება (rotten), მაგრამ ხომ შეიძლება რალაც ცუდი, უფარგისი ლეებოდეს - მაშინ შედეგი ხომ სასურველი იქნება! ამიტომ, მე მგონი, უმ-

ჯობესია ზუსტად მივყვეთ ორგინალს და გამოვყოთ რაც მიზეზია (შედეგის მიუხედავად!) - ის, რომ რალაც ლებება! ამიტომ ეს ნამოძახილი შემდეგნაირად ვთარგმნე:

„რალაც ჩამპალა დანიის სამეფოში!“

მე ვიხმარე სიტყვა „ჩალა“. ალბათ უმჯობესია ამგვარი გაძლიერება, რაც კარგი იქნება სცენისთვისაც - როდესაც მსახიობი ამ სიტყვას წარმოთქვამს, ამას უფრო ძლიერი ემოციური დატვირთვა ექნება!

ბოლოს კი მინდა საკუთარი მოსაზრება გამოვთქვა ჰამლეტის „უმოქმედობის“ შესახებ. ჩემი აზრით, ჰამლეტის „უმოქმედობა“ იმითაა გამოწვეული, რომ მოხდა პარადოქსალური, არანორმალური მოვლენა — ჰამლეტის ბიძამ მოკლა საკუთარი ძმა, შეერთო ჰამლეტის დედა და თანაც ძალიან მალე (როგორც ჰამლეტი სარკაზმით აღნიშნავს დედის საქციელს: „არ გაუცვიტავს ის ფეხსაცემელი, რომლითაც კუბოს მიაცილებდა ცრემლად ქცეული!“). ეს იმდენად თავზარდამცემი ფაქტია, რომ საჭიროა მასში გარკვევა. დავსვათ რიტორიკული შეკითხვა: „ვინ არის ჰამლეტი?“ და თავად გავცეთ პასუხი: „ჰამლეტი პრინცია, რომელიც სასახლისეულ „სასათბურე“ პირობებში გაიზარდა და მამის მეფობის შემდგომ, მისი ადგილი „წყნარად“ უნდა დაეკავებინა!“ მაგრამ ამ მკვლევლობამ ყველაფერი თავდაყოლა დააყენა! იწყება ჰამლეტის „გამოფხიზლები“ მტკივნეული პროცესი. კერძოდ, მისი წარმოდგენები სამყაროზე სწორი რომ ყოფილიყო, მაშინ მსგავსი რამ არ უნდა მომხდარიყო (როგორც თ.დოსტოევსკი ამბობს: „დარღვეულია მსოფლიო ჰარმონია!“), მაგრამ რადგანაც მოხდა, უნდა აიხსნას თუ რატომ მოხდა ეს, რის გარკვევასაც (კვლევას!) კი, გარკვეული დრო სჭირდება და გამოდის, რომ ჰამლეტი გარეგნულად, ფიზიკურად არ მოქმედებს, სინამდვილეში კი იგი მთელი პიესის განმავლობაში ინტელექტუალურად მოქმედებს — იკვლევს თუ რა მოხდა, რის შედეგადაც იგი რწმუნდება, რომ ცხოვრება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ჩვენი პირვანდელი წარმოდგენები მასზე. ამიტომ თანდათანობით ჰამლეტს დანია საპყრობილედ წარმოუდგება („დანია მართლაც საპყრობილეა, ბევრი ტუსაღით, დილეგით და ჯურღმულეებით.“) ეს კვლევა კულმინაციას აღწევს „ყოფნა-არყოფნის“ მონოლოგში, როდესაც ჰამლეტს იმდენად პარადოქსალური ეჩვენება მომხდარი, რომ იგი სვამს კითხვას - აზრი აქვს თუ არა საერთოდ არსებობას?! (ჩემის მხრივ კი დავუმატებდი, რომ რასაკვირველია ყოფნა სჯობია არყოფნას, მაგრამ რადგანაც ადამიანი მუდმივად სვამს ამ კითხვას, ამის მიზეზი ის არის, რომ ყველაფერი ვერ არის წესრიგში სამყაროს მოწყობაში ანუ ეჭვი შეიძლება შევიტანოთ საერთოდ არსებობის მიზანშეწონილობაში!) მაგრამ როდესაც კვლევა მთავრდება, იგი უმაღლესი ფიზიკური ქმედების ადამიანი ხდება და ალასრულებს შურისძიებას — კლავს კლაუდიუსს!

**ჰამლეტი:**

„წულარ აყოვნებ, სწრაფად მითხარი, რომ ჩემმა ფრთებმა როგორც წამგალამ, როგორც ფიქრმა, როგორც ზმანებამ სიყვარულისა, მე წარმიტაცოს შურის საგებად!“

მამის აწრდილისადმი ამ მიმართვაში ჰამლეტი ძლიერი სურვილითაა შეპყრობილი - მას სურს გაიგოს თუ რა მოხდა, რა არის მამის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. ამიტომ შექსპირი თანდათანობით აძლიერებს ეფექტს, ადარებს რა იმ ფრთებს, რომლითაც იგი შურის საძიებლად „გაფრინდება“, ჯერ ძალიან სწრაფ ჩიტს წამგალას, შემდეგ ფიქრს და ბოლოს სიყვარულის ზმანებას ანუ

მხატვრული თვალსაზრისით, შექსპირისათვის ყველაზე უფრო სწრაფია სიყვარულის ზმანება. შექსპირი ძალიან განათლებული ადამიანი იყო და ამიტომ მას, რომ სცოდნოდა, რომ ბუნებაში ყველაზე დიდი სიჩქარე სინათლის სიჩქარეა (რაც მხოლოდ მეოცე საუკუნეში დადგინდა ააინშტეინის ფარდობითობის თეორიაში), იგი აუცილებლად აღნიშნავდა ამ ფაქტს ჰამლეტის ამ მონოლოგში!

\*\*\*

დადებითი გმირის, ჰამლეტის ოფელიასთან საკუთარ ნაკლოვანებებზე (რაც რასაკვირველია, ყველა ადამიანს გააჩნია!) ღია საუბარი, ჰამლეტის სულიერ აშლილობად აღიქმება, მაშინ როცა რიჩარდ III-ის (ტირანის!) იგივე ქმედება (“მოულოდნელი” გულწრფელობები!) გარკვეული ხიბლის შემცველიც კი არის, რაც მისდამი რალაც “დოზით” თანაგრძნობასაც კი აღძრავს მათურებელში! ასე რომ, გააჩნია თუ ვინ არის გულწრფელი!

\*\*\*

„გაგიჟებამდე“ ჰამლეტის გრძნობა ოფელიასდმი „ოსმოსურ მასშტაბს“ აღწევს, რაც კარგად ჩანს ოფელიასადმი მიწერილ წერილში:

**„წუ მიენდობი ვარსკვლავთ ნათებას,  
წუ მიენდობი მზის მოძრაობას  
ბრმად წუ ენდობი ქუშმარიტებას,  
მიენდე მხოლოდ ჩემს წმინდა გრძნობას!“**

ამიტომ ჰამლეტის კეთილშობილება იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ მან იცის, რომ ბიძამისთან ბრძოლაში შეიძლება დაიღუპოს და უნდა, რომ ცუდად დაამახსოვროს თავი ოფელიას, რადგანაც ამ შემთხვევაში ნაკლებად მტკივნეული იქნება ოფელიასათვის ჰამლეტის შესაძლო დაკარგვა! მახსენდება მიხეილ ლერმონტოვის რომანის “ჩვენი დროის გმირიდან” პეჩორინის დაშორების სცენა თავადის ასულ მერისთან. პეჩორინი განზრახ შეურაცხყობას მიაყენებს მერის, რაც მანდილოსნის გაცხარებას გამოიწვევს: “Я ненавижу вас!” პეჩორინი მაღლობას უხდის თავადის ასულს ამგვარი რეაქციისათვის და მიდის. აქაც პეჩორინს უნდა, რომ მერის შესძულდეს იგი, რათა მისთვის განშორება ნაკლებად მძიმედ გადასატანი იყოს! (თუმცა ამ ორ შემთხვევას განასხვავებს ის, რომ ჰამლეტს უყვარდა ოფელია, პეჩორინს კი არ გააჩნდა ეს გრძნობა მერისადმი)

\*\*\*

ჰამლეტს არ მოსწონს სასახლის დიდგვაროვანთა გაუთავებელი დროსტარება, თუმცა თვითონაც ასეა გაზრდილი:

**„ეს თავგასული მხიარულება ჩვენ სახელს გვიტებს სხვა ხალხთა თვალში,  
ჩვენ გვანიჭებენ ლოთებისა და ბინძურების ზედმეტ-სახელებს,**

**ეს ყველაფერი კი ჩვენს დიდებას საფუძველს აცლის“**

მართლაც რალაც არაორდინარული მოვლენა უნდა მოხდეს შენს ცხოვრებაში (ამ შემთხვევაში ჰამლეტის ბიძის მიერ ძმის მკვლელობა და მისი ცოლის შერთვა!), რომ „გამოფხიზლდე“ და საკუთარი ცხოვრების წესს დააკვირდე!



\*\*\*

ჰამლეტი ძალიან განიცდის დედამისის გათხოვებას (თანაც ვისზე - ქმრის ძმაზე!). ამასთანავე ქორწინება ძალიან მალე მოხდა, ისე მალე, (შექსპირი აძლიერებს ეფექტს!), რომ ქელების სასმელ - საჭმელმა მხოლოდ გაციება მოასწრო (და არა გაფუჭება!) და იგი ქორწილშიც გამოიყენეს. ჰამლეტის ეს განწყობა და აქედან გამომდინარე სარკაზმი კარგად ჩანს ჰორაციოსთან დიალოგში:

**ჰორაციო:**

**„ჩემო მეუფევ, აქ ჩამოვედი მამათქვენის დაკრძალვისათვის!**

**ჰამლეტი:**

**გთხოვ ნუ დამცინი მეგობარო სტუდენტობისა, რადგან მე ვფიქრობ უფრო გინდოდა დედაჩემის ქორწილის ხილვა.**

**ჰორაციო:**

**მართლაც ასეა, გადაეჯაჭვა გლოვა და ლხენა!**

**ჰამლეტი:**

**მომჭირნეობა, ჰორაციო, მომჭირნეობა! გაციებული საქელებო სასმელ - საჭმელი უხვად მიირთვეს ქორწილის დღესაც! ზეცად ასული, ნეტავ შევეუროდი უბოროტეს მტერს ვიდრე მენახა, ჰორაციო, ეგ წყეული დღე!**

\*\*\*

როცა საჭიროა ჰამლეტი უმაღვე იღებს გად-ანყვეტილებას და ქმედების ადამიანი ხდება. ეს კარგად ჩანს ოთხი ეპიზოდისაგან.

პირველ შემთხვევაში ჰამლეტს ვერ აკავებენ ჰორაციო და მისი მეგობრები, როდესაც იგი აჩრდილს მიჰყვება:

„შემოქმედს ვფიცავ, ვინც კი დამიჭერს, მყის იმასაც აჩრდილად ვაქცევ!“

უკვე ამ ეპიზოდისაგან ჩანს (პირველად!) თუ რა მამაცი ადამიანია ჰამლეტი, რადგანაც იმდროინდელი წარმოდ-გენებით აჩრდილი შესაძლოა ბოროტი სული ყოფილიყო და მას შეეძლო დაეღუპა ჰამლეტი.

მეორე ეპიზოდში, დედასთან საუბრისას იგი უკვე „კლავს“ ბიძამისს, როდესაც ფარდის უკან საეჭვო მოძრაობას შენიშნავს, მაგრამ „შემთხვევით“ იქ პოლონიუსი აღმოჩნდება.

მესამე ეპიზოდში კი ინგლისში ჰამლეტი წერილებს შეუცვლის „საუკეთესო მეგობრებს“ როზენკრანცსა და გილდენსტენს და მოაკვლევინებს მათ! ამ ეპიზოდში კი კარგად ჩანს, თუ სინამდვილეში რა კარგად ესმის ჰამ-ლეტს სწრაფი ქმედების ფასი, როდესაც იგი ჰორაციოს უყვება ინგლისის პერიპეტეებს:

**„უცბად წამოვხტი - კურთხეულ იყოს ეს აჩქარება!**

**ეს კი იცოდე, რომ ხანდახან აჩქარებული ნაბიჯი**

**ჩვენი, ჩვენ ძალზედ გვშველის,**

**მაშინ როდესაც კარგად ნაფიქრი**

**ჩვენი განზრახვა დამარცხებისთვის განწირულია**

და ეს გვასწავლის, რომ განგება ადამიანთა მოუქნელ ზრახვებს

დასრულებულსა სახესა აძლევს!“

მეოთხე ეპიზოდში ჰამლეტი გრძნობს რალაც ცუდს, მზაკვრობას, როდესაც ლაერტთან მოსალოდნელი დუელის შესახებ შეიტყობს, მაგრამ იგი უკვე ქმედების ადამიანია (ყველა კვლევს დამთავრებულია, „ყველა ხიდი დამწვარია!“) და აღარ შეუძლია ლოდინი (ეს ადგილი პროზაულად არის გადმოცემული ორგინალში, ასეა პიე-

სის რამდენიმე ადგილას და ამ „უცნაური“ ფენომენის შესახებ საკუთარ მოსაზრებას წერილის ბოლოს გამოთქვამს)

„მე არ მჯერა წინათგრძნობების; ბელურის დაღუპვა-შიც კი განგებაა ჩარეული. თუ ახლა რამ მოხდება, შემდეგ ხომ აღარ მოხდება;თუ მერე არ უნერია მოხდება, მაშინ ახლა მოხდება; თუ ახლა არ ხდება, მაშინ ოდესმე მაინც მოხდება: მთავარი არის ჩვენი მზად ყოფნა. რადგანაც არავინ არ იცის თუ რას კარგავს ამ ქვეყნიდან წასვლისას, რა მოხდება თუკი ეს წასვლა ოდნავ ადრე იქნება? მოსახდენი მოხდეს.“

ასე რომ, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ არავითარ „ნებისყოფის სისუსტესთან მოვალეობის წინაშე“ არ გვაქვს საქმე — როდესაც ჰამლეტის წინაშე შედარებით მარტივი ამოცანა დგას, იგი დაუყოვნებლივ ფიზიკურ ქმედებებზე გადადის!

\*\*\*

ერთ - ერთი პირველი ფრაზა, რომელსაც ჰამლეტი წარმოთქვამს მამის აჩრდილთან შეხვედრის შემდეგ, შემდეგი ფრაზაა:

**„მთელ დანიაში ყველა ბოროტი**

**პირწავარდნილი გაიძვერაა!“**

რასაც უმაღლ მოჰყვება ჰორაციოს ირონიული შენიშვნა:

**„ამის სათქმელად (მაგის საცნობად) რად გვინდოდა ზეცად ასულის გამოცხადება!“**

ამ ადგილის ინტერპრეტაციისას უმრავლესობა მკვლევარებისა მიიჩნევს, რომ ჰამლეტი ცდილობს თავი აარიდოს პირდაპირ პასუხს შეკითხვაზე, თუ რა მოუთხრო მას აჩრდილმა. ჩემი აზრით, ეს სიტყვები ჰამლეტის ხმამაღალი ფიქრია ბიძამისის შესახებ (ეს ხომ პირველი ემოციაა მას შემდეგ, რაც მან აჩრდილისაგან შეიტყო სიმართლე!), მაგრამ ეს ფიქრი შენიღბულია და ამიტომ ჰორაციოს გულწრფელ გაოცებასა და ირონიულ შენიშვნას იწვევს. ასე რომ, ზოგჯერ ღრმა, მაგრამ შენიღბული აზრი შესაძლოა „უხერხულიც“ კი აღმოჩნდეს ადამიანისათვის, რადგანაც იგი ბანალურად გამოიყურება (ადამიანი იმეორებს ცნობილ ჭეშმარიტებებს, მაგრამ ეს მის მიერ მიგნებული „საკუთარი“ ჭეშმარიტებაა, მხოლოდ მის მიერ თავიდან აღმოჩენილი „საკუთარი ბორობალია!“)

\*\*\*

თავისი „სიგიჟით“ ჰამლეტი კარგად მოქმედებს ცოდვიანებზე — ბიძამისი მონანიების ლოცვამდე მიიყვანა და დედასაც „შეუნჯღრია“ სინდისი (გერტრუდა: „ო ჰამლეტ! ორად გახლიჩე შენ ჩემი გული შენი სიტყვებით!“)


\*\*\*

ჰამლეტს კარგად ესმის, რომ მთავარია ადამიანი შინაგან ჰარმონიაში იყოს საკუთარ თავთან და ამიტომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს თუ სივრცის რა მოცულობაში იქნება იგი „გამომწყვდეული“

ჰამლეტი:

**„ო,ღმერთო ჩემო! რომ არ მტანჯავდეს ჩემი სიზმრები, კაკლის ნაჭუჭის ტყვეობაშიც კი წარმოვიდგენდი მე საკუთარ თავს უკიდევანო სივრცის მფლობელად!“**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



## ზვიადს

მსოფლიო- შიშის ბჭე უთარილო,  
რომლის ნიაღში შუქი ილევა  
ლოცვის ნებართვა ვისგან ავილო?  
კაცობრიობის გრგვინავს დილემა...  
გადაუსნარი ყალბ ცდომილებას  
ეკლის გვირგვინი ნებით იმთხვიე  
გრაალის თასში ნალტობ უსტარით  
უფალს უთხარი, ერის ძველ იერს  
შემორჩენოდა ქართული სისხლი,  
რაც სხვებმა ხვრიპეს, ბილწეს, არიეს...  
ეშმაკთა ბრბოს წინ ემსგავსე ქრისტეს  
ქვეყნის ვარამი რომ შეგაძლიეს  
და ყიამეთის უმ ასერგასებს  
ვინ ანაცვალებს სითბოს კანთიელს?!  
ივნოს დრო-ჟამმა შენი ხატება  
მართალი სისხლი როს დაათხიეს,  
ქართული სულის აალქატება  
ჯვარცმულს ასგზის რომ არ გაპატიეს!

იკა ქადაგიძე

31.03.2020.